



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო პროგრამა

ნათია მახათაძე

**სახელმეკრულებო მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური
ვადების მიმართება საერთო ვადებთან**

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მარიამ ცისკაძე

სამართლის დოქტორი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი**

თბილისი, საქართველო

2019

სარჩევი

შემოკლებანი	5
შესავალი.....	7
I. სასარჩელო ხანდაზმულობის არსი სამოქალაქო ბრუნვაში და მისი გავლენა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე	11
1. სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნება (მატერიალურ-სამართლებრივი თუ საპროცესო-სამართლებრივი)	11
2. სასარჩელო ხანდაზმულობის ცნება და დადგენის საფუძვლები	18
2.1. მოვალის ინტერესი, როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენის საფუძველი.....	21
2.2. კრედიტორის ინტერესის გათვალისწინება სასარჩელო ხანდაზმულობის ჭრილში	23
2.3. საჯარო ინტერესის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე	24
3. სასარჩელო ხანდაზმულობით სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის ძირითადი თავისებურებანი.....	29
4. სასარჩელო ხანდაზმულობის სხვა ვადებთან ურთიერთმიმართების საკითხი	34
4.1. სასარჩელო ხანდაზმულობის საპრეტენზიო ვადებისაგან გამიჯვნის კრიტერიუმები.....	35
4.2. სასარჩელო ხანდაზმულობისა და შეცილების ვადების ურთიერთმიმართება	42
4.3. ხელშეკრულების საგარანტიო ვადისა და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ურთიერთმიმართება.....	43
5. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ხასიათი (იმპერატიული/დისპოზიციური)	47
5.1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განსაზღვრის თავისებურება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შეცვლის ჭრილში	50
5.2. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეცვლის აკრძალვის იმპერატიული დათქმისას	52
6. სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო და ზოგადი/სპეციალური ვადები და მათი ათვლის წესი	57
6.1. სუბიექტური ფაქტორი, როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლის წინაპირობა	61

6.2. სირთულეები სუბიექტურ ფაქტორზე დაფუძნებულ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით	66
II. პირველადი მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვლის წესი	68
1. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მისი ათვლის წესი (სპეციფიკური შემთხვევების გათვალისწინებით)	68
1.1. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შესრულებისათვის განსაზღვრული დროის არარსებობისას.....	70
1.2. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურებანი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების არსებობისას.....	72
1.3. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავისებურებანი, მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებების გამოყენებისას.....	77
1.4. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავისებურებანი მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებითი საშუალებების გამოყენებისას.....	80
2. მჩუქებლის მიერ ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადა	83
2.1. დასაჩუქრებლის უმადურობის საფუძვლით ჩუქების გაუქმების ხანდაზმულობის ვადის თავისებურებანი	84
2.2. მატერიალური მდგომარეობის გაუარესების საფუძვლით ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადის თავისებურებანი	87
3. მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ვადა	89
4. სახელშეკრულებო მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა და ათვლის წესი	98
III. მეორადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვლის წესი .	100
1. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვლის წესი	100
1.1. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის თავისებურებანი	106
1.2. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ..	110

2. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვლის წესი.....	114
2.1. დამატებითი შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა და ათვლის წესი	116
2.2. ნაკლიანი დამატებითი შესრულების გავლენა ხანდაზმულობის ვადის დენაზე	121
3. ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელების სპეციფიკა.....	127
4. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელების თავისებურებანი	129
4.1. ტურისტის მიერ პრეტენზიის წარდგენის ვადა, როგორც მოთხოვნის რეალიზაციის წინაპირობა.....	129
4.2. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები.....	132
4.3. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერების თავისებურებანი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მაგალითზე.....	134
5. მეორადი მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები გადაზიდვის ხელშეკრულებაში	135
5.1. გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენის ვადა (რეკლამაცია).....	136
5.2. გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები	139
5.3. გადაზიდვასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ნორმები საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში.....	143
IV. მოთხოვნის კონკურენციის პირობებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის თავისებურებანი.....	147
1. ხელშეკრულების ბათილობისას ნივთის გამოთხოვის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის პირობებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავისებურება.....	147
2. ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წარმოშობილ მოთხოვნათა კონკურენციის ხანდაზმულობასთან ურთიერთმიმართება	149
3. ცალკეული სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციის საკითხი ხანდაზმულობასთან მიმართებით	152
3.1. კონკურენციის საკითხი ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით	160

3.2. კონკურენციის საკითხი გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებასთან მიმართებით..... 163

3.3. კონკურენციის საკითხი ე.წ. „შემდგომი ზიანის“ (Spätschaden) შემთხვევაში 165

3.4. კონკურენციის საკითხი ე.წ. შემდგომ წარმოშობილი ზიანის შემთხვევაში (Weiterfresserschaden)..... 169

V. დასკვნა..... 174

ბიბლიოგრაფია 191

შემოკლებანი

ქართულ ენაზე:

ა.შ.	ასე შემდეგ
გვ.	გვერდი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
ე.ი.	ესე იგი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
ვნ.	ველის ნომერი
თსუ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იხ.	იხილეთ
კვ.	კვარტალი
მაგ.	მაგალითად
რედ.	რედაქტორი
სასკ	საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსრკ	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სხვ.	სხვა
შსკ	შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი

უცხოურ ენებზე:

BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGE	Entscheidungen des Schweizerischen Bundesgerichts
BGH	Bundesgerichtshof
BverfG	Bundesverfassungsgericht
DCFR	Draft Common Frame of Reference
DZWIP	Deutsche Zeitschrift für Wirtschafts- und Insolvenzrecht

Ed.	Edition
f.	folgende
GPR	Zeitschrift für das Privatrecht der Europäischen Union
Hrsg	Herausgeber
JBL	Juristische Blätter
JR	Juristische Rundschau
Jura	Juristische Ausbildung
JZ	JuristenZeitung
LG	Landgericht
MDR	Monatsschrift für Deutsches Recht
MedR	Medizinrecht
NJW	Neue juristische Wochenschrift
Nr.	Nummer
ÖBA	Österreichisches Bank-Archiv
OGH	Oberster Gerichtshof
OLG	Oberlandgericht
PECL	Principles of European Contract Law
Rn.	Randnummer
RRa	ReiseRecht aktuell
RW	Rewiss
SJZ	Schweizerische Juristenzeitung
Urt.	Urteil
v.	vom
vs	versus
ZEV	Zeitschrift für Erbrecht und Vermögensnachfolge
ZJS	Zeitschrift für das Juristische Studium
ZRG RA	Zeitschrift der Savigny-Stiftung für Rechtsgeschichte, Romanistische Abteilung b

შესავალი

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობა განპირობებულია ხელშეკრულების მხარეთა თანასწორობისა და მათი ინტერესების თანაბარი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე. ეს ინსტიტუტი არღვევს კერძო სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ, სახელშეკრულებო ნდობაზე დაფუძნებულ სტაბილურობისა და უწყვეტობის პრინციპს,¹ თუმცა აღნიშნულს აქვს თავისი გამართლება. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ სამართლებრივი სტაბილურობის მოთხოვნა უფრო მეტად დაცვის ღირსია.² სასარჩელო ხანდაზმულობა უფლების განხორციელებისათვის განსაზღვრულ ჩარჩოებს აწესებს. ხანდაზმულობა წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას და არა თვითმიზანს.³

ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რთულია იმის შეფასება, არის თუ არა ცალკეული სახელშეკრულებო მოთხოვნის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები გონივრული და ემსახურება თუ არა ისინი ხანდაზმულობის მიზნების რეალიზაციას. ზოგადად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული არა მხოლოდ კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, არამედ ასევე ხანდაზმულობის ვადის ათვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები. გონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების არსებობა უფლების რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ამიტომ, ძალიან დიდია ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში.

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარეობს წარმოდგენილი საკითხის აქტუალურობა. ეს საკითხი არსებითი მნიშვნელობისაა იმის გამოც, რომ არაგონივრული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების დადგენა შეიძლება გახდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების არათანაზომიერი შეზღუდვის საფუძველი. შესაბამისად, აუცილებელია კანონმდებლობით განსაზღვრული, ცალკეულ შემთხვევაში, არათანმიმდევრული მოწესრიგების გამოვლენა და განსხვავებული გადაწყვეტის შეთავაზება.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ცალკეული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადების გონივრულობის შეფასება, იმ კრიტერიუმების დეტალურად განსაზღვრა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებელმა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების დადგენისას, ზოგადი და სპეციალური ვადების ურთიერთმიმართების საკითხის ანალიზი. აღნიშნული საკითხები განხილულ იქნება საქართველოს კანონმდებლობის მაგალითებზე.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორცაა შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი. ამ

¹ *Bucher E.*, Schweizerisches Obligationenrecht, Allgemeiner Teil ohne Deliktsrecht, 2. Auflage, Schulthess Polygraphischer Verlag, Zürich, 1988, 444.

² *Schmidt-Kessel M.*, Ein einheitliches europäisches Kaufrecht? Eine Analyse des Vorschlags der Kommission, Sellier european law publishers GmbH, München, 2012, 529.

³ *Medicus D.*, Allgemeiner Teil des BGB, 9. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2006, Rn. 104.

მეთოდის საშუალებით ცალკეულ საკითხებთან მიმართებით განხორციელებულია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებისა და სამართლებრივი სისტემის ანალიზი, შედარება. დოგმატური და ნორმატიული კვლევის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც დადგენილია ცალკეულ ნორმათა შინაარსი და განხორციელებულია მათი იურიდიული ანალიზი. ასევე ზოგადმეცნიერული (ისტორიული) მეთოდი, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის დადგენის ისტორიული საფუძვლები.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ჩამოყალიბებულია ხუთ თავად:

პირველი თავი ეთმობა სასარჩელო ხანდაზმულობის არსის, მისი სამართლებრივი ბუნების განხილვას ანგლოამერიკული და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემების ანალიზის გზით; სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნების დეტალურ შეფასებას და მათ შორის პრიორიტეტების განსაზღვრას; იმ ძირითადი პრინციპების დადგენას, რომლებითაც უნდა შეფასდეს ცალკეულ სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების გონივრულობის საკითხი. ამავე თავში განხილულია სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების თავსებადობის საკითხი; სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების თაობაზე არსებულ ნორმათა იმპერატიული თუ დისპოზიციური ხასიათი და ყველა საკანონმდებლო მოწესრიგება, რომლითაც შესაძლოა დაირღვეს სასარჩელო ხანდაზმულობის თაობაზე კანონის იმპერატიული დანაწესი; სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების სხვა სახის ვადებთან ურთიერთმიმართების საკითხი; ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და მათ გადასაჭრელად შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

მეორე თავი ეთმობა პირველადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადებსა და მათი ათვლის წესს. აღნიშნულ თავში განხილულია ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის მიმართ არსებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების სპეციფიკა ცალკეულ პრობლემურ შემთხვევებთან მიმართებით. კერძოდ, ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შესრულების ვადის არარსებობისას; პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით; მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით საშუალებებთან დაკავშირებით. ამავე თავში განხილულია მჩუქებლის მიერ ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადები, საკანონმდებლო მოწესრიგების ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები. ასევე შეფასებულია მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ვადების პრაქტიკაში რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარვეზები და თავის ბოლოს, სახელშეკრულებო მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებული სპეციფიკა.

მესამე თავი ეთმობა მეორადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას და მისი ათვლის წესს. ამ თავში განხილულია ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები ნასყიდობის, ნარდობის,

ქირავნობის, ტურისტული მომსახურებისა და გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებების მაგალითზე. თითოეულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადები შეფასებულია ინდივიდუალურად, მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

მეოთხე თავი ეთმობა მოთხოვნათა კონკურენციის, კერძოდ, ხელშეკრულების ბათილად ცნობიდან გამომდინარე მოთხოვნების; ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წარმოშობილი მოთხოვნების; დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნების კონკურენციის საკითხებს.

მეხუთე თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, ის ძირითადი საკითხები, რაც კვლევისას გამოიკვეთა, ასევე ქართული კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

I. სასარჩელო ხანდაზმულობის არსი სამოქალაქო ბრუნვაში და მისი გავლენა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე

1. სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნება (მატერიალურ-სამართლებრივი თუ საპროცესო-სამართლებრივი)

სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით არ არსებობს აზრთა ერთიანობა. ზოგიერთი მართლწესრიგი სასარჩელო ხანდაზმულობას განიხილავს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ბუნების მატარებელს, ზოგი კი პირიქით - საპროცესო-სამართლებრივს.⁴ სწორედ ამიტომ არსებითია კავშირის დადგენა მოთხოვნას, მის ხანდაზმულობასა და პროცესუალურ აღიარებას შორის.

სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნების თაობაზე მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა სასამართლო პრაქტიკა. სწორედ ამიტომ საკითხის სიღრმისეული კვლევის მიზნით მნიშვნელოვანია მოვახდინოთ როგორც საქართველოს, ისე უცხო, მათ შორის განსხვავებული სამართლებრივი სისტემის მქონე, ქვეყნების მეცნიერებისა და პრაქტიკის ანალიზი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი აღსრულება არ ხდება კონკრეტული წინაპირობების არსებობისას.⁵

სხვა საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივ შედეგზე და განმარტა, რომ მისი შედეგი უფრო მეტად ატარებს პროცესუალურ ხასიათს, ვიდრე მატერიალურს. ამის არგუმენტად კი მიუთითა იმაზე, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს სარჩელისგან თავის დაცვის შესაძლებლობას, რომელიც არ იწვევს მოთხოვნის გაქარწყლებას მხარის მითითების გარეშე. შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობა საშუალებაა და არა უფლება.⁶

აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის გასვლა დაუკავშირა არა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ჩამორთმევას, მოთხოვნის

⁴ Pappenheim W., Zur international-privatrechtlichen Behandlung der Verjährung, Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht, 5. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1931, 740.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისის №ას-369-350-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის №ას-1428-2018 გადაწყვეტილება.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის №ას-586-551-2010 გადაწყვეტილება.

გაქარწყლებას, არამედ სასამართლოს მეშვეობით უფლების იძულებითი განხორციელების და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების შეუძლებლობას. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ დაინტერესებულ პირს ენიჭება უფლებამოსილება, სასამართლოს მიუთითოს მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ და სწორედ ამ საფუძვლით მოითხოვოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.⁷

აღსანიშნავია, რომ სარჩელი აერთიანებს ორ ნაწილს: სარჩელის აღძვრას და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. ვინაიდან სასარჩელო ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა, ის უკავშირდება სარჩელის უფლებას. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე და არა სარჩელის აღძვრაზე,⁸ ხოლო ის ფაქტი, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ იწვევს მატერიალური მოთხოვნის შეწყვეტას, შეიძლება ჩაითვალოს ხანდაზმულობის მატერიალური სამართლის კუთვნილების დადასტურების ერთ-ერთ წინაპირობად. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით.⁹ შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა, პირიქით, იძლევა საპირისპირო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რაც დასტურდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკითაც.

სასარჩელო ხანდაზმულობის მატერიალური სამართლის კუთვნილებად მიჩნევის ერთ-ერთ სასარგებლო არგუმენტად დამატებით შესაძლებელია დასახელდეს ვადების გამოთვლის საკითხის სსკ-ით მოწესრიგება.¹⁰ ხანდაზმულობის ინსტიტუტი რეგულირდება მატერიალური კანონმდებლობით. ამ ინსტიტუტის სამოქალაქო კოდექსში ინკორპორირება შეიძლება წინასწარ შეფასდეს კანონმდებლის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის მატერიალური სამართლის კუთვნილებად მიჩნევის დადასტურებად. ამასთან, საკითხი შეეხება არა ცალკეული ვადების მოწესრიგებას, არამედ, ზოგადად, ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგლამენტაციას. კანონმდებლის ნების გამოხატულებად, ესა თუ ის ინსტიტუტი მიაკუთვნოს მატერიალურ თუ საპროცესო სამართალს, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ამ ინსტიტუტის ადგილი სამართლებრივ სისტემაში. ამის საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოყვანილ იქნეს მაგალითი სხვა ქვეყნის კანონმდებლობიდან. მაგ., კალიფორნიის შტატის საპროცესო კოდექსის (CCP) მე-2 კარი¹¹ მთლიანად ეთმობა ხანდაზმულობის საკითხის

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის №ბს-767-759(კ-16) გადაწყვეტილება.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, 63; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 21 იანვრის №ბს-944-904(კ-09) განჩინება.

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბერი №ას-579-554-2016 გადაწყვეტილება.

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 4 აპრილის №ას-1322-2018 გადაწყვეტილება - აღწერილობითი ნაწილი.

¹¹ იხ. <https://leginfo.legislature.ca.gov/faces/codesTOCSelected.xhtml?tocCode=CCP>.

რეგულირებას. ხანდაზმულობის როგორც ზოგადი, ისე საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ვადები საპროცესო სამართლით რეგულირდება და ის მიიჩნევა საპროცესო-სამართლებრივი ბუნების მქონედ. ხანდაზმულობის ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმები გვხვდება გერმანიისა და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსებშიც. გსკ-ის ზოგადი ნაწილი შეიცავს ხანდაზმულობის შესახებ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება სხვა სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ. აღნიშნული მიდგომა პანდექტური სამართლით არის ნაკარნახევი.¹² საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ხანდაზმულობის შესახებ რეგულირება ვალდებულებითი სამართლის თავშია მოცემული.

გერმანიაში სასარჩელო ხანდაზმულობა იწვევს არა მოვალის ვალდებულების გაუქმებას, არამედ მხოლოდ შეცვლას.¹³ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ვადებს.¹⁴ შესაბამისად, ვადის შეფასებისათვის რელევანტურია სარჩელის სასამართლოში წარდგენის დღე.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკით საპროცესო ვადებს წარმოადგენს ისეთი ვადები, რომლებიც ან სამართალწარმოების ფარგლებში წარმოიშობა, ან ამ პროცესში მიმდინარეობს. თუ სამართალწარმოების დაწყება დამოკიდებულია ვადაზე, ასეთი ვადა არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს პროცესუალურად.¹⁵ გერმანიაში სასარჩელო ხანდაზმულობა კვალიფიცირდება როგორც მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მსგავს და არა აღმჭურველ მოქმედებას.¹⁶

საფრანგეთში ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნება არ არის აშკარა. როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთის სამართლებრივ სისტემაში მოთხოვნა ხანდაზმულობის მიუხედავად მაინც არსებობს.¹⁷ დანიაში ხანდაზმულობა წარმოადგენს მოთხოვნის მატერიალური დასრულების საფუძველს.¹⁸

შვეიცარიაში სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტს. ხანდაზმულობის ვადის გასვლით მოვალეს

¹² Schweizerisches Institut für Rechtsvergleichung, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Dänemark, 2011, 10
<<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/gutachten-sir-d.pdf>>
[27.03.2019].

¹³ Spiro K., Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatafristen. Band I: Die Verjährung der Forderungen. Band II: Andere Befristungen und Rechte, JZ, Nr. 2, 33. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1978, 79.

¹⁴ OGH, Beschluss v. 25.07.2000 - 1Ob112/00b.

¹⁵ OGH Beschluss v. 29.04.2009 – 7Ob73/09z.

¹⁶ Schweizerisches Institut für Rechtsvergleichung, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Dänemark, 2011, 18-19
<<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/gutachten-sir-d.pdf>>
[27.03.2019].

¹⁷ Pappenheim W., Zur international-privatrechtlichen Behandlung der Verjährung, Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht, 5. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1931, 740.

¹⁸ იქვე

ეძლევა შესრულებაზე უარის თქმის უფლება. მოთხოვნა არ წყდება, არამედ მისი განხორციელება დამოკიდებულია მოვალის ნებაზე.¹⁹

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში არსებობს აზრთა ერთიანობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო უფლება მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობით, შესაგებელია.²⁰ შესაგებლის ქვეშ იგულისხმება საწინააღმდეგო უფლება, რომელიც მოთხოვნის აღსრულებადობას ხანგრძლივად ან დროებით აფერხებს ან ასუსტებს.²¹ პრაქტიკაში ყველაზე მნიშვნელოვან შესაგებელს წარმოადგენს ხანდაზმულობის შესაგებელი. მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებლად კვალიფიკაცია მოვალეს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის მიხედვით გადაწყვიტოს, ვალდებულების შესრულებას ფაქტობრივად უარყოფს თუ არა.²² მოთხოვნის აღსრულების საწინააღმდეგოდ აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა. პირველ რიგში, სახეზე უნდა იყოს შესაგებლის შემადგენლობა. გარდა ამისა, მოვალემ შესაგებელზე მითითების შესახებ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.²³

სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნების ანალიზი ცხადყოფს, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური სამართლის კუთვნილებას, რაც სრულიად გასაზიარებელია სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგების და სამართლებრივ სისტემაში მისი ადგილის გათვალისწინებით.

განსხვავებული სამართლებრივი ბუნება აქვს ხანდაზმულობას ინგლისურ სამართალში. ინგლისში არსებობს ხანდაზმულობის შესახებ 1980 წლის აქტი,²⁴ რომელიც მიუთითებს მრავალ კანონზე. ამასთან, აღნიშნული აქტი უცვლელად ტოვებს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ სპეციალურ ხანდაზმულობის ვადებს. აღსანიშნავია, რომ ინგლისური სამართალი არ იცნობს სარჩელის ხანდაზმულობას. ხსენებული წარმოადგენს კანონზე დაფუძნებულ უფლებას.²⁵ მსგავსი რეგულირების ერთ-ერთი

¹⁹ Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement (EJPD), Bundesamt für Justiz (BJ) Obligationenrecht (Revision des Verjährungsrechts) Bericht zum Vorentwurf, 2011, 6 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/ve-ber-d.pdf>> [14.03.2019].

²⁰ Meller-Hannich C., Die Einrede der Verjährung, JZ, Heft 13, 60. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2005, 657.

²¹ Korenke T., Bürgerliches Recht: eine systematische Darstellung der Grundlagen mit Fällen und Fragen, R. Oldenbourg Verlag München Wien, 2006, 27.

²² Meller-Hannich C., Die Einrede der Verjährung, JZ, Heft 13, 60. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2005, 658.

²³ Bork R., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 2. Auflage, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2006, Rn. 315.

²⁴ დეტალურად აღნიშნული აქტის თაობაზე იხ. <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/1980/58>> [27.03.2019].

²⁵ Schweizerisches Institut für Rechtsvergleichung, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Dänemark, 2011, 12 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/gutachten-sir-d.pdf>> [27.03.2019].

ყველაზე შესამჩნევი ნიშანი არის ყოვლისმომცველი რეგულირება.²⁶ კონტინენტური სამართლებრივი წესრიგისაგან განსხვავებით ინგლისურ სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს პროცესუალურ-სამართლებრივ ინსტრუმენტს, რადგან აღიქმება როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნაწილი და პასუხობს კითხვაზე, რა დრომდე შეიძლება სარჩელების წარდგენა შესაბამის დაწესებულებაში, როცა კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში ხანდაზმულობას მოჰყვება მხოლოდ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის გაქარწყლება.²⁷

ნიუ-იორკში მოქმედი ხანდაზმულობის ნორმები ასევე საპროცესო-სამართლებრივი ბუნების მატარებელია, რადგან ეს უკანასკნელი განიხილება სამართლებრივ საშუალებად. ხანდაზმულობის ვადის გასვლა იწვევს არა მის საფუძვლად არსებული უფლების შეწყვეტას, არამედ ზღუდავს მისი განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა მატერიალურ უფლებას კი არ აუქმებს, არამედ უთითებს მხოლოდ დაცვის საშუალებაზე.²⁸

გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია 6 ტესტის გამოყენება იმის განსასაზღვრად, სასარჩელო ხანდაზმულობით დადგენილი შეზღუდვა მატერიალურ თუ საპროცესო სამართლებრივ ბუნებას ატარებს. კერძოდ, აუცილებელია დადგინდეს 1) მოიცავს თუ არა კანონი, რომელიც აფუძნებს პასუხისმგებლობას, დროს, რომლის ფარგლებშიც შეიძლება პასუხისმგებლობის იძულებით აღსრულება; 2) შეზღუდვა სხვა კანონით მიმართულია თუ არა ახალ ვალდებულებაზე, რომლის მიხედვითაც, ახალი შეზღუდვა კვალიფიცირდება უფლებად; 3) შეზღუდვისაგან დაცვა კვალიფიცირდება მატერიალური თუ საპროცესო კუთხით; 4) შეზღუდვამ გამოიწვია თუ არა უფლების სრულად შეწყვეტა; 5) შემხებელი უცხო ქვეყნის სასამართლო შეზღუდვას მიიჩნევს საპროცესო თუ მატერიალურ-სამართლებრივი ბუნების მატარებლად; 6) შეზღუდვა ისე ხომ არ არის ჩამოყალიბებული, რომ აღინიშნებოდეს პროცედურულად და არა შინაარსობრივად.²⁹

მითითებული ტესტით სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა საკმაოდ რთული და შრომატევადია. ამასთან, საჭიროებს ყოველი შემთხვევის ინდივიდუალურ შეფასებას.

განსახილველ საკითხზე მსჯელობისას შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რა გავლენას ახდენს ხანდაზმულობის მატერიალური ან პროცესუალური ბუნება საბოლოო შედეგზე, როცა მოთხოვნის ხანდაზმულობის დროს

²⁶ იხ. იგივე, გვ. 10.

²⁷ Pappenheim W., Zur international-privatrechtlichen Behandlung der Verjährung, Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht, 5. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1931, 740.

²⁸ Supreme Court New York Country, კასიტა ლ.პ. გლასერის წინააღმდეგ (Casita, L.P vs. Glaser) - საქმის ნომერი №600782/2007- 20.02.2015.

²⁹ Wurfel S., Statutes of Limitations of the Conflict of Laws, North Carolina Law Review, Volume 52, No. 3, School of Law, 1919, 519.

კრედიტორს ყველა შემთხვევაში აქვს ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება.³⁰

სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებული საკითხი შეიძლება აქტუალურად იქნეს მიჩნეული საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის ბუნების განსაზღვრის საჭიროება დგება მაშინ, როცა სახეზეა რამდენიმე სახელმწიფოს საერთაშორისო კომპეტენცია. როდესაც საერთაშორისო კომპეტენცია კონკურირებადია, მოსარჩელეს აქვს უფლება, თავად აირჩიოს მისთვის მისაღები სასამართლო, რომელიც განიხილავს მის საქმეს, თუმცა ამ შემთხვევაში საკითხი შეეხება მხოლოდ ხელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი და არა პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების გამოყენებას.³¹ შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებული საკითხის განსაზღვრისას, ხანდაზმულობის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების კვლევა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი კუთხით გადამწყვეტია კონკურირებადი საერთაშორისო კომპეტენციის გადასაწყვეტად.

რამდენიმე ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის არსებობისას ხელსაყრელი ქვეყნის სასამართლოს არჩევა ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში ცნობილია Forum shopping (ფორუმის, სასამართლოს არჩევის) სახელწოდებით.³² ამ დროს სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნების შესახებ მნიშვნელოვან განმარტებას იძლევა ჩრდილოეთ კაროლინას სამართლის მიმოხილვა. ტრადიციულად ხანდაზმულობის ვადები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც სარჩელის საფუძვლისთვის გამოიყენება, განიხილება პროცესუალურად და აქედან გამომდინარე, რეგულირდება (ფორუმის) სამართლის მიხედვით.³³

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს კანონები იმის მიხედვით, ისინი ითვალისწინებს მხარის განკარგულებაში არსებული დაცვის საშუალების შეზღუდვას მათ საფუძვლად არსებული უფლების შეწყვეტის გარეშე და ასეთ შეზღუდვას მათ საფუძვლად არსებული უფლების აშკარად შეწყვეტის პირობით. განსხვავება პირველ რიგში, უკავშირდება ხანდაზმულობის ნორმების საერთაშორისო კერძო სამართალში საპროცესო სამართლებრივად კვალიფიკაციას, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება ამ განსხვავების

³⁰ როგავა რ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი (საქმე №ას-581-549-2011), სტუდენტური სამართლის ჟურნალი, 2013, 15.

³¹ გამყრელიძე ს., სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(30)11, თბილისი, 2011, 17.

³² იხ. იგივე, გვ. 18.

³³ Wurfel S., Statutes of Limitations of the Conflict of Laws, North Carolina Law Review, Volume 52, No. 3, School of Law, 1919, 514.

ხელოვნურად შექმნის თაობაზე.³⁴ ცალკეული ავტორი მიიჩნევს, რომ განსხვავება საერთაშორისო კერძო სამართალშიც არ არის გონივრული. უფლება, რომლისთვისაც აკრძალულია სასამართლო დაცვის საშუალება, არ წარმოადგენს „დიდ“ უფლებას.³⁵ ანალოგიურად, უფლება, რომელიც არ შეიძლება რეალიზდეს სარჩელის წარდგენის გზით, კარგავს თავის ღირებულ თვისებას.³⁶

ერთ-ერთ საქმეზე სასარჩელო ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნების შეფასებისას სასამართლომ განმარტა, რომ დრო, რომლის განმავლობაშიც სარჩელი უნდა იქნეს წარდგენილი, მოქმედებს პასუხისმგებლობის და არა მხოლოდ სამართლებრივი საშუალების შემზღუდველად. ის წარმოადგენს პირობას, რომელიც სარჩელის უფლებასთან ზოგადად დაკავშირებულია. უფლების არსი იკარგება, როცა დრო არ არის გათვალისწინებული.³⁷

პოზიცია, რომელიც უარყოფს მოსარჩელის მიერ სამართლებრივი საშუალების გამოყენებას და ამასთანავე, არ ეხება მის უფლებას, გაუთვალისწინებლად ტოვებს წარმოდგენილი ვადების მიზანს. აღნიშნული ვადების მიზანია მოპასუხისათვის მნიშვნელოვანი უფლების მინიჭება. უფლების, რომ გამოიყენოს ხანდაზმულობის ვადა, როგორც შესაგებელი. სასარჩელო ხანდაზმულობის საპროცესო-სამართლებრივად კვალიფიკაციისას მოსარჩელეს მიეცემა შესაძლებლობა, რომ თავიდან აიცილოს ეს უფლება და აირჩიოს იმ ქვეყნის სამართალი, რომლის კანონმდებლობითაც განსაზღვრულია უფრო ხანგრძლივი ვადა. ეს იმ დროს, როცა მოსარჩელისათვის გამოსაყენებელი სამართალი არ შეიძლება იყოს ყოველთვის სარგებლიანი. აღნიშნულის დაშვების შემთხვევაში მოსარჩელე აირჩევდა იმ ქვეყნის მატერიალურ სამართალს, რომლის მარეგულირებელი ნორმებიც მისთვის უფრო მეტად სარგებლის მომტანია.³⁸

მსგავსი მიდგომა მიჩნეულ უნდა იქნეს არაგონივრულად, რადგან შეიძლება გამოიწვევს მოპასუხის ინტერესების, ისევე როგორც, ზოგადად, სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნების უგულვებელყოფა.

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება განმტკიცებულია რიგი საერთაშორისო აქტებით. მაგ., „სახელმწიფოებო ვალდებულებისადმი გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგლამენტის (№593/2008 (Rom

³⁴ *Cheshire G C and North P M*, Private International Law, 11th ed., Butterworths, London, 1987, 80; *McLeod J. G.*, The Conflict of Laws, Carswell Legal Publications, Calgary, 1983, 215.

³⁵ *Leflar R. A., McDougal L L., and Felix R. L.*, American Conflicts Law, 4th ed., Lexis Pub, Charlottesville, VA: Michie Co, 1986, 349.

³⁶ *Wurfel S.*, Statutes of Limitations of the Conflict of Laws, North Carolina Law Review, Volume 52, No. 3, School of Law, 1919, 496.

³⁷ იხ. იქვე.

³⁸ *გამყრელიძე ს.*, სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(30)11, თბილისი, 2011, 18.

I),³⁹ მე-12 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ რეგულაციის მიხედვით ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი უფლება გამოიყენება ვალდებულების შეწყვეტის განსხვავებული სახის, ასევე ხანდაზმულობის და უფლების დაკარგვის მიმართ, რომელიც გამომდინარეობს ვადის გასვლიდან.

წარმოდგენილი საკანონმდებლო რეგულაციიდან აშკარაა, რომ მატერიალური უფლება განიხილება არა მხოლოდ ვადის ხანგრძლივობის, არამედ მისი შეწყვეტის ფორმით.

ზოგადად, ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნების ანალიზისას მნიშვნელოვანია, არ დაირღვეს მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსი. სრულიად გასაზიარებელია პოზიცია, რომელიც აკრიტიკებს სასარჩელო ხანდაზმულობის საპროცესო-სამართლებრივად მიჩნევას ხანდაზმულობის მიზანთან წინააღმდეგობის გამო. ნებისმიერ შემთხვევაში მიზანშეწონილია, სამართლებრივი ბუნება განისაზღვროს მხარეთა ინტერესების თანაბარმნიშვნელობისა და სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნების შესაბამისად. ამასთან, აუცილებლად უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა მატერიალური უფლებისა და მისი პროცესუალური შეცნობის ურთიერთობის თვალსაზრისით ვიწროვდება მატერიალური კერძო ავტონომიის გამომხატველ ისეთ პროცესუალურ პრინციპებზე, როგორებიცაა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპები.⁴⁰

2. სასარჩელო ხანდაზმულობის ცნება და დადგენის საფუძვლები

ხანდაზმულობის ინსტიტუტი რომის სამართლიდან მომდინარეობს. რომის სამართლის წყაროები არ იძლევა ხანდაზმულობის ცნების დეფინიციას, რის გამოც არ მოიპოვება მის შესახებ ზოგადი აღნიშვნა. სიტყვა „praescriptio“ რომის სამართალში გამოხატავდა გარკვეულ დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც კონკრეტული ქმედება უნდა განხორციელებულიყო ან პირიქით.⁴¹ ამასთან, არსებობდა განსხვავებული შეხედულებები მის სამართლებრივ არსთან დაკავშირებით. კანონისტები სვამდნენ კითხვას, ხომ არ ეწინააღმდეგებოდა ხანდაზმულობა ბუნებით სამართალს. ამ კითხვაზე პასუხი იყო უარყოფითი, რადგან, ერთი მხრივ, ხანდაზმულობა განიხილებოდა დაუდევრობის სანქციად, მეორე მხრივ, ხანდაზმულობის ძალით სამართალწარმოების პროცესი და შესაბამისად, დავა სრულდება, რაც ისედაც შეესაბამებოდა ბუნებითი სამართლის მომდევრებას.⁴²

³⁹ იხ. <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32008R0593>> [14.03.2019].

⁴⁰ Meller-Hannich C., Die Einrede der Verjährung, JZ, Heft 13, 60. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2005, 657.

⁴¹ Engelmann J., Die Verjährung nach russischem Privatrecht, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Kaiserlichen Universität zu Dorpat, Dorpat, 1867, 3 <<http://dspace.ut.ee/handle/10062/5658?locale-attribute=de>> [19.03.2019].

⁴² Pichonnaz P., Ursprung und Begründung in historischer Sicht, ZRG RA 132(1), 2015, 521.

შუა საუკუნეებში ხანდაზმულობა თავისი ბუნებიდან გამომდინარე განიხილებოდა როგორც სანქცია დაუდევარი კრედიტორისათვის, შემდგომ ის კვალიფიცირდებოდა არა სანქციად, არამედ ვარაუდად, რომ მხარემ თავისი კონკლუდენტური მოქმედებით უფლება უარყო. მხარეთა ნების აღნიშნული ასპექტი მოგვიანებით ძირითადი საფუძველი გახდა პანდექტიცებისთვის.⁴³

მეცნიერებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანს, რომელმაც ხანდაზმულობის აბსტრაქტული ცნება სრულყოფილად აღიარა, წარმოადგენდა Tribaut. ბუნებითი სამართლიდან გამომდინარე ხანდაზმულობას ის ავრცელებდა, ზოგადად, ყველა უფლების მიმართ და მოითხოვდა ყველა შემთხვევის მიმართ გამოყენების დასაბუთებას პოზიტიური სამართლიდან გამომდინარე.⁴⁴

1841 წელს სავინიმ ხანდაზმულობა შეაფასა, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი და ე.წ. „კეთილმოსურნე“ ინსტიტუტი, ხოლო 1975 წელს გამოიცა სპიროს მონოგრაფია, რომელიც ხანდაზმულობას განვითარებული სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებში შეუცვლელად მიიჩნევდა.⁴⁵

უშუალოდ ტერმინი – „ხანდაზმულობა“ ქართული წარმომავლობისაა.⁴⁶ ზოგადად, სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, აქვს თავისი უფლების იძულებითი განხორციელების ან დაცვის უფლება.⁴⁷ მხარეთა შორის გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იმდენად დიდი ხნის წინ წარმოიშვას, რომ გავლენა მოახდინოს მხარეთა უფლება-მოვალეობებზე.⁴⁸ უფლების წარმოშობა, ისევე როგორც მისი შეწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრულ დროსთან. ხანდაზმულობის ვადა ამცნობს უფლების სუბიექტს მისი დარღვეული უფლების სასამართლოს გზით განხორციელების ვადის თაობაზე.⁴⁹ შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობა პირობადადებულია დროის გარკვეული მონაკვეთით.

⁴³ იხ. იქვე.

⁴⁴ Engelmann J., Die Verjährung nach russischem Privatrecht, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Kaiserlichen Universität zu Dorpat, Dorpat, 1867, 3 <<http://dspace.ut.ee/handle/10062/5658?locale-attribute=de>> [19.03.2019].

⁴⁵ Guckelberger A., Die Verjährung im Öffentlichen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 1.

⁴⁶ ლომიძე ვ., ხანდაზმულობა (ტერმინი საკითხისათვის), პროფ. გ. ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიული ნარკვევები, წიგნი 1, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010, 370.

⁴⁷ ახვლედიანი., ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 128, 316.

⁴⁸ ახვლედიანი., ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 128, 316.

⁴⁹ ზოიძე ბ., ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №6/2003-1, თბილისი, 2003, 110.

ხანდაზმულობის ინსტიტუტის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ის არ გამოიყენება მხოლოდ უფლების დაცვის მიზნით. საგამონაკლისო შემთხვევაში ის წარმოადგენს უფლების წარმოშობის საფუძველს.⁵⁰

მფლობელობითი ხანდაზმულობით საკუთრების შექმნის ინსტიტუტი, რომელიც იმეორებს გსკ-ით დადგენილ წესებს, ქართული სამართლისათვის ნაცნობი ინსტიტუტია.⁵¹ შექმენითი ხანდაზმულობა, როგორც ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობა, მოქმედებს მხოლოდ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ და უკავშირდება არანაკლებ 5 წლის განმავლობაში ნივთის უწყვეტად ფლობის ფაქტს.⁵²

შექმენითი ხანდაზმულობისაგან განსხვავებით გაქარწყლებადი ხანდაზმულობა ვიწრო გაგებით გულისხმობს უფლების ხანგრძლივი განუხორციელებლობის საფუძვლით მის შესუსტებას.⁵³ ფაქტობრივად, გაქარწყლებადი ხანდაზმულობის დადგენით კანონმდებელი შეეცადა კრედიტორის დასჯას მისი უმოქმედობის გამო, თუმცა ყველა შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად ხანდაზმულობის მოტივით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ასეთ შემთხვევას შეიძლება მიეკუთვნოს კრედიტორის უმოქმედობა, რომელიც გამოწვეულია უფლების დარღვევის ფაქტის ცოდნის შეუძლებლობით. ამ დროს ხანდაზმულობის მოტივით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გამოიწვევს უსამართლო შედეგებს. ცალკეულ სახელმეკრულებო ურთიერთობებთან მიმართებით აღნიშნული შემთხვევა დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვანია მოტივები, რომლებიც კანონმდებლისთვის ხანდაზმულობის მარეგულირებელი ნორმების დადგენისას ძირითადი იყო. ამასთან, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საჯარო და კერძო ინტერესები. საკითხი იმის შესახებ, ხანდაზმულობის ინსტიტუტი უფრო მეტად ემსახურება საჯარო თუ კერძო ინტერესის დაცვას, არ არის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი.⁵⁴ სასარჩელო ხანდაზმულობის ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სპიროს 1975 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია, რომელშიც ეს უკანასკნელი მიუთითებდა, რომ მხოლოდ მოვალის დაცვის ღირსი ინტერესი არ კმარა იმისათვის, რომ მოხდეს სასარჩელო ხანდაზმულობის

⁵⁰ *თოთლაძე ლ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2018, მუხლი 165, ვნ. 1; *Koziol H., Welser R., Kletecka A.*, Grundriss des bürgerlichen Rechts Band I: Allgemeiner Teil, Sachenrecht, Familienrecht, 14. Auflage, Manz Verlag, Wien, 2014, Rn. 698.

⁵¹ *რუსიაშვილი გ.*, ქართული სამართლის ადგილი ევროპული სამართლის ოჯახში, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016, 127.

⁵² *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 101.

⁵³ *Hübner H.*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches, 2. Auflage, Walter de Gruyter & Co, Berlin, 1995, Rn. 1371.

⁵⁴ Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement (EJPD), Bundesamt für Justiz (BJ) Obligationenrecht (Revision des Verjährungsrechts) Bericht zum Vorentwurf, 2011, 6 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/ve-ber-d.pdf>> [14.03.2019]; *Kepplinger J.*, Zur vertraglichen Verlängerung der kurzen Verjährungsfrist von Schadenersatzansprüchen, JBL, Heft 3, 134. Jahrgang, Springer-Verlag, Wien, 2012, 161.

ინსტიტუტის ლეგიტიმაცია. ასევე ცხადად უნდა დასაბუთდეს, რატომ შეიძლება იყოს გამართლებული ის სამართლებრივი ზიანი, რომელიც ხანდაზმულობის გამოყენებით კრედიტორს ადგება.⁵⁵

უდავოა ის ფაქტი, რომ უფლებები არა მხოლოდ განსაზღვრულ დროში, არამედ ზუსტად დროის თვალსაზრისით ექვემდებარება ცვლილებას, რომელმაც შეიძლება ის შეასუსტოს ან შეწყვიტოს კიდევ.⁵⁶ ხანდაზმულობას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ კრედიტორის დიდი ხნით უმოქმედობა მოთხოვნის დაუსაბუთებლობას ან შეწყვეტას იწვევს და ეს შეიძლება აღქმულ იქნეს მოთხოვნის განხორციელებაზე უარის თქმად.⁵⁷

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღებით, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს იწვევს და ფაქტობრივად, ძალადაკარგულად აცხადებს მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებას, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი უფრო არსებითი ინტერესის დაცვა, ვიდრე ეს კერძო ინტერესია, რომელშიც, როგორც წესი, იგულისხმება მხოლოდ მოვალის ინტერესი. ბუნებრივია, მოვალის ინტერესი არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი, თუმცა ის არ უნდა იყოს პრიორიტეტულად გათვალისწინებული მსგავსი ინსტიტუტის შემოღებისას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენის საფუძვლების დეტალური განხილვა და შეფასება.

2.1. მოვალის ინტერესი, როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენის საფუძველი

სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მოვალის დაცვა.⁵⁸ მოვალისა და კრედიტორის დაცვის ღირსი ინტერესი თანაბარმნიშვნელოვანია და რამდენადაც მცირდება ხელშეკრულების ერთი მხარის ინტერესი, იმავე პროპორციით იზრდება ეს უკანასკნელი ხელშეკრულების მეორე მხარისათვის, რომელსაც განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ უნდა გასჩენოდა რწმენა, რომ მოთხოვნა მის მიმართ აღარ იქნებოდა წარდგენილი.⁵⁹ აღნიშნულ ინტერესზე მიუთითებს ასევე სპირო. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ მოვალე დროის გასვლის შემდეგ სერიოზულად

⁵⁵ *Dannemann G., Karatzenis F., Geoffrey T.*, Reform des Verjährungsrechts aus rechtsvergleichender Sicht - Hans Stoll zum 65. Geburtstag, *Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht/The Rabel Journal of Comparative and International Private Law*, Heft 1, 55. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1991, 699.

⁵⁶ *Piekenbrock A., Peters F.*, Befristung, Verjährung, Verschweigung und Verwirkung, *Archiv für die civilistische Praxis*, Band 206, 6. Auflage, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2006, 980.

⁵⁷ BGE Urt. v. 13.10.1964 - 90 II 428; BGE Urt. v. 29.01.2010 - 136 II, 187.

⁵⁸ *კვანტალიანი ნ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, მუხლი 128, ვნ. 3.

⁵⁹ *Dohse R.*, Die Verjährung, 11. Auflage, Richard Boorberg Verlag, Stuttgart, 2010, 22; *Schmidt-Kessel M.*, Ein einheitliches europäisches Kaufrecht? Eine Analyse des Vorschlags der Kommission, *Sellier european law publishers GmbH, München*, 2012, 529.

აღარ ვარაუდობს მის წინააღმდეგ უფლების განხორციელებას. შესაბამისად, ნაკლებად შეუძლიათ მის მიმართ პრეტენზიის წაყენება.⁶⁰

სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენა ასევე უზრუნველყოფს მოვალის დაცვას მტკიცებულებების მოპოვების გართულებისგან.⁶¹ ხანგრძლივმა დროის გასვლამ შესაძლოა გამოიწვიოს ნივთიერი მტკიცებულებების დაკარგვა ან განადგურება, მოგონებების ბუნდოვნად გახდომა, მოწმეების, რომლებსაც შეუძლიათ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების დადასტურება, მიუწვდომლობა.⁶² მოვალემ შეიძლება ვერ დაიცვას საკუთარი ინტერესები იმ შემთხვევაში, როცა აღარ აქვს ის მტკიცებულებები, რომელთა შენახვაც მისთვისაც განსაზღვრულ ფარგლებში იყო სავარაუდო. სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი ემსახურება მოვალის დაცვას აღნიშნული შემთხვევისგან.⁶³

მოვალის ინტერესების დაცვის ზემოაღნიშნული მიზანი განსაკუთრებით მაშინ არის არსებითი, როცა ეს უკანასკნელი მოთხოვნის დამადასტურებელ ფაქტებს არ იცნობს ან არ ელოდება მის წინააღმდეგ უფლების განხორციელებას და აქედან გამომდინარე, არ აქვს მტკიცებულებების დაცვის საფუძველი.⁶⁴ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის მიზანია მხარის ინტერესების დაცვა „იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის გამო.“⁶⁵

მტკიცებულების მოპოვების გართულების თავიდან აცილება შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის (სამართლიანი სასამართლოს უფლების) დაცვის საშუალებად, ვინაიდან მტკიცებულების მოპოვების შეუძლებლობა გაართულებს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის პროცესს.

პრუსიული სამართლის საპირისპიროდ, რომლის ხანდაზმულობის მარეგულირებელი ნორმებიც მხოლოდ კეთილსინდისიერ მოვალეს იცავდა, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა მოვალეს იცავს იმ შემთხვევაშიც, როცა ამ უკანასკნელმა იცის, რომ კრედიტორის მოთხოვნა

⁶⁰ *Bergmann A.*, Der Verfall des Eigentums: Ersitzung und Verjährung der Vindikation am Beispiel von Raubkunst und Entarteter Kunst, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2015, 37.

⁶¹ *Derleder P., Meyer T.*, Die Verjährung zivilrechtlicher Ansprüche – Schuldrechtsmodernisierung zwischen Verbraucherschutz und Turbokapitalismus, Kritische Justiz, Nr. 3, 35. Jahrgang, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2002, 326.

⁶² *ახვლედიანი*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 128, 316; *Guckelberger A.*, Die Verjährung im Öffentlichen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 74; *Roderich D.*, Die Verjährung, 11. Auflage, Richard Boorberg Verlag, München, 2010, 22; *Seidl E.*, Die Verjährung als sozialer Behelf im Rechtsbuch von Hermopolis, ZRG RA, Weimar 91, 1974, 361.

⁶³ *Koller A.*, Schweizerisches Obligationenrecht: Handbuch des allgemeinen Schuldrechts ohne Deliktsrecht, 3. Auflage, Stämpfli Verlag AG, Bern, 2009, §67, №6.

⁶⁴ იხ. იქვე.

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 9 ოქტომბრის №ას-898-860-2014 გადაწყვეტილება.

საგნობრივად დასაბუთებულია.⁶⁶ ხანდაზმულობას დაფუძნებული პირის ბოროტი განზრახვა დღეს პრინციპულად უმნიშვნელოა. აღნიშნულის გამართლებად სახელდება ის ფაქტი, რომ ხანდაზმულობა უფლებამოსილი პირის უმოქმედობას ეყრდნობა, რის გამოც ამ ინსტიტუტისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ვალდებული პირის სუბიექტური წარმოდგენები.⁶⁷

ხანდაზმულობით დაცულია მოვალის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ხანგრძლივი დროის გავლის შემდეგ შეიძლება გაუარესდეს.⁶⁸ კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მოვალის მიერ ეკონომიკური საშუალებების მუდმივი მზადება გამოიწვევს მისი როგორც ეკონომიკური,⁶⁹ ისე დისპოზიციური თავისუფლების შეუსაბამოდ შეზღუდვას.⁷⁰

გასაზიარებელია მოსაზრება, რომელიც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დადგენას მოვალის ეკონომიკური სტაბილურობის ინტერესიდან გამომდინარე ამართლებს. მოვალეს ნამდვილად უნდა შეეძლოს მისი ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე დავალბული საგნის სხვაგვარად გამოყენება ხანდაზმულობის ვადის გავლის შემდეგ.⁷¹

ცალკეულ შემთხვევაში მიზანშეწონილია მოვალის ინტერესი პრიორიტეტულად იქნეს მიჩნეული კრედიტორის ინტერესებთან შედარებით. მსგავს შემთხვევას შეიძლება მიეკუთვნოს სახელშეკრულებო მოთხოვნის იმგვარი დარღვევა, რომელიც აშკარაა კრედიტორისთვის და ამის მიუხედავად სსკ-ით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში არ უზრუნველყოფს მოთხოვნის განხორციელებას. ამ დროს ამ უკანასკნელის ინტერესი აღარ იმსახურებს დაცვას.

2.2. კრედიტორის ინტერესის გათვალისწინება სასარჩელო ხანდაზმულობის კრილში

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი ასევე ემსახურება კრედიტორის ინტერესების დაცვას. კრედიტორისათვის ხანდაზმულობა იწვევს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ცხადი სამართლებრივი ურთიერთობის ინტერესით განპირობებულ მოლოდინს, ამ უკანასკნელმა მოთხოვნა განხორციელოს გონივრულ ვადაში და არ გააჭიანუროს დავის დაწყება.⁷²

კრედიტორს უნდა ჰქონდეს საკუთარი მოთხოვნების განხორციელების საკმარისი შესაძლებლობა. ხანდაზმულობის ვადის არსებობა რეალურად წარმოადგენს უფლების განხორციელების გარანტიას. ასეთი ვადით

⁶⁶ *Koller A.*, Schweizerisches Obligationenrecht: Handbuch des allgemeinen Schuldrechts ohne Deliktsrecht, 3. Auflage, Stämpfli Verlag AG, Bern, 2009, §67, №6.

⁶⁷ *Guckelberger A.*, Die Verjährung im Öffentlichen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 74.

⁶⁸ *Klose M.*, Vindikationsverjährung: Gewogen für verfassungswidrig befunden!, RW, Heft 2, 2014, 242.

⁶⁹ *Liebel F.*, Die Verjährung von Schadenersatzansprüchen bei Vorliegen mehrerer Aufklärungspflichtverletzungen, ÖBA 6/17, 404
<https://www.wu.ac.at/fileadmin/wu/d/i/privatrecht/Spitzer/Downloads/bankarchiv-2017-06_0403-0410.pdf> [13.03.2019].

⁷⁰ *Guckelberger A.*, Die Verjährung im Öffentlichen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 74.

⁷¹ *Sebastian B.*, Aktuelle Probleme des Verjährungsrechts, Jura, Heft 7/2009, 31. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2009, 481.

⁷² *Thouvenin F., Purtschert T.*, Schweizer Obligationenrecht 2020 Entwurf für einen neuen allgemeinen Teil, Verlag - Schulthess Juristische Medien AG, Zürich, 2013, Rn. 1.

კრედიტორს შეუძლია უფლების დაცვა მისი აქტუალობისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე.⁷³

ზოგადად, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობა არ ხელყოფს კრედიტორის ინტერესებს. კრედიტორს აქვს შესაძლებლობა, ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში თავისი მოთხოვნის არსებობა ფაქტობრივად გააცნობიეროს, უფლებამოსილება შეამოწმოს, მტკიცებულებები შეაგროვოს და მოთხოვნის სასამართლოს გზით აღსრულება დაიწყო.⁷⁴ თუმცა კრედიტორს შეიძლება არ ჰქონდეს მსგავსი შესაძლებლობა⁷⁵ იმ შემთხვევაში, როცა მან საერთოდ არ იცის უფლების დარღვევის ფაქტის თაობაზე. მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სასარჩელო ხანდაზმულობა კარგავს თავის გამართლებას, როცა სუბიექტს ხელი ეშლება მოთხოვნის განხორციელებაში ან მას არ აქვს უფლების განხორციელების საფუძველი,⁷⁶ უნდა იქნეს გაზიარებული. სასარჩელო ხანდაზმულობის გამოყენებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული კრედიტორის შესაძლებლობა, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.⁷⁷ ამ შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის საფუძველით მოთხოვნის განხორციელებლობა შეუსაბამო იქნება როგორც კრედიტორის ინტერესებთან, ისე სამოქალაქო ბრუნვაში არსებულ სამართლიანობის პრინციპთან და არ შეიძლება იქნეს გამართლებული არც მოვალის ინტერესების დაცვის საჭიროებით.

2.3. საჯარო ინტერესის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე

გასაზიარებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კერძო-სამართლებრივი ნორმისა და ინსტიტუტის აღიარებისათვის არ კმარა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობის არსებობა, არამედ მიღწეულ უნდა იქნეს უფრო მეტად გლობალური, სამართლებრივი სტაბილურობისა და რაციონალურობის მიზანი.⁷⁸

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწესებით კანონმდებლის მიზანს წარმოადგენს როგორც კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია, ისე ამგვარი ვადის დაწესება უზრუნველყოფს:

1. სასამართლოს მიერ ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს,⁷⁹ უსამართლობის თავიდან აცილებას,⁸⁰ რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ

⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის №ას-868-814-2012 განჩინება.

⁷⁴ Dohse R., Die Verjährung, 11. Auflage, Richard Boorberg Verlag, München, 2010, 21.

⁷⁵ Medicus D., Allgemeiner Teil des BGB, 10. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2010, Rn. 105.

⁷⁶ Habscheid W. J., Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalefristen. Band I: Die Verjährung der Forderungen. Band II: Andere Befristungen und Rechte by Karl Spiro, Archiv für die civilistische Praxis, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1978, 335.

⁷⁷ Pichonnaz P., Ursprung und Begründung in historischer Sicht, ZRG RA 132(1), 2015, 525.

⁷⁸ Medicus D., System und Prinzipien des Privatrechts by Franz Bydlinski, Archiv für die civilistische Praxis, Heft 3, 197. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1997, 317.

⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, 63; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის №ას-547-515-2012 გადაწყვეტილება.

⁸⁰ Habscheid W. J., Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalefristen. Band I: Die Verjährung der Forderungen. Band II: Andere Befristungen und Rechte by Karl Spiro, Archiv für die civilistische Praxis, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1978, 335.

სასამართლოებს მოუწევთ არასაიმედო ან არასრულყოფილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით წარსულში განხორციელებული შემთხვევების გადაწყვეტა,⁸¹ ვინაიდან საქმეზე მტკიცებულებათა ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა წარმოადგენს სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.⁸² ხანგრძლივი დროის გასვლით შეცვლილი ან განადგურებული მტკიცებულებები მთლიანობაში გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას,⁸³ დიდი ალბათობით გამოიწვევს საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტურ შეფასებას,⁸⁴ არასანდო მტკიცებულებათა რაოდენობის გაზრდას.⁸⁵ სასამართლო უნდა იქნეს დაცული იმ დავებისგან, რომლებშიც მტკიცების ტვირთი მოთხოვნის წარმოშობისა და მისი განხორციელების ხანგრძლივობის საფუძველზე ბუნდოვანია.⁸⁶

სასამართლოს მიერ საქმის ყოველმხრივ გამოკვლევისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის ინტერესი ნამდვილად უნდა იქნეს მიჩნეული სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის დადგენის ერთ-ერთ ღირებულ საფუძველად, თუმცა საკითხავია, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება უზრუნველყოფს თუ არა ხსენებული მიზნის მიღწევას.

სასამართლოს მიერ ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს, როგორც უკვე აღინიშნა, არსებითად ართულებს ხანგრძლივი დროის გასვლა. სსკ უშვებს ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ უფლების განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითისათვის შეიძლება მოყვანილ იქნეს სსკ-ის 130-ე მუხლი, რომელიც ხანდაზმულობის ვადის ათვლას უკავშირებს უფლების დარღვევის ფაქტის ცოდნის მომენტს და ამასთან, არ ადგენს მოთხოვნის განხორციელების შემზღვეველ საერთო ვადას. პირმა უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაცია შეიძლება გაიგოს წლების შემდეგ და მაინც განახორციელოს თავისი მოთხოვნა, რაც საეჭვოს ხდის ხანდაზმულობის ზემოაღნიშნულ მიზანს. სასამართლოს მიერ ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია კანონმდებლობით შეიზღუდოს უფლების განხორციელების ვადა გონივრულ ფარგლებში.

⁸¹ Agentur der Europäischen Union für Grundrechte und Europarat, Handbuch zu den europarechtlichen Grundlagen des Zugangs zur Justiz, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg, 2016, 144.

⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის №ას-313-313-2018 განჩინება.

⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის №ას-273-2019 განჩინება.

⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის №ას-566-2019 განჩინება.

⁸⁶ Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement (EJPd), Bundesamt für Justiz (BJ) Obligationenrecht (Revision des Verjährungsrechts) Bericht zum Vorentwurf, 2011, 6 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/ve-ber-d.pdf>> [14.03.2019].

2. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას;⁸⁷ კანონი სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტს ითვალისწინებს, პირველ რიგში, საჯარო ინტერესის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე. იურიდიული ინტერესი სამართლებრივ სტაბილურობასა და მშვიდობაზე მოითხოვს, რომ მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულ ფარგლებში არ იქნა განხორციელებული, აღარ დაექვემდებაროს რეალიზაციას.⁸⁸ მისი მიზანია უსასრულო მოთხოვნების გარკვეულ სისტემაში მოყვანა.⁸⁹ ამასთან, სამართლებრივი სტაბილურობის ინტერესის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული ზემოთ განხილული სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების ინტერესი.

მიუხედავად სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესისთვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭებისა, სსკ-ით დადგენილი ცალკეული მოწესრიგება, მათ შორის, უკვე ზემოთ განხილული, უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის მითითებული მიზნის უგულებელყოფის აშკარა მაგალითად. ამგვარი მიდგომა აჩენს ვარაუდის საფუძველს, რომ ხანდაზმულობის დადგენით კანონმდებელი უფრო მეტად შეეცადა კრედიტორის ინტერესის დაცვას.

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციის, ისევე როგორც სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნების მისაღწევად საკანონმდებლო წინადადება ქვემოთ იქნება შემოთავაზებული.

3. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლის გაძლიერებასა და დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულირებას.⁹⁰

საყურადღებოა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა უნდა ემსახურებოდეს მოთხოვნის არსებობისა და აღსრულების განუსაზღვრელობის დასრულებას,⁹¹ თუმცა მნიშვნელოვანია, რა ვადების დადგენა იქნება ამ მიზნის მიღწევის ეფექტური საშუალება.

სამართლებრივ უსაფრთხოებაზე საზოგადოების ინტერესი განსხვავებულია. შეიძლება დასახელდეს როგორც მცირე, ისე ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადების სასარგებლო არგუმენტები.

მცირე ხანდაზმულობის ვადებს შეიძლება ჰქონდეს ადრეული კონფლიქტის მოგვარების მიზანი⁹² და ემსახურებოდეს სამართლებრივი

⁸⁷ *Bucher E.*, Schweizerisches Obligationenrecht, Allgemeiner Teil ohne Deliktsrecht, 2. Auflage, Schulthess Polygraphischer Verlag, Zürich, 1988, 444.

⁸⁸ *Boemke B., Ulrici B.*, BGB Allgemeiner Teil, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2009, Rn. 16; *Gukelberger A.*, Die Verjährung im Öffentlichen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 72.

⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის №ას-17-14-2015 გადაწყვეტილება.

⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, 63; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის №ას-547-515-2012 გადაწყვეტილება.

⁹¹ *Meller-Hannich C.*, Die Einrede der Verjährung, JZ, Heft 13, 60. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2005, 658.

⁹² *Derleder P., Meyer T.*, Die Verjährung zivilrechtlicher Ansprüche – Schuldrechtsmodernisierung zwischen Verbraucherschutz und Turbokapitalismus, Kritische Justiz, Nr. 3, 35. Jahrgang, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2002, 327.

მშვიდობის სწრაფად დადგომას.⁹³ ხანდაზმულობის მცირე ვადებმა შეიძლება უზრუნველყოს სასამართლოს განტვირთვა ხისტი გზით,⁹⁴ ასევე ხარჯების დაზოგვა. მტკიცებულების მოპოვების გართულებამ შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლო ხარჯების ოდენობის იმგვარი გაზრდა, რომ სახეზე იყოს მხარის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად გაღებული სასამართლო ხარჯებისა და გადაწყვეტილებით მიღებული სარგებლის აშკარა შეუსაბამობა.⁹⁵

მცირე ხანდაზმულობის ვადები ასევე უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე საჯარო ინტერესის,⁹⁶ მათ შორის, უსაფუძვლო სარჩელებისგან⁹⁷ სასამართლოს განტვირთვის ინტერესის⁹⁸ რეალიზაციას.

გასათვალისწინებელია, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობა აიძულებს კრედიტორს, მიმართოს თვითშეზღუდვას და არ იდავოს სასამართლოში იმ სასარჩელო მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც ხანდაზმულობის საფუძვლით არ აქვს წარმატების პერსპექტივა. ამ გზით კრედიტორი ასევე უზრუნველყოფს სასამართლო ხარჯების დაზოგვას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში სარჩელის შედგენა საჭიროებს სპეციალისტის დახმარებას, რაც უფრო მეტად ზრდის ხარჯების ოდენობას. გარდა ამისა, ფართო განმარტების შემთხვევაში სასამართლოს განტვირთვის ინტერესი ასევე მიიღწევა ადამიანური რესურსების დაზოგვის გზით. მოთხოვნის ხანდაზმულობის საფუძვლით სარჩელის უარყოფა ამარტივებს მოსამართლის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების შედგენის პროცესს. აქედან გამომდინარე, სასამართლოსადმი მიმართვიანობის გათვალისწინებით, როცა მუდმივად იზრდება საერთო სასამართლოების დატვირთულობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით კერძო სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით, სასარჩელო ხანდაზმულობის ხსენებული ინტერესი მიჩნეულ უნდა იქნეს არსებითად.

მცირე ხანდაზმულობის ვადების გამოყენების საწინააღმდეგო არგუმენტად სახელდება სამართლებრივ უსაფრთხოებასთან მისი შეუსაბამობა იმ შემთხვევაში, როცა მსგავსი ვადის დაწესების შედეგად

⁹³ Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 130.

⁹⁴ Derleder P., Meyer T., Die Verjährung zivilrechtlicher Ansprüche – Schuldrechtsmodernisierung zwischen Verbraucherschutz und Turbokapitalismus, Kritische Justiz, Nr. 3, 35. Jahrgang, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2002, 327; Thouvenin F., Purtschert T., Schweizer Obligationenrecht 2020 Entwurf für einen neuen allgemeinen Teil, Verlag - Schulthess Juristische Medien AG, Zürich, 2013, Rn. 2.

⁹⁵ Friehe T., Schulz M., Zimmer D., Gutachten zur Revision des Schweizer Verjährungsrechts aus rechtsökonomischer Perspektive Eine Regulierungsfolgenabschätzung, Bonn, 2013, 18 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/gutachten-castle-d.pdf>> [14.03.2019].

⁹⁶ Pichonnaz P., Ursprung und Begründung in historischer Sicht, ZRG RA, 132(1), 2015, 521.

⁹⁷ Friehe T., Schulz M., Zimmer D., Gutachten zur Revision des Schweizer Verjährungsrechts aus rechtsökonomischer Perspektive Eine Regulierungsfolgenabschätzung, Bonn, 2013, 19 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/gutachten-castle-d.pdf>> [14.03.2019].

⁹⁸ Derleder P., Meyer T., Die Verjährung zivilrechtlicher Ansprüche – Schuldrechtsmodernisierung zwischen Verbraucherschutz und Turbokapitalismus, Kritische Justiz, Nr. 3, 35. Jahrgang, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2002, 327; Thouvenin F., Purtschert T., Schweizer Obligationenrecht 2020 Entwurf für einen neuen allgemeinen Teil, Verlag - Schulthess Juristische Medien AG, Zürich, 2013, Rn. 2.

გამოწვეული უსამართლობა გასცდება განსაზღვრულ ფარგლებს. ამ დროს შეიძლება საზოგადოების ინტერესი შეიცვალოს და მოთხოვნილ იქნეს, რომ ცალკეულ პირებს შეეძლოთ მოთხოვნის განხორციელება ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ,⁹⁹ მიუხედავად ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადების თანმდევი უარყოფითი შედეგებისა.¹⁰⁰

როცა საუბარია ხანდაზმულობის მიზნებთან ცალკეული ვადების შესაბამისობის საკითხზე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში შესაძლებელია ნაკლის გამო მოთხოვნის წარდგენის ვადა უკვე გასული იყოს, როცა კრედიტორი შეიტყობს აღნიშნულის თაობაზე. ამ შემთხვევაში აუცილებელია საჯარო და კერძო ინტერესთა შორის გონივრული ბალანსის დადგენა. ერთი მხრივ, სახეზეა კრედიტორის ინტერესი შესრულების მიღებაზე, რომელმაც ბრალის გარეშე ვერ უზრუნველყო მცირე ვადებში მოთხოვნის წარდგენა, ხოლო, მეორე მხრივ, საჯარო ინტერესი სამართლებრივ უსაფრთხოებაზე. პირველი ან მეორე ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება არ უნდა იქნეს მიჩნეული საკითხის გონივრულ გადაწყვეტად. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს მოცემულობა კერძო ან საჯარო ინტერესის სასარგებლოდ. სწორედ ამიტომ კანონმდებლის მიზანია იმგვარი საკანონმდებლო რეგულაციის დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერესთა შორის გონივრული ბალანსის მიღწევას, რომელიმე მათგანისათვის აშკარა უპირატესობის მინიჭების გარეშე.

საკითხის იმგვარი გადაწყვეტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა ყველა შემთხვევაში დაუკავშირდეს კრედიტორის მიერ უფლების დარღვევის ცოდნის ფაქტს და ამ შემთხვევებში სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის გაგება მოხდეს არა როგორც მოთხოვნის მცირე ინტერესის გამოხატვის შედეგი, არამედ როგორც რისკის გადასვლა,¹⁰¹ არ უნდა იქნეს გაზიარებული. მსგავსმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს სამართლებრივი ურთიერთობის განუსაზღვრელი ვადით გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩენა. ვინაიდან სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენის ძირითად მიზანს საჯარო ინტერესი წარმოადგენს, წინადადების შემუშავება უნდა მოხდეს ამ მიზნიდან გამომდინარე. საკითხის ოპტიმალური გადაწყვეტის გზები ქვემოთ იქნება შემოთავაზებული.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა წინა პლანზე აყენებს დროის ძალას, რომელიც, თავის მხრივ, შემამსუბუქებელ შედეგს იძლევა. ცალკეული მოსაზრების მიხედვით, კანონმდებელმა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწესებით არსებული ურთიერთობის სტაბილურობა და სამართლებრივი ურთიერთობის სიცხადე უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია, ვიდრე ძველი უფლების განხორციელება.¹⁰²

⁹⁹ Bergmann A., Der Verfall des Eigentums: Ersitzung und Verjährung der Vindikation am Beispiel von Raubkunst und Entarteter Kunst, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2015, 36.

¹⁰⁰ Derleder P., Meyer T., Die Verjährung zivilrechtlicher Ansprüche – Schuldrechtsmodernisierung zwischen Verbraucherschutz und Turbokapitalismus, Kritische Justiz, Nr. 3, 35. Jahrgang, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2002, 327.

¹⁰¹ Medicus D., Allgemeiner Teil des BGB, 10. Auflage, Verlag C.F Müller, München, 2010, Rn 105.

¹⁰² Guckelberger A., Die Verjährung im Öffentlichen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2004, 73.

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის მიზნებზე მსჯელობისას და მისი სამართლებრივი შედეგის გამართლებისათვის აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები: ბრუნვის სტაბილურობა, რაც წარმოადგენს უფლების შეზღუდვის გამართლების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს; ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების თანაბარი დაცვა, რომელიც, მათ შორის, უზრუნველყოფილია საკანონმდებლო დათქმით იმის შესახებ, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.¹⁰³

შესაძლებელია იმ ძირითადი პრინციპების დასახელება, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებელმა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებული საკითხის მოწესრიგებისას. პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ინტერესები. ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა უნდა იყოს აშკარა და ერთმნიშვნელოვნად დამტკიცებული,¹⁰⁴ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსი საჯარო ინტერესის უპირატესი გათვალისწინებით.

3. სასარჩელო ხანდაზმულობით სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის ძირითადი თავისებურებანი

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტზე მსჯელობისას აუცილებელია მისი შეფასება კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. უდავოა, რომ კანონმდებლის მიერ ხანდაზმულობის ვადის გასვლით კრედიტორს ერთმევა თავისი მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა.¹⁰⁵ ვინაიდან, უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან გარანტიას მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობა წარმოადგენს, ასეთის არარსებობისას თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. აქედან გამომდინარე, სასამართლოსადმი მიმართვის არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ უფლებებელყოფს იმ უფლებას, რომლის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა არის შეზღუდული.¹⁰⁶

აღსანიშნავია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა. მისი მიზანი ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ადეკვატური, ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს

¹⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის №ას-609-582-2016 განჩინება.

¹⁰⁴ *Meller-Hannich C.*, Die Einrede der Verjährung, JZ, Heft 13, 60. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2005, 658.

¹⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 4 მარტის №ას-1267-1398-04 განჩინება.

¹⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

უფლების რეალიზაცია საჭიროებს იმ უფლების არსებობას, რომლის დაცვაც განაპირობებს სასამართლოსადმი მიმართვას.¹⁰⁷

თანამედროვე დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში სამართლიან სასამართლოს უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს იმ პირობებით, რაც გამართლებდა დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით.¹⁰⁸

ხანდაზმულობის ვადების დადგენის ლეგიტიმურ მიზანზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, „ეს უკანასკნელი ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებულნი გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“.¹⁰⁹

უდავოა, რომ ხანდაზმულობა ნამდვილად ემსახურება ზემოაღნიშნული მიზნების რეალიზაციას, რაც განსაზღვრულია როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, თუმცა იმისათვის, რომ ხანდაზმულობის ვადები შეესაბამებოდეს ევროპის საბჭოს სამართალს, ის უნდა ატარებს ლეგიტიმურ მიზანს და ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.¹¹⁰

თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“¹¹¹

¹⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის №1/2/440 განჩინება საქმეზე -საქართველოს მოქალაქე ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁰⁹ სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Stubbings and Others v. The United Kingdom) - განაცხადის ნომერი №22083/93 №220095/93 - 22 ოქტომბერი 1996.

¹¹⁰ Agentur der Europäischen Union für Grundrechte und Europarat, Handbuch zu den europarechtlichen Grundlagen des Zugangs zur Justiz, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg, 2016, 143.

¹¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე - დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ვინაიდან სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენით იზღუდება პირის უფლება, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, ამიტომ გასაზიარებელია მოსაზრება, სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევის თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობის კუთხით შემოწმების თაობაზე.

ზოგადად, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის კონსტიტუციურობის შეფასება უნდა განხორციელდეს დადგენილი ვადების გონივრულობისა და მოთხოვნის განხორციელების ობიექტური შესაძლებლობიდან გამომდინარე. სამართლებრივი მოქმედების შესრულებისთვის დადგენილი ვადა უნდა იყოს გონივრული და, როგორც წესი, უნდა ემსახურებოდეს ზოგად სამართლებრივ დაცვას ან ადრეული მოთხოვნიდან წარმოშობილი უსამართლობის პრევენციას.¹¹²

კანონმდებელი არ უნდა ადგენდეს ხანდაზმულობის გაუმართლებლად ხანგრძლივ ვადას. ამასთან, ის არ უნდა იყოს არაგონივრული, აშკარად მცირე, და არ უნდა გამოირიცხავდეს დაინტერესებული პირის კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.¹¹³

გაზიარებულ უნდა იქნეს მითითებული მოსაზრება ვადების გონივრულობასთან დაკავშირებით. კანონმდებლობით დადგენილი სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში დაექვემდებაროს კონსტიტუციურ-სამართლებრივ კონტროლს. ვადების გონივრულობის ანალიზისას მხარეთა ორმხრივი ინტერესი და სასარჩელო ხანდაზმულობის საჯარო მიზნები უნდა იქნეს მიჩნეული შეფასების მასშტაბად. კანონმდებლობით დადგენილი ვადა, რომელიც შეუსაბამოდ მცირე ან გაუმართლებლად ხანგრძლივია, შეიძლება იქნეს მიჩნეული კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვის გაუთვალისწინებლობის საფუძველით. არაგონივრული ვადების დადგენისას კანონი ვერ უზრუნველყოფს პირის უფლების რეალურად დაცვას და ის იქნება მხოლოდ ფიქციური.¹¹⁴

ამასთან, საკითხის შეფასება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად. კანონმდებელმა ხანდაზმულობის ცალკეული ვადების დადგენისას უნდა გაითვალისწინოს კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის რეალური შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი ვერ წარადგენს თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია მოთხოვნის წარდგენის საფუძვლის შესახებ, ეს არ უნდა იწვევდეს ხანდაზმულობის საფუძველით მოთხოვნის განხორციელების შეუძლებლობას.¹¹⁵ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადით სასამართლოსადმი

¹¹² Agentur der Europäischen Union für Grundrechte und Europarat, Handbuch zu den europarechtlichen Grundlagen des Schuldrecht ATs zur Justiz, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg, 2016, 133.

¹¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე - შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹¹⁴ *კობრიძე ლ.*, ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(41)'14, თბილისი, 2014, 15.

¹¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე - სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

მიმართვის უფლების შეზღუდვა იქნება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება, თუ პირს ექნება უფლების განხორციელების საკმარისი დრო და შესაძლებლობა.¹¹⁶

ამასთან, მხოლოდ კრედიტორის ცოდნის მომენტზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაფუძნება არ შეიძლება შეფასდეს ამ ინსტიტუტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის წინაპირობად. პირიქით, ცალკეულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის მხოლოდ სუბიექტურ ფაქტორებზე დაფუძნებამ ობიექტური მაქსიმალური ვადის დადგენის გარეშე შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი ურთიერთობის ბუნდოვანება და უფლების განუსაზღვრელი ვადით არსებობა, რაც ასევე კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მდგომარეობა იცვლება, როდესაც კერძო პირთა უფლების დაცვის შესაძლებლობას უპირისპირდება სახელმწიფო ინტერესი. მაგ., როდესაც დაინტერესებული პირის უფლებების დარღვევა გამოწვეულია სახელმწიფოს (სახელმწიფო ორგანოების/თანამდებობის პირების) ან/და სხვა პირების (მოწმის, ექსპერტის, მხარის ან მისი წარმომადგენლის) მართლსაწინააღმდეგო/ბრალეული ქმედებით. სამართლებრივი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან კანონის დარღვევით გამოწვეული ზიანის გამოსწორების/უფლების აღდგენის შესაძლებლობა. სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის არა მარტო აღიარებას, არამედ ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის რეალური გარანტიების შექმნას. სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და დარღვეული უფლების აღდგენის საკმარისი მექანიზმების შექმნა წარმოადგენს სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტს. ამ შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადით შეზღუდვის მიზნები სახეცვლილია სახელმწიფოსთან მიმართებით, ვინაიდან საკითხი არ შეეხება კონკრეტული კერძო პირების უფლებების დარღვევის საფრთხეს. სახელმწიფოს, რომელიც თავად წარმოადგენს სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტს, არ აქვს ამ ინტერესის სხვისგან დაკმაყოფილების მოლოდინი. ეს კი განასხვავებს მას კერძო პირებისგან.¹¹⁷

აქ განსხვავებულია შეპირისპირებული ინტერესები და, შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს მიდგომაც ამ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის არსებობის შეფასებისთვის. დაინტერესებულ პირებს ასეთ შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა, დაიცვან საკუთარი უფლება, მათ შორის, მოითხოვონ სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებული

Gabriel U., Verjährung der Schadensersatzansprüche gegen den Steuerberater nach altem und neuen Verjährungsrecht, Diplomarbeit, Rheinisch-Westfälische Technische Hochschule Aachen, 2014, 26.

¹¹⁶ *კობრიძე ლ.*, ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით შემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(41)‘14, თბილისი, 2014, 15.

¹¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მათი უფლების დამრღვევი სასამართლო გადაწყვეტილების ბათილობა, როდესაც ეს არის აუცილებელი გზა უფლების აღდგენისა თუ კომპენსაციის მიღებისთვის.¹¹⁸

სახელმწიფოსთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ ურთიერთობებში, რომლებშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ძალიან მაღალია ნდობისა და კეთილსინდისიერების ხარისხი. ამასთან, სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნების მიუხედავად, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან მოქმედებს კონტრაჰენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი.¹¹⁹

ხსენებულ საკითხზე სასამართლოს საწინააღმდეგო განმარტების შესაბამისად, სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. ამდენად, სახელმწიფოსაც შეუძლია მიუთითოს ხანდაზმულობაზე, როგორც მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ გარემოებაზე.¹²⁰

მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფოს კერძო პირების შემთხვევაში არ ჰქონდეს ხანდაზმულობის ვადის გამოყენებით თავდაცვის შესაძლებლობა, ვინაიდან ის თავად წარმოადგენს პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტორს. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს სამართლებრივი ურთიერთობის ძლიერი მონაწილის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკი. ამასთან, სახელმწიფოს მიერ ხანდაზმულობაზე მითითების სამოქალაქო უფლების რეალიზაციის აბსოლუტური აკრძალვა არ უნდა იყოს ყველა შემთხვევაში დასაშვები. ამ მხრივ, საგულისხმო განმარტება გააკეთა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, კერძოდ, „თუკი ხანდაზმულობაზე მითითების სამოქალაქო უფლების რეალიზაცია შეუსაბამოა სახელმწიფოს არსთან და ეწინააღმდეგება მისი, როგორც კონსტიტუციური გარანტიის არსს, სასამართლო დასაშვებად მიიჩნევეს სახელმწიფოსთვის ამ უფლებით სარგებლობით შეზღუდვას. ამგვარი შეზღუდვის სამართლებრივი ეფექტია, დაამკვიდროს სახელმწიფოს მიმართ მისი იურისდიქციის ფარგლებში, თითოეული პირის სამართლიანობის და დაცულობის განცდა.“¹²¹ აუცილებელია ეს სახელმძღვანელო მითითებები გამოყენებულ იქნეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკაში.

სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის მნიშვნელობისა და იმპლემენტაციის აუცილებლობის აღნიშვნასთან ერთად საჭიროა იმ სირთულეების კონკრეტიზაცია, რომლებიც ზოგადად, უკავშირდება ამ ინსტიტუტს. სირთულედ უნდა დასახელდეს ცალკეულ შემთხვევებთან მიმართებით განსხვავებული ხანდაზმულობის ვადების დადგენის გამართლება. ზოგადად, ძალიან რთულია იმის დასაბუთება, რატომ უნდა იყოს განსაზღვრული მოთხოვნები უფრო მოკლე ვადაში ხანდაზმული, სხვა

¹¹⁸ იხ. იქვე.

¹¹⁹ სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, მუხლი 144, ვნ. 4; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება.

¹²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის №ას-225-215-2016 განჩინება.

¹²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 13 იანვრის №2ბ/3210-15 გადაწყვეტილება.

მსგავს მოთხოვნებთან შედარებით. კანონმდებლობიდან შესაძლებელია მოყვანილ იქნეს ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებების მიმართ მოქმედი განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები, რაც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

ძირითად სისუსტედ უნდა შეფასდეს ცალკეულ შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადების დადგენისას ხანდაზმულობის მიზნების უგულებელყოფა. კანონმდებელი, როგორც წესი, ითვალისწინებს მხოლოდ მოვალის ან მხოლოდ კრედიტორის ინტერესს, რაც, ბუნებრივია, არღვევს მხარეთა შორის გონივრულ ბალანსს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების საკანონმდებლო მოწესრიგებისას კანონპროექტის განმარტებით ბარათში მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი კანონმდებლის ნება, მათ შორის, ცალკეული ვადების საჯარო ინტერესთან შესაბამისობის თაობაზე.

4. სასარჩელო ხანდაზმულობის სხვა ვადებთან ურთიერთმიმართების საკითხი

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა ტიპის ვადებს.¹²² ერთმანეთისაგან განასხვავებენ სამოქალაქო უფლების წარმოშობის, განხორციელების, ვალდებულების შესრულების, უფლების დაცვის ვადებს, იგივე ხანდაზმულობის ვადებს,¹²³ საგარანტიო ვადებს, საპრეტენზიო ვადებს (უშუალოდ ვალდებული პირისათვის მიმართვის ვადას), შეცილების ვადებს.¹²⁴ კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე ერთი და იგივე ნორმა შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის, ისე სხვა ტიპის ვადებს.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონედ უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის სხვა ტიპის ვადებისაგან გამიჯვნის საკითხი, რადგან შესაძლოა უკავშირდებოდეს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს. ამასთან, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც უნდა იქნეს დასახელებული გამიჯვნის ძირითად კრიტერიუმებად.

¹²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის №ას-266-254-2013 გადაწყვეტილება.

¹²³ *კობახიძე ა.*, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნე“ სტამბა, 353.

¹²⁴ *ახვლედიანი*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზომიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 121, 307; *თუმანიშვილი გ.*, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 186.

4.1. სასარჩელო ხანდაზმულობის საპრეტენზიო ვადებისაგან გამოქვანის კრიტერიუმები

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადასა და კონტრაქტისადმი ან კანონით განსაზღვრული პირისადმი მიმართვის ვადას შორის¹²⁵ განსხვავება მდგომარეობს იმ პირთა წრეში, ვისაც წარედგინება მოთხოვნა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც კრედიტორს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სასამართლოსათვის მიმართვის გზით. პრეტენზიის შემთხვევაში მოთხოვნა წარედგინება უშუალოდ მხარეს.¹²⁶ ვალდებული პირის მიერ პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის მიღების შემდეგ უფლებამოსილ პირს აქვს სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის შესაძლებლობა.¹²⁷

სამოქალაქო კანონმდებლობით კონტრაქტის ან სხვა პირისადმი მიმართვის ვადის დაწესება სამართალწარმოების ეკონომიურობის მიზნით არის ნაკარნახევი,¹²⁸ რადგან მხარეთა შორის სადავო საკითხი ნებაყოფლობით გადაწყდეს.¹²⁹

საპრეტენზიო ვადის დადგენის ხსენებული მიზანი უნდა იქნეს მიჩნეული გონივრულად, რადგან თუ მხარის მიერ მოხდება მოთხოვნის ნებაყოფლობით დაკმაყოფილება, იგი დაზოგავს ფინანსურ რესურსებს, ისევე როგორც თავიდან იქნება აცილებული სასამართლოს გადატვირთვა ისეთი ტიპის დავებისაგან, რომელთა მორიგებით დასრულება თავად მხარეთა მიერ არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, მსგავსი ვადის დაწესება უნდა შეფასდეს კანონმდებლის მიერ დავის სწრაფად დასრულების, ისევე როგორც სასამართლოს განტვირთვის მნიშვნელოვან მცდელობად.

შემდგომი არსებითი განსხვავება მდგომარეობს საპრეტენზიო და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გასვლის სამართლებრივ შედეგებში. პრეტენზიის განუცხადებლობისას პირი კარგავს მოთხოვნის უფლებას, რაც სარჩელის წარდგენის შემთხვევაში გამოიხატება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით.¹³⁰ ამასთან, საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ მოვალე გააკეთებს მითითებას ამის

¹²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010, 140.

¹²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 7 ოქტომბრის № ას-143-136-2010 გადაწყვეტილება.

¹²⁷ *კობახიძე ა.*, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, 355.

¹²⁸ *Kozioł H., Welser R., Kletecka A.*, Grundriss des bürgerlichen Rechts Band I Allgemeiner Teil, Sachenrecht, Familienrecht, 14. Auflage, Manz'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2014, Rn. 709.

¹²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-754-714-2015 განჩინება.

¹³⁰ *Neumayer K. H.*, Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalefristen by Karl Spiro, *Rabels Zeitschrift für Rechte durch ausländisches und internationales Privatrecht/ The Rabel Journal of Comparative and International Private Law*, Band II, Heft 1, 44. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1980, 193.

თაობაზე.¹³¹ სასარჩელო ხანდაზმულობის შემთხვევაში, ამის საწინააღმდეგოდ, მოთხოვნა არსებობს, თუმცა მოვალეს ხანდაზმულობის შესაგებლზე დაყრდნობით შეუძლია უარყოს ვალდებულების შესრულება.¹³² ამასთან, მოვალე უფლებამოსილია და არა ვალდებული, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე.¹³³

ვინაიდან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა უკავშირდება მოთხოვნის განუხორციელებლად ქცევას, ხოლო საპრეტენზიო ვადის გასვლა, ამის საპირისპიროდ, უფლების დაკარგვას და თავად ეს შედეგები არსებითად განსხვავებულია, აუცილებელია მათი დეტალური განხილვა. განხილვის საჭიროება უფრო მეტად იზრდება იმ ფონზე, როცა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლას ძალიან ხშირად არამართებულად უკავშირებენ უფლების დაკარგვას, რაც გაუმართლებელია.

უფლების დაკარგვის მოთხოვნის განუხორციელებლობასთან მსგავსების მიუხედავად, რაც გამოიხატება უფლებამოსილი პირის მიერ უფლების რეალიზაციის ვადის გაშვებაში,¹³⁴ მათ ახასიათებთ განმასხვავებელი ნიშნები. უფლების დაკარგვა და მოთხოვნის განუხორციელების შეფერხება არსებითად განსხვავებულია როგორც შინაარსობრივი, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. უფლების დაკარგვა წარმოადგენს არა მოთხოვნის განუხორციელების საპირისპირო მნიშვნელობის ტერმინს, არამედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს უფლების დაკარგვის სპეციალურ შემთხვევას.¹³⁵ უფლების დაკარგვის სამართლებრივი შედეგია უფლების საბოლოოდ შეწყვეტა.¹³⁶ ის განიხილება კრედიტორის მიერ კონკლუდენტურ უარის განცხადებად, რომელიც არ საჭიროებს მიღებას.¹³⁷ უფლების დაკარგვის შემადგენლობის ელემენტები სასამართლო პრაქტიკიდან და სამეცნიერო მოძღვრებიდან გამომდინარე არ არის გარკვევით და ნათლად შეცნობადი, რადგან კანონმდებლობა მისი ცალკეული ნიშნების შესახებ საერთოდ არ იძლევა ინფორმაციას.¹³⁸

მოთხოვნის განუხორციელებლად ქცევისა და უფლების დაკარგვის განმასხვავებელი ნიშნები იმაშიც გამოიხატება, რომ პირველის შემთხვევაში საკითხი შეეხება სუბიექტური უფლების განუხორციელებას, ხოლო უფლების დაკარგვის შემთხვევაში - ვალდებულებით ურთიერთობას, რა დროსაც ვადის დასრულება უფლების წარმოშობას იწვევს. უფლების დაკარგვის

¹³¹ *Richardi* in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier- de Gruyter, Berlin, 2008, 711.

¹³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის №ას-1937-2018 განჩინება.

¹³³ *ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003, 170.

¹³⁴ *Habscheid W. J.*, Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalefristen. Band I: Die Verjährung der Forderungen. Band II : Andere Befristungen und Rechte by Karl Spiro, Archiv für die civilistische Praxis, Heft 2-3, 178. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1978, 336.

¹³⁵ *Spiro K.*, Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalefristen. Band I: Die Verjährung der Forderungen. Band II: Andere Befristungen und Rechte, JZ, Nr. 2, 33. Jahrgang, 1978, 80.

¹³⁶ *Siebenhaar H.*, Der Begriff der Verwirkung, JR, Heft 3, 1962, 88.

¹³⁷ *Harke J. D.*, Allgemeines Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2010, Rn. 342.

¹³⁸ *Siebenhaar H.*, Der Begriff der Verwirkung, JR, Heft 3, 1962, 89.

მარეგულირებელი ნორმების არარსებობის გამო ის ყოველთვის კანონის სპეციალური ნორმებით არის მოწესრიგებული.¹³⁹

შესაძლებელია უფლების დაკარგვის მოთხოვნის განხორციელების შეფერხებისაგან განმასხვავებელი შემდეგი კრიტერიუმების დასახელება:

უფლების დაკარგვის შედეგები დგება ავტომატურად და არ საჭიროებს ტექნიკური მნიშვნელობით შესაგებლის წარდგენას;

უფლების დაკარგვის ვადები, როგორც წესი, არ ექვემდებარება არც შეჩერებას და არც ერთ-ერთი მხარის მიერ შეწყვეტას.

არ არსებობს აზრთა ერთიანობა საპრეტენზიო ვადების შეჩერებისა და შეწყვეტის მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის მარეგულირებელი ნორმების ანალოგიით გამოყენების საკითხზე. გამოთქმულია მოსაზრება ამ ურთიერთობებზე ხანდაზმულობის ნორმების გამოყენების ირელევანტურობის,¹⁴⁰ შესაბამისად, საპრეტენზიო ვადების მიმართ შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის გაუვრცელებლობის თაობაზე.¹⁴¹

გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული საპრეტენზიო ვადის მიმართ შეჩერების მექანიზმის გავრცელება, თავად საპრეტენზიო ვადის დადგენის მნიშვნელობიდან გამომდინარე. მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს კრედიტორის ინტერესების უკეთ დაცვას იმ შემთხვევაში, როცა ეს უკანასკნელი ბრალის გარეშე მოკლებულია პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობას. მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს სსკ-ის 663-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც თუმცა ითვალისწინებს ბრალის გარეშე მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცემისას მისი აღდგენის შესაძლებლობას, თუმცა შესაძლოა ასევე შეფასდეს საპრეტენზიო ვადის შეჩერების მიზნების მიღწევის ეფექტურ საშუალებად. მიზანშეწონილია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სსკ-ის 573-ე და 698-ე მუხლებში და საპრეტენზიო ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორისათვის მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობის მინიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცილებაში.

რაც შეეხება საპრეტენზიო ვადის შეწყვეტის მექანიზმს, აღნიშნულის დაშვებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოვალის ინტერესების მაღალი ინტენსივობით შეზღუდვა. ხსენებული შეზღუდვა ვერ იქნება გამართლებული კრედიტორის ინტერესების დაცვის აუცილებლობით, ისევე როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მიზნის მიღწევით. კრედიტორის ინტერესის დაცვის მიზანი მიიღწევა ალტერნატიული, ნაკლებად მზლუდავი შეჩერების მექანიზმის არსებობის პირობებშიც.

უფლების დაკარგვის ვადის რესტიტუცია არ არის აპრიორი გამორიცხული;

¹³⁹ *Bucher E.*, Schweizerisches Obligationenrecht, Allgemeiner Teil ohne Deliktsrecht, 2. Auflage, Schulthess Polygraphischer Verlag, Zürich, 1988, §25, 450.

¹⁴⁰ BGH Urt. v. 18.01.2006 – VIII ZR 94/05.

¹⁴¹ *Barta H.*, Zivilrecht: Grundriss und Einführung in das Rechtsdenken, 2. Auflage, Universitätsverlag, Wien, 2004, 857.

ვადის დროული დაცვა გამოირიცხავს უფლების დაკარგვას, როგორც წესი, მომავალში, როცა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა ახალი ვადის დაწყების საფუძველს წარმოადგენს.¹⁴²

ყოველდღიური ცხოვრებისა და პერიოდულად შესასრულებელი იმ მოთხოვნების მიმართ, რომელთა ხანდაზმულობის ვადები მცირეა, უფლების დაკარგვა ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე მხოლოდ განსაკუთრებული საფუძვლების შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს. ასე მაგ., ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს,¹⁴³ თუმცა აღნიშნული ვადის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით არ არსებობს აზრთა ერთიანობა, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

უფლების დაკარგვასა და მოთხოვნის განუხორციელებლად ქცევას შორის ძირითადი განსხვავება, როგორც ჩანს, დაკავშირებულია საბოლოო შედეგთან. უფლების დაკარგვა იწვევს მოთხოვნის შეწყვეტას. შესაბამისად, გონივრულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომ საპრეტენზიო ვადის გასვლის შემდეგ განხორციელებული შესრულება განიხილება კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულებად და შეიძლება კონდიქციური სარჩელით უკან იქნეს გამოთხოვილი,¹⁴⁴ შესრულების ბათილობის საფუძველით.¹⁴⁵

რაც შეეხება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლას, ამ დროს შესრულება არ შეიძლება უკან იქნეს დაბრუნებული იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირმა არ იცოდა მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.¹⁴⁶ აღნიშნული გამოწვეულია სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობით, რაც იმაში გამოიხატება, რომ კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ობიექტურად არსებობს, არ წყდება, თუმცა მისი რეალიზაცია დამოკიდებული ხდება მოპასუხის სურვილზე.¹⁴⁷ მოთხოვნა რჩება როგორც ე.წ. ნატურალური ვალდებულება. აღნიშნული კი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მოწესრიგებიდან, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმული მოთხოვნის შესრულება არ ექვემდებარება დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების მიხედვით.¹⁴⁸

საპრეტენზიო და ხანდაზმულობის ვადების გასვლის დასახელებულ სამართლებრივ შედეგებთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული

¹⁴² იხ. იგივე, გვ. 451.

¹⁴³ *Hübner H.*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches, 2. Auflage, Walter de Gruyter & Co, Berlin, 1996, §54, Rn. 1400.

¹⁴⁴ BGH Urt. v. 18.01.2006 – VIII ZR 94/05.

¹⁴⁵ *Medicus D.*, Allgemeiner Teil des BGB, 9. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2006, Rn. 100.

¹⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის №ას-960-909-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის №ას-383-364-2015 გადაწყვეტილება.

¹⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის №ას-880-838-2013 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 აპრილის №ას-68-68-2018 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 31 მაისის №ას-295-2019 განჩინება.

¹⁴⁸ *Bussert R.*, Bürgerliches Recht für Betriebswirte: Allgemeiner Teil –Schuldrecht – Sachenrecht, 2. Auflage, Betriebswirtschaftlicher Verlag Dr. Th. Gabler, Wiesbaden, 1975, 114.

შემდეგი საკითხი, რომელიც შეეხება სასარჩელო ხანდაზმულობისა და საპრეტენზიო ვადების მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით თუ მხარის მითითებით გათვალისწინების ფაქტს.¹⁴⁹

სადავო საკითხი იმის შესახებ, მოსამართლე ვალდებულია თუ არა საკუთარი ინიციატივით გამოიკვლიოს უფლების დადგენილ ვადაში განხორციელების ფაქტი.¹⁵⁰ უფლების დაკარგვა, თავისი ბუნების გათვალისწინებით, წარმოადგენს თანამდებობრივად შესამოწმებელ უფლების შემწყვეტ შესაგებელს.¹⁵¹ უფლების დაკარგვა ხანდაზმულობის მსგავსად მოიცავს არა მხოლოდ მოთხოვნებს, არამედ ყველა სახის უფლებას. ის არ საჭიროებს შესაგებლის მსგავს მტკიცებას, არამედ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის მსგავსად უნდა იქნეს გათვალისწინებული საკუთარი ინიციატივით.¹⁵²

საპრეტენზიო ვადებთან მიმართებით საკითხის მსგავსი გადაწყვეტა მიჩნეულ უნდა იქნეს მიზანშეწონილად, რადგან უფლების შეწყვეტის შემთხვევაში სამართლებრივი საფუძველი ეცლება კრედიტორის მოთხოვნას. არარსებული მოთხოვნის გადაწყვეტის მხარის ნებასთან დაკავშირება კი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგის მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ სასამართლოს, პირველ რიგში, ევალება შეამოწმოს, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არსებობა/არარსებობის ფაქტი.

მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაში ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება კი წარმოადგენს ვალდებული პირის შესაგებელს. შესაბამისად, აუცილებელია ამ უფლების გამოყენება მოხდეს თავად ამ პირის მიერ.¹⁵³ პირს შეუძლია თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლება გამოიყენოს ისე, როგორც მას სურს, ითმინოს ან არ ითმინოს უფლების დარღვევა.¹⁵⁴ სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით გამოიკვლიოს მოთხოვნის ხანდაზმულობა.¹⁵⁵ შესაძლებელია პირს სურდეს ვალდებულების შესრულება, მიუხედავად მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლისა. სასარჩელო ხანდაზმულობის შედეგი ავტომატურად მოთხოვნის შეწყვეტას რომ იწვევდეს, ამან შეიძლება განაპირობოს პატიოსანი

¹⁴⁹ Barta H., Zivilrecht: Grundriss und Einführung in das Rechtsdenken, 2. Auflage, WUV Universitätsverlag, Wien, 2004, 857.

¹⁵⁰ Spiro K., Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalefristen. Band I: Die Verjährung der Forderungen. Band II: Andere Befristungen und Rechte, JZ, Nr. 2, 33. Jahrgang, 1978, 80.

¹⁵¹ Coing/Honsell in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier- de Gruyter, Berlin, 2008, 142.

¹⁵² Hübner H., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches, 2. Auflage, Walter de Gruyter & Co, Berlin, 1996, §54, Rn. 1396.

¹⁵³ Schäfer H., Fuhrmann B., Zivilrechtliche und rechtsökonomische Aspekte zum Dieselskandal der Volkswagen AG, Wirtschaftsdienst, Heft 4, 98. Jahrgang, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2018, 243.

¹⁵⁴ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი: ნაწილი I, თ. თოდრია (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014, 81.

¹⁵⁵ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 128.

მოქალაქის ღირსების შელახვა.¹⁵⁶ ზოგადად, სასამართლოს ქმედებები არ შეიძლება მიმართული იყოს მხარეთა ნების საწინააღმდეგოდ.¹⁵⁷

პრაქტიკაში შეიძლება ნამდვილად დადგეს შემთხვევა, როცა პირმა ფინანსური პრობლემების გამო ვერ შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვალდებულების შესრულება, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ის აუცილებლად მოახდენს მომავალში ხანდაზმულობის ვადაზე აპელირებას. სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ხანდაზმულობის ვადის შემოწმება უნდა შეფასდეს ამ შემთხვევაში მხარის ნებასთან შეუსაბამოდ, უფრო მეტიც, მისი ღირსების შელახვად.

სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ხანდაზმულობის ვადაზე მითითება სრულიად სამართლიანად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევად,¹⁵⁸ ვინაიდან ამ პროცესში არ არის გათვალისწინებული მხარის ნება. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელისათვის დარღვეული უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობის მინიჭებისას, მოპასუხე უფლებამოსილია დაიცვას საკუთარი ინტერესები, მათ შორის, წარადგინოს ნებისმიერი კანონიერი საშუალება მოთხოვნის გასაქარწყლებლად და ამ პროცესში სასამართლოს ჩარევა აშკარად შელახავს მოსარჩელის ინტერესებს.¹⁵⁹

შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძვლით ხანდაზმულობის ვადის მოსამართლის მიერ გათვალისწინების აკრძალვა სრულიად გონივრულია და შეესაბამება მხარის ინტერესებსა და სასარჩელო ხანდაზმულობის არსს. მხარეს, მიუხედავად მოთხოვნის ხანდაზმულობისა, შესაძლებელია სურდეს ვალდებულების შესრულება. მოთხოვნის ხანდაზმულობის საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას გადამწყვეტი უნდა იყოს მხარის ნება.

საკითხის ანალოგიურ გადაწყვეტას იძლევა ინგლისური სამართლებრივი სისტემაც. კერძოდ, 1980 წლის ხანდაზმულობის აქტი წარმოადგენს საშუალებას და არა უფლებას და მას არ აქვს ეფექტი, ვიდრე არ განაცხადებს მხარე.¹⁶⁰ ამასთან, 1980 წლის ხანდაზმულობის აქტი წარმოადგენს კანონისმიერ შესაგებელს, რომელსაც შეუძლია დაეყრდნოს მხარე. მხარე არ

¹⁵⁶ Rudkowski L., Wirtschaftsrecht: BGB AT, Schuldrecht, Sachenrecht, Springer Gabler Verlag, Wiesbaden, 2016, 43.

¹⁵⁷ მერებაშვილი ი., სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(23)'09, თბილისი, 2009, 25.

¹⁵⁸ ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ძლიერიშვილი ზ. (რედ.), მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2005, 62; საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, 63.

¹⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის №ას-1350-1275-2012 გადაწყვეტილება.

¹⁶⁰ Supreme Court of California რონექს ფროფერტის ჯონ ლაინგ კონსტრაქშნის წინააღმდეგ (Ronex Properties vs John Laing Construction) - საქმის ნომერი №QB 393, 404, 1983.

არის ვალდებული გამოიყენოს აღნიშნული შესაგებელი, თუმცა, როგორც წესი, მას აქვს აღნიშნული უფლება.¹⁶¹

გარდა საპრეტენზიო და ხანდაზმულობის ვადებს შორის ზემოაღნიშნული განსხვავებებისა, ასევე არსებითი მნიშვნელობისაა ხანდაზმულობისა და საპრეტენზიო ვადებთან დაკავშირებული ნორმების სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრა. კერძოდ, ისინი წარმოადგენენ იმპერატიულ ნორმებს, რომელთა შეცვლა მხარეთა მიერ დაუშვებელია თუ ექვემდებარება ცვლილებას.

სასარჩელო ხანდაზმულობა ეფუძნება კანონს, ხოლო საპრეტენზიო ვადები შეიძლება დაეფუძნოს კანონს, სასამართლო დადგენილებას ან ხელშეკრულებას. საპრეტენზიო ვადა შეიძლება შეთანხმებული იყოს ასევე იმ მოთხოვნებისთვის, რომლებიც არ არის კანონით გათვალისწინებული.¹⁶² აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საპრეტენზიო ვადები მხარეთა მიერ შეიძლება გახანგრძლივდეს კიდევ.¹⁶³

საპრეტენზიო ვადები უნდა შეფასდეს დისპოზიციურ ნორმებად, რადგან კანონმდებლობით არ არის დადგენილი აღნიშნული ვადების იმპერატიული ხასიათი. ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებული ნორმები, ამის საპირისპიროდ, იმპერატიული ხასიათისაა.¹⁶⁴ სსკ-ის 146-ე მუხლი კრძალავს ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესების შეცვლას. შესაბამისად, მხარეთა შორის ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა აკრძალულია.¹⁶⁵ ხანდაზმულობის იმპერატიული ნორმებიდან გადახვევის სავარაუდო შემთხვევები ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

საპრეტენზიო და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შედარების შედეგად, უკვე მითითებული გარემოებების გარდა, შეიძლება დამატებით აღინიშნოს, რომ საპრეტენზიო ვადები, როგორც წესი, დგინდება იმ სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ, რომლებიც ხელშეკრულების საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით საჭიროებს დავის სწრაფად დასრულებას, ასევე ამ მახასიათებლიდან გამომდინარე სრულიად გონივრულია, რომ საპრეტენზიო ვადები უფრო მცირე ვადებია, ვიდრე ხანდაზმულობის ვადები. ამასთან, არსებობს ზოგადი მიდგომა, რომ ხანგრძლივი ვადები წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადებს, ხოლო მცირე

¹⁶¹ England and Wales Court of appeal პარტნიორობა ოქსფორდ არქიტექტს ჩელენტემის ქალთა კოლეჯის წინააღმდეგ (Oxford Architects Partnership vs Cheltenham Ladies) საქმის ნომერი № APP.L.R 11/17, 15 - 17.11.2006.

¹⁶² Schmidt-Räntsch J. in Erman BGB, Westermann (Hrsg.), 11. Auflage, Band I, Verlag Dr. Otto Schmidt KG, Köln, 2004, §194, Rn. 10.

¹⁶³ Koziol H., Welsch R., Kletecka A., Grundriss des bürgerlichen Rechts Band I: Allgemeiner Teil, Sachenrecht, Familienrecht, 14. Auflage, Manz Verlag, Wien, 2014, Rn. 743.

¹⁶⁴ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, 357; ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 120.

¹⁶⁵ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, 291.

ვადები - საპრეტენზიო ვადებს.¹⁶⁶ ამ მიდგომის გაზიარება სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე არ უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად.

4.2. სასარჩელო ხანდაზმულობისა და შეცილების ვადების ურთიერთმიმართება

გარდა საპრეტენზიო ვადებისა, კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეცილების ვადები. შეცილების ვადები ძალიან ჰგავს საპრეტენზიო ვადებს, რამაც ხშირ შემთხვევაში შესაძლოა წარმოშვას საპრეტენზიო და შეცილების ვადების გამიჯვნის პრობლემა, თუმცა ძირითადი განსხვავება ამ გარიგების ბუნებაშია. საცილო გარიგებებში შეცილების უფლება წარმოადგენს არა მხოლოდ გარიგების გაუქმების, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების საფუძველს¹⁶⁷ ამასთან, საპრეტენზიო ვადების განხორციელება ხშირად უკავშირდება ობიექტური ფაქტორების დადგომას. შესაბამისად, ეს ფაქტორები მიუთითებს მათი გამიჯვნის შესაძლებლობაზე.

რაც შეეხება ხანდაზმულობისა და შეცილების ვადებს, რომლებიც ხშირად გამოიყენება იდენტური შინაარსით, ისინი წარმოადგენენ განსხვავებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგებით.¹⁶⁸ შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

შეცილება წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენას, რომელიც იწვევს გარიგების ბათილობას და შესაბამისად, აქარწყლებს მანამდე გამოვლენილი ნების მოქმედებას. ის წარმოადგენს აღმჭურველ უფლებას, რომელიც მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილეებმა შეიძლება გამოიყენონ.¹⁶⁹ მთლიანად პროცესის მონაწილეზეა დამოკიდებული, ისარგებლებს თუ არა შეცილების უფლებით. შეცილება ხორციელდება არა შესაგებლის ან სარჩელის წარდგენით, არამედ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით.¹⁷⁰

შეცილების, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო გარიგების ნამდვილობისთვის სახეზე უნდა იყოს ორი წინაპირობა: მისი შინაარსი უნდა იყოს შეცნობადი მეორე მხარისთვის. საკმარისი არ არის მხოლოდ ნების

¹⁶⁶ *Gschmitzer F.*, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, Springer – Verlag Berlin Heidelberg, 1966, 244.

¹⁶⁷ *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 397.

¹⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 9 თებერვლის №ას-1504-1424-2017 განჩინება.

¹⁶⁹ *Krause C.*, Anfechtung - Die Drei Irrtumsfälle laut §119 BGB, Studienarbeit, Fachhochschule der Wirtschaft Bergisch Gladbach, 2008, 3.

¹⁷⁰ *Solórzano J. P.*, Die Entwicklung der Nichtigkeit und der Anfechtbarkeit von Rechtsgeschäften in Deutschland und Frankreich, Dissertation zur Erlangung der Doktorwürde, Universität zu Köln, Köln, 2010, 111 < https://kups.ub.uni-koeln.de/3158/1/pelaez_dissertation.pdf > [16.03.2019]

გამოვლენის არსებობის სადავოდ ქცევა.¹⁷¹ ნების გამოვლენამ უნდა დაანახოს მეორე მხარეს, რომ შეცილებაზე უფლებამოსილ პირს ნების ნაკლის საფუძვლით არ სურს გარიგების ნამდვილობა. შესაძლებელია განცხადებაში, რომელიც მიმართულია ადრესატის მიმართ, არ იქნეს უშუალოდ სიტყვა „შეცილება“ გამოყენებული. მთავარია, ნათლად ჩანდეს რა სამართლებრივ საფუძველს დააფუძნა პირმა შეცილება.¹⁷²

ხანდაზმულობა არის ფაქტის საკითხი, რომელზე მითითებაც მოპასუხის უფლებაა. შეცილების ინსტიტუტი კი წარმოადგენს სარჩელის მატერიალური დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების წინაპირობას. შეცილების შემთხვევაში მოსამართლე მოპასუხის მითითებისაგან დამოუკიდებლად ვალდებულია, გამოიკვლიოს შეცილების ვადის საკითხი. შეცილების ვადის დაუცველობა გამორიცხავს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როცა სასარჩელო ხანდაზმულობის შემთხვევაში მოპასუხის მითითების არარსებობისას შესაძლებელია სარჩელის დაკმაყოფილება.¹⁷³

4.3. ხელშეკრულების საგარანტიო ვადისა და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ურთიერთმიმართება

სსკ ცალკეულ ხელშეკრულებებთან მიმართებით ითვალისწინებს საგარანტიო ვადის გამოყენებას. მაგ., სსკ-ის 653-ე მუხლით გათვალისწინებულია ნარდობის ხელშეკრულების დროს ნაკეთობისათვის საგარანტიო ვადა. საგარანტიო ვადა წარმოადგენს ვადას, რომლის ფარგლებშიც მენარდეს ეკისრება შემკვეთის მოთხოვნით გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრის ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მენარდე დაადასტურებს, რომ ნაკლი გამოწვეულია თავად შემკვეთის ბრალეული ქმედების შედეგად.¹⁷⁴ სსკ-ის 496-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს ვარგისიანობის ვადას ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ.

ხელშეკრულების საგარანტიო ვადის ძირითადი დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ ვადის განმავლობაში ნასყიდობის საგნის ნაკლის აღმოჩენის (გამოვლენის) შემთხვევაში მყიდველს აქვს გამყიდველისაგან მოთხოვნის უფლება.¹⁷⁵ როცა გამყიდველი განსაზღვრავს ნივთის ვასგისიანობის ვადას, ამ უკანასკნელის ვალდებულება უნაკლო ნივთის გადაცემაზე კონკრეტული დროით შემოიფარგლება და აღნიშნული ასახვას

¹⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის №ას-361-343-2015 გადაწყვეტილება.

¹⁷² კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, §143 Rn. 1.

¹⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის №ას-15-15-2016 განჩინება - აღწერილობითი ნაწილი.

¹⁷⁴ ძლიერიშვილი ზ., ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001, მუხლი 653, 51.

¹⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის №ას-708-674-2015 განჩინება.

ჰპოვებს მისი პასუხისმგებლობის თავისებურებაზე.¹⁷⁶ საგარანტიო ვადის დადგენით გამყიდველს ენიჭება უფლება, შეზღუდოს მყიდველის უფლებამოსილება განსაზღვრული ვადით და გამოიყენოს მეორადი მოთხოვნა, მათ შორის, ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე.¹⁷⁷

გამყიდველმა შეიძლება იკისროს გარანტია ნივთის თვისებაზე ან იმაზე, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში ნივთი შეინარჩუნებს ამ მდგომარეობას.¹⁷⁸ შესაბამისად, საგარანტიო ვადები იყოფა ვარგისიანობისა და ტრანსპორტაბელურობის ვადებად. ვარგისიანობის ვადა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც შეიძლება პროდუქტის შენახვა, ხოლო ტრანსპორტაბელურობა განამტკიცებს კონკრეტული ვადის ფარგლებში პროდუქტის თვისებებს.¹⁷⁹

ბუნდოვანია ვარგისიანობის ვადის ათვლის წესი. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ საგარანტიო ვადებისაგან განსხვავებით, რომლის ვადის ათვლაც იწყება პროდუქციის მომხმარებლისათვის გადაცემის მომენტიდან,¹⁸⁰ ხოლო მისი მოქმედება დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე,¹⁸¹ ამ შემთხვევაში ვადის ათვლის დაწყება უნდა იყოს დამოკიდებული მწარმოებელზე.¹⁸²

ფაქტობრივად ნივთის ვარგისიანობის ვადა თავისი შინაარსით სხვა არაფერია თუ არა საგარანტიო ვადა. ვარგისიანობის ვადაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს მყიდველის მოთხოვნის უფლებას.¹⁸³ აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ვარგისიანობის ვადის ათვლის მიმართ საგარანტიო ვადის ათვლასთან დაკავშირებული მოწესრიგების გამოყენება. კერძოდ, გონივრულია ამ შემთხვევაშიც ვარგისიანობის ვადის ათვლა იყოს დამოკიდებული სამუშაოს მიღების მომენტზე.

ვინაიდან საგარანტიო ვადა თავისი შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენს მოთხოვნის განსაზღვრულ ვადაში განხორციელების გარანტიას, არსებითი მნიშვნელობისაა საგარანტიო და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ურთიერთმიმართების საკითხის განსაზღვრა და შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: შესაძლებელია თუ არა საგარანტიო ვადის

¹⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის №ას-1020-963-2015 განჩინება.

¹⁷⁷ ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურეგროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2008, 114.

¹⁷⁸ Reich D. O., Einführung in das Bürgerliche Recht, 5. Auflage, Springer Fachmedien Verlag, Wiesbaden, 2016, 261.

¹⁷⁹ კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, თბილისი, 2011, 356.

¹⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 სექტემბრის №ას-626-587-2010 განჩინება.

¹⁸¹ ძლიერიშვილი ზ., ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001, მუხლი 653, 51-52.

¹⁸² შოთაძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №2, 2007, თბილისი, 2007, 70.

¹⁸³ იხ. იგივე, გვ. 69.

მეშვეობით მოხდეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შემცირება ან პირიქით, გახანგრძლივება? რა კავშირია კონკრეტული მოთხოვნისათვის განსაზღვრულ სპეციალურ ხანდაზმულობის ვადასა და გარანტიას შორის. მაგ., თუ მოთხოვნისათვის დადგენილია სპეციალური 2-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, მხარეთა მიერ საგარანტიო ვადად კი განისაზღვრა 3 წელი, ამ შემთხვევაში გარანტია წარმოადგენს თუ არა ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე გახანგრძლივების მექანიზმს,¹⁸⁴ თუ საგარანტიო ვადები საერთოდ არ ექვემდებარება სპეციალურ ხანდაზმულობას?¹⁸⁵

გარანტია შეიძლება წარმოადგენდეს დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველს, რომელიც არ გამომდინარეობს სპეციალური ნორმებიდან. პრაქტიკულ მნიშვნელობას მსგავსი გარანტია აღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის გაცემულია არა გამყიდველის, არამედ მესამე პირის, სახელდობრ, მწარმოებლის მიერ.¹⁸⁶ დამოუკიდებელი საგარანტიო ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.¹⁸⁷

გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა გარანტიის ხელშეკრულება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა და მოთხოვნები, რომლებიც ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მისგან წარმოიშობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის იყო სასარჩელო ხანდაზმულობის შეთანხმების საგამონაკლისო წესთან შესაბამისობაში.¹⁸⁸ თუ გამყიდველის ვალდებულება ეფუძნება არა მის ბრალს, არამედ ნივთის თვისებების გარანტიას ან გარანტიას იმის თაობაზე, რომ ნივთი შეინარჩუნებს განსაზღვრულ თვისებებს, საექვიპობისას ამისათვის მოქმედებს ზოგადი ხანდაზმულობის ვადა.¹⁸⁹

საგარანტიო ვადა არ მოიცავს ხანდაზმულობის ვადას, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, მისი ათვლა იწყება სწორედ საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.¹⁹⁰ ამასთან, საგარანტიო ვადა, ხანდაზმულობის ვადისაგან განსხვავებით არ ექვემდებარება შეჩერებას.¹⁹¹

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ გამყიდველის მიერ განსაზღვრულ ვარგისიანობის (საგარანტიო) ვადაში გაყიდული ნივთის ნაკლის აღმოჩენა, ავტომატურად იწვევს მყიდველის მოთხოვნის წარმოშობას, ხოლო გამყიდველს ეკისრება საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი. პალატამ აღნიშნა, რომ გამყიდველის პასუხისმგებლობის

¹⁸⁴ *Dullinger S.*, Bürgerliches Recht Band II: Schuldrecht Allgemeiner Teil, 4. Auflage, Springer-Verlag, Wien, 2010, Rn. 3/142.

¹⁸⁵ *Peter H., Ivo B.*, Examens-Repetitorium Besonderes Schuldrecht I: Vertragliche Schuldverhältnisse, 5. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2016, Rn. 328.

¹⁸⁶ *Schwab M.*, AGB-Recht, 3. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2019, Rn. 522.

¹⁸⁷ *Beckmann* in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier - de Gruyter, Berlin, 2008, 601.

¹⁸⁸ *Sebastian B.*, Aktuelle Probleme des Verjährungsrechts, Jura, Heft 7/2009, 31. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2009, 486.

¹⁸⁹ *Harke J. D.*, Besonderes Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 78.

¹⁹⁰ *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, 291.

¹⁹¹ *Petersen J.*, Zur Verjährung von Garantieansprüchen neben Gewährleistungsrechten, Jura, Heft 3. 40. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2018, 307.

თავისებურება სწორედ იმაში ვლინდება, რომ საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში ნივთის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მოქმედებს მისი ბრალეულობის პრეზუმფცია და გაყიდული ნივთის ნაკლის არსებობის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება გამყიდველს.¹⁹²

სასარჩელო ხანდაზმულობისა და საგარანტიო ვადების ურთიერთმიმართების საკითხი აქტუალურია იმ შემთხვევაში, როცა ხანდაზმულობის ვადის დაწყება დაკავშირებულია ობიექტურ ფაქტორთან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ვადის დაწყების გადავადება ნაკლის აღმოჩენის დროის მონაკვეთით. მაგ., ნარდობის ხელშეკრულების დროს ნივთის გადაცემიდან 2 წლის შემდეგ ნაკლის აღმოჩენისას, როცა მხარეთა მიერ შეთანხმებული იყო ერთწლიანი საგარანტიო ვადა, ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება არა ნივთის გადაცემის, არამედ საგარანტიო ვადის გასვლის მომენტიდან.

მსგავსი მოცემულობის არსებობისას საგარანტიო ვადა უნდა შეფასდეს ხანდაზმულობის ვადის გადავადების მექანიზმად, რომლითაც ობიექტურად ხანგრძლივდება ხანდაზმულობის ვადა იმ შემთხვევაში, როცა ხანდაზმულობის ვადის დენა უკავშირდება ობიექტურ ფაქტორს. საგარანტიო ვადა ამ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების მსგავს მექანიზმად. სხვა მხრივ, საგარანტიო ვადა შეიძლება განხილულ იქნეს ხანდაზმულობის ვადის დენის შეცვლის ნაირსახეობად, რაც, ზოგადად, შესაძლოა იყოს შეუსაბამო ხანდაზმულობის ვადის, ისევე როგორც ვადის დენის შეცვლის აბსოლუტურ აკრძალვასთან.

საგარანტიო ვადის მსგავსი განმარტების შემთხვევაშიც კი ის ემსახურება ხელშეკრულების სუსტი მხარის ინტერესების დაცვას. შესაბამისად, საგარანტიო ვადა არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს ხანდაზმულობის ვადის შეცვლის აკრძალვის ზემოთ განხილულ მიზნებთან შეუსაბამოდ. პირიქით, ის უფრო მეტად უზრუნველყოფს მყარი გარანტიების შექმნას ე.წ. სუსტი მხარისათვის. გამყიდველის მიერ ნაკისრი საგარანტიო ვადით ხანდაზმულობის ვადის გადავადება თავსებადია სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის მიზნებთან საგარანტიო ვადების თავსებადობის მიუხედავად, ფაქტობრივად მსგავსი ვადის დადგენისას მხარეს აქვს შესაძლებლობა, წარადგინოს მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, რაც ფორმალური თვალსაზრისით მაინც შეუსაბამოა სსკ-ის 146-ე მუხლის დანაწესთან.

ქვემოთ რეკომენდირებული ცვლილებები უზრუნველყოფს ყოველგვარის გაუგებრობის თავიდან აცილებას, მათ შორის, საგარანტიო ვადებთან მიმართებით.

¹⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის №ას-708-674-2015 განჩინება.

5. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ხასიათი (იმპერატიული/დისპოზიციური)

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში პირები ხშირად დებენ ხელშეკრულებას, განსაზღვრავენ მის ყველა არსებით პირობას, თუმცა საკითხავია, შესაძლებელია თუ არა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვროს (შემცირდეს ან გაიზარდოს) კანონმდებლობით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები. ამ საკითხის ანალიზი საჭიროებს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპისა და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ურთიერთმიმართების საკითხის კვლევას.

სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ სსკ-ით განსაზღვრული ნორმები იმპერატიული ხასიათისაა, რაც გულისხმობს მათი შეცვლის დაუშვებლობას. კანონმდებელი იმპერატიული ნორმის დადგენით განსაზღვრავს სამართლებრივ წესრიგს. მას აქვს სოციალური დატვირთვა და ემსახურება განსხვავებული სამართლებრივი ინტერესების დაბალანსებას.¹⁹³ იმპერატიული ნორმის არსებობა გამომდინარეობს ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესიდან, თუმცა იქ, სადაც არ არსებობს მსგავსი მიზნის მიღწევის საჭიროება, აუცილებელია მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი.¹⁹⁴

მხარეთა მოქმედების თავისუფლება იზღუდება მხოლოდ იმპერატიული ნორმით, რომლის მიზანია ინდივიდის დაცვა უფლების ბოროტად გამოყენებისაგან.¹⁹⁵ იმპერატიული ნორმა უზრუნველყოფს სხვათა ინტერესებში გაუმართლებელი ჩარევის პრევენციას.¹⁹⁶

გასათვალისწინებელია, რომ ხანდაზმულობის ვადის შეცვლის წესიდან გამონაკლისის კანონმდებლობა არ ადგენს არცერთი სახის ხელშეკრულების მიმართ. შესაბამისად, კანონმდებლის ნება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეუცვლელობის თაობაზე უნდა ეფუძნებოდეს არსებით გარემოებებს.

ამ მხრივ საგულისხმოა სხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი.

გერმანიის სამოქალაქო სამართლის რეფორმირების შემდგომ გაძლიერდა მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპი და მხარეებს მიეცათ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის, ისევე როგორც ვადის დენის შეცვლის შესაძლებლობა.¹⁹⁷ აღსანიშნავია, რომ მხარეები არ არიან სრულიად

¹⁹³ *ახვლედიანი*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002, მუხლი 146, 339.

¹⁹⁴ *ჩაჩანიძე თ.*, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(26)'10, თბილისი, 2010, 23.

¹⁹⁵ *კერესელიძე დ.*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №10/2004-1, თბილისი, 2004, 36.

¹⁹⁶ იხ. იქვე.

¹⁹⁷ *Kepplinger J.*, Zur vertraglichen Verlängerung der kurzen Verjährungsfrist von Schadenersatzansprüchen, JBL, Heft 3, 134. Jahrgang, Springer-Verlag, Wien, 2012, 163; *Houck H., Zondler C. Z.*, Verjährung von Garantieübernahme bei M&A-Transaktionen in den USA, M&A Review 5/2014, 25. Jahrgang, 2014, 205.

თავისუფალნი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის საკითხში. გსკ-ით არის დადგენილი გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც ემსახურება მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევას. კერძოდ, ხელშეკრულებით წინასწარ არ შეიძლება შემსუბუქდეს მხარეთა პასუხისმგებლობა განზრახვის,¹⁹⁸ ისევე როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო.¹⁹⁹ სახელშეკრულებო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შემცირებას, დაუშვებელია მაშინ, როცა ხანდაზმულობის ვადაზე მითითება, მხარეთა შეთანხმების არსებობის მიუხედავად, შეიძლება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად.²⁰⁰ უფლების ბოროტად გამოყენება კი სახეზეა მაშინ, როცა მოვალე მიუთითებს სასარჩელო ხანდაზმულობაზე მას შემდეგ, რაც ის ხანდაზმულობის ვადის დენის შესახებ გაცნობიერებულ კრედიტორს თავისი საქციელით აქტიურად შეუშლის ხელს ხანდაზმულობის ვადის შემწყვეტი მოქმედების განხორციელებაში.²⁰¹

გერმანიის მაგალითიდან აშკარაა, რომ კანონმდებელმა დატოვა მხარეთათვის მოქმედების ფარგლები, თუმცა აქვე დააწესა შეზღუდვები საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე. მსგავსი მიდგომა შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოვალის ინტერესის დაცვის ეფექტურ მექანიზმად.

შსკ ტოვებს ხანდაზმულობის თაობაზე შეთანხმებისათვის ძალიან მცირე მოქმედების ფარგლებს. ის არ უშვებს ზოგადი ხანდაზმულობის ვადის შეცვლას (შემცირებას/გაზრდას).²⁰² აკრძალვის მიზანია მოვალის ინტერესების დაცვა, რათა ამ უკანასკნელს არ დაევალოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მტკიცებულებების შენახვა.²⁰³ სასარჩელო ხანდაზმულობის სხვა ვადები შეიძლება მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს. ეს წესი მოქმედებს როგორც კანონისმიერი, ისე სახელშეკრულებო მოთხოვნების მიმართ.²⁰⁴

PECL და DCFR ასევე უშვებს მხარეთა მიერ ხანდაზმულობის შესახებ დათქმის ერთობლივად შეცვლას, რაც ვლინდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შემცირებაში ან გაზრდაში. ამასთან, არ არის სავალდებულო რაიმე

¹⁹⁸ Hoeren T., IT-Recht, Universität Münster, 2016, 210 <https://www.itm.nrw/wp-content/uploads/Skript_IT_Stand_April-2017.pdf> [18.03.2019]; Sebastian B., Aktuelle Probleme des Verjährungsrechts, Jura, Heft 7/2009, 31. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2009, 485.

¹⁹⁹ BGH Urt. v. 29.5.2013 – VIII ZR 174/12.

²⁰⁰ Dannemann G., Karatzenis F., Thomas G., Reform des Verjährungsrechts aus rechtsvergleichender Sicht - Hans Stoll zum 65. Geburtstag, Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht/The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Heft 4, 55. Jahrgang, 1991, 705.

²⁰¹ Zellweger-Gutknecht C., Retrozessionen: Verjährung, Rechtsmissbrauch und Schadensersatz, Besprechung des Urteils des Bundesgerichts 4A_508/2016 samt kritischer Anmerkung zu BGE 136 V 73, Jusletter, 25.09.2017, 5, < https://www.ius.uzh.ch/dam/jcr:7789ee76-825c-44ca-9e80-a42aee9f9048/CZG_2017_Jusletter_Retrozessionen.pdf > [19.03.2019].

²⁰² Gauch P., Verjährungsverzicht: Ein Entscheid des Bundesgerichts (BGE 132 III 226) und was davon zu halten ist, SJZ, Nr. 23&24, 102. Jahrgang, 2006, 533.

²⁰³ Koller A., Dispositives und zwingendes Verjährungsrecht, Zur Tragweite von Art. 129 und 141 Abs. 1 OR, SJZ 103(2007) Nr. 8, 2007, 194.

²⁰⁴ Thouvenin F., Purtschert T., Schweizer Obligationenrecht 2020 Entwurf für einen neuen allgemeinen Teil, Verlag - Schulthess Juristische Medien AG, 2013, Zürich, Rn. 5.

სპეციალური ფორმის დაცვა და შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური ან წერილობითი ფორმით.²⁰⁵

„საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების ნამდვილობასთან დაკავშირებული ზოგიერთი წესის უნიფიცირების შესახებ“ უნიდროას 1972 წლის კონვენციის შესაბამისად, ხანდაზმულობის ზოგადი ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა 10 წლით შემოიფარგლება. მხარეები უფლებამოსილი არიან, შეცვალონ ხანდაზმულობის ვადა 10.3. მუხლით დადგენილ ფარგლებში.²⁰⁶

ინგლისურ სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ხელშეკრულებით შეიძლება შემსუბუქდეს ან დამძიმდეს.²⁰⁷ თუმცა არც აქ არ მოქმედებს ეს წესი შეუზღუდავად.

დელავერში მოქმედებს ხელშეკრულებისთვის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივება დელავერის სამართლის მიხედვით მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, როცა მხარეები ხანდაზმულობაზე თანხმდებიან. ეს შესაძლებელია მას შემდეგ, რაც მოთხოვნის შესახებ გახდება ცნობილი.²⁰⁸

უდავოა, რომ ხანდაზმულობის ვადის თაობაზე შეთანხმება ყველა მართლწესრიგში განსხვავებულია, თუმცა შეიძლება იმ ზოგადი პრინციპების დასახელება, რომლებიც ერთიანია ყველა სამართლებრივი სისტემისთვის. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის თაობაზე აბსოლუტური აკრძალვა არ არის გათვალისწინებული განხილული ქვეყნების კანონმდებლობით, თუმცა ხანდაზმულობის ვადის თაობაზე შეთანხმება არ მოქმედებს შეუზღუდავად, რისთვისაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებობს განსხვავებული გამართლება, თუმცა ძირითადი ინტერესი მაინც მოვალის დაცვაში მდგომარეობს.

კანონმდებლის მიდგომა ხანდაზმულობის ვადაზე შეთანხმების ბლანკეტური აკრძალვის თაობაზე არ უნდა იქნეს მიჩნეული საკითხის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებად. ბუნებრივია, გასათვალისწინებელია მოვალის ინტერესი, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს ხელშეკრულების ე.წ. სუსტ მხარეს, თუმცა იქ, სადაც სავარაუდოა მოვალის დაცვის ინტერესის მიღწევის სხვა უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალების გამოყენება, მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპის მოქმედება. აღნიშნული საკითხი საჭიროებს ცალკეული შემთხვევებისთვის ინდივიდუალურ გადაწყვეტას.

²⁰⁵ Müller M., Obligationenrecht, Die Verjährung im EU-Kaufrecht, GPR, 1/2012, Heft 9, 2012, 17-18; Schmidt-Kessel M., Ein einheitliches europäisches Kaufrecht? Eine Analyse des Vorschlags der Kommission, Sellier european law publishers GmbH, München, 2012, 544-545.

²⁰⁶ ჰარტკამპი ა., სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, თბილისი, 2009-2010, 206.

²⁰⁷ Dannemann G., Karatzenis F., Thomas G., Reform des Verjährungsrechts aus rechtsvergleichender Sicht - Hans Stoll zum 65. Geburtstag, Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht/The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Heft 1, 55. Jahrgang, 1991, 705.

²⁰⁸ Rudolf H., Christof Z., Verjährung von Garantieübernahme bei M&A-Transaktionen in den USA M&A Review 5/2014, 25. Jahrgang, 2014, 205.

5.1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განსაზღვრის თავისებურება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შეცვლის კრილში

საყურადღებოა, რომ მხარეთა შეთანხმებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შემცირება შეიძლება განხორციელდეს სტანდარტულ პირობებში მისი ჩართვით. ამ შემთხვევაში შეფასებას უნდა დაექვემდებაროს პირობების ნამდვილობის საკითხი.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. სამართლიანობის კატეგორია განსხვავდება კეთილსინდისიერების კატეგორიისგან, თუმცა აღნიშნული ატარებს სტანდარტული პირობების შემვსებ ხასიათს.²⁰⁹ სტანდარტულ პირობებზე ვრცელდება საკანონმდებლო კონტროლი. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია კეთილსინდისიერების სტანდარტი, რომლითაც ბათილად მიიჩნევა ხელშეკრულების ის სტანდარტული პირობა, რომელიც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისთვის.²¹⁰ გაზიარებულ უნდა იქნეს მოსაზრება, რომ მსგავსი დათქმა ერთგვარ დაცვით ფუნქციას ასრულებს იმ შემთხვევაში, როცა მხარე არ არის სათანადოდ ინფორმირებული ან შესაბამისი გამოცდილების მქონე.²¹¹

იმ შემთხვევაში, როცა დადგენილია შეუსაბამოდ მაღალი ან პირიქით, მცირე ვადები, რაც შეუძლებელს ან არსებითად რთულს ხდის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას ან მოთხოვნის განხორციელებას, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ბათილია.²¹² კეთილსინდისიერების შემზღვეველი ფუნქცია აშკარაა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მოქმედებისას. კერძოდ, მხარეთა მიერ შეთანხმებული ნებისმიერი პირობა უნდა შეფასდეს კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებით.²¹³

პირი, რომელიც სამართალურთიერთობის დროს იყენებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, ვალდებულია ხელშეკრულების

²⁰⁹ *ხუნაშვილი ნ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 207 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf> [14.03.2019].

²¹⁰ *ფუტყარაძე თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ზოგიერთი თავისებურება ინტერნეტით დადებულ სასესხო ხელშეკრულებაში, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, კერძო სამართლის ქრონიკები (სტუდენტთა ნაშრომების კრებული), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018, 7.

²¹¹ *ბერეკაშვილი ქ.*, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა - ნების ავტონომია თუ მართლწესრიგის საწინააღმდეგო მოქმედება? ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(32) 12, 2012, 93.

²¹² *სვანაძე*, ძლიერიშვილი/ცერცვაძე გ./რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე ლ./ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 212.

²¹³ *ოსელიანი ა.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი 2007, 61.

მხარეს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად ნათლად და გასაგებად განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები, მათ შორის, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით.²¹⁴ მომხმარებელმა უნდა შეძლოს ფაქტობრივი გარემოებებისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების ისე ზუსტად აღწერა, რომ არ წარმოიშვას სირთულეები ფაქტების შეფასებასთან დაკავშირებით.²¹⁵ სახელშეკრულებო პირობების გამჭვირვალობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება საშუალო დონის მომხმარებლის მოლოდინები და შეცნობის შესაძლებლობები.²¹⁶ ხელშეკრულების სტანდარტულმა პირობებმა უნდა უზრუნველყოს გონივრული ბალანსის დადგენა კრედიტორის მიერ უფლების განხორციელების შესაძლებლობასა და სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის მიზნების დაცვას შორის.²¹⁷

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა მიეკუთვნება ხანდაზმულობის უფლების არსებით საკითხს. შესაბამისად, ამ ვადიდან ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით ნებისმიერი გადახვევა უნდა იქნეს შეფასებული მხარის უფლებების შეუსაბამო შეზღუდვად, თუმცა ეს დათქმა უარყოფილია იქ, სადაც მიღწეულია მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსი.²¹⁸ გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივება ნებადართულია, როცა ეს საგნობრივად გამართლებულია და ხორციელდება შეზღუდულად. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის განმარტება უნდა იყოს ორიენტირებული ობიექტურ შინაარსსა და სტანდარტული პირობების ტიპიურ მიზანზე.²¹⁹

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ მოქმედებს შეზღუდვად. სსკ-ის 346-ე მუხლი ადგენს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის შესაძლებლობას, რომელიც იცავს მხოლოდ კლიენტს და გამორიცხავს შემთავაზებლის მიერ ამ მუხლზე დაყრდნობის შესაძლებლობას.²²⁰ ასევე სსკ-ის 347-ე და 348-ე მუხლებიც უზრუნველყოფს სწორედ მომხმარებლის ინტერესების დაცვას. შესაბამისად, დამატებითი აკრძალვის დაწესება სტანდარტული პირობების განსაზღვრის პროცესში არ არის მიზანშეწონილი და შეიძლება ასახავდეს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის არათანაზომიერ შეზღუდვას.

²¹⁴ BGH Urt. v. 9.04.2014 – VIII ZR 404/12.

²¹⁵ იხ. იქვე.

²¹⁶ BGH, Urt. v. 28.05.2014 – VIII ZR 179/13.

²¹⁷ *Keplingner J.*, Zur vertraglichen Verlängerung der kurzen Verjährungsfrist von Schadenersatzansprüchen, JBL, Heft 3, 134. Jahrgang, Springer-Verlag, Wien, 2012, 161-162.

²¹⁸ Senatsurt. v. 7.5.1996 – XI ZR 217/95.

²¹⁹ BGH, Verlängerung von Verjährungsfristen in AGB, DZWIP, 2015(11), 2015, 517.

²²⁰ *რუსიაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <www.gccc.ge>, 2017, მუხლი 346, ვნ. 1 [22.03.2019].

5.2. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეცვლის აკრძალვის იმპერატიული დათქმისას

კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ფუნდამენტს წარმოადგენს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რაც თავის თავში იმასაც გულისხმობს, რომ, თუ მხარეები თანახმანი არიან, შეუძლიათ ხელშეკრულება შეცვალონ ან გააუქმონ კიდეც.²²¹ კანონმდებლის ნება, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის რეალიზაციას, ამკარაა სსკ-ის 410-ე მუხლში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების მაგალითზე. დასახელებული მუხლი აწესრიგებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმის ინსტიტუტს.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 4 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციისაგან²²² განსხვავებით მოქმედი სსკ უშვებს მხარეთა შეთანხმებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმას. ამ ცვლილების განხორციელება, როგორც კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, განაპირობა სსკ-ით განმტკიცებულმა სახელშეკრულებო ურთიერთობათა თავისუფლების პრინციპმა, რასაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმის ამკრძალავი ნორმა.²²³

ლიტერატურაში გაკრიტიკებულია აღნიშნული ცვლილება იმ მოტივით, რომ ნორმის ძველი რედაქცია უკეთ უზრუნველყოფდა ხელშეკრულების ე.წ. სუსტი მხარის დაცვას, ხელს უშლიდა არაეკვივალენტურობის დაშვებასა და ვალდებულებათა შორის დისბალანსის არსებობას.²²⁴

მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის ვადის შეცვლის აკრძალვის მიზნის გაანალიზება იმ პირობებში, როცა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ მოქმედებს შეუზღუდავად. კერძოდ, სახელშეკრულებო თავისუფლების დოქტრინა ექვემდებარება საჯარო წესრიგის, ზნეობისა და კეთილსინდისიერების ფარგლებში შეზღუდვას.²²⁵ კეთილსინდისიერება კი განვითარებული ქვეყნების სამართალში წარმოადგენს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის

²²¹ *Dietrich D*, Handbuch VOB/B: Bauvertrag nach BGB und VOB. Mit dem vollständigen Text der VOB/B, der VOB/C und allen einschlägigen Vorschriften des BGB, 6. Auflage, Expert Verlag, Renningen, 2009, 15.

²²² 2009 წლის 4 დეკემბრამდე მოქმედი სსკ-ის 410-ე მუხლი დაუშვებლად აცხადებდა წინასწარი შეთანხმებით ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმას.

²²³ იხ. განმარტებითი ბარათი - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/82082?> [22.03.2019].

²²⁴ *ბერეკაშვილი ქ.*, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა - ნების ავტონომია თუ მართლწესრიგის საწინააღმდეგო მოქმედება? ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(32) 12, 2012, 96.

²²⁵ იხ. იგივე, გვ. 97.

ქვაკუთხედს, რომელზეც დამოკიდებულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა.²²⁶

შეიძლება იმ არგუმენტების განსაზღვრა, რომლებიც მოქმედებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეცვლის აკრძალვის საწინააღმდეგოდ და სასარგებლოდ.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეცვლის გამართლების ერთ-ერთ საფუძვლად შეიძლება დასახელდეს მხარეთა კერძო ავტონომიის, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის დაცვის აუცილებლობა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა კერძო ავტონომია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის ნაწილში არ არის შეუზღუდავი. სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის მარეგულირებელი ნორმები არ ატარებს წმინდა ფორმალურ ბუნებას, არამედ აქვს სამართლიანობის შინაარსი, რომელიც როგორც საკანონმდებლო მოდელი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული.²²⁷

მხარეთა მიერ კერძო ავტონომიის პრინციპზე დაყრდნობით ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა იქნეს შენარჩუნებული ინტერესთა ბალანსი მატერიალურ სამართლიანობასა და სამართლებრივ სტაბილურობას შორის, შემდგომ უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ პირადი ინტერესების დაბალანსება, არამედ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფა.²²⁸ შეუსაბამოდ დაბალი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შემთხვევაში არსებობს საჯარო ინტერესი მინიმალურ სამართლებრივ უსაფრთხოებაზე.

ხსენებული არგუმენტების პარალელურად, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულების დადებისას, ძირითადად, მოქმედებენ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, თუმცა ხელშეკრულების შინაარსზე დიდ გავლენას ახდენს მათი ეკონომიკური მდგომარეობა და ბაზარზე არსებული სტატუსი.²²⁹ მხარეთა შორის სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევა წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს მიზანს.²³⁰ ისმის კითხვა, იქნება თუ არა ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგი კეთილსინდისიერების პრინციპთან და მხარეთა შორის სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევის მიზანთან თავსებადი.²³¹

²²⁶ *ძლიერიშვილი ზ.*, ვალდებულების შესრულება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2006, 13.

²²⁷ *Niebling J.*, AGB-Recht – Aktuelle Entwicklungen bei einzelnen Vertragstypen und –Klauseln, MDR, Heft 12/2014, 68. Jahrgang, 2014, 697.

²²⁸ *Schmidt-Kessel M.*, Ein einheitliches europäisches Kaufrecht? Eine Analyse des Vorschlags der Kommission, Sellier european law publishers GmbH, München, 2012, 544-545.

²²⁹ *ჩაჩანიძე თ.*, სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(26)'10, თბილისი, 2010, 26.

²³⁰ *Barta H.*, Zivilrecht: Grundriss und Einführung in das Rechtsdenken, 2. Auflage, WUV Universitätsverlag, Wien, 2004, 851.

²³¹ *Piekenbrock A., Peters F.*, Befristung, Verjährung und Verwirkung, Archiv für civilistische Praxis, Heft 6, 206. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2006, 982.

სსკ-ით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს, მათ შორის, მხარეთა სახელშეკრულებო თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც აერთიანებს ისეთ პრინციპებს, როგორცაა თანასწორობა და სამართლიანობა.²³² თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს ხელშეკრულების ე.წ. „სუსტი მხარის დაცვას“,²³³ მხარეთა შორის არსებული შეთანხმების სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპთან შესაბამისობას.²³⁴ ნებისმიერი სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს ეკონომიკურად სუსტი მხარის დაცვა, რადგან ეკონომიკურად ძლიერი მხარე უყენებს სუსტ მხარეს პირობებს, რომელსაც ეს უკანასკნელი იძულებულია დათანხმდეს.²³⁵

ამასთან, არ უნდა მოხდეს სხვისი მდგომარეობით ან გამოუცდელით ბოროტად სარგებლობა.²³⁶ განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია სამომხმარებლო ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომელთა შემთხვევაშიც მხარეთა თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით აუცილებელია ხელშეკრულების სუსტი მხარის ინტერესების დაცვა.²³⁷ მომხმარებელი წარმოადგენს მიმწოდებელთან შედარებით სუსტ მხარეს, რომელიც გამოწვეულია არა მხოლოდ მოლაპარაკების შესაძლებლობის არქონის, არამედ ასევე მისი დაბალი ინფორმირებულობის სტანდარტის გამო.²³⁸ იგულისხმება, რომ მომხმარებელი შეზღუდულია ხელშეკრულების კონტრაქტის შერჩევაში, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს.²³⁹ ძლიერ მხარეს აქვს შესაძლებლობა, უკარნახოს სახელშეკრულებო პირობები კონტრაქტს, რაც ლახავს სუსტი მხარის ინტერესს, მიიღოს თავისუფალი გადაწყვეტილება ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით.²⁴⁰

²³² *შენგელია ი.*, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(23)09, თბილისი, 2009, 49.

²³³ *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 299.

²³⁴ *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, 112.

²³⁵ *როინიშვილი ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ №3, თბილისი, 2001, 69.

²³⁶ *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 296.

²³⁷ *ერეკანია თ.*, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(30)11, თბილისი, 2011, 55.

²³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის №ას-586-2019 განჩინება.

²³⁹ *ლაკერბაია თ.*, ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის უფლება ევროპის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში, სამართლის ჟურნალი №1, 2014, თსუ გამომცემლობა, 2015, 104.

²⁴⁰ *ხუნაშვილი ნ.*, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1, 2013, თბილისი, 2013, 274.

კრედიტორისაგან განსხვავებით, მოვალეს არ აქვს შესაძლებლობა, ვავლენა მოახდინოს მოთხოვნის განხორციელების დროზე.²⁴¹ კანონმდებლის ვალდებულებაა, თავიდან აიცილოს ბრუნვის მონაწილის „ბედის ანაზარა“ დატოვება მაღალი რისკის პირობებში.²⁴²

სახელშეკრულებო თავისუფლების სასარგებლოდ ვერ გამოდგება ის არგუმენტი, რომ მხარეები პასუხს აგებენ თავიანთი ქმედებისათვის. მსგავსმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს უსამართლო სამოქალაქო ბრუნვა.²⁴³

„სამართალი ყოველთვის დარაჯად უნდა ედგეს ზნეობას.“²⁴⁴ არ არის საკმარისი მხოლოდ მხარეთა ნება. აუცილებელია ეს ნება არ იყოს წინააღმდეგობაში კანონმდებლობით აღიარებულ ფასეულობებთან. „სახელშეკრულებო თავისუფლება სახელშეკრულებო წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი და თუ იქიდან ამოვარდა, სამოქალაქო ბრუნვაში ანარქია და განუკითხაობა დაისადგურებს.“²⁴⁵ ხანდაზმულობის მცირე ან ხანგრძლივ ვადაზე შეთანხმება ორივე მხარის ინტერესს უნდა შეესაბამებოდეს.²⁴⁶

მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობისა, უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება, რომ ხანდაზმულობის ვადის შემცირების საბოლოო მიზანი მდგომარეობს საჯარო ინტერესის დაცვაში.²⁴⁷ საჯარო ინტერესით ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მოქმედების შეზღუდვის მაგალითად უნდა დასახელდეს სსკ-ის 420-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებას. აღნიშნული რეგულაცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა და აღნიშნული უფრო მეტად იმსახურებს დაცვას, ვიდრე სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი. ინტერესთა დაბალანსების საკითხის გადაწყვეტის მთავარ პრინციპად უნდა დასახელდეს მხარეთა შორის სამართლიანობის უზრუნველყოფა. სამართლიანობის არსი არ არის კანონით განმარტებული, თუმცა „სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარე, სამართლიანობა წარმოადგენს როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართლის შეფარდების უპირობო მიზანს და

²⁴¹ *Säcker F. J., Mohr J.*, Fallsammlung zum BGB Allgemeiner Teil, mit Verbindungslinien zum Schuld- und Sachenrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2010, 340.

²⁴² *ზოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, GTZ-ის გამოცემა, თბილისი, 2007, 19.

²⁴³ *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 294.

²⁴⁴ *ზოიძე ბ.*, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, GTZ-ის გამოცემა, თბილისი, 2007, 31.

²⁴⁵ *ზოიძე ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 287.

²⁴⁶ *Schmidt-Räntsch J.* in Erman BGB, Westermann (Hrsg), 11. Auflage, Band I, Verlag Dr. Otto Schmidt KG, Köln, 2004, §194, Rn. 7.

²⁴⁷ *Kepplinger J.*, Zur vertraglichen Verlängerung der kurzen Verjährungsfrist von Schadenersatzansprüchen, JBL, Heft 3, 134. Jahrgang, Springer-Verlag, Wien, 2012, 161.

შეფასებადია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისა და დაცვის ხარისხით“.²⁴⁸

აბსოლუტური აკრძალვა დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული იქ, სადაც შეუძლებელია სხვაგვარად საჯარო ინტერესის დაცვა. ეკონომიკის გაძლიერების პირობებში მუდმივად იზრდება ვალდებულების შესასრულებლად სხვადასხვა გარანტიის მნიშვნელობა.²⁴⁹

იმ პირობებში, როცა არსებობს კეთილსინდისიერების პრინციპთან შესაბამისობის კუთხით ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კონტროლის შესაძლებლობა, რაც ზემოთ უკვე განხილულ იქნა, არ არის საკმარისად დასაბუთებული ხანდაზმულობის შეცვლის ამკრძალავი ნორმის არსებობა. მხარეთა შორის სამართლიანობის მიღწევა შესაძლებელია განხორციელდეს სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლის გზით. ამასთან, შესაძლებელია ისეთი მოწესრიგების დადგენა, რომელიც გამორიცხავს მხარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების ან განზრახვის შემთხვევაში უპირატესობით სარგებლობის რისკს. იმ ფონზე, როცა კანონმდებლობით დაშვებულია მხარეთა შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმა, არაგონივრულია ხანდაზმულობის ვადის შემცირების თაობაზე ბლანკეტური, ამკრძალავი ნორმის არსებობა, რომელიც არ ტოვებს მცირე ფარგლებსაც კი მხარეთა შეთანხმებისათვის. კანონმდებლის მიდგომა არ არის ერთგვაროვანი. ერთი მხრივ, ის ცდილობს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის რეალიზაციისათვის კონკრეტული შეზღუდვის მოხსნას, ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობის თაობაზე ბლანკეტურ ნორმას. არ არის აშკარა მსგავსი რეგულაციის დადგენის საჭიროება. შესაძლებელია საკითხის იმგვარი მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საჯარო ინტერესის, ისე ხელშეკრულების სუსტი მხარის ინტერესის დაბალანსებას. აუცილებელია მოხდეს შეპირისპირებულ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვა.

ამ მხრივ საინტერესო მოწესრიგებას შეიცავს გერმანიის კანონმდებლობა, რომელიც აძლიერებს მხარეთა კერძო ავტონომიის პრინციპს, თუმცა ადგენს შეზღუდვებს საერთო წესიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული უსამართლო სამოქალაქო ბრუნვა.

სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებისა და კერძო ავტონომიის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია სსკ-ის 146-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაშვება მხოლოდ გარკვეული შეზღუდვების არსებობის პირობებში. კერძოდ, შეზღუდვის ჩამონათვალს უნდა მიეკუთვნოს სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევა. მხარეთა შეთანხმება, ხსენებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეცვლის თაობაზე,

²⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №ას-1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²⁴⁹ სვანიძე ნ., თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, თბილისი, 2004, 34.

შეუსაბამოა საჯარო წესრიგის, ზნეობის და კეთილსინდისიერების პრინციპებთან. სახელშეკრულებო თავისუფლების დოქტრინა კი ექვემდებარება შეზღუდვას სწორედ დასახელებული პრინციპების ფარგლებში. ამასთან, დაცული სამართლებრივი ღირებულების გათვალისწინებით, უნდა გამოირიცხოს რაიმე ტიპის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ღონისძიებების გამოყენება, მათ შორის, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობის შემთხვევად უნდა დასახელდეს ასევე ურთიერთობის მონაწილეთა განზრახ ქმედება. ბრუნვის არაკეთილსინდისიერი მონაწილე, რომელიც ცდილობს განზრახი ქმედებით თავიდან აიცილოს მის მიმართ მოთხოვნის განხორციელება, არ შეიძლება პრივილეგირებულ იქნეს მცირე ხანდაზმულობის ვადით. ეს შეუსაბამოა საჯარო ინტერესის დაცვის მოთხოვნასთან.

6. სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო და ზოგადი/სპეციალური ვადები და მათი ათვლის წესი

სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი აწესებს ხანდაზმულობის საერთო 10-წლიან ვადას, რომელიც მოქმედებს ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომელთა მიმართ სპეციალური ვადა არ არის დადგენილი,²⁵⁰ მათ შორის, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისთვის.²⁵¹

სსკ-ის 129-ე მუხლი კი განსაზღვრავს სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად დადგენილია 3 წელი, ხოლო უძრავ ნივთთან მიმართებით - 6 წელი. სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ასევე ხანდაზმულობის სპეციალური ვადები.²⁵² საგულისხმოა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ზოგადი ვადები მოქმედებს ყოველთვის მაშინ, როცა კანონი არ ადგენს სხვა ვადას.²⁵³

ზოგადად, 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა საკმაოდ მცირეა,²⁵⁴ თუმცა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ხანგრძლივობის სწორად შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ვადის დენის მომენტის განსაზღვრა,²⁵⁵ რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ

²⁵⁰ კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, მუხლი 128, ვნ. 26.

²⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის №ას-472-448-2013 გადაწყვეტილება.

²⁵² კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 128, ვნ. 8.

²⁵³ Jens P., Die Verjährung der Ansprüche, Jura, Heft 9, 33. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2011, 658.

²⁵⁴ Coing/Honsell in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier - de Gruyter, Berlin, 2008, 18.

²⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის №ას-566-2019 განჩინება.

მნიშვნელოვან გარანტიას,²⁵⁶ ისევე როგორც იმ საფუძვლების სრულყოფილად მოწესრიგება, რაც იწვევს ხანდაზმულობის შეჩერებას ან შეწყვეტას.²⁵⁷

ზოგადად, საკმაოდ ბუნდოვანია საერთო და ზოგადი/სპეციალური ხანდაზმულობის ვადების ურთიერთმიმართების საკითხი. არც სსკ და არც სასამართლო პრაქტიკა არ შეიცავს განმარტებას ხანდაზმულობის საერთო ვადის ზოგად ან სპეციალურ ვადებთან თანაარსებობის საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამჟამად არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში საერთო ვადა არ გამოიყენება სპეციალურ ვადებთან ერთად.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მოწესრიგებას ადგენს გერმანიის კანონმდებლობა. კერძოდ, მოქმედებს ობიექტური მაქსიმალური 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლის გასვლაც იწვევს ანალოგიურ შედეგებს, რასაც სპეციალური ხანდაზმულობის ვადის გასვლა.²⁵⁸ ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეიძლება უფრო მცირე იყოს, ვიდრე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები (ფასიანი ქალაქებიდან გამომდინარე მოთხოვნები).²⁵⁹

ზოგადად, არსებითია იმის განსაზღვრა, თუ რით არის განპირობებული მაქსიმალური ობიექტური ხანდაზმულობის ვადით მოთხოვნის განხორციელების შეზღუდვა. როგორც უკვე აღინიშნა, ხანდაზმულობის ვადის გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურებანი. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის ათვლა შეიძლება დაეფუძნოს სუბიექტურ მომენტს, კერძოდ, სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, მომენტს, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე. ხანდაზმულობის ვადის დაწყების სუბიექტურ ფაქტორთან დაკავშირებამ შეიძლება გამოიწვიოს ხანდაზმულობის ვადის დაწყების არაგონივრული გადადება. შესაძლებელია მაგ., პირმა ნასყიდობის საგნის ნაკლის თაობაზე, როცა საკითხი შეეხება დაფარულ ნაკლს, შეიტყოს ხელშეკრულების დადებიდან 10, 20 წლის ან უფრო ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ. სსკ ამ შემთხვევაში მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს ანიჭებს მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობას, რაც უნდა იქნეს მიჩნეული უკვე განხილული სასარჩილო ხანდაზმულობის ინსტიტუტის დადგენის მიზნებთან შეუსაბამოდ. არსებული რეგულაციის პირობებში შესაძლებელია სასამართლოსადმი მიმართვა განხორციელდეს ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, რა დროსაც სამართლებრივ სტაბილურობაზე მოვალის ინტერესი, ისევე როგორც საქმის სრულყოფილი გამოკვლევის ინტერესი იქნება უგულვებელყოფილი. სწორედ ამ არგუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება მსჯელობა სსკ-ში ობიექტური მაქსიმალური ვადის

²⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის №ას-1428-2018 განჩინება.
²⁵⁷ *Boemke B., Ulrici B.*, BGB Allgemeiner Teil, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2009, Rn. 19.
²⁵⁸ *Sebastian B.*, Aktuelle Probleme des Verjährungsrechts, Jura, Heft 7/2009, 31. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2009, 483.
²⁵⁹ *კობახიძე ა.*, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, თბილისი, 2011, 366.

შემოღების საჭიროებაზე. გარდა ამისა, ობიექტური მაქსიმალური ვადის შემოღების სასარგებლოდ უნდა იქნეს დასახელებული შემდეგი არგუმენტები:

ობიექტური მაქსიმალური ვადები უნდა შეფასდეს მოთხოვნის განუსაზღვრელი ვადით მერყევად დატოვების პრევენციად, რადგან ზოგად ხანდაზმულობის ვადებთან ერთად მოქმედებს ობიექტურ ფაქტორებზე დაფუძნებული ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა, რომლის დაწყებაც, ზოგადი ხანდაზმულობის ვადებისაგან განსხვავებით, დაკავშირებულია არა კრედიტორის ცოდნის მომენტზე, არამედ ობიექტურ ფაქტორზე.²⁶⁰ ამასთან, ხანდაზმულობის საერთო ვადა წარმოადგენს სპეციალურ ვადას, რომელიც ზოგადი ხანდაზმულობის ვადის ნაცვლად მოქმედებს, როცა ზოგადი ვადა ვადის დენის დაწყების განსაკუთრებული წინაპირობების არსებობისას მოგვიანებით დგება.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება გერმანიაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამსაფეხურიანი სისტემის განხილვა. თავდაპირველად მოქმედებს ზოგადი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც იწყება მოთხოვნის უფლების საფუძვლად არსებული გარემოებების ცოდნის ან/და უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნის მომენტიდან. თუ სახეზე არ არის ცოდნის ელემენტი, მოქმედებს 10-წლიანი ობიექტური მაქსიმალური ხანდაზმულობის ვადა. თუ მოთხოვნა არ წარმოშობილა, რადგან ჯერ კიდევ არ დამდგარა პასუხისმგებლობის დადგენისათვის სავალდებულო ზიანი, მოქმედებს 30-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.²⁶¹

მოთხოვნის განხორციელების ობიექტური საერთო ვადა უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის უფლების საფუძვლად არსებული გარემოებების შესახებ ცოდნის (ან უხეში გაუფრთხილებლობით – არცოდნის) სუბიექტურმა კრიტერიუმმა არ გამოიწვიოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ფაქტობრივი ხანდაზმულობაუუნარობა.²⁶² ცალკეულ შემთხვევაში მსგავსი რეგულაციის უსამართლო შედეგის აღსაკვეთად შეიძლება დადგინდეს გამონაკლისები. მაგ., გსკ ითვალისწინებს სხეულის, ჯანმრთელობის, თავისუფლების აღკვეთის გამო წარმოშობილი ზიანისათვის 30-წლიან ობიექტურ ხანდაზმულობის ვადას, რაც ამცირებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის რისკს, ვიდრე პირი გაიგებს ზიანის თაობაზე.²⁶³

მსგავსი შემთხვევისთვის სპეციალური წესის დადგენა მიზანშეწონილია, რადგან ფიზიკური ხელშეუხებლობა წარმოადგენს

²⁶⁰ Boemke B., Ulrici B., BGB Allgemeiner Teil, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2009, Rn. 23; Dohse R., Die Verjährung, 11. Auflage, Richard Boorberg Verlag, München, 2010, 28.

²⁶¹ Luszkat L., Verjährung im europäischen Wandel, Eine rechtsvergleichende Untersuchung von BGB, DCFR und CESL, rescriptum, 2014/1 2014, 54-60, <http://www.rescriptum.org/Aufs%C3%A4tze/2014_1_054_Luszkat.pdf> [14.03.2019].

²⁶² კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, §195, ვნ. 3.

²⁶³ Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement (EJPD), Bundesamt für Justiz (BJ) Obligationenrecht (Revision des Verjährungsrechts) Bericht zum Vorentwurf, 2011, 20 <https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/ve-ber-d.pdf> [14.03.2019].

განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს,²⁶⁴ რომლის დასაცავად უნდა იყოს დადგენილი მყარი საკანონმდებლო გარანტიები. მაქსიმალური ობიექტური ხანდაზმულობის ვადის დადგენა „აიძულებს“ კრედიტორს უფრო მეტი გულისხმიერების გამოჩენას, რადგან მისი შემდგომი მოთხოვნა არ დარჩეს განუხორციელებელი. ამასთან, მხარეთა შორის გონივრული ბალანსის დაცვისა და სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნების რეალიზაციის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად შეიძლება დასახელდეს მაქსიმალური ობიექტური ვადების მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნების მიმართ დაწესება, ხოლო ისეთი ღირებული სამართლებრივი სიკეთეები, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, არ დაექვემდებაროს საერთო ხანდაზმულობის ვადას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, სსკ-ის 129-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც სახელშეკრულებო მოთხოვნები ხანდაზმული იქნება საერთო - 10-წლიან ვადაში, მიუხედავად მოთხოვნის წარმოშობის დროისა.

საერთო მაქსიმალური ვადის დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს კრედიტორის ინტერესების არსებითი ხელყოფა. მხარეთა შორის შეიძლება დამყარდეს გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა. ვალდებულების დარღვევის ფაქტი შეიძლება დადგეს საერთო 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. შემოთავაზებული მოწესრიგების პირობებში საჯარო ინტერესით მოტივირებული მოწერილება უდავოდ გამოიწვევს უსამართლო სამოქალაქო ბრუნვას და მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დარღვევას. არაორდინალურ შემთხვევებში ამგვარი უსამართლო შედეგის თავიდან აცილების, ისევე როგორც შეპირისპირებულ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით რეკომენდირებულია დადგინდეს ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საკანონმდებლო მოწესრიგება, მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის მქონე მთელი რიგი ქვეყნები მსგავს მოწესრიგებას არ იცნობს.

საგულისხმოა, რომ ამაჟამად მოქმედი სსკ იმეორებს სსრკ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ძირითად პრინციპებს, თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. კერძოდ, სსრკ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 84-ე მუხლი ითვალისწინებდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის აღდგენის შესაძლებლობას, თუ სასამართლო საპატიოდ ცნობდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიზეზს.

ამჟამად მოქმედ სსკ-ში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს, თუმცა აღნიშნულის საკომპენსაციოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები. ეს არგუმენტი არ გამოდგება მსგავსი ჩანაწერის არარსებობის გასამართლებლად, ვინაიდან სსრკ სამოქალაქო სამართლის კოდექსიც ითვალისწინებდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა და შეწყვეტის თითქმის იდენტურ საფუძვლებს. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია, რას ეფუძნება კანონმდებლის მიერ საკითხის მსგავსი

²⁶⁴ *Schmidt-Kessel M.*, Ein einheitliches europäisches Kaufrecht? Eine Analyse des Vorschlags der Kommission, Sellier european law publishers GmbH, München, 2012, 532.

გადაწყვეტა იმ ფონზე, როცა ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდიდეს პირის მიერ უფლების განხორციელების შესაძლებლობას და ამასთან ერთად არ მიეკუთვნებოდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველს.

სსსკ-ის 215-ე მუხლი ითვალისწინებს საპატიო მიზეზით შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობისას საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობას, ისევე როგორც საპატიო მიზეზთა ჩამონათვალს. მიზანშეწონილია ანალოგიური მოწესრიგების დადგენა სსკ-ში, რომელიც რეალურად გაითვალისწინებს ვადის აღდგენის მექანიზმს. გასათვალისწინებელია, რომ ვადის აღდგენის მექანიზმი დადგენილია ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ ტურისტს ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცილებაში.²⁶⁵

მიზანშეწონილია სსკ-ის 144-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც დადგინდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენის ზოგადი წესი იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი საპატიო მიზეზით მოკლებული იყო უფლების განხორციელების შესაძლებლობას. საგულისხმოა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენის შემოღებით არ დაირღვევა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესი, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენა განხორციელდება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში და მკაცრად შეფასდება საპატიო მიზეზის არსებობის პერიოდი. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება საკითხის სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად გადაწყვეტა და კრედიტორის ინტერესების დაცვა დაუშვებელი ხელყოფისაგან.

ამასთან, საპატიო მიზეზის მიჩნევისას სასამართლომ შესაძლებელია იხელმძღვანელოს უკვე დასახელებული სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით.²⁶⁶

6.1. სუბიექტური ფაქტორი, როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლის წინაპირობა

სასარჩელო ხანდაზმულობა არ არის აბსტრაქტული სამართლებრივი კატეგორია. კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი დაწყებისა და

²⁶⁵ ვრცლად იხ. სსკ-ის 663-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება, რომელიც ტურისტს ვადის გასვლის შემდეგ აძლევს მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცილებაში.

²⁶⁶ ვრცლად იხ. სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

დასრულების დროის მონაკვეთს.²⁶⁷ მოთხოვნის შემოწმებისას აუცილებელია განისაზღვროს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებისა და მისი ათვლის საკითხი. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ვადის ათვლის ობიექტურ და სუბიექტურ სისტემებს.²⁶⁸

სსკ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლას უკავშირებს სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი მოთხოვნის დარღვევის შესახებ.²⁶⁹ კანონის აღნიშნული დანაწესი გონივრული და სამართლიანია, ვინაიდან არ შეიძლება მოეთხოვოს კრედიტორს მოთხოვნის განხორციელება, თუ მან თავად არ იცის უფლების დარღვევის ფაქტის თაობაზე.

ხანდაზმულობის დაწყებისათვის, როგორც წესი, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა მისთვის ცნობილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მისცეს.²⁷⁰ თუ კრედიტორი მცდარ დასკვნებს გამოიტანს, ფაქტებს მცდარად შეაფასებს, ხანდაზმულობის ვადის დენა მაინც იწყება.²⁷¹

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების შესაბამისად, ნორმის აღწერილობითი ნაწილი არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ დარღვევის ფაქტის თაობაზე გარემოების შეტყობა რაიმე განსაკუთრებულ ფაქტს ან მოვლენას დაუკავშირდეს. კანონის აღნიშნული დანაწესი არის მიმართული ვალდებულების დარღვევის თაობაზე კრედიტორის ობიექტურ აღქმაზე, ხოლო მხოლოდ სუბიექტური აღქმის გათვალისწინება ხდება იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული გარემოებებისა და სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად შეუძლებელია ობიექტური ფაქტორის განსაზღვრა.²⁷² ამასთან, ივარაუდება, რომ მოთხოვნის უფლების წარმოშობისას ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია.²⁷³ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი არ ეთანხმება აღნიშნულს, მაშინ მტკიცების ტვირთი ამ უკანასკნელს ეკისრება.²⁷⁴

²⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 ივლისის №ას-664-625-2012 განჩინება.

²⁶⁸ *კანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 123.

²⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის №ას-1219-1160-2014 გადაწყვეტილება.

²⁷⁰ *Petersen J.*, Leistung Bearbeitungsgebühren in Darlehensverträgen; Beginn kenntnisabhängige Verjährung bei unklarer Rechtslage, Jura, Heft 4, 37. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2015, 417.

²⁷¹ *Dohse R.*, Die Verjährung, 11. Auflage, Richard Boorberg Verlag, München, 2010, 25.

²⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №ას-1264-1204-2014 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 მაისის №28/6507-16 განჩინება.

²⁷³ *ახვლედიანი*, *ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე* (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 130, 320.

²⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის №ას-495-471-2013 გადაწყვეტილება.

ხანდაზმულობის ვადის დაწყებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საფუძვლად არსებული ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა მისი სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან რთულია შესაბამისი განათლების არმქონე პირს მოეთხოვოს ნორმის ქმედების შემადგენლობის კომპონენტების შეფასება. მსგავსი მიდგომის მიზანშეწონილობას განამტკიცებს სასამართლო პრაქტიკაც, რომლითაც მოსარჩელის მიერ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან სამართლებრივი საფუძვლის მისადაგება არ წარმოადგენს მხარის ვალდებულებას, არამედ აღნიშნულს აფასებს სასამართლო.²⁷⁵ სწორედ ამიტომ მხარეს სარჩელის შევსებისას არ ევალება მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

სსკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ბრალეულ არცოდნასაც.²⁷⁶ თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.²⁷⁷

უხეში გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.²⁷⁸ თუ კრედიტორისათვის მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობების თაობაზე არ გახდა ცნობილი მისი ბრალის გარეშე, ხანდაზმულობის ვადა არ დაიწყება იმ დრომდე, ვიდრე არ იქნება სახეზე სავალდებულო სუბიექტური მომენტი.²⁷⁹

კანონმდებლის მსგავსი მიდგომა უნდა შეფასდეს პასუხისმგებლობის სამართლიანად გადანაწილების მცდელობად, რადგან უხეში გაუფრთხილებლობისას კრედიტორი უგულებელყოფს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.²⁸⁰ უხეში გაუფრთხილებლობა სახეზეა მაშინ, როცა ყურადღების მიღმა რჩება ცალკეული, ზოგიერთ შემთხვევაში უმნიშვნელო გარემოებები, რასაც ობიექტური დამკვირვებელი გაითვალისწინებდა.²⁸¹ აქ ხშირად საკითხი შეეხება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი წინდახედულების ნორმების დარღვევას.²⁸² უხეში გაუფრთხილებლობით უცოდინრობის ფაქტი

²⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის №ას-1765-2018 განჩინება.

²⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №ას-201-201-2018 გადაწყვეტილება.

²⁷⁷ *ახვლედიანი*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 130, 320.

²⁷⁸ *ჩიტაშვილი ნ.*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ჟურნალი“ №1 2009, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009, 152.

²⁷⁹ *Dohse R.*, Die Verjährung, 11. Auflage, Richard Boorberg Verlag, München, 2010, 28.

²⁸⁰ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 70.

²⁸¹ *Bergmann K. O., Wever C.*, Anmerkung zu BGH, Urt. v. 10.11.2009 – VI ZR 247/08., MedR, Heft 4, 28. Jahrgang, 2010, 261.

²⁸² *ჩიტაშვილი ნ.*, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ჟურნალი“ №1 2009, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009, 150.

არსებობს მაშინ, როცა უფლებამოსილმა პირმა სამოქალაქო ბრუნვაში სავალდებულო გულისხმიერება უჩვეულოდ უხეში მოცულობით დაარღვია.²⁸³ ამასთან, ამ უკანასკნელს შეეძლო მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით იმის აღქმა, რომ მოთხოვნა წარმოშობილია.²⁸⁴ კანონმდებლის მიზანი, უარი ეთქვას ბრუნვის დაუდევარ მონაწილეს ხანდაზმულობის ვადით პრივილეგიის მინიჭებაზე, უნდა იქნეს გაზიარებული.

ესკ განსხვავებულად არეგულირებს ხანდაზმულობის ვადის ათვისების წესს. კერძოდ, ვადის დენა უკავშირდება იმ წლის დასასრულს, რომელშიც წარმოიშვა მოთხოვნა და კრედიტორმა შეიტყო მოთხოვნის უფლების საფუძვლად არსებული გარემოებებისა და მოვალის პიროვნების შესახებ²⁸⁵ ან მას აღნიშნულის შესახებ უნდა შეეტყო, მისი მხრიდან ადგილი რომ არ ჰქონოდა უხეშ გაუფრთხილებლობას.²⁸⁶

ესკ-ით დადგენილი მოწესრიგების ანალიზისას ძირითადი აქცენტები გაკეთდება განმასხვავებელ ნიშნებზე.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყების პირველი ელემენტი უკავშირდება კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლების საფუძვლად არსებული გარემოებების ცოდნას.²⁸⁷ სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობისა და სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე არ არის სავალდებულო, კრედიტორმა მისთვის ცნობილი ფაქტები სამართლებრივი დასკვნებით გაამყაროს.²⁸⁸ გადამწყვეტია ფაქტების ცოდნა და არა მოვლენის სამართლებრივი შეფასება.²⁸⁹ ეს საკითხი ანალოგიურად არის გადაწყვეტილი სსკ-ით.

სავალდებულო ცოდნის ელემენტი, გარდა მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოების ცოდნისა, ასევე უნდა მოიცავდეს მოვალის პიროვნების ცოდნას,²⁹⁰ რაც მოიცავს სახელსა და მისამართს. თუ სახეზეა სოლიდარული მოვალე, საკმარისია სამართალწარმოებისათვის ერთ-ერთი მათგანის ცოდნა. ეს ცოდნა არ არის საკმარისი სხვა მოვალეების მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დასაწყებად.²⁹¹

სსკ არ უკავშირებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყებას მოვალის პიროვნების, რომელიც მოიცავს ასევე მისამართს, ცოდნის მომენტს. შეიძლება დასახელდეს მსგავსი მოწესრიგების სასარგებლო და

²⁸³ BGH Urt. v. 27.5.2008 – XI ZR 132/07, MDR 2008, 929.

²⁸⁴ BGH Urt. v. 8.5.2008 – VII ZR 106/07, MDR 2008, 854.

²⁸⁵ Boemke B., Ulrici B., BGB Allgemeiner Teil, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2009, Rn. 22.

²⁸⁶ Petersen J., Verjährungsbeginn von Rückzahlungsansprüchen erst mit Erteilung der Jahresabrechnung, Jura, Heft 11, 34. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2012, 161.

²⁸⁷ Schmidt-Kessel M., Ein einheitliches europäisches Kaufrecht? Eine Analyse des Vorschlags der Kommission, Sellier european law publishers GmbH, München, 2012, 534.

²⁸⁸ Petersen J., Leistung Bearbeitungsgebühren in Darlehensverträgen; Beginn kenntnisabhängige Verjährung bei unklarer Rechtslage, Jura, Heft 4, 37. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2015, 417.

²⁸⁹ Petersen J., Wirtschaftsprüfung: Vertrag mit schutzwirkung zugunsten Dritter und Verjährungsbeginn bei falscher Rechtsanwendung, Jura, Heft 10, 36. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2014, 145.

²⁹⁰ Boemke B., Ulrici B., BGB Allgemeiner Teil, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2009, Rn. 22.

²⁹¹ Dohse R., Die Verjährung, 11. Auflage, Richard Boorberg Verlag, München, 2010, 27.

საწინააღმდეგო არგუმენტები: სამოქალაქო ბრუნვაში საკმაოდ ხშირად ხდება გარიგების ზეპირი ფორმით დადება, როცა პირმა არ იცის კონტრაქტის მისამართი ან სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისას პირი რჩება ყოველგვარი დაცვის გარეშე. ის ვერ მოითხოვს უფლების სასამართლო წესით დაცვას, რადგან სარჩელის წარდგენისას მითითებული უნდა იყოს ვალდებული პირის (მოპასუხის) მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.²⁹²

სსკ-ით შემოთავაზებული მოწესრიგების სასარგებლოდ შეიძლება ითქვას ის, რომ, როგორც წესი, როცა მხარეები დებენ ხელშეკრულებას, მათ იციან ერთმანეთის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. კრედიტორის ქმედება, რომელიც არ ფლობს ინფორმაციას კონტრაქტის პერსონალური მონაცემების თაობაზე, შეიძლება შეფასდეს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი გულისხმიერების ვალდებულის დარღვევად, ვინაიდან მან არ გამოიჩინა საკმარისი წინდახედულება, მაგრამ ეს არ შეიძლება იწვევდეს მოვალის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იმ შემთხვევაში, როცა ის მოქმედებს ბოროტი განზრახვით და განზრახ შეცდომაზე შეყვანის მიზნით არასწორ მონაცემებს უთითებს. ამ დროს ეს უკანასკნელი არ არის დაცვის ღირსი. კრედიტორმა მსგავს შემთხვევაში უნდა შეძლოს მოთხოვნის წარდგენა.

ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების ცოდნა არ გულისხმობს მხოლოდ სახელის ცოდნას. აქ ასევე იგულისხმება მოვალის მისამართის შესახებ ინფორმაცია. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვისას აუცილებელია მოპასუხის მისამართის მითითება. აღნიშნული მონაცემის მიუთითებლობა წარმოადგენს სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს. კრედიტორი მოკლებულია სხვისი პერსონალური მონაცემების მოძიების შესაძლებლობას, რადგან სხვისი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით არსებობს მკაცრი შეზღუდვები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც პირადი მიზნებისათვის დაუშვებლად ცხადდება სხვისი პერსონალური მონაცემების დამუშავება.

მოთხოვნის წარმოშობისა და მოთხოვნის ადრესატის ვინაობის ცოდნა ავტომატურად არ იწვევს გსკ-ში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყებას, არამედ ის პირობადადებულია კალენდარული წლის დასრულებით.²⁹³ აღნიშნული პრინციპი უმსუბუქებს კრედიტორს სასარჩელო ხანდაზმულობის დენის კონტროლის შესაძლებლობას, რადგან მას უწევს ნაკლის არსებობის გადამოწმება არა მუდმივად, არამედ მხოლოდ წლის დასასრულისთვის.²⁹⁴ დღის სიზუსტით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების

²⁹² იხ. „სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის ფორმათა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის №1/456 გადაწყვეტილება. <<http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202009/456-2009%20001.jpg>>[24.03.2019].

²⁹³ Bohnstedt J., Vertragsrecht im Einkauf, Erfolgsfaktor im Supply Chain Risk Management (SCRM), 3. Auflage, Springer Gabler, Wiesbaden, 2018, 215; Sebastian B., Aktuelle Probleme des Verjährungsrechts, Jura, Heft 7/2009, 31. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2009, 482.

²⁹⁴ Fuchs M., Pauker W., Baumgärtner A., Delikts- und Schadensersatzrecht, 9. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2017, 272.

მტკიცებულება მხარეებს აქვთ შენარჩუნებული ხანდაზმულობის ვადის დენის წლის ბოლოს დაწყების მომენტის დადგენით (ე.წ. ულტიმოხანდაზმულობა).²⁹⁵

ხანდაზმულობის ვადის დაკავშირება კალენდარული წლის დასრულებასთან უნდა შეფასდეს საკითხის ოპტიმალურ გადაწყვეტად, რომელიც იქნება როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ინტერესებთან თავსებადი. საკმაოდ რთულია კრედიტორის მიერ იმ დროის ზუსტად განსაზღვრა, როცა მან შეიტყო მოთხოვნის წარმოშობის თაობაზე. ამ შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრება ამ გარემოების მტკიცების ტვირთი. გაზიარებულ უნდა იქნეს გსკ-ის მიდგომა, რომელიც მოთხოვნის წარმოშობას უკავშირებს კალენდარული წლის დასასრულს. მსგავსი რეგულაციის დადგენით კრედიტორს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდება მოთხოვნის წარმოშობის მტკიცების ტვირთი.

რაც შეეხება მოვალეს, მსგავსმა რეგულაციამ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ხანდაზმულობის ვადის უფრო გახანგრძლივება, მაგრამ გამართლებული იქნება სამოქალაქო ბრუნვის სიმარტივის ინტერესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია სსკ-ის 130-ე მუხლში ცვლილების შეტანა, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის დენა პირობადადებული იქნება იმ კალენდარული წლის დასრულების მომენტით, როცა მოთხოვნა წარმოიშვა. ამასთან, მოთხოვნის წარმოშობა დაუკავშირდება უფლების დარღვევის ცოდნის ან უხეში გაუფრთხილებლობით უცოდინრობის მომენტს, ხოლო კრედიტორის ბრალის არარსებობისა და დამატებით მოვალის პიროვნების შესახებ ინფორმაციის ცოდნის მომენტს.

6.2. სირთულეები სუბიექტურ ფაქტორზე დაფუძნებულ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით

ლიტერატურაში ცალკეულ ავტორთა მიერ გაკრიტიკებულია ხანდაზმულობის ვადის სუბიექტურ მომენტზე დაფუძნება და მითითებულია ის სირთულეები, რაც პრაქტიკაში წარმოიშობა. პირველ რიგში, ხაზგასმულია რეგულირების განუსაზღვრელი ხასიათი, რაც გამოიხატება იმაში, რომ არ არის საკმარისად განსაზღვრული, თუ როდის არის სახეზე საკმარისი პოზიტიური ცოდნა, რომელიც სავარაუდოს ხდის სარჩელის წარდგენას, როდის არის მოცემული უხეში გაუფრთხილებლობით უცოდინრობა. მაგ., გარემოება, რომ განსაზღვრულ ანგარიშზე გადარიცხული თანხა წარმატებული უარის შემდეგ არ დაბრუნდა, არ იწვევს სარჩელის წარდგენის სავარაუდოებას, რადგან არ არსებობს მყარი არგუმენტები მსგავსი ვალდებულების დარღვევის არსებობისათვის.²⁹⁶

სავარაუდოა, რომ ცოდნასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება სადავო გახდეს, თუ მოვალემ ერთი მოთხოვნის ფარგლებში რამდენიმე ვალდებულება დაარღვია. სასარჩელო ხანდაზმულობა თითოეული

²⁹⁵ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, თორნიკე დარჯანიასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, §195, ვნ. 2.

²⁹⁶ BGH Ur. v. 6.11.2007 – VI ZR 182/06.

ვალდებულების დარღვევისათვის უნდა შემოწმდეს დამოუკიდებლად იმ შემთხვევაშიც, როცა ის საბოლოოდ ერთ ზიანს იწვევს.²⁹⁷

რელატიური ვადების ნაკლი ასევე იმაში გამოიხატება, რომ ხანდაზმულობის დაწყება ძალიან არასტაბილურია. ის ტოვებს საკმაოდ დიდ სივრცეს დავისათვის. სასარჩელო ხანდაზმულობამ, რომელიც ემსახურება სამართლებრივ მშვიდობას, უნდა შექმნას სამართლებრივი სიცხადე და არა სამართლებრივი არასტაბილურობა.²⁹⁸

მიუხედავად გამოთქმული საკმარისად არგუმენტირებული კრიტიკული მოსაზრებებისა, ზოგადად, ხანდაზმულობის ვადის დაწყების სუბიექტურ ფაქტორთან დაკავშირება უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად, ვინაიდან ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთ ხორციელდება კრედიტორის ინტერესების დაცვა. არ შეიძლება პირს მოეთხოვოს ვადის დაცვა, თუ მან არ იცის და არც შეიძლება იცოდეს მსგავსი ვადის მიმდინარეობის თაობაზე. ეს გამოიწვევს უსამართლო შედეგებს და ვერ უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევას. სრულიად გასაზიარებელია კანონმდებლის მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ზოგადი წესი უკავშირდება ვადის სუბიექტურ ფაქტორს, ხოლო საგამონაკლისო შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია ობიექტურ ფაქტორზე ვადის დაკავშირება. თუმცა სამართლებრივი სიცხადის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ზემოთ შემოთავაზებული ცვლილების მიღება, რომლითაც მოთხოვნის განხორციელება შეზღუდული იქნება საერთო ხანდაზმულობის ვადით.

²⁹⁷ *Petersen J.*, Die Verjährung der Ansprüche, Jura, Heft 9, 33. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2011, 658.

²⁹⁸ *Going/Honsell* in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier - de Gruyter, Berlin, 2008, 19.

II. პირველადი მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვლის წესი

1. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მისი ათვლის წესი (სპეციფიკური შემთხვევების გათვალისწინებით)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ატარებს პირველადი მოთხოვნის ხასიათს.²⁹⁹ შესრულების პირველადი მოთხოვნის იძულებითი განხორციელება დამოკიდებულია ხანდაზმულობის ვადაზე.³⁰⁰ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს აქვს ვალდებულების მიღების ინტერესი, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება და ამასთან, დაგვიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.³⁰¹ შესრულება თავად არ წარმოადგენს გარიგებას.³⁰² იმისათვის, რომ მოთხოვნილ იქნეს ვალდებულების შესრულება, აუცილებელია ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა.³⁰³

ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის მიმართ მოქმედებს ზოგადი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა,³⁰⁴ რადგან კანონმდებლობა ამ მოთხოვნისთვის არ ადგენს სპეციალურ ვადას.³⁰⁵

მიზანშეწონილია ცალკეულ ხელშეკრულებებთან მიმართებით შეფასდეს შესრულების მოთხოვნის მიმართ დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გონივრულობის საკითხი. ამასთან, მოხდეს იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რაც შესაძლოა წარმოშვას მსგავსი ვადის დადგენამ.

ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნისათვის დადგენილმა ვადამ შეიძლება წარმოშვას პრობლემები როგორც კრედიტორის, ისე მოვალის მხარეს.

ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი შეიძლება მოჰყვეს მოვალის როგორც ბრალეულ, ისე არაბრალეულ მოქმედებას. მაგ., შეიძლება განხილულ იქნეს სესხის ხელშეკრულება, რომელიც მხარის მიერ დაირღვა არაბრალეულად, სამსახურიდან მოულოდნელი გათავისუფლების გამო. ამ შემთხვევაში კრედიტორისათვის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწესება

²⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის №ას-1003-924-2017 განჩინება.

³⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის №ას-75-71-2017 გადაწყვეტილება.

³⁰¹ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, ბრემენი - თბილისი, 2009, 33.

³⁰² Dullinger S., Bürgerliches Recht Band II: Schuldrecht Allgemeiner Teil, 4. Auflage, Springer-Verlag Wien, 2010, Rn. 4/4.

³⁰³ ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, ბრემენი - თბილისი, 2009, 28.

³⁰⁴ Ax T., Heiduk D., Mängelansprüche nach VOB und BGB, Friedr. Vieweg&Sohn Verlag/GWV Fachverlage GmbH, Wiesbaden, 2004, 75; Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 130.

³⁰⁵ Eltzhig J., Wenzel J., Die Anfängerklausur im BGB Kernprobleme des Allgemeinen Teils in der Fallbearbeitung, 3. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2008, 14.

ზრდის მის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკს, რაც გამოიხატება ვადის გასვლის უკანასკნელ დღეს სასამართლოსადმი მიმართვასა და მთელი განვლილი პერიოდისათვის პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნაში. ამ შემთხვევაში კრედიტორი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ნათელია ვალდებულების დარღვევისა და მოვალის მიერ მისი შესრულების შეუძლებლობის ფაქტი, მაინც არ წარადგენს სარჩელს სასამართლოში, რათა გაიზარდოს მისი მოთხოვნა მოვალის მიმართ.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი განამტკიცებს უფლების კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს, რომელიც თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დაკავშირებულია მორალურ სტანდარტთან. კეთილსინდისიერება გულისხმობს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.³⁰⁶ „კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.“³⁰⁷ შესაძლოა კრედიტორის მსგავსი ქმედება შეფასდეს კეთილსინდისიერების პრინციპის უგულვებელყოფის შემთხვევად, თუმცა ამგვარი დასკვნის განხორციელება უნდა იყოს თავსებადი ხანდაზმულობის ინსტიტუტთან.

კანონმდებლობით თითოეული მოთხოვნისათვის დადგენილია მოთხოვნის განხორციელების ვადები. სწორედ ხსენებული ვადის გასვლა იწვევს მოთხოვნის განუხორციელებლად ქცევას. შესაბამისად, კანონმდებელი კრედიტორის მოთხოვნის განხორციელების ვადას აქცევს განსაზღვრულ ჩარჩოებში. შესაბამისად, მოთხოვნის განხორციელების მიმართ დამატებითი შეზღუდვების დაწესება შეუსაბამო იქნება თავად ხანდაზმულობის არსთან. აქედან გამომდინარე, მოვალეს არ შეუძლია სადავოდ გახადოს აღნიშნული ფაქტი უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის საფუძვლით, რადგან კრედიტორი მოქმედებს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის მიმართ დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა შეიძლება პრობლემური იყოს ასევე თავად კრედიტორისთვის. კერძოდ, შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის ვადის გასვლამდე შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგოს. მსგავს შემთხვევაში დასაშვებად უნდა ჩაითვალოს მოთხოვნის ტრანსფორმაცია. კერძოდ, შესრულების მოთხოვნის ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენა, თუმცა აქ მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შესრულების მოთხოვნის მიზანზე. ამ მოთხოვნის მიზანია არა რაიმე ფორმით კრედიტორის დაკმაყოფილება, არამედ ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულების შესრულების სტიმულირება. ხანდაზმულობის ვადის დადგენის დროსაც კანონმდებლის ამოცანაა გამოვიდეს ამ ძირითადი პრინციპიდან. თუ მოთხოვნის განხორციელებისთვის კანონმდებლობით

³⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის №ას-1114-2020 გადაწყვეტილება.

³⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

დადგენილი იქნება ხანგრძლივი ვადა, ეს ვერ უზრუნველყოფს შესრულების მოთხოვნის მიზნების რეალიზაციას.

კრედიტორის ინტერესზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოების თაობაზე. კერძოდ, შესრულების მოთხოვნის ვადის პერიოდში შესაძლებელია ამოიწუროს ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარე ვერ მოითხოვს სარგებლის გადახდას, ვინაიდან მსგავსი ვალდებულების არსებობა დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.³⁰⁸

შესრულების მოთხოვნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვინაიდან სხვაგვარად ვერ მიიღწევა კრედიტორისა და მოვალის ინტერესების დაბალანსების, ისევე როგორც უსამართლო შედეგების პრევენციის მიზანი, რეკომენდირებულია სსკ-ის 129-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა შემცირდება 1 წლამდე.

1.1. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შესრულებისათვის განსაზღვრული დროის არარსებობისას

ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ერთ-ერთ სპეციფიკურ სახედ შეიძლება განხილულ იქნეს სსკ-ის 365-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა. კერძოდ, ამ ნორმის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და სხვა გარემოებებიდანაც შეუძლებელია მისი გარკვევა. ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა კრედიტორს მსგავს შემთხვევაში ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის დენა დაუკავშირა არა ხელშეკრულების დადების მომენტს, არამედ კრედიტორის მიერ მოვალისათვის შესრულების მოთხოვნის განცხადების ფაქტს, რადგან მოვალის მიერ განცხადების მისვლიდან დაუყოვნებლივ ვალდებულების შეუსრულებლობა მიიჩნია ვალდებულების დარღვევად.³⁰⁹ ამასთან, მიუთითა, რომ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეეძლო ვალდებულების შესრულების მოთხოვნა.³¹⁰

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეზე გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და განმარტა, რომ კრედიტორის მიერ უფლების დარღვევის ფაქტის ცოდნა უკავშირდება ვალდებულების

³⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის №ას-1219-1160-2014 გადაწყვეტილება.

³⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-444-419-2011 გადაწყვეტილება - აღწერილობითი ნაწილი.

³¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №ას-621-593-2016 განჩინება -აღწერილობითი ნაწილი.

შესრულების მოთხოვნის მიუხედავად მოვალის მიერ შესრულებაზე უარის თქმას ან ფაქტობრივად ვალდებულების შეუსრულებლობას.³¹¹

სხვა საქმეზე კასატორმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 365-ე მუხლის არასწორ განმარტებაზე. კერძოდ, ეს უკანასკნელი დაუშვებლად მიიჩნევა კრედიტორისათვის შესრულების მოთხოვნის უფლების მინიჭებას, რომელიც არ დაექვემდებარებოდა ხანდაზმულობას. ამასთან, ის ეწინააღმდეგებოდა ნორმის სიტყვასიტყვით განმარტებას, რადგან მსგავსი განმარტების შემთხვევაში კრედიტორს შეეძლებოდა დროში შეუზღუდავად მოთხოვნის წარდგენა.³¹²

კასატორის პრეტენზია სსკ-ის 365-ე მუხლის მცდარი განმარტების თაობაზე სრულიად მართებულია. საკითხი შეეხება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებს და მათი ათვლის წესს, პირველ რიგში, ნორმის განმარტებისას ამოსავალ დებულებად უნდა დასახელდეს სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნებთან შესაბამისობა. სხვა შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება ამ ინსტიტუტის დადგენის საჭიროება.

სასარჩელო ხანდაზმულობით ხდება უფლების განუსაზღვრელი ვადით გაურკვეველ მდგომარეობაში არსებობის პრევენცია.³¹³ სსკ-ის 365-ე მუხლის ზემოთ მოცემული განმარტება შეუსაბამოა ხანდაზმულობის მიზნებთან.

ხსენებულ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა კასატორის მოსაზრება ხანდაზმულობის ნაწილში და განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები მოქმედებს განუსაზღვრელი ხასიათის ვალდებულებების მიმართაც. სსკ-ის 365-ე მუხლი აძლევს კრედიტორს ვალდებულების შესრულების მომენტის შერჩევის უფლებას, თუმცა ეს არ მიუთითებს მოთხოვნის უფლების უვადო ხასიათზე. კრედიტორის მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ზოგადი წესები. როგორც ზუსტად განსაზღვრული, ისე ნავარაუდევ ვადები უნდა იყოს გონივრული. გონივრული ვადები კი შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც უნდა დადგინდეს როგორც კანონის ობიექტური ნების, ისე მხარეთა ნების და სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციების საფუძველზე.³¹⁴

ამ მსჯელობიდან გამომდინარე კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადა შეზღუდულია გონივრული ვადით, რომელიც შეიძლება დაეფუძნოს სხვადასხვა გარემოებებს. ამასთან, გამოთქმულია მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერ დგინდება „გონივრული მოლოდინი“, კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლების წარდგენა არ უნდა იყოს შეზღუდული.³¹⁵ თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რთულია ისეთი შემთხვევების იდენტიფიცირება, როცა კრედიტორისათვის „გონივრული მოლოდინი“ არ იყოს დადგენადი.

³¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის №ას-431-414-2016 განჩინება.

³¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის №ას-515-515-2018 განჩინება.

³¹³ Bucher E., Schweizerisches Obligationenrecht, Allgemeiner Teil ohne Deliktsrecht, 2. Auflage, Schulthess Polygraphischer Verlag, Zürich, 1988, 444.

³¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის №ას-515-515-2018 განჩინება.

³¹⁵ მესხიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <www.gccc.ge>, 2017, მუხლი 365, ვნ. 31 [22.03.2019].

ვინაიდან სსკ-ის 365-ე მუხლი იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთან, კანონმდებლობაში ხშირია მითითებები ვადების გონივრულობის თაობაზე, ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია 365-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნის გონივრულ ვადაში წარდგენის საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ამასთან, არსებული მოწესრიგების პირობებშიც შესაძლებელია სსკ-ის 365-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ კრედიტორის ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას დაექვემდებაროს გონივრულ ვადაში მოთხოვნის წარდგენის თვალსაზრისით კონტროლს.

1.2. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურებანი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების არსებობისას

პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს ისეთი ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროის მონაკვეთში განსაზღვრული პერიოდულობით.³¹⁶ ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოიშობა, 3 წელია.³¹⁷ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლას ახასიათებს გარკვეული თავისებურება, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.³¹⁸

პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების სპეციფიკა ძირითადად განხილული იქნება სესხისა და იჯარის ხელშეკრულებების მაგალითზე.

ზოგადად, საკმაოდ პრობლემურია ურთიერთობის პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად კვალიფიკაცია. მაგ., ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა უძრავი ნივთის მფლობელობის შეწყვეტამდე პერიოდში მესაკუთრის კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების ხელყოფის შედეგად დაკარგულმა სიკეთემ წარმოშვა არა პერიოდულად შესასრულებელი, არამედ აღნიშნულისაგან განსხვავებული ერთიანი ვალდებულების შესრულება, მიუღებელი ქირა კი გამოიყენა მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად.³¹⁹ შესაბამისად,

³¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის №ას-472-448-2013 გადაწყვეტილება.

³¹⁷ თუმანიშვილი გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 188.

³¹⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ივნისის №28/1881-14 განჩინება.

³¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის №ას-472-448-2013 გადაწყვეტილება.

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს თავად პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების განსაზღვრა.

პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებასთან დაკავშირებით საგულისხმოა უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის შესაბამისად, საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნის წარდგენისას დავა ეხება არა უძრავი ნივთის ფლობის, სარგებლობის ან განკარგვის უფლებას, არამედ უძრავი ქონებიდან გამომდინარე საიჯარო ქირის გადახდას (ფულადი ვალდებულების შესრულებას). შესაბამისად, მის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა.³²⁰

ხსენებული განმარტება საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც იჯარის ხელშეკრულების საგანი უძრავი ნივთია, შესაბამისად, სავარაუდოა მის მიმართ სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება. თუმცა აქ არსებითია სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის იდენტიფიცირება. საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნა, რომელიც უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროის მონაკვეთში, ხასიათდება გარკვეული პერიოდულობით. შესაბამისად, ბინის ქირის, ისევე როგორც საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნა, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია განსაზღვრული პერიოდულობით ქირის გადახდის ვალდებულება, უნდა დასახელდეს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად და შესაბამისად, ამ მოთხოვნის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა.

არ არსებობს აზრთა ერთიანობა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევის საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკით, საკრედიტო ხელშეკრულება წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რადგან მსესხებელს ეკისრება კრედიტის თანხის და მასზე დარიცხული სარგებლის გარკვეული პერიოდულობით გადახდის ვალდებულება.³²¹ შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად, თანხის ყოველი გადახდის მიმართ უნდა აითვალოს დამოუკიდებლად.³²²

გამოთქმულია აღნიშნულის საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება არ მიეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, არამედ სსკ-ის 129-ე მუხლის

³²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის №ას-445-420-2014 გადაწყვეტილება.

³²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის №ას-1432-1351-2012 გადაწყვეტილება.

³²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ას-902-2018 გადაწყვეტილება.

მე-2 ნაწილი შეეხება ისეთ ვალდებულებებს, როგორცაა პენსია, ხელფასი და ა.შ.³²³

ზოგადად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად უნდა იქნეს მიჩნეული ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა ამ ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით. პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევა არ უნდა იყოს პირობადადებული მხოლოდ პენსიით, ხელფასით. აღნიშნული წარმოადგენს ხსენებული ვალდებულების არსის ძალზე ვიწრო განმარტებას. გაზიარებულ უნდა იქნეს სასამართლოს განმარტება საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევის თაობაზე. აღნიშნული განპირობებულია თავად ამ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებით. კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულებით, როგორც წესი, მსესხებელი ვალდებულია კრედიტის თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი გადაიხადოს განსაზღვრული პერიოდულობით, რაც ქმნის მის პერიოდულ ურთიერთობად მიჩნევის საფუძველს.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევა ასევე ემსახურება ხელშეკრულების ე.წ. სუსტი მხარის დაცვის ინტერესს. მაგ., 10 წლის ვადით დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დარღვევისას, კრედიტორისათვის 10 წლის განმავლობაში გადაუხდელი ძირითადი თანხის, პროცენტისა და პირგასამტეხლოს გადახდის უფლების მინიჭება, გამოიწვევდა მოვალის ინტერესების შეუსაბამოდ შეზღუდვას. სწორედ ამიტომ, მსგავსი რეგულაცია ერთგვარად ამცირებს კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკს და მოთხოვნის დადგენილ ვადაში განუხორციელებლობისათვის გამსესხებელს აკისრებს პასუხისმგებლობას.

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ მოქმედი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეფასებისას არსებითად უნდა იქნეს მიჩნეული სესხის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. არსებობს კითხვები, რომელთა გადაწყვეტაც პირდაპირ უკავშირდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გონივრულობის შეფასებას. კერძოდ, შეუძლია თუ არა გამსესხებელს მოახდინოს მსესხებლის მიერ შემდგომ ჩარიცხული თანხის ჩათვლა წინა თვის გადაუხდელ დავალიანებაში. მსესხებლის მიერ თანხის გადახდისას, რომელი ვალდებულება ითვლება შესრულებულად - ძველი დავალიანება თუ ახალი.

კითხვებზე პასუხი არსებითია იმდენად, რამდენადაც იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას და სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავიდან დაწყებას. მითითებულ კითხვებზე პასუხის გაცემისათვის გამოდგება სსკ-ის 387-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს ფულადი ვალდებულების დაფარვის წესს ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე ვალდებულების შესრულების მოთხოვნისას. კერძოდ, არჩევს

³²³ ათაბეგაშვილი დ., სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი ადგილი სასამართლო პრაქტიკაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(43)14, თბილისი, 2014, 125.

შესაძლებლობას კანონმდებლობა ანიჭებს მოვალეს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი გადახდების წარმოებისას არ უთითებს, თუ რომელი წლის ან თვის ვალდებულებას ფარავს, დაიფარება ვალი, რომლის ვადაც პირველად დადგა.³²⁴ ხსენებული მოწესრიგება მოვალეს ანიჭებს შესასრულებელი ვალდებულების ამორჩევის უპირატესობას. კანონმდებლობასთან შეუსაბამო იქნება გამსესხებლის მიერ მსესხებლის მიერ ჩარიცხული თანხის თვითნებური მიქცევა ძველი დავალიანების დასაფარავად, რადგან აღნიშნული გამოიწვევს ხელშეკრულების ე.წ. სუსტი მხარის ინტერესების სრულ იგნორირებას, ისევე როგორც უფლების ბოროტად გამოყენების რისკის გაზრდას და უსამართლო სამოქალაქო ბრუნვას.

რაც შეეხება მოვალის მიერ თანხის ზედმეტად გადახდის შემთხვევას, მსგავსი ქმედება უნდა შეფასდეს მოვალის მიერ ძველი დავალიანების დასაფარავად მიმართულ განზრახვ, ნებაყოფლობით ქმედებად, ძველი დავალიანების აღიარებად, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას. შესაბამისად, სრულიად სამართლიანად უნდა იქნეს მიჩნეული ამ დროს ზედმეტად გადახდილი თანხის მიქცევა ძველი დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.³²⁵

ხშირია პრაქტიკაში შემთხვევები, როცა საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვას ახდენს ის პირი, რომლის მიმართაც ბანკს აქვს ხანდაზმული მოთხოვნა. ისმის კითხვა, წარმოადგენს თუ არა გამსესხებლის მიერ ანგარიშზე თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა ვალის აღიარებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტება, რომ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად სსკ-ის 137-ე მუხლით განსაზღვრული სხვაგვარი აღიარების გამოყენებისას, რომელიც, თავის მხრივ, შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს, აუცილებელია მოვალის ისეთი ქმედება, რომლითაც იკვეთება პირის ნება ვალდებულების არსებობასთან დაკავშირებით.³²⁶ მსესხებლის მიერ ვალის სხვაგვარად აღიარების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია მოვალის ნება ვალდებულების აღიარებაზე და შესრულების მზაობა არაორაზროვნად დგინდებოდეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ განმარტა, რომ გამსესხებლის მიერ თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა არ უნდა იქნეს შეფასებული ვალის სხვაგვარ აღიარებად.³²⁷

სასამართლოს მსგავს განმარტებას საფუძველად უდევს ხელშეკრულების ე.წ. სუსტი მხარის ინტერესების დაცვა, ისევე როგორც სამართლიანობის პრინციპის პრიორიტეტულად აღიარების იდეა.

პრაქტიკაში ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულების ფაქტს. ბუნებრივია ისმის კითხვა, მსგავსი შესრულება იწვევს თუ არა უკვე არსებულ დავალიანებაზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას და ხომ არ იცვლება

³²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის №ას-585-556-2013 განჩინება.

³²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის №ას-856-806-2015 განჩინება.

³²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის №ას-330-733-06 გადაწყვეტილება.

³²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის №ას-384-358-2017 განჩინება.

მდგომარეობა თავდების მიერ ვალდებულების შესრულებისას. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და არსებითია მოვალის ინტერესების დაცვის კუთხით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულობის ვადის დენა არ იწყება მანამ, ვიდრე მოვალის ანგარიშზე თანხის განთავსება მიმდინარეობს. ამასთან, უმნიშვნელოა, თუ ვის მიერ ხდება თანხის ანგარიშზე განთავსება - პირადი მოვალის, თავდების თუ ნებისმიერი მესამე პირის. არსებითია, რომ კრედიტორი იკმაყოფილებს მოთხოვნას. შესაბამისად, არ აქვს ადგილი ვალდებულების დარღვევის ფაქტს.³²⁸

კასატორის პრეტენზია ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის შეწყვეტის ინსტიტუტის არასწორი შეფასების თაობაზე,³²⁹ გამსესხებლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკის გაზრდის საფუძველით, უნდა იქნეს გაზიარებული. კერძოდ, გამსესხებელმა შეიძლება ხანდაზმული სესხის „გაცოცხლებს“ მიზნით განახორციელოს მესამე პირების მეშვეობით თანხის განთავსება მოვალის საბანკო ანგარიშზე და ამ ფორმით მოახდინოს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა ვალის აღიარების საფუძველით.

გასათვალისწინებელია, რომ როცა მოვალე თავის ვალდებულებას ცნობს, კრედიტორს არ აქვს მის მიმართ მოთხოვნის განხორციელების საფუძველი. უდავო მოთხოვნას არ შეიძლება ხანდაზმულობა ემუქრებოდეს.³³⁰ ხანდაზმულობის შეწყვეტას იწვევს აღიარება, ხოლო აღიარების ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი საქციელი, რომლიდანაც კრედიტორისათვის ცხადად და არაორაზროვნად გამომდინარეობს, რომ მოვალეს გაცნობიერებული აქვს ვალდებულების არსებობა.³³¹ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალის აღიარება წარმოადგენს ახალი დამოუკიდებელი მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს.³³²

რაც შეეხება თავდების მიერ მოვალის ანგარიშზე თანხის განთავსებას, ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტაზე შეიძლება იყოს საუბარი მხოლოდ მაშინ, თუ ეს ქმედება მიჩნეულ იქნება აღიარებად.

იმისათვის, რომ აღიარება შეფასდეს სამართლებრივი შედეგის წარმოშობ ქმედებად, აუცილებელია, რომ განმცხადებელი აცნობიერებდეს გამოხატული ნების სამართლებრივ შედეგებს.³³³ ვინაიდან ვალდებულების აღიარება წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს მხოლოდ მოვალისათვის, ვალის აღიარებაზე უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენს ეს უკანასკნელი. შესაბამისად, ნებისმიერი სხვა პირის მიერ ვალის აღიარების შემთხვევაში არ უნდა დადგეს აღიარების სამართლებრივი შედეგები.

³²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №ას-730-698-2016 გადაწყვეტილება - აღწერილობითი ნაწილი.

³²⁹ იხ. იქვე.

³³⁰ *Peters F.*, Das Anerkenntnis des Schuldners im System des Verjährungsrechts, JZ, 58. Nr. 17, Jahrgang, 2003, 838-839.

³³¹ *Werkmeister C.*, Zur Verjährung des kaufrechtlichen Nacherfüllungsanspruchs, Jura, Heft 1, 35. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2013, 41.

³³² *ჩიტოშვილი თ.*, ვალის არსებობის აღიარება დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკის ქრილში, „სამართლის ჟურნალი“ №1 2017, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2017, 93.

³³³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 დეკემბრის №2ბ/2737-14 განჩინება.

ამ შემთხვევაშიც უშუალოდ მოვალის ანგარიშზე თავდების მიერ თანხის შეტანა არ უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად, რადგან კონკრეტული პირის ანგარიშზე თანხის შეტანისას არ არის სახეზე თავად ამ პირის ნება. მაგრამ, განსხვავებულად უნდა შეფასდეს მდგომარეობა, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თავდების მიერ ვალდებულების შესრულების მიზნით საბანკო ანგარიშის გახსნა და ასეთ ანგარიშზე თანხის შეტანისას გამსესხებლის უფლება, მოახდინოს ვალდებულების შესრულების მიზნით თანხის ჩამოჭრა.

იმ შემთხვევაში, როცა საკითხი შეეხება სოლიდარულ თავდებობას, რელევანტურია სსკ-ის 468-ე მუხლის გამოყენება, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან მიმართებით არსებული ფაქტების სხვა სოლიდარული მოვალეებისადმი გამოყენებას. ვინაიდან სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში თავდები წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს, ხოლო ხანდაზმულობა ფაქტის საკითხს, მიზანშეწონილია, თავდების მიერ საკუთარ ანგარიშზე თანხის შეტანის სამართლებრივი შედეგები წარმოშობილად ჩაითვალოს მხოლოდ თავდების და არა სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ. ეს ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, პირადი მოვალის, რომელსაც აქვს სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, ინტერესების დაცვას და, მეორე მხრივ, გამსესხებლის ინტერესის დაცვას - დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.

1.3. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავისებურებანი, მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებების გამოყენებისას

პრაქტიკაში უფრო და უფრო იმატებს სესხის ხელშეკრულების დადებისას მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებების გამოყენების შემთხვევები. ხშირია სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ფაქტები, რა დროსაც დღის წესრიგში დგება ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის რელევანტური ვადის გამოყენების საკითხი. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის კვლევა განხორციელდება სწორედ სესხის ხელშეკრულების მაგალითზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, კანონმდებლობით არ არსებობს სპეციალური რეგულაცია სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობისას აქცესორული უფლების სამართლებრივ ბედთან დაკავშირებით.³³⁴ ასევე არ არსებობს ნორმა, რომელიც გამორიცხავს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გავლენას

³³⁴ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, 20.

სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებზე.³³⁵ მსგავსი მოწესრიგების პირობებში შეიძლება ბუნებრივად გაჩნდეს კითხვა, რა სამართლებრივი ბედი ეწევა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას სესხის ხელშეკრულების ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობისას? შეუძლია თუ არა კრედიტორს ხანდაზმულობის მიუხედავად დაიკმაყოფილოს მოთხოვნა უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის გზით?³³⁶

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უნდა იქნეს მიჩნეული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ, რადგან შესაძლებელია დაუკავშირდეს სასარჩელო ხანდაზმულობის განსხვავებული ვადების გამოყენებას.

ზოგადად, აქცესორულ სანივთო უფლებებზე ხანდაზმულობის ვადის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს აზრთა ერთიანობა. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობა არ არის პირდაპირ დაკავშირებული სანივთო გარიგებასთან და ეს უკანასკნელი არ იზიარებს ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივ ბედს. შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ნივთიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.³³⁷ ნაწილი ემხრობა სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების სიტყვასიტყვით განმარტებას და უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებით შემოფარგვლას. კერძოდ, აქ მხედველობაშია მისაღები არა უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები, არამედ უფლებები, რომლებიც წარმოიშობა სანივთო გარიგებიდან.³³⁸

თუ იპოთეკიდან გამომდინარე სანივთო უფლებებზე ინდივიდუალურად გავრცელდება ხანდაზმულობის ვადა, მაშინ უნდა გაირკვეს ამგვარი ვადის ხანგრძლივობის საკითხიც. ვინაიდან იპოთეკის წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შესაბამისი სახელშეკრულებო შეთანხმების არსებობა, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადის გამოყენება. ერთ-ერთ საქმეში მხარე აპელირებდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადის გამოყენების თაობაზე, ვინაიდან საკითხი შეეხებოდა უძრავ ნივთზე არსებულ უფლებას.³³⁹ თუმცა 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის გრამატიკული (სიტყვასიტყვითი) განმარტებით ის იზღუდება

³³⁵ *ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ.,* სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003, 177.

³³⁶ *ჭანტურია, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.),* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 319, 60.

³³⁷ *თოდუა მ., ვილემსი ჰ.,* ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, 20.

³³⁸ *ბარაზი ი.,* საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3 (42) 14, თბილისი, 2014, 73.

³³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის №ას-333-653-09 გადაწყვეტილება.

მხოლოდ უძრავ ნივთზე ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებით, რაც გამორიცხავს 6-წლიანი ვადის გამოყენებას.³⁴⁰

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, იპოთეკის დადგენისას საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციას წინ უძღვის მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმება. შესაბამისად, საუბარია არა ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე, არამედ უფლებებზე, რომელთა წარმოშობა უკავშირდება ხელშეკრულებით დადგენილ სანივთო უფლებას, რის გამოც, უფლებებზე, რომლებიც წარმოიშობიან სანივთო დატვირთვის შედეგად, ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო - 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.³⁴¹ ანალოგიური მიდგომაა გირავნობის უფლებასთან მიმართებით. სახელშეკრულებო გირავნობა წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების შედეგს და ის არ შეიძლება წარმოიშვას მოვალის ნებისაგან დამოუკიდებლად.³⁴²

ამ მხრივ საკმაოდ ბუნდოვანია გსკ-ის მიდგომა. გსკ-ის 902 II პარაგრაფის პირველი წინადადების გამოყენება, რომელიც გამორიცხავს სანივთო სამართლიდან გამომდინარე იმ მოთხოვნების, რომლებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ხანდაზმულობას დაქვემდებარებას, უკავშირდება გამიჯვნის პრობლემას. პირველ რიგში გადასაწყვეტია საკითხი იმის შესახებ, ის ეხება უფლებას თუ მხოლოდ მისი განხორციელების ხელშეშლას. პირველ შემთხვევაში მოთხოვნა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, მეორე შემთხვევაში მოქმედებს ზოგადი ხანდაზმულობის ვადა. აქედან გამომდინარე, რეგისტრირებული უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნების შემთხვევაში ხანდაზმულობის შესაგებელი შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ის არ არის დამოკიდებული უფლების შემდგომ განხორციელებაზე.³⁴³ კრედიტორი უფლებამოსილია ხანდაზმული მოთხოვნის უზრუნველყოფი უფლებებიდან (იპოთეკა, გირავნობის უფლება) დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.³⁴⁴ მოვალეს შეუძლია ხანდაზმულობის შესაგებლის წარდგენით მოთხოვნის განხორციელება თავიდან აიცილოს, თუმცა ეს არ იწვევს უზრუნველყოფის გამოყენების პრევენციას.³⁴⁵

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით გაზიარებულ უნდა იქნეს სასამართლოს განმარტება, რომ იპოთეკა როგორც სანივთო სამართლებრივი გარიგება, რომელიც აქცესორულ უფლებას წარმოადგენს, არ შეიძლება არსებობდეს ძირითადი მოთხოვნის გარეშე, ის არის დამატებითი მოთხოვნა,³⁴⁶

³⁴⁰ *ჟანტურია ლ., ბოელინგი ჰ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003, 178.

³⁴¹ *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, 20.

³⁴² *ზარანდია თ., ჯუღელი თ.*, მოძრავი ნივთით მოთხოვნის უზრუნველყოფა ქართულ სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(21)'09, თბილისი, 2009, 29.

³⁴³ BGH, Urt. v. 28.1.2011 – V ZR 141/10.

³⁴⁴ *Boemke B., Ulrici B.*, BGB Allgemeiner Teil, Springer-Verlag Berlin Heidelberg 2009, Rn. 30.

³⁴⁵ *Sebastian B.*, Aktuelle Probleme des Verjährungsrechts, Jura, Heft 7/2009, 31. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2009, 484.

³⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის №ას-333-653-09 გადაწყვეტილება.

რომელიც იზიარებს ძირითადი უფლების სამართლებრივ მდგომარეობას. ძირითადი უფლების ხანდაზმულობის შემთხვევაში ანალოგიური შედეგი ვრცელდება დამატებით მოთხოვნაზე.³⁴⁷ მოთხოვნის ხანდაზმულობის შემოწმება და იპოთეკის აქცესორული ბუნების განხილვა არსებითია მოთხოვნის საფუძვლიანობის განსაზღვრისათვის.³⁴⁸ ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დამაჯერებლად განმარტა, რომ იპოთეკის სანივთო უფლების აქცესორული ბუნება გულისხმობს იპოთეკის არსებობას მანამ, ვიდრე იარსებებს უზრუნველყოფილი მოთხოვნა.³⁴⁹ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნა აღარ არსებობს ან მისი განხორციელება შეუძლებელია, ეს უნდა იწვევდეს იმავე სამართლებრივ შედეგებს უზრუნველყოფის მიმართ. იმ ვარაუდის დაშვება, რომ სანივთო უზრუნველყოფის საშუალება ძირითადი მოთხოვნისაგან დამოუკიდებელ ხანდაზმულობის ვადას ექვემდებარება, გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის გახანგრძლივებას, რაც შეუსაბამო იქნება ხანდაზმულობის ვადების შეცვლის აკრძალვის წესთან. ამასთან, აზრი ეკარგება ძირითადი მოთხოვნის მიმართ მოქმედ ხანდაზმულობის ვადას.

1.4. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავისებურებანი მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებითი საშუალებების გამოყენებისას

როგორც წესი, სესხის ხელშეკრულებით მხარეები ითვალისწინებენ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს, როგორც ვალდებულების შესრულების დამატებით გარანტიას.³⁵⁰ დამატებითი ვალდებულება ძირითადი ვალდებულებისაგან იმით განსხვავდება, რომ არ მოიცავს პირდაპირ საპასუხო მოქმედებას.³⁵¹

პროცენტი გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან ან კანონიდან.³⁵² კანონმდებელი არ ადგენს პროცენტის რაიმე ფორმით განმარტებას, თუმცა მასში უნდა მოიაზრებოდეს საზღაური კაპიტალით სარგებლობისათვის, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია კაპიტალში არსებულ წილზე.³⁵³

³⁴⁷ ვრცლად იხ. სსკ-ის 145-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისის №ას-369-350-2015 განჩინება.

³⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის №ას-1345-2018 განჩინება.

³⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის №ას-363-339-2017 განჩინება.

³⁵⁰ *მესხიშვილი ქ.*, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, თბილისი 2014, 18.

³⁵¹ *ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, ბრემენი - თბილისი, 2009, 31.

³⁵² *Welser R., Zöchling-Jud B.*, Grundriss des bürgerlichen Rechts Band II: Schuldrecht Allgemeiner Teil, Schuldrecht Besonderer Teil, Erbrecht, 14. Auflage, Manz Verlag, Wien, 2015, Rn. 171.

³⁵³ *ძლიერიშვილი ზ.*, ვალდებულების შესრულება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2006, 106.

პროცენტის მოთხოვნის მიმართ მოქმედებს 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. ეს მცირე ვადა იცავს დაუდევარ მოვალეს მუდმივად ვადაგადაცილებული პროცენტისგან. უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადა შეიძლება სარჩელის წარდგენით, აღიარებით ან მორიგებით იქნეს მიღწეული.³⁵⁴

სსკ-ის 145-ე მუხლიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნა იზიარებს ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივ ბედს სასარჩელო ხანდაზმულობასთან მიმართებით.³⁵⁵ ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა ანალოგიურ შედეგებს იწვევს დამატებითი მოთხოვნის მიმართაც,³⁵⁶ მიუხედავად დამატებითი მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ან დასრულების მომენტისა.³⁵⁷ ხანდაზმულობა არ დგება, როცა კრედიტორმა პროცენტისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობამდე გახადა სადავო ან როცა ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობა შეწყდა.³⁵⁸

ანალოგიურ სამართლებრივ ბედს იზიარებს პირგასამტეხლოც. ძირითადი ვალდებულების შესრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლა იწვევს პირგასამტეხლოს ხანდაზმულობასაც, რაც განპირობებულია პირგასამტეხლოს აქცესორული ხასიათით.³⁵⁹ ერთ-ერთ საქმეზე პირგასამტეხლოს ოდენობის დადგენასთან დაკავშირებით ხანდაზმულობის განსხვავებული ვადების და ვადის ათვლის განსხვავებული წესის გამოყენება სახელმწიფოსა და კერძო პირებს შორის შრომით-სამართლებრივი დავის დროს მიჩნეულ იქნა კონვენციის დარღვევად.³⁶⁰

კანონმდებლის მსგავსი მიდგომა მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე. შეუძლებელია არსებობდეს მხოლოდ პროცენტის მოთხოვნის უფლება ძირითადი ვალდებულების არსებობის გარეშე, თუმცა ეს არ გამოირიცხავს სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვისას მხოლოდ პროცენტის მოთხოვნას. სამართალწარმოების პროცესში მოქმედი შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად,

³⁵⁴ Kropff R., Aktuelle Fragen des Hypothekenrechts, Dissertation, zur Erlangung des akademischen Grades, Universität Wien, Wien, 2007, 25 < http://othes.univie.ac.at/5042/1/2008-10-29_9701937.pdf > [16.03.2019].

³⁵⁵ *ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ.,* სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003, 186.

³⁵⁶ *იოსელიანი ნ.,* მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016, 132.

³⁵⁷ Reich D. O., Einführung in das Bürgerliche Recht, 5. Auflage, Springer Fachmedien Verlag, Wiesbaden, 2016, 150.

³⁵⁸ Huber U., Leistungsstörungen, Band I, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 1999, 320.

³⁵⁹ *კვიციანი ე.,* სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(50)16, თბილისი, 2016, 86; *მესხიშვილი ე.,* პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, თბილისი 2014, 2.

³⁶⁰ ზოუბოულიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Zouboulidis v. Greece) 36963/06 No. 120 მითითებულია: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2010, 54.

სრულიად მოსარჩელეზეა დამოკიდებული, რა მოცულობით მოითხოვს ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, თუ მის სურვილს წარმოადგენს მხოლოდ პროცენტის ან მხოლოდ ძირითადი თანხის ანაზღაურება, გონივრულია იმის ვარაუდი, რომ სხვა თანხა მან აპატია მოვალეს, რაც ამკარა ფორმით გამოხატა კიდევ სარჩელში. ამასთან, პროცენტის მოთხოვნასთან მიმართებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოთხოვნას ექვემდებარება მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში შეთანხმებული პროცენტი. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პროცენტის მოთხოვნა დაუშვებელია, როგორც ეს უკვე იქნა ზემოთ მითითებული.³⁶¹

არანაკლებ საინტერესოა თავდების მიმართ ხანდაზმულობის ვადების გავრცელების საკითხი. ამ შემთხვევის განხილვისას საკვლევ თემად შეიძლება დასახელდეს თავდების უფლებამოსილების ფარგლები ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობისას.

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკით, ძირითად მოვალეს არ შეუძლია ხანდაზმულობის შესაგებელზე უარის თქმით თავდების პასუხისმგებლობა გაზარდოს, იმის მიუხედავად ძირითადი მოვალის მიერ ხანდაზმულობაზე უარის გაცხადების მომენტში ძირითადი ვალდებულება იყო თუ არა ხანდაზმული.³⁶²

თავდებობის მკაცრად აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე თავდებს შეუძლია წარადგინოს ძირითადი მოვალის შესაგებელი, მათ შორის, ხანდაზმულობის შესაგებელი.³⁶³ თუ ძირითადი მოვალე დაკარგავს შესაგებელს, აღნიშნულს კარგავს თავდებიც, გარდა ცალკეული საგამონაკლისო შემთხვევებისა.³⁶⁴ თავდებს შეუძლია კრედიტორის მიმართ გამოიყენოს ყველა შესაგებელი, რომლებიც ძირითად მოვალეს კრედიტორის მიმართ აქვს, გამოიყენოს და გადახდა უარყოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ძირითადი მოვალე შესაგებელს არ ეთანხმება.³⁶⁵ თავდებს შეუძლია გადახდაზე უარი თქვას მაშინაც, როცა მოვალეს შეეძლო ძირითადი ვალდებულების საფუძვლად არსებული გარიგების შეცილება.³⁶⁶

გასაზიარებელია გამოთქმული მოსაზრება, მსგავსი რეგულაციის დადგენის მიზნად თავდების მდგომარეობის გაუარესების პრევენციის თაობაზე იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი მოვალე უარყოფს ხანდაზმულობის შესაგებელს.³⁶⁷

შეუძლია თუ არა თავდებს მოვალის შესაგებლის გამოყენება მაშინ, როცა ძირითადმა მოვალემ შესაგებელი პროცენტის არასწორი წარმართვის გამო

³⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის №ას-1219-1160-2014 გადაწყვეტილება.

³⁶² BGH Urt. v. 18.09.2007 – XI ZR 447/06.

³⁶³ *ჟანტურია ლ., ბოელინგი ჰ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003, 182.

³⁶⁴ *Sprau in Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar, Band 7, 75. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2015 §768 Rn. 6.*

³⁶⁵ *Reich D. O., Einführung in das Bürgerliche Recht, 5. Auflage, Springer FachmedienVerlag, Wiesbaden, 2016, 349.*

³⁶⁶ იხ. იქვე.

³⁶⁷ BGH Urt. v. 18.09.2007 – XI ZR 447/06.

დაკარგა, დამოკიდებულია იმაზე, დადასტურდება თუ არა თავდების საზიანოდ ძირითად მოვალესთან შეთანხმებული ქმედების ფაქტი.³⁶⁸ თუმცა თავდებს ენიჭება შესაგებლის წარდგენის უფლება და არა ვალდებულება. შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ეს შესაგებელი თავად გაითვალისწინოს.³⁶⁹ იმ შემთხვევაშიც კი, როცა თავდებობა გამოყენებულია კანონისმიერი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, რომლის ხანდაზმულობის ვადა უფრო ხანგრძლივია, თავდებს შეუძლია დაეყრდნოს ხანდაზმულობის ზოგად 3-წლიან ვადას, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებას.³⁷⁰

აღსანიშნავია, რომ თავდებობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს სოლიდარული თავდებობა.³⁷¹ პირები, რომლებიც სოლიდარულ პასუხისმგებლობას ატარებენ, პასუხს აგებენ ვალდებულების დარღვევისათვის, როგორც ძირითადი მოვალეები. შესაბამისად, მათ შეუძლიათ ძირითადი მოვალის შესაგებლის (მათ შორის, ხანდაზმულობის) გამოყენება.³⁷² სოლიდარული თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნების ვადამოსულობა დგება ძირითადი ვალდებულების ვადამოსულობით და არ არის დამოკიდებული კრედიტორის შესრულების მოთხოვნაზე.³⁷³ საერთო ვალდებულების შემთხვევაში შეთანხმებები კრედიტორსა და მოვალეს შორის არ მოქმედებს დანარჩენი მოვალეების სასარგებლოდ ან საზიანოდ, რაც ასახვას ჰპოვებს ხანდაზმულობაზეც.³⁷⁴

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა უნდა შეფასდეს სრულიად გონივრულად თავად თავდებობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე.

2. მჩუქებლის მიერ ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადა

ჩუქების ხელშეკრულების განხილვისას წარმოიშობა საკითხები, რომლებიც სსკ-ით სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული. სახელდობრ, ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის მარეგულირებელი ნორმები ბუნდოვანია და განმარტებას საჭიროებს. ჩუქების ხელშეკრულება ხშირად გამოიყენება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის. ჩუქების ხელშეკრულების აქტუალურობის კვალდაკვალ პრაქტიკაში ხშირად დგება ხელშეკრულების გაუქმებისა და ნივთის მჩუქებლის საკუთრებაში დაბრუნების საკითხი.

³⁶⁸ BGH Urt. v. 14.6.2016 – XI ZR 242/15.

³⁶⁹ *ჟანტურია ლ., ბოელინგი ჰ.*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003, 181.

³⁷⁰ იხ. იგივე, გვ. 183.

³⁷¹ *ქიქელაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <www.gccc.ge>, 2019, მუხლი 891, ვნ. 7 [31.03.2019].

³⁷² *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, 19

³⁷³ BGH Urt. v. 11.09.2012 – XI ZR 56/11.

³⁷⁴ *Dullinger S.*, Bürgerliches Recht Band II: Schuldrecht Allgemeiner Teil, 4. Auflage, Springer-Verlag Wien, 2010, Rn. 6/5.

ხსენებულ თემასთან დაკავშირებით არ არსებობს მრავალფეროვანი პრაქტიკა, რაც აორმაგებს საკითხის კვლევის ინტერესს.

მჩუქებელი ნივთის დასაჩუქრებულის საკუთრებაში გადაცემით არ კარგავს მომავალში კანონით ზუსტად განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას ნივთის გამოთხოვის შესაძლებლობას, ვინაიდან ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება არ უნდა იქნეს განხილული თავისუფლების შეზღუდვად. ჩუქების გაუქმებით დასაჩუქრებულს ეკისრება „ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქცია“.³⁷⁵

ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება დაეფუძნოს ორ საფუძველს, დასაჩუქრებულის უმადურობის ფაქტს ან მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მითითებული საფუძვლებით ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების ინდივიდუალურად შეფასება.

2.1. დასაჩუქრებულის უმადურობის საფუძვლით ჩუქების გაუქმების ხანდაზმულობის ვადის თავისებურებანი

დასაჩუქრებულის უმადურობის საფუძვლით ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით მოქმედებს სპეციალური ვადა.³⁷⁶ სსკ-ის 529-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჩუქების გაუქმება შესაძლებელია განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში.³⁷⁷ ანალოგიური ვადაა დადგენილი გსკ-ის 530 I პარაგრაფით.³⁷⁸ აღნიშნული ვადის ათვლას კანონმდებელი უკავშირებს არა ნივთის გაჩუქების დღეს,³⁷⁹ არამედ იმ მომენტს, როცა მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების თაობაზე, რაც მას აძლევს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების უფლებას.³⁸⁰ აღნიშნული კი შეფასებით კატეგორიას წარმოადგენს. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ პირის სასჯელალსრულების დაწესებულებაში ყოფნა წარმოადგენს ისეთ გარემოებას, როცა ეს უკანასკნელი მოკლებულია გარიგების დადების თაობაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.³⁸¹

³⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის №2/155 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³⁷⁶ *ძლიერიშვილი ზ.* ჩუქების გაუქმების საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები, „სამართლის ჟურნალი“ №1 2017, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2017, 117.

³⁷⁷ *შენგელია რ.*, ჩუქების ხელშეკრულება, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი კვარტალი, თბილისი, 2001, 46; *ძლიერიშვილი ზ.*, ჩუქების სამართლებრივი ბუნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004, 37.

³⁷⁸ *Bönninghaus A.*, Schuldrecht Besonderer Teil I: Kauf-, Werk-, Reisevertrag und Schenkung, 2. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2012, Rn. 471.

³⁷⁹ *ძლიერიშვილი ზ.* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010, 243.

³⁸⁰ *ძლიერიშვილი.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <gcc.ge>, 2019, მუხლი 529, ვნ. 25, [30.03.2019].

³⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 ივნისის №ას-265-594-05 გადაწყვეტილება.

მჩუქებელს აქვს დისკრეცია, გადაწყვიტოს დასაჩუქრებულის რომელი ქმედება წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის რელევანტურ მომენტს.³⁸² იმ შემთხვევაში, თუ თავად ქმედების ხასიათიდან გამომდინარე მჩუქებლისათვის ცნობილია უმადურობის ფაქტი, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება დასაჩუქრებულის ქმედების განხორციელების მომენტიდან.³⁸³ ამ შემთხვევაში ითვლება, რომ მჩუქებელმა იცის დასაჩუქრებულის ქმედების შესახებ, მაგრამ არაფერს მოიმოქმედებს და ითმენს ამ ქმედებას.³⁸⁴

თუ ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნას, გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ვადის ათვლის მომენტის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მოპასუხემ დაამტკიცოს, რომ კრედიტორი ამ პუბლიკაციას ნამდვილად გაეცნო.³⁸⁵ სხვა შემთხვევაში, ჩუქების გაუქმების ვადის ათვლა არ დაუკავშირდება პუბლიკაციის გამოქვეყნების დღეს.

ჩუქების გაუქმების მიმართ ხანდაზმულობის ვადის შემოღება უნდა იქნეს მიჩნეული დასაჩუქრებულის ინტერესების დაცვის შესაძლებლობად. მჩუქებელს არ უნდა შეეძლოს დროში შეუზღუდავად საკუთარი მოთხოვნის დაყენება, ვინაიდან აღნიშნული შეუსაბამო იქნება ხანდაზმულობის მიზნებთან. თუმცა ხანდაზმულობის აღნიშნული მიზნის მიღწევა საკმაოდ გართულებულია ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტურ მომენტზე დაფუძნებისას. რეალურად, შესაძლებელია ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ დასაჩუქრებულის ქმედების შედეგად დადგეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საკითხი, რაც შეუსაბამო იქნება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციის, სახელშეკრულებო დისციპლინის სიმყარისა და სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეების უფლებებისა და ვალდებულებების დროულად განხორციელების მიზნებთან.

მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც უკვე ზემოთ იყო შემოთავაზებული, ხანდაზმულობის სუბიექტური ვადების ობიექტური საერთო ვადით შეზღუდვის წესის განსახილველ შემთხვევაზე გავრცელება. სხვა შემთხვევაში, იარსებებს უფლების განუსაზღვრელი დროით არსებობის რისკი, რაც აზრს დაუკარგავს სასარჩელო ხანდაზმულობის არსებობას. ამასთან, დასაჩუქრებულის აღმოჩნდება არასახარბიელო მდგომარეობაში, რადგან ჩუქების ხელშეკრულების ობიექტზე საკუთრების უფლების მოპოვების მიუხედავად დროში შეუზღუდავად იქნება შესაძლებელი ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნება.

სსკ-გან განსხვავებით გსკ ადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების დაუშვებლობის დამატებით საფუძველს. კერძოდ, ასეთად დასახელებულია მჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულისათვის მის მიერ ჩადენილი ქმედების

³⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №ას-62-59-2012 გადაწყვეტილება.

³⁸³ იხ. იქვე.

³⁸⁴ *Bömmingshaus A.*, Schuldrecht Besonderer Teil I: Kauf-, Werk-, Reisevertrag und Schenkung, 2. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2012, Rn. 471.

³⁸⁵ *Millgramm E., Grafmüller P.*, Verjährungsproblematik der §§195, 199 BGB am Beispiel der Rückabwicklung sittenwidriger Schenkung, MDR, Heft 20, 62. Jahrgang, 2008, 1140.

პატიება. პატიება არ წარმოადგენს გარიგების სახეს, არამედ ის არის რეალაქტი.³⁸⁶ მჩუქებლისათვის პატიება იწვევს უფლების განუსაზღვრელი ვადით განუხორციელებლობას. მჩუქებლისათვის გასაგები უნდა იყოს დასაჩუქრებულის ქმედება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მის მიერ პატიების გამოხატვა. პატიების დროს მჩუქებელი აცხადებს, რომ დასაჩუქრებულის ქმედება მისთვის აღარ არის ზიანის მომტანი და სწორედ ამიტომ პატიობს მას. მტკიცების ტვირთი, რომ მჩუქებელმა ნამდვილად აპატია დასაჩუქრებულს მის მიერ განხორციელებული ქმედება, ეკისრება დასაჩუქრებულს.³⁸⁷ შესაძლებელია, რომ დასაჩუქრებულის რამდენიმე გასაკიცხი ქმედების არსებობის შემთხვევაში მჩუქებელმა მხოლოდ ერთი აპატიოს ამ უკანასკნელს.³⁸⁸

პატიების ინსტიტუტის დადგენის მიზანშეწონილობის შეფასებისას საგულისხმოა ამ ინსტიტუტის უღირსი მემკვიდრისათვის პატიების ნორმებთან შედარება. სსკ-ით დაუშვებელია პირის უღირს მემკვიდრედ ცნობა იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი აპატიებს მემკვიდრეს, რასაც ანდერძში აშკარა ფორმით გამოხატავს.³⁸⁹ ამასთან, უღირს მემკვიდრედ პირის მიჩნევის სსკ-ით გათვალისწინებული საფუძვლები გსკ-ში მოქმედი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლების ანალოგიურია.

ზოგადად, გაზიარებულ უნდა იქნეს პოზიცია იმის თაობაზე, რომ ის რაც ერთ ქვეყანაში არის ეფექტიანი, შეიძლება სხვა ქვეყანაში არ იქნეს გამოსადეგი, საჭიროა შესაბამისი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინება.³⁹⁰ მჩუქებლისათვის პატიების ინსტიტუტის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულირება უნდა შეფასდეს უფრო გონივრულ და მკაფიო მოწესრიგებად შემდეგ გარემოებათა გამო: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების აუცილებელ წინაპირობას, რომლის განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ მჩუქებლის ნება-სურვილზე.³⁹¹ მჩუქებლის უმოქმედობა ფაქტობრივად შეიძლება შეფასდეს პატიებად, დამატებითი საფუძვლის დადგენის გარეშე. თავად საქმის წარმოების პროცესშიც შეუძლია მჩუქებელს დასაჩუქრებულის „პატიება“ სარჩელის გამოხმობის ან სარჩელზე უარის თქმის ფორმით, რის შესაძლებლობასაც ადგენს საპროცესო კანონმდებლობა. შესაბამისად, არ უნდა

³⁸⁶ *Bönningshaus A.*, Schuldrecht Besonderer Teil I: Kauf-, Werk-, Reisevertrag und Schenkung, 2. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2012, Rn. 471.

³⁸⁷ *Schellhammer K.*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 8. Auflage, Verlag C. F. Müller, Heidelberg, 2011, Rn. 166.

³⁸⁸ *Koch* in Müko zum BGB, 6. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2012, §532, Rn. 3

³⁸⁹ *ბილინივი ჰ.*, უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №6/2003-4, თბილისი, 2003, 524.

³⁹⁰ *მესხიშვილი მ.*, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბილისი, 2004, 34.

³⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის № ას-1342-1380-2014 განჩინება.

იქნეს მიზანშეწონილად მიჩნეული აღნიშნული საკითხის ცალკე საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

2.2. მატერიალური მდგომარეობის გაუარესების საფუძვლით ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადის თავისებურებანი

სსკ არ განსაზღვრავს მატერიალური მდგომარეობის გაუარესების საფუძვლით ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის უფლების რეალიზაციისათვის კონკრეტულ ვადას. თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განიმარტოს უფლების განხორციელების შეუზღუდავად გამოყენების წინაპირობად, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საკუთრების უფლების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.³⁹²

ვინაიდან ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები არ ადგენს ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას, შესაძლოა განხილულ იქნეს სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის, რომელიც მოძრავ ნივთთან მიმართებით წარმოადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებზე - 6 წელს, ან სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადის, რომელიც შეადგენს ათ წელს, გამოყენების საკითხი.

ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის ხანდაზმულობის ვადაზე მსჯელობისას არსებითაა თავად ამ ნორმის გაანალიზება მისი მიზნიდან გამომდინარე. სსკ-ის 530-ე მუხლის მიხედვით, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა მჩუქებელს შეუძლია შემდეგი წინაპირობების არსებობისას: ა) მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში, მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე; ბ) თუ რეალურად არსებობს გაჩუქებული ნივთი; გ) თუ საჩუქრის დაბრუნება არ ჩააყენებს დასაჩუქრებულს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.³⁹³

კანონმდებლობით დადგენილი ნორმის გამოყენების მითითებული წინაპირობები ემსახურება მჩუქებლისა და დასაჩუქრებულის ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვას. შესაბამისად, ამ ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაც უნდა წარმოადგენდეს იმავე ინტერესის მიღწევის საშუალებას. სსკ-ის 530-ე მუხლი ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის წინაპირობად მხოლოდ ნაჩუქარი ნივთის რეალურად არსებობასა და დაბრუნებით დასაჩუქრებულის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენების პრევენციას ასახელებს. ეს მოთხოვნები ვერ იქნება მიჩნეული ხანდაზმულობის სხვა მიზნებიდან (სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობიდან) გამომდინარე დაცვის საკმარის საშუალებად.³⁹⁴

ამასთან, კანონის ტექსტიდან ბუნდოვანია ხანდაზმულობის ვადის დაწყების საკითხიც. არ არის აშკარად გამოკვეთილი არც სუბიექტურ და არც

³⁹² ჩაჩავა ს., მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 162.

³⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის №ას-73-419-07 გადაწყვეტილება.

³⁹⁴ ძლიერიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <gcc.ge>, 2019, მუხლი 530, ვნ. 17, [30.03.2019].

ობიექტურ ფაქტორებზე ხანდაზმულობის ვადის დაფუძნება. სწორედ ამიტომ ხანდაზმულობის ვადის ათვლაც პრობლემურია.³⁹⁵

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომლის მიხედვითაც, სსკ-ის 530-ე მუხლის საფუძველზე ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის ვადის ფარგლები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ ჩუქების გაუქმების მოთხოვნა ხანდაზმულად იქნეს მიჩნეული, თუ ნაჩუქარი ნივთის გადაცემიდან გასულია 10 წელი.³⁹⁶ ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლის წერტილად საჩუქრის გადაცემის დროის მიჩნევა თავად სსკ-ის 530-ე მუხლში გაცხადებული დანაწესისა და მისი სამართლებრივი შედეგის სპეციფიკურობიდან გამომდინარეობს.³⁹⁷ სსკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილით ხანდაზმულობის ვადის დენის დაკავშირება დროსთან, როდესაც პირმა შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე, ემსახურება მიზანს - დამრღვევს ჰქონდეს მოლოდინი, რომ, სამოქალაქო უფლების დარღვევის შემთხვევაში ამ უკანასკნელს დაეკისრება პასუხისმგებლობა კრედიტორის მიერ უფლების დარღვევის თაობაზე შეტყობიდან კანონმდებლობით განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადაში სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში. სსკ-ის 530-ე მუხლით დადგენილი მოწესრიგების ფარგლებში მჩუქებლისა და დასაჩუქრებულის სამართლებრივი მდგომარეობის წონასწორობისა და ბალანსის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მჩუქებლის განკარგვის სფეროდან ნივთის დასაჩუქრებულის განკარგვის სფეროში გადასვლას, ნივთის გადაცემას უნდა დაუკავშირდეს, ვინაიდან ნივთის გამოთხოვის მიზანი ემსახურება ნივთის გაჩუქებით განცდილი დანაკლისის უკუგებას მძიმე მატერიალური ყოფის ფონზე.³⁹⁸ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხანდაზმულობის მიზნებთან უფრო თავსებადი იქნება ხანდაზმულობის საერთო ვადის გამოყენება, რომლის დინებაც დაიწყება ნაჩუქარი ნივთის გადაცემის მომენტიდან, განვითარებულია ასევე დოქტრინაში.³⁹⁹

საკითხის მსგავს გადაწყვეტას ითვალისწინებს გსკ-ის 529 I პარაგრაფის მეორე წინადადება, რომლის მიხედვითაც, ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა არის სპეციალური. მჩუქებელს შეუძლია დასაჩუქრებულის მიმართ წარადგინოს მოთხოვნა ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნით, თუ მისი მატერიალური მდგომარეობა გაუარესდა 10 წლის განმავლობაში.⁴⁰⁰

³⁹⁵ *ძლიერიშვილი ზ.*, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010, 258.

³⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის №ას-581-808-08 განჩინება.

³⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის №ას-572-572-2018 გადაწყვეტილება.

³⁹⁸ იქვე

³⁹⁹ *ძლიერიშვილი ზ.*, ჩუქების გაუქმების საფუძველები და სამართლებრივი შედეგები, „სამართლის ჟურნალი“ №1 2017, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2017, 119.

⁴⁰⁰ *Fikentscher W., Heinemann A.*, Schuldrecht, 10. Auflage, Walter de Gruyter & Co., Berlin, 2006, Rn. 979.

ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება არა ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტიდან, არამედ დასაჩუქრებულისათვის ჩუქების საგნის გადაცემიდან. ამ შემთხვევაში ვადის ათვლის დაწყება ემთხვევა დასაჩუქრებულისათვის ქონებრივი სარგებლის მიღების მომენტს.⁴⁰¹

სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ზოგადად, მიზანშეწონილია დაექვემდებაროს ხანდაზმულობას, ვინაიდან არ არსებობს რაიმე პატივსაღები საფუძველი ამ შემთხვევის მიმართ საგამონაკლისო წესის დადგენის საჭიროებასთან დაკავშირებით.

ამასთან, უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს განმარტება განსახილველი მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის საერთო ვადის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის ათვლაც დაუკავშირდება ქონების გადაცემის მომენტს. ეს ბუნებრივია, რადგან ჩუქების ხელშეკრულების დასაღებად კანონმდებელი აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს ქონების გადაცემის ფაქტს, რითაც აღნიშნულ ხელშეკრულებას მიაკუთვნებს რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას.⁴⁰² საკითხის მსგავსი რეგლამენტაცია წარმოადგენს გსკ-ით დადგენილ საკანონმდებლო მოწესრიგებასთან მისადაგების მცდელობას.

ვინაიდან სსკ-ის 530-ე მუხლი იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია 530-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და მჩუქებლისათვის მატერიალური მდგომარეობის გაუარესების საფუძველით გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის უფლების განხორციელების 10-წლიანი ვადის დაწესება, რომლის ათვლაც დაუკავშირდება ნივთის გადაცემის მომენტს. ამასთან, შესაძლებელია არსებული მოწესრიგების პირობებში სსკ-ის 530-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ მჩუქებლის მიერ ხსენებული მოთხოვნის განხორციელება დაექვემდებაროს ხანდაზმულობის ხსენებულ ვადაში მოთხოვნის წარდგენის თვალსაზრისით კონტროლს.

3. მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ვადა

სამოქალაქო ბრუნვა მუდმივად დაკავშირებულია რისკებთან. შესაძლებელია სესხის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გარდაიცვალოს მსესხებელი. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გამსესხებელი არ რჩება დაცვის გარეშე. მსესხებლის გარდაცვალება არ იწვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას, ვინაიდან აღნიშნული ურთიერთობა არ ატარებს მკაცრად პირად ხასიათს.

სსკ განსაზღვრავს კრედიტორის მიერ უფლების განხორციელების ვადებს. კერძოდ, მოთხოვნა უნდა იქნეს წარდგენილი 6 თვის განმავლობაში

⁴⁰¹ Koch in Mükö zum BGB 6. Auflage, Verlag C.H.Beck, München, 2012, §528 Abs. 1, Rn. 3; Krauß H., Der Rückforderungsanspruch wegen Verarmung des Schenkers im Kontext des Sozialhilferechts, ZEV, 2001, 423.

⁴⁰² შენგელია, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 525, 68.

სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობების მიღებიდან, გადახდის მოთხოვნის დადგომის მიუხედავად.⁴⁰³ ამასთან, მემკვიდრეებს ეკისრებათ მამკვიდრებლის კრედიტორებისათვის მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება იმ შემთხვევაში, როცა იციან მამკვიდრებლის ვალდებულების თაობაზე,⁴⁰⁴ ხოლო თუ არ იციან აღნიშნული ფაქტის შესახებ, ამ მოვალეობის განხორციელება შეიძლება დაევალოთ სანოტარო ორგანოებს ან სხვა პირებს.⁴⁰⁵ მამკვიდრებლის კრედიტორებს, თავის მხრივ, უფლება აქვთ 6 თვის განმავლობაში წარადგინონ პრეტენზია მემკვიდრეების ან ანდერძის აღმსრულებლის მიმართ ან სანოტარო ორგანოში.⁴⁰⁶

განსხვავებულ მოწესრიგებას ადგენს სსკ, როცა მამკვიდრებლის კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის თაობაზე და ხსენებული ინფორმაცია გაიგეს მოთხოვნის დადგომის დღეს. ამ შემთხვევაში მოთხოვნა უნდა იქნეს წარდგენილი 1 წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან.⁴⁰⁷ განსხვავებულია მისი ათვლის წესიც. კერძოდ, ერთწლიანი ვადის ათვლა იწყება მოთხოვნის დადგომის მომენტიდან.⁴⁰⁸ კრედიტორების მიერ აღნიშნული ვადის დარღვევა იწვევს მოთხოვნის უფლების დაკარგვას.⁴⁰⁹

შესაძლებელია იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც წარმოიშობა კრედიტორის მიერ მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნის წარდგენის პროცესში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ნორმის ბუნდოვანება, რაც გამოიხატება ვადის დაწყების ზუსტი მომენტის განუსაზღვრელობაში. ამასთან, გაურკვეველია, რა ტიპის ვადა არის დადგენილი სსკ-ის 1488-ე მუხლით. საკითხი შეეხება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას თუ სხვა ტიპის ვადას; რამდენად უზრუნველყოფს ნორმის მსგავსი რედაქცია კრედიტორის ინტერესების დაცვას. ეს არის კითხვები, რომლებზეც აუცილებელია პასუხის გაცემა საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე.

სსკ-ის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის

⁴⁰³ *შენგელია რ., შენგელია ე.*, მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 186.

⁴⁰⁴ *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 437.

⁴⁰⁵ *შენგელია რ., შენგელია ე.*, მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 185.

⁴⁰⁶ *ახვლედიანი ზ.*, მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი), მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988, 108.

⁴⁰⁷ *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 438.

⁴⁰⁸ *შენგელია*, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000, მუხლი 1488, 517.

⁴⁰⁹ *ახვლედიანი ზ.*, მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი), მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988, 109; *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა) მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 438.

შესახებ“ ერთხელ უკვე გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან შესაბამისობის დადგენის კუთხით. კერძოდ, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ წარმოდგენილი ნორმის ხსენებული სიტყვები ეწინააღმდეგებოდა საკუთრებისა და მემკვიდრეობის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას. მითითებული ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დასასაბუთებლად კი მიუთითებდა იმ სუბიექტის დადგენის სირთულეს, ვისაც უნდა წარდგენოდა პრეტენზია. სახელდობრ, 1488-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოთხოვნა უნდა წარედგინოს საბოლოო მემკვიდრეს, ხოლო 6-თვიანი ვადის ობიექტური ან სუბიექტური დაუცველობის შემთხვევაში კრედიტორი კარგავს მოთხოვნის უფლებას, ყოველგვარი გამონაკლისის დაშვების გარეშე.⁴¹⁰

მოსარჩელე ასევე მიუთითებდა შეუსაბამოდ მცირე ვადაზე, რომელიც არ იძლეოდა უფლების რეალურად განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის განხილვის ფარგლებში საკითხი შეეხებოდა, ერთი მხრივ, სუბიექტა წრის იდენტიფიცირების სირთულეს, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ვადის გონივრულობის შეფასების საკითხს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული მისი გამოყენების პრაქტიკა.⁴¹¹ ამის გათვალისწინებით, სსკ-ის 1488-ე მუხლის კონსტიტუციურობასთან შესაბამისობის დადგენა საკონსტიტუციო სასამართლომ დაიწყო საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზით.

სსკ-ის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი 6-თვიანი ვადის შეფასებისას, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონედ უნდა დასახელდეს იმ საკითხის გარკვევა, თუ რა დროიდან უნდა დაიწყოს ამ ვადის ათვლა. ამასთან, გასათვალისწინებელია უკვე ზემოთ აღნიშნული დებულება, რომ ვადების გონივრულობის საკითხის სრულყოფილად შეფასებისათვის არსებითია არა მხოლოდ კონკრეტული ვადის ხანგრძლივობა, არამედ მისი ათვლის მომენტიც. მითითებული ნორმით ამ ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როცა მამკვიდრებლის კრედიტორმა შეიტყო სამკვიდროს გახსნისა და სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შესახებ. შესაბამისად, მოთხოვნის წარდგენის 6-თვიანი ვადის ათვლისათვის არ არის საკმარისი მარტოოდენ სამკვიდროს გახსნის ფაქტის ცოდნა, ასევე კუმულაციურად აუცილებელია იმ მემკვიდრეთა ვინაობის ცოდნა, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს.⁴¹²

⁴¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე - სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ - აღწერილობითი ნაწილი.

⁴¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე - სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁴¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 დეკემბრის №ას-952-990-2011 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 თებერვლის №2ბ/506-16 გადაწყვეტილება.

სსკ-ის 1421-ე მუხლი ადგენს მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ორ შესაძლებლობას - სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით და ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენით. სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებმა იცოდნენ სამკვიდროს გახსნის თაობაზე მამკვიდრებლის გარდაცვალების დღესვე, მაგრამ სამკვიდროს მიღებ მემკვიდრეთა შესახებ მათ ვერ შეიტყვეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის ვადაში, ასეთ შემთხვევაში კრედიტორებმა მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნა უნდა წარადგინონ გონივრულ ვადაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე.⁴¹³ როგორც წესი, კრედიტორებისთვის სამკვიდროს მიღების თაობაზე ინფორმაცია ცნობილი ხდება ან მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების შემდეგ ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტით. იმ შემთხვევაში, როცა არ არის განსაზღვრული იმ პასუხისმგებელ პირთა წრე, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, შეუძლებელია მოთხოვნის წარდგენა, მიუხედავად მოთხოვნის წარმოშობის დროისა.⁴¹⁴

გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული მსგავსი განმარტება, რადგან არ შეიძლება პირს მოეთხოვოს ვადის დაცვა, თუ მან არ იცის ვალდებულ პირთა წრე. ამგვარის დაშვება გამოიწვევს უფლების დაცვის რეალური გარანტიებით სარგებლობის შეზღუდვას, რადგან პირი მოკლებული იქნება უფლების დაცვის რეალურ შესაძლებლობას.

პასუხისმგებელ სუბიექტთა განსაზღვრისა და მამკვიდრებლის მემკვიდრეების მიერ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება დასახელდეს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება, რომლის 79-ე მუხლი განსაზღვრავს კრედიტორების მიერ განცხადების წარდგენის წესს. ვინაიდან სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს სამკვიდროს მოწმობის გაცემის თაობაზე ნოტარიუსისათვის მიმართვა, კრედიტორმა, რომელმაც მიიღო ინფორმაცია მოვალის გარდაცვალების თაობაზე, უნდა მიმართოს ნებისმიერ ნოტარიუსს გარდაცვლილი მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნის წარდგენის მიზნით. ნოტარიუსი, თავის მხრივ, ვალდებულია, მამკვიდრებლის კრედიტორის პრეტენზიების შესახებ აცნობოს იმ პირებს, რომლებსაც სანოტარო ბიუროში წარდგენილი აქვთ სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადება. საკითხის მსგავსი გადაწყვეტა შემოთავაზებულია სასამართლო პრაქტიკით,⁴¹⁵ რომელიც სრულად უნდა იქნეს გაზიარებული.

რაც შეეხება სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტს, შესაძლებელია ხშირად პრაქტიკაში ადგილი ჰქონდეს მემკვიდრეების მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას და სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებას, ნოტარიუსისათვის მიმართვის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეები ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით არ ახდენენ საჯარო რეესტრში

⁴¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №ას-303-285-2014 გადაწყვეტილება.

⁴¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 18 აპრილის №ას-171-160-2017 განჩინება.

⁴¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის №ას-1796-2018 განჩინება.

უფლების რეგისტრაციას, სასამართლოს აქვს უფლება მემკვიდრე დაავალდებულოს, ამ მოქმედების განხორციელებაზე.⁴¹⁶

სასამართლოს პრაქტიკით, როგორც უკვე აღინიშნა, სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლის შემდეგ მემკვიდრის ვინაობის გაგების შემთხვევაში, მოთხოვნის განხორციელება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, რაც დამოკიდებული იქნება ცალკეულ გარემოებებზე.⁴¹⁷

მსგავსი განმარტების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვა უნდა შეფასდეს სამკვიდროს მიღებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ მემკვიდრეობით მიღებულ ქონებასთან დაკავშირებით მოთხოვნების წარდგენისგან მემკვიდრეთა დაცვის ეფექტურ საშუალებად. ბუნებრივია, მემკვიდრეები არ შეიძლება იყვნენ მუდმივად გაურკვეველ მდგომარეობაში. ეს შეაფერხებს როგორც ქონების მემკვიდრეობით მიღების პროცესს, ისე შემდგომში მისი გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, წარმოდგენილი ნორმა ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფას. სამოქალაქო ბრუნვა წარიმართება მხარეთა ნებით და ხორციელდება მხოლოდ კანონის ზოგადი კონტროლი.⁴¹⁸

ხშირია შემთხვევები, როცა კანონმდებლის მიერ ხანდაზმულობის ვადა განსაზღვრული არ არის კონკრეტული დროის მონაკვეთით, ამ შემთხვევაში საქმის განმხილველმა მოსამართლემ ცალკეული გარემოების გათვალისწინებით შესაძლოა გადაწყვიტოს, რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ობიექტურად საჭირო ვადად, რომლის განმავლობაშიც პირს ექნება უფლების დაცვის რეალური შესაძლებლობა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების დადგენა ცალკეული შემთხვევებისთვის შეიძლება არ იყოს გონივრული. განუსაზღვრელი ვადის არსებობა შესაძლოა იწვევდეს დისკომფორტს ადრესატისათვის, თუმცა ის იქნება კონსტიტუციასთან შესაბამისი, როცა მსგავსი ვადა პირს მისცემს შესაძლებლობას, დაიცვას საკუთარი ინტერესები. აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადად შეიძლება დადგინდეს გონივრული ვადა, რაც არ იქნება კონსტიტუციასთან შეუსაბამო.⁴¹⁹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილ ვადაში ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართვის ფაქტის მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელეს.⁴²⁰

ვადის გონივრულობის განსაზღვრა პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რადგან თუ უფლების სუბიექტი ვერ განჭვრეტს მოთხოვნის წარდგენის ვადას, შესაძლებელია დადგეს ნორმის განჭვრეტადობის პრობლემა.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების ზოგადი

⁴¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის №ას-1154-1299-08 გადაწყვეტილება.

⁴¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №ას-303-285-2014 გადაწყვეტილება.

⁴¹⁸ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, 285.

⁴¹⁹ იხ. იქვე.

⁴²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის №ას-850-1064-08 გადაწყვეტილება.

დასაშვებობა კანონმდებელს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, ნორმა ისე ჩამოაყალიბოს, რომ იგი შეესაბამებოდეს ნორმის სიცხადის და განჭვრეტადობის პრინციპს. მისი წინაპირობები და შინაარსი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ პირები, რომლებსაც იგი ეხება, ჩასწვდნენ სამართლებრივ მდგომარეობას და შეძლონ თავიანთი ქმედებების შესაბამისი წარმართვა.⁴²¹ ვადის გონივრულობის სიცხადის საკითხი სწორედ ამ კუთხით საჭიროებს შემოწმებას.

ვადის გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადათ-წესები, ხელშეკრულების საგანი და სხვა რელევანტური გარემოებები. გონივრული ვადა დროის მონაკვეთია, რომელსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადგენს ან დავის განმხილველი ორგანო ან თავად მხარეები.⁴²² გონივრულობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, რა ინტერესს ემსახურება დადგენილი ვადა. ვადა არ უნდა იქნეს მიჩნეული გონივრულად, თუ მხარეს არ ექნება თავისი მოთხოვნის განხორციელების სათანადო დრო ან ეძლევა უფლების განხორციელებისთვის იმდენად მცირე პერიოდი, რომ შეუძლებელია მისი სრულყოფილი რეალიზაცია.⁴²³ გონივრული ვადები სწრაფ და კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე ყველაზე უფრო მიზანშეწონილ ვადებად უნდა იქნეს მიჩნეული.⁴²⁴ გონივრულობა არ შეიძლება განხილულ იქნეს აბსტრაქტულად. გონივრულია თუ არა პირის მიერ უფლების განხორციელების ვადა, უნდა შეფასდეს საქმის თავისებურებებიდან გამომდინარე.⁴²⁵

ამ საკითხის შეფასებისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი გარემოებები, როგორცაა: უფლების სუბიექტის ჯანმრთელობის, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ. თუ უფლების სუბიექტი გახდა შეუძლოდ, რის გამოც წართმეული ჰქონდა უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა, უფლების განხორციელების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როცა ამ უკანასკნელს რეალურად შეეძლო აღნიშნულის განხორციელება. ამასთან, დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის არსი, მხარეთა შორის არსებული საქმიანი ურთიერთობის ჩათვლით.⁴²⁶ მითითებული საკითხის განმარტება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული კეთილსინდისიერების პრინციპთან შესაბამისობაში და სამართლიანობის საფუძველზე.⁴²⁷

⁴²¹ BVerfG, Beschluss v. 12.01.1967 - 1BvR 196/63.

⁴²² კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, მუხლი 121, ვნ. 22.

⁴²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №ბს-854-836(კ-12) გადაწყვეტილება.

⁴²⁴ სიჭინავა ო., „გონივრული ვადის“ მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით), „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ №1, 2008, 111-112.

⁴²⁵ კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, მუხლი 121, ვნ. 22.

⁴²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის №ას-978-939-2014 განჩინება.

⁴²⁷ კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, მუხლი 121, ვნ. 23.

ზოგჯერ შესაძლებელია დაუყოვნებლივი შესრულებაც მიჩნეულ იქნეს გონივრულად. ვადის გონივრულობა უნდა შეესაბამებოდეს შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესს, ასევე არ უნდა იწვევდეს მოვალის მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებას.⁴²⁸

გონივრულობის შეფასება მიზანშეწონილია განხორციელდეს ცალკეული გარემოების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ გასულია პრეტენზიის წარდგენის 6-თვიანი ვადა, უფრო მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მოთხოვნის დაუყოვნებლივი წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მამკვიდრებლის კრედიტორები ფიზიკურად მოკლებულნი იყვნენ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას, რაც შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული. მსგავსი განმარტებით მიღწეულ იქნება მხარეთა შორის გონივრული ბალანსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულ იქნება მხოლოდ კრედიტორის ინტერესების სასარგებლოდ. მოთხოვნის დაუყოვნებლივი წარდგენა შეიძლება გამყარდეს იმ არგუმენტითაც, რომ სსკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილი ვადები არ წარმოადგენს სასამართლოსათვის მიმართვის ვადას. სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში პირს სჭირდება გაცილებით უფრო დიდი დრო საქმის მომზადებისთვის. სარჩელის შევსება დაკავშირებულია სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზებასთან, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებასთან, ფულადი თანხების, რაც აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, მობილიზებასთან. მემკვიდრეებისათვის მიმართვისას მამკვიდრებლის კრედიტორებმა უნდა წარუდგინონ მემკვიდრეს მოთხოვნა (პრეტენზია) არა სარჩელის ფორმით, არამედ წერილობითი ან ზეპირი ფორმითაც კი, რაც, ბუნებრივია, არ საჭიროებს დამატებით დროს.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კრედიტორისა და მოვალის ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე გონივრულ ვადად უნდა დასახელდეს კრედიტორს მიერ მოთხოვნის დაუყოვნებლივი წარდგენა მემკვიდრისათვის ან საგამონაკლისო შემთხვევაში კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა მოთხოვნის კონკრეტულ დრომდე განხორციელების შეუძლებლობაში.

სსკ-ის 1488-ე მუხლის მნიშვნელოვან ხარვეზად ასევე უნდა შეფასდეს მითითების არარსებობა, სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის ვადაში სამკვიდრო ქონების მიუღებლობა იწვევს თუ არა კრედიტორის მოთხოვნის უფლების დაკარგვას. მსგავს შემთხვევაში იზრდება მამკვიდრებლის მემკვიდრეების მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკი. მათ შეუძლიათ არ მიიღონ სამკვიდრო ქონება, თუ ეს შემდგომში თავიდან ააცილებთ მამკვიდრებლის სამკვიდრო პასივების გასტუმრებას. ნორმის მსგავსი ინტერპრეტაცია არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან ის უდავოდ წინააღმდეგობაში მოდის კრედიტორის ინტერესებთან, უფრო მეტად იცავს ბრუნვის

⁴²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის №ას-48-401-07 გადაწყვეტილება.

არაკეთილსინდისიერ მონაწილეს და არღვევს მხარეთა შორის გონივრულ ბალანსს მოვალის სასარგებლოდ.

უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს განმარტება სსკ-ის 1488-ე მუხლთან დაკავშირებით. 6-თვიანი ვადის დენა მიზანშეწონილია დაუკავშირდეს ორი პირობის კუმულაციურად არსებობას, კერძოდ, სამკვიდროს გახსნისა და დამატებით მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის ცოდნას. სწორედ აქ ჩნდება კითხვები. კერძოდ, რა ფორმით შეიძლება მოხდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე ინფორმაციის მიღება. მაგ., თუ კრედიტორი არ ამოწმებს საჯარო რეესტრის მონაცემებს, რომლითაც შეიძლება დადგინდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი ან არ შეაქვს სანოტარო ორგანოში განცხადება მამკვიდრებლის ვალეზთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა აღნიშნული შეფასდეს კრედიტორის მიერ წინდახედულების ნორმების დარღვევად და ვადის ათვლა დაიწყოს მის მიერ ინფორმაციის მიღების ფაქტობრივი შესაძლებლობის არსებობის მომენტიდან. აქ დგება მეორე საკითხი. არის თუ არა პირი, მათ შორის, მოთხოვნის უფლების მქონე პირი ვალდებული, მუდმივად აკონტროლოს საჯარო რეესტრის მონაცემები. ბუნებრივია, არ შეიძლება მსგავსი ვალდებულების დადგენა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად, თუმცა ამ დროს ობიექტურად უნდა არსებობდეს კრედიტორის მიერ ინფორმაციის კონტროლის მოლოდინი.

სსკ-ის 1488-ე მუხლის მიზნად უნდა დასახელდეს კრედიტორის და მოვალის ინტერესების თანაბარი დაცვა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრისათვის უცნობია მამკვიდრებლის ვალის შესახებ ინფორმაცია, ის ობიექტურად მოკლებულია შესაძლებლობას, შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე კრედიტორს. თუ კრედიტორი იქნება პასიური და თავად არ შეეცდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე ინფორმაციის მოძიებას, კრედიტორის მიერ შესაძლებელია ბოროტად იქნეს გამოყენებული ნორმის ზემოთ მითითებული განმარტება. შესაბამისად, აზრს დაკარგავს მოგვიანებით, წინასწარ გაუთვალისწინებელი ვალდებულების შესრულებისაგან მემკვიდრის დაცვის მიზანი. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი ნორმა და მისი განმარტება უნდა იქნეს ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად გამოყენებული. კრედიტორის უმოქმედობა უნდა შეფასდეს მის საწინააღმდეგოდ და არ უნდა შეაფერხოს 6-თვიანი ვადის ათვლა, ხოლო მისი მცდელობის მიუხედავად ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ხსენებული განმარტება. თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა ორივე მხარე მოქმედებს სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, უნდა შეფასდეს უფრო მეტად რომლის მოქმედება არის გასაკვიცი და არ იმსახურებს დაცვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოში საქმის განხილვისას თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მათი აქტიურობა ინფორმაციის მიღების ნაწილში ან უმოქმედობა შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენის 6-თვიანი ვადის დაცვის ანალიზისას აუცილებლად უნდა შეფასდეს, რამდენად ჰქონდა კრედიტორს უფლების განხორციელების

შესაძლებლობა. მის მიერ უფლების განხორციელების შეუძლებლობისას უნდა მოხდეს საპრეტენზიო ვადის შეჩერება, რაც ზემოთ უკვე იქნა განხილული. შესაბამისად, კრედიტორისა და მოვალის ინტერესების დაბალანსების მიზნით და ვადების დადგენის ზემოაღნიშნული მიზნების რეალიზაციისათვის რეკომენდირებულია სსკ-ის 1488-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც ვადის დენა ასევე დაუკავშირდება მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ უხეში გაუფრთხილებლობით სამკვიდროს გახსნის შესახებ ინფორმაციის მიუღებლობის მომენტს. ამასთან, ამგვარი ინტერპრეტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სამართალშეფარდების პროცესში არსებული მოწესრიგების პირობებშიც კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.

მოთხოვნის წარდგენის ზემოაღნიშნული წესი სსკ-ის 1489-ე მუხლის შესაბამისად, არ ვრცელდება იმ დანახარჯების ანაზღაურებაზე, რომლებიც გამოწვეულია მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით, დაკრძალვით, ხელფასის გასტუმრებით, სამკვიდროს დაცვითა და მართვით, ასევე, მესამე პირების მოთხოვნებზე – ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობის და მათი კუთვნილი ქონების გამოთხოვის თაობაზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მითითებულ მოთხოვნაზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო ვადა. აღსანიშნავია, რომ 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. შესაბამისად, მამკვიდრებლის დაკრძალვისათვის აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კრედიტორს აქვს ხარჯის გაწევიდან 10 წლის ვადაში.⁴²⁹ ამასთან, კრედიტორებს, რომლებსაც აქვთ მამკვიდრებლის მემკვიდრეებისათვის მიმართვის უფლება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით განეკუთვნებიან როგორც ის პირები, რომლებმაც სსკ-ის 969-ე მუხლის შესაბამისად, დავალების გარეშე, საკუთარი ხარჯებით დაკრძალეს მიცვალებული, ისე პირები, რომლებიც კონკრეტული გარიგების საფუძველზე ახორციელებდნენ ზემოაღნიშნულ ქმედებებს.⁴³⁰

სასამართლოს მითითებული განმარტებით, სსკ-ის 1489-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა სარგებლობს უპირატესობით ნებისმიერ სხვა, მათ შორის, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მიმართ დადგენილ ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებით, რაც სრულიად გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული, ერთი მხრივ, თავად ნორმის სპეციალური ხასიათიდან და, მეორე მხრივ, სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე. მსგავსი მოთხოვნებისათვის ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადის დადგენა უნდა იქნეს გამართლებული ამ ურთიერთობის სპეციფიკით და მორალურ-ეთიკური სტანდარტიდან გამომდინარე.

⁴²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის №ას-1115-1062-2014 განჩინება.

⁴³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 მარტის №3კ/441-01 გადაწყვეტილება.

4. სახელშეკრულებო მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა და ათვისის წესი

სახელშეკრულებო მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის განხილვისას შესაძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მსგავსი მოთხოვნის ორი სახე, კერძოდ, მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა სახელშეკრულებო ქცევის ვალდებულების (სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და შესრულების დაპირების საფუძველზე (სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). ეს ვალდებულებები უმეტესად გამოიხატება პოზიტიურ ქმედებაში ან უმოქმედობაში, შესაბამისად, სახეზეა მოქმედების მოთხოვნა ან მოქმედების აკრძალვა.⁴³¹ მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა არსებობს ბრალისაგან დამოუკიდებლად.⁴³²

მოქმედებისაგან თავის შეკავების ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება დასახელდეს ექსკლუზიური დილერობის შესახებ შეთანხმება, რომლის ძირითადი არსი გამოიხატება მწარმოებელსა და სავაჭრო შუამავალს შორის შეთანხმებაში, რომლის მიხედვითაც, შუამავალი დებს პირობას, არ გაყიდოს მოცემული მწარმოებლის კონკურენტების პროდუქცია.⁴³³ აღნიშნული ხელშეკრულებით ფაქტობრივად შუამავალი კისრულობს ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ეს ტიპი არ არის გათვალისწინებული სსკ-ით, რაც არ გამორიცხავს მხარეთა მიერ მსგავსი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას. ამასთან, ამ შემთხვევაში, ვინაიდან არ არის კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, მოქმედებს ზოგადი ხანდაზმულობის ვადები.

სსკ-ში მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა დასახელდეს ექსკლუზიური დავალება, რომელიც მოწესრიგებულია სსკ-ის 746-ე მუხლის პირველი ნაწილით. კერძოდ, ამ შემთხვევაში შემკვეთი იღებს ვალდებულებას, განსაზღვრული დროის განმავლობაში უარი თქვას სხვა მაკლერის გამოყენებაზე. ვალდებულების მსგავსი შინაარსის გათვალისწინებით მაკლერს წარმოემოხა უფლება, მოსთხოვოს შემკვეთს ქმედებისაგან თავის შეკავება. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევის მიმართაც გამოიყენება ზოგადი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

როგორც წესი, როცა მხარეები კისრულობენ ხანგრძლივი მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას, ეს გულისხმობს, რომ მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა წარმოადგენს განგრძობად ვალდებულებით ურთიერთობას,⁴³⁴ რომლის მიმართაც მოქმედებს 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.⁴³⁵ თუ ვალდებულების დარღვევით შეწყდა

⁴³¹ Köhler H., Zur Geltendmachung und Verjährung von Unterlassungsansprüchen, JZ, Nr. 10, 60. Jahrgang, 2005, 490.

⁴³² Apathy P., Riedler A., Bürgerliches Recht Band III: Schuldrecht Besonderer Teil, 4. Auflage, Springer-Verlag Wien, 2010, Rn. 14/18.

⁴³³ <https://www.law.cornell.edu/wex/exclusive_dealing_arrangement> [19.03.2-2019].

⁴³⁴ Köhler H., Zur Geltendmachung und Verjährung von Unterlassungsansprüchen, JZ, Nr. 10, 60. Jahrgang, 2005, 491.

⁴³⁵ იხ. იქვე.

მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა, ამ უკანასკნელის ადგილს იკავებს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁴³⁶

მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა პირი დაარღვევს ვალდებულებას და შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც არ უნდა განეხორციელებინა. ამ შემთხვევაში ვადის ათვლა არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მომენტთან, არამედ ვადის დენის დაწყება უკავშირდება მოქმედებისაგან თავის შეკავების ვალდებულების დარღვევის ფაქტს.⁴³⁷

მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა, რომლისთვისაც კანონმდებლობით არ არის დადგენილი სპეციალური ხანდაზმულობის ვადა, ხასიათდება სპეციფიკით. კერძოდ, ასეთი მოთხოვნა ნაკლებად შეიძლება გახდეს დავის საგანი. ძირითადად ამ უფლების დარღვევა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. აღნიშნულის დამადასტურებლად შეიძლება მოყვანილ იქნეს სსკ-ის 746-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ექსკლუზიური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მაკლერს ანიჭებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, თუმცა ეს არ გამორიცხავს ასეთი მოთხოვნის წარდგენას იმ შემთხვევაში, როცა ეს მოქმედება გრძელდება და კრედიტორი განიცდის ამის გამო ზიანს. მაგ., უკვე განხილული ექსკლუზიური დილერობის ხელშეკრულების დროს მხარის მიერ ვალდებულების დარღვევისას, შემკვეთს ისევ აქვს ინტერესი, რომ შუამავალმა არ მოახდინოს მის კონკურენტებზე პროდუქციის რეალიზაცია. ამ შემთხვევაში მწარმოებელს შეუძლია მოითხოვოს როგორც ზიანის ანაზღაურება, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავება და ორივე ამ მოთხოვნის მიმართ მოქმედებს ზოგადი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

⁴³⁶ იხ. იქვე.

⁴³⁷ *ახვლედიანი*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 130, 321-322.

III. მეორადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვისების წესი

1. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვისების წესი

სსკ-ში ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები არ ითვალისწინებს მეორადი მოთხოვნის შემთხვევაში სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებებისა და კერძო ნაწილის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით მოქმედებს სპეციალურობის პრინციპი, რაც გულისხმობს ზოგადი დებულებების გავრცელებას კერძო ნაწილზე, თუ თავად კერძო ნაწილი არ ადგენს სპეციალურ ნორმას.⁴³⁸ აქედან გამომდინარე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები (მყიდველისათვის ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა, ხოლო მყიდველის მიერ შეთანხმებული ფასის გადახდა) ექვემდებარება 6-წლიან ხანდაზმულობის ვადას,⁴³⁹ ხოლო მოძრავ ნივთთან მიმართებით ეს ვადა შეადგენს 3 წელს.⁴⁴⁰ სსკ ითვალისწინებს ნასყიდობის ხელშეკრულების დროს ნივთის დაუყოვნებლივი შემოწმების ვალდებულებას მხოლოდ განსაკუთრებული სტატუსის მქონე მყიდველის - მეწარმის შემთხვევაში.⁴⁴¹

ამასთან, გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება ავტოსატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის ხელშეკრულება. ერთი მხრივ, ავტომობილი მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე წარმოადგენს მოძრავ ნივთს, თუმცა იურიდიული ფიქციის მეშვეობით მასზე ვრცელდება უძრავი ნივთის შეძენის წესები.⁴⁴² შესაბამისად, ბუნებრივად ისმის კითხვა, შეძენის წესის ცვლილება ხომ არ იწვევს მის მიმართ უძრავი ნივთების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადების გამოყენებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ ვრცელდება ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა.⁴⁴³ ამ ურთიერთობის მიმართ

⁴³⁸ *ბილინივი ჰ., ლუტინგვაუსი ჰ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, ბრემენი - თბილისი, 2009, 21.

⁴³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №ას-1344-2018 გადაწყვეტილება.

⁴⁴⁰ *ბაჩიაშვილი ვ.*, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), სამაგისტრო ნაშრომი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 170; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №ას-1344-2018 გადაწყვეტილება; *Emmerich V.*, BGB - Schuldrecht Besonderer Teil, 14. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2015, Rn. 34.

⁴⁴¹ *ფიფია ა.*, ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურეგროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, 114

⁴⁴² *შოთაძე თ.*, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 62.

⁴⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ნოემბრის №ას-698-669-2016 განჩინება.

„სატრანსპორტო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის გამოყენება არ უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად, ვინაიდან ხსენებული კანონის მიზანს წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საქმიანობის საფუძვლების საჯარო სამართლებრივი და არა კერძოსამართლებრივი მოწესრიგება. ამასთან, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი, სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია არ წარმოადგენს და არ უკავშირდება საკუთრების წარმოშობის საფუძველს.⁴⁴⁴

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა უნდა შეფასდეს ყველაზე რაციონალურად მოძრავ და უძრავ ნივთებთან მიმართებით განსხვავებული ხანდაზმულობის ვადების მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც დგინდება ნივთების სოციალური დატვირთულობის მიხედვით. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გამოყენებისას ირელევანტურია კონკრეტული ნივთების მიმართ არსებული იურიდიული ფიქცია, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ფაქტობრივი სტატუსი, ვინაიდან ავტომობილის მიერ არსებული იურიდიული ფიქცია სხვა მიზნებს ემსახურება.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები განსხვავებულად რეგულირდება გერმანიის კანონმდებლობით. გსკ-ის 438 პარაგრაფი ადგენს ზოგადი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებისაგან განსხვავებულ სპეციალურ ვადებს.⁴⁴⁵ კანონმდებელმა მიიჩნია, რომ 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა მოვალისათვის ხანგრძლივია და შეამცირა ის 2 წლამდე იმ შემთხვევაშიც, როცა დაფარული ნაკლი მოგვიანებით დადგა.⁴⁴⁶ ამით ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა, რომ უზრუნველყოფის ვადების ძირითადი მიზანი არის ბრუნვის სტაბილურობა (მოვალის პოზიციასთან მიმართებით).⁴⁴⁷ უძრავ ნივთთან მიმართებით დადგენილია 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. უძრავი ნივთების მიმართ ხანგრძლივი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დადგენის მიზნად მითითებულ იქნა, ერთი მხრივ, გარემოება, რომ შენობა-ნაგებობის შემთხვევაში ნაკლი ხშირად ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ხდება შესაცნობი, მეორე მხრივ, შენობა-ნაგებობის არსებითი ეკონომიკური ღირებულება და შენობის ნაკლის ეკონომიკური მნიშვნელობა.⁴⁴⁸

⁴⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 ნოემბრის №ას-1184-1129-2013 გადაწყვეტილება.

⁴⁴⁵ Beckmann in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier - de Gruyter, Berlin, 2008, 604; Peter H., Examens-Repetitorium Besonderes Schuldrecht: Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2008, Rn. 224.

⁴⁴⁶ Höpker T. M., Verkäuferregress (§§ 478, 479 BGB), Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Hamburg, Hamburg 2003, 182 <<http://ediss.sub.uni-hamburg.de/volltexte/2004/1137/pdf/dissertation.pdf>> [17.03.2018].

⁴⁴⁷ Baumgartner A., Die Konkurrenzen zwischen Gewährleistung und den §§ 918 ff ABGB und zwischen Gewährleistung und laesio enormis, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Wien, Wien, 2009, 84 <http://othes.univie.ac.at/4354/1/2009-03-23_9873809.pdf> [14.03.2019].

⁴⁴⁸ Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 86.

გსკ-ის 438 III 1 პარაგრაფი უშვებს ზოგადი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გამოყენებას იმ შემთხვევაში, როცა გამყიდველმა მყიდველს ნაკლის არსებობა ბოროტი განზრახვით დაუმალა.⁴⁴⁹ ბოროტი განზრახვით მოქმედებს ის, ვინც აკეთებს არასწორ განცხადებებს მისი მცდარობის ცოდნის პირობებში.⁴⁵⁰ ამასთან, საკმარისია ე.წ. ირიბი განზრახვა.⁴⁵¹ გამყიდველის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის შემთხვევაში ზოგადი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება, როგორც წესი, იმით არის გამართლებული, რომ გამყიდველი დამატებითი, მცირე ხანდაზმულობის ვადით პრივილეგირებას მეტად აღარ იმსახურებს.⁴⁵²

გსკ-ით მოძრავ ნივთებთან მიმართებით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა უკავშირდება მიწოდებას, ხოლო მიწის ნაკვეთთან მიმართებით - მფლობელობაში გადაცემის ფაქტს.⁴⁵³ მიწოდებაში იგულისხმება მყიდველის ბატონობის სფეროში ნივთის მოხვედრა, როცა ამ უკანასკნელს შეუძლია მისი დათვალიერება.⁴⁵⁴

ხანდაზმულობის ანალოგიურ ვადას ადგენს შსკ, რომელიც 5-წლიან ხანდაზმულობის ვადას იყენებს, როცა საკითხი შეეხება (მოძრავი ნივთის) იმ ნაკლს, რომელიც განისაზღვრება, როგორც მიწის ნაკვეთში (ან მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილში) ინტეგრირებულ, შემადგენელ ნაწილად.⁴⁵⁵

გაზიარებულ უნდა იქნეს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის ნივთის მიწოდებასთან დაკავშირება მყიდველისათვის არსებითად არასახარბიელოა, ვიდრე ზოგადი ხანდაზმულობის ვადის დაწყების შემთხვევა, რომელიც ობიექტურ კომპონენტებთან ერთად ითვალისწინებს მოთხოვნის წარმოშობის განმსაზღვრელი გარემოებების თაობაზე ცოდნის სავალდებულო ელემენტს.⁴⁵⁶

ქართულ კანონმდებლობაში ხანდაზმულობის ვადის გონივრულობის შეფასებისას არსებითად უნდა იქნეს მიჩნეული მისი დადგენის მოტივების განსაზღვრა. ამასთან აღსანიშნავია, რომ სსრკ სამოქალაქო სამართლის კოდექსი განსხვავებულ ხანდაზმულობის ვადებს ითვალისწინებდა ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ.⁴⁵⁷

⁴⁴⁹ Peter H., Examens-Repetitorium Besonderes Schuldrecht: Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2008, Rn. 226.

⁴⁵⁰ Senatsurt. v. 25.03.1998 – VIII ZR 185/96.

⁴⁵¹ YU C. Die Konkurrenz zwischen Gewährleistungsrecht und Informationspflicht, Inauguraldissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Die Rheinischen Friedrich-Wilhelms-Universität Bonn, Bonn, 2018, 81 <<http://hss.ulb.uni-bonn.de/2018/5152/5152.pdf>> [14.03.2019].

⁴⁵² იბ. იგივე, გვ. 33.

⁴⁵³ Harke J. D., Besonderes Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 64.

⁴⁵⁴ Beckmann in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier- de Gruyter, Berlin, 2008, 606.

⁴⁵⁵ Vischer M., Die fünfjährige Gewährleistungsfrist für bewegliche Sachen im Kaufrecht, Jusletter, 11.03.2013, 6. <<https://www.walderwyss.com/publications/1294.pdf>> [14.03.2019].

⁴⁵⁶ Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 68.

⁴⁵⁷ სსრკ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 246-ე მუხლი ითვალისწინებდა სარჩელის წარდგენას ნივთის ნაკლის შესახებ პრეტენზიის წარდგენიდან არაუგვიანეს 6-თვისა, ხოლო თუ პრეტენზია არ ყოფილა წარდგენილი, პრეტენზიის წარდგენისათვის დადგენილი ვადის გასვლის დღიდან.

გსკ-ში არსებული დამატებითი შესრულების მოთხოვნისათვის დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები წარმოადგენს რეფორმის შედეგს.⁴⁵⁸ გერმანიაში რეფორმირების საჭიროებად სწორედ იმას ასახელებდნენ, რომ არსებობდა განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები, რაც ქმნიდა რთულ გამიჯვნის პრობლემას. სწორედ ამიტომ რეფორმირების ერთ-ერთ მიზნად დასახელდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების უნიფიკაცია.⁴⁵⁹

გერმანიაში მოდერნიზაციის ერთ-ერთ საფუძველს ასევე წარმოადგენდა „სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის 1999/44/EG დირექტივა.⁴⁶⁰

საგულისხმოა, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების მიხედვით, წარმოდგენილი დირექტივის დებულებების შესრულება საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში არაუმეტეს 2021 წლისა. აქედან გამომდინარე, ხანდაზმულობასთან მიმართებით აღნიშნული დირექტივის ცალკეული დებულებების იმპლემენტაციის აუცილებლობა ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

გერმანიაში კანონმდებლის მოტივაცია - ზოგადი ხანდაზმულობისაგან განსხვავებული ვადების დადგენის საჭიროების თაობაზე, არ არის აშკარა. ერთადერთი არგუმენტი, რომელიც არსებობს, მიუთითებს იმაზე, რომ ზოგადი ხანდაზმულობის ვადა ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის არის ძალზე ხანგრძლივი და ამიტომ მიზანშეწონილია უფრო მცირე ხანდაზმულობის ვადის დადგენა.⁴⁶¹ ამასთან, გსკ-ით შემოთავაზებული რეგულაცია სრულ შესაბამისობაშია „სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“ ევროკავშირის დირექტივასთან. ავტორები, ზოგადად, წარმოადგენენ მოსაზრებას, რომ ხანდაზმულობის 2-წლიანი ვადა არის რაციონალური⁴⁶² და შეესაბამება პრაქტიკულ საჭიროებას.⁴⁶³ თუმცა დასაბუთება, თუ რატომ არის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა შეუსაბამო ან არარაციონალური, არ არის მოცემული.

არსებობს არგუმენტები მცირე ხანდაზმულობის ვადების სასარგებლოდ, რომელთა მცირე ნაწილი უკვე იქნა განხილული. კერძოდ, მცირე ხანდაზმულობის ვადები უკეთ უზრუნველყოფს ბრუნვის

⁴⁵⁸ Löwisch M., Neues Schuldrecht in Deutschland, Ritsumeikan Law Review, Nr. 20, 2003, 169.

⁴⁵⁹ Deutscher Bundestag, Drucksache 14/6040, 2001, 100
<<http://dipbt.bundestag.de/doc/btd/14/060/1406040.pdf>> [14.03.2019].

⁴⁶⁰ Löwisch M., Neues Schuldrecht in Deutschland, Ritsumeikan Law Review, Nr. 20, 2003, 158.

⁴⁶¹ Deutscher Bundestag, Drucksache 14/6040, 2001, 105
<<http://dipbt.bundestag.de/doc/btd/14/060/1406040.pdf>> [14.03.2019].

⁴⁶² Rühl G., Die Verjährung kaufrechtlicher Gewährleistungsansprüche, Archiv für die civilistische Praxis, Heft 4/5, 207. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2007, 207.

⁴⁶³ Zöllner W., Das neue Verjährungsrecht im deutschen BGB – Kritik eines verfehlten Regelungssystems, in: Haarer Friedrich/Postmann, Wolfgang/Zäch, Roger: Besonderes Vertragsrecht – aktuelle Probleme - Festschrift für Heinrich Honsell, zum 60. Geburtstag, Zürich 2002, 153,167.

სტაბილურობას.⁴⁶⁴ ბრუნვის სტაბილურობა არსებობს მხოლოდ მოვალის სასარგებლოდ, რადგან კრედიტორის პოზიცია არცერთ მომენტში არ ზიანდება. მას აქვს ნივთი მფლობელობაში და შეუძლია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მისი მდგომარეობა.⁴⁶⁵

ეს არგუმენტი არ უნდა შეფასდეს მცირე ხანდაზმულობის ვადების დადგენის სასარგებლოდ, ნაკლები დამაჯერებლობის საფუძველით. ზოგიერთ შემთხვევაში სახეზეა ფარული ნაკლი, რომლის აღმოჩენაც ხანგრძლივი დროის გასვლის მიუხედავად მყიდველს არ შეუძლია.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნებისთვის შემცირებული ხანდაზმულობის ვადების დადგენის მიზანს წარმოადგენს ადრეულ ეტაპზე სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა. მას შემდეგ, რაც ნივთი გადავა მყიდველის სფეროში, შეიძლება დადგეს ზიანი, რომლის გამომწვევი მიზეზი არ იქნება აშკარა.⁴⁶⁶ ცალკეული გარემოების გათვალისწინებით შეიძლება როგორც 2-წლიანი, ისე 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა მიჩნეულ იქნეს როგორც ხანგრძლივად, ისე მცირედ. ნასყიდობისათვის დადგენილი ხანდაზმულობის რეგულირების სპეციფიკურობა შეიძლება მიიჩნევდეს 3-წლიან ხანდაზმულობის ვადას ნეგატიურად ან პოზიტიურად, ისევე როგორც 2-წლიანს. წარმოდგენილი არგუმენტების მიხედვით არც თუ ისე აშკარაა, რატომ ვერ იქნება მიღწეული ზოგადი ხანდაზმულობის ვადების დადგენით ანალოგიური მიზანი, რასაც მცირე ვადები უზრუნველყოფს.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის სპეციალური ხანდაზმულობის ვადების დადგენა შეიძლება იქნეს გამართლებული სამოქალაქო ბრუნვაში ნასყიდობის განსაკუთრებული ადგილის გამო.⁴⁶⁷ გაზიარებულ უნდა იქნეს პოზიცია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დროს თავად ნასყიდობის ობიექტი ექვემდებარება სწრაფად მოხმარებას, რაც განაპირობებს მის მიმართ განსხვავებული ხანდაზმულობის ვადების დადგენის საჭიროებას. ოპტიმალური ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს უფრო მცირე, როცა ნასყიდობის ობიექტს აქვს მაღალი ეკონომიკური დინამიკა, როცა ის სწრაფად ძველდება და მცირე ხნის შემდგომ სხვა პროდუქტით შეიძლება შეიცვალოს.⁴⁶⁸

⁴⁶⁴ YU C. Die Konkurrenz zwischen Gewährleistungsrecht und Informationspflicht, Inauguraldissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Die Rheinischen Friedrich-Wilhelms-Universität Bonn, Bonn, 2018, 83 <<http://hss.ulb.uni-bonn.de/2018/5152/5152.pdf>> [14.03.2019].

⁴⁶⁵ Baumgartner A., Die Konkurrenzen zwischen Gewährleistung und den §§ 918 ff ABGB und zwischen Gewährleistung und laesio enormis, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Wien, Wien, 2009, 84 <http://othes.univie.ac.at/4354/1/2009-03-23_9873809.pdf> [14.03.2019].

⁴⁶⁶ Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 85.

⁴⁶⁷ ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), სამაგისტრო ნაშრომი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი 2008, 192.

⁴⁶⁸ Rühl G., Die Verjährung kaufrechtlicher Gewährleistungsansprüche, Archiv für die civilistische Praxis, Heft 4/5, 207. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2007, 640.

ამასთან, სსკ-ით გათვალისწინებულია სპეციალური ხანდაზმულობის ვადები ნარდობის ხელშეკრულების მიმართ, რომელიც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებზე მსჯელობის თვალსაზრისით თითქმის იდენტურ საფუძვლებს ეყრდნობა. შესაბამისად, ბუნდოვანია მათ მიმართ განსხვავებული ვადების დადგენის მიზანი. პირიქით, გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებების მიმართ ერთიანი ხანდაზმულობის ვადების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ მაგ., ავსტრიაში რეფორმის ფარგლებში ნარდობის ხელშეკრულების დროს ნაკლიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნები გაერთიანდა ზოგად საგარანტიო უფლებაში. რეფორმის მიზანს კი წარმოადგენდა ნივთობრივი ნაკლის არსებობისას ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებებისათვის ერთიანი რეგულაციის დადგენა.⁴⁶⁹ იგივე ტენდენცია არის დადგენილი გერმანიისა და შვეიცარიის კანონმდებლობით.

რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის ათვლის ობიექტურ ფაქტორზე დაყრდნობას, ამ შემთხვევაში ძირითად არგუმენტად სახელდება ის ფაქტი, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის შემთხვევაში საკითხი შეეხება შესაგებელს, რომლის წინაპირობებიც (მათ შორის, ვადის დაწყების მომენტი) უნდა დადასტურდეს მოპასუხის მიერ. თუ ეს მომენტი იქნება დამოკიდებული ნაკლის ცოდნაზე, გამყიდველი დადგება მტკიცების რთული დავალების წინაშე.⁴⁷⁰ ამასთან, ვინაიდან ნაკლის უმეტესობა მოხმარებაზეა დამოკიდებული, გონივრულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყების დაკავშირება ობიექტურ ფაქტორთან.⁴⁷¹

ვინაიდან ნასყიდობის ობიექტი სწრაფად ექვემდებარება მოხმარებას, არ იქნება გონივრული გამყიდველის ხანგრძლივად ლოდინის რეჟიმში ყოფნა. ეს მიზანი ვერ მიიღწევა ვადის ათვლის სუბიექტურ მომენტთან დაკავშირებისას, რადგან მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, დასახელებული საფუძვლებისა და ნარდობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადების უნიფიკაციის მიზნით რეკომენდირებულია სსკ-ის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში ცვლილების განხორციელება და ხანდაზმულობის ვადის მომწესრიგებელი მუხლის დამატება, რომლითაც ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის წარდგენის მიმართ დადგინდება ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა, ხოლო ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც უძრავ ნივთს შეეხება - 5-წლიანი ვადა, რომლის ვადის დენაც დაუკავშირდება ნივთის გადაცემის მომენტს. ამასთან, საგულისხმოა, რომ ზოგად ხანდაზმულობის ვადას უნდა დაექვემდებაროს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ის მოთხოვნები, რომლებიც არ შეეხება ნასყიდობის საგნის ნაკლს, მაგ.,

⁴⁶⁹ Mansel H. Kaufrechtsreform in Europa und die Dogmatik des deutschen Leistungsstörungsrechts: Kaufrecht in Europa nach der Umsetzung der Verbrauchsgüterkauf-Richtlinie, Archiv für die civilistische Praxis, Heft 3/4, 204. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2004, 411.

⁴⁷⁰ Rühl G., Die Verjährung kaufrechtlicher Gewährleistungsansprüche, Archiv für die civilistische Praxis, Heft 4/5, 204. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, 2007, Tübingen, 636.

⁴⁷¹ იხ. იგივე, გვ. 637.

ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება და ა.შ. ვინაიდან ამ შემთხვევების მიმართ არ იკვეთება განსხვავებული ვადების დადგენის საჭიროება. ანალოგიური მიდგომა უნდა შენარჩუნდეს გამყიდველის მიერ ნაკლის გაზრახ დაფარვის შემთხვევაში. განზრახი ქმედების არსებობისას გამყიდველის მცირე ხანდაზმულობის ვადებით პრივილეგირება შეუსაბამო იქნება სამართლიანობის პრინციპთან და გამოიწვევს უსამართლო სამოქალაქო ბრუნვას.

1.1. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის თავისებურებანი

„სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის 1999/44/EG დირექტივა წარმოადგენს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის კრისტალიზაციის საკითხს.⁴⁷² ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დანართი XXIX ადგენს ამ დირექტივის დებულებების შესრულების ვალდებულებას შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.⁴⁷³ შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება, 2021 წლამდე განახორციელოს ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაცია აღნიშნულ დირექტივასთან.⁴⁷⁴ აქედან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობისაა ამ საკითხის კვლევა.

საერთაშორისო ორგანიზაციებში შეიძლება არსებობდეს მექანიზმი, რომლის მიზანია წევრი სახელმწიფოებისათვის შესასრულებლად სავალდებულო მოდელის შექმნა. მსგავს საშუალებას წარმოადგენს ევროკავშირის ფარგლებში მიღებული დირექტივები.⁴⁷⁵

მითითებული დირექტივის მოქმედების სფეროში ექცევა მხოლოდ მოძრავი ნივთის ნასყიდობა მომხმარებელსა და მეწარმეს შორის და ნივთის გაგზავნის შემთხვევაში - მეწარმის რეგრესული მოთხოვნის უფლება. ნარდობის ხელშეკრულება ასევე ექცევა მისი მოქმედების სფეროში და უნდა იქნეს განხილული როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება.⁴⁷⁶

წარმოდგენილი დირექტივის მიღება უნდა იქნეს მიჩნეული სამოქალაქო ბრუნვის სუსტი მხარის დაცვის მცდელობად. დირექტივით

⁴⁷² Mansel H. Kaufrechtsreform in Europa und die Dogmatik des deutschen Leistungsstörungenrechts: Kaufrecht in Europa nach der Umsetzung der Verbrauchsgüterkauf-Richtlinie, Archiv für die civilistische Praxis, Heft 3/4, 204. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen 2004, 397.

⁴⁷³ იხ. ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების XXIX დანართი.

⁴⁷⁴ Mansel H. Kaufrechtsreform in Europa und die Dogmatik des deutschen Leistungsstörungenrechts: Kaufrecht in Europa nach der Umsetzung der Verbrauchsgüterkauf-Richtlinie, Archiv für die civilistische Praxis, Heft 3/4, 204. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen 2004, 399.

⁴⁷⁵ ჰარტკამპი ა., სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, თბილისი, 2009-2010, 183.

⁴⁷⁶ Mansel H. Kaufrechtsreform in Europa und die Dogmatik des deutschen Leistungsstörungenrechts: Kaufrecht in Europa nach der Umsetzung der Verbrauchsgüterkauf-Richtlinie, Archiv für die civilistische Praxis, Heft 3/4, 204. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen 2004, 400.

დადგენილი დამცავი სისტემა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მომხმარებელი მეწარმესთან მიმართებით იმყოფება მოლაპარაკებისათვის ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში⁴⁷⁷ და მცირე ინფორმაციას ფლობს, რაც იწვევს მომხმარებლის მიერ მეწარმისაგან წინასწარ ჩამოყალიბებული პირობების დათანხმებას, შინაარსზე ზეგავლენის მოხდენის გარეშე.⁴⁷⁸ ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს მომხმარებლის უფრო მეტი დაცვის აუცილებლობას.⁴⁷⁹

წარმოდგენილ დირექტივას სასარჩელო ხანდაზმულობასთან მიმართებით ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: მეწარმეს არ შეუძლია მიუთითოს ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე დადებულ შეთანხმებაზე, რომელიც მომხმარებლის საზიანოდ ამცირებს ხანდაზმულობის ვადას.⁴⁸⁰ დირექტივით მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს ხელშეკრულებით მომხმარებელთა უფლებების შეზღუდვის დაუშვებლობა,⁴⁸¹ კერძოდ, მეორადი მოთხოვნებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ვადების შეცვლა შეზღუდულია სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობისას.⁴⁸² პასუხისმგებლობის ვადა ახალი ნივთის ნასყიდობისას უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 წელს,⁴⁸³ ხოლო მეორადი ნივთის ნასყიდობისას - არანაკლებ 1 წელს.⁴⁸⁴

პასუხისმგებლობის ვადაში იგულისხმება დროის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც ნაკლი უნდა დადგეს, რათა მომხმარებლის მიერ გამოყენებულ იქნეს მეორადი უფლებები. ეს ვადა მოიცავს 2 წელს, მაგრამ შეიძლება შემცირდეს 1 წლამდე. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს დროის მონაკვეთს, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს შეუძლია უფლების განხორციელება. ეს ვადა მოიცავს 2 წელს და აღნიშნული არ შეიძლება შემცირდეს.⁴⁸⁵

⁴⁷⁷ ზაალიშვილი ვ., სამომხმარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, „სამართლის ჟურნალი“ №1-2, 2010, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2010, 55.

⁴⁷⁸ ელისა მარია მოსტაცა კლარო ცონტრო მოვილ მილენიუმ SL-ის წინააღმდეგ (Eliza Maria Mostaza Claro vs. Centro Movil Milenium SL) – საქმის ნომერი №C-168/05 – 26.10.2006.

⁴⁷⁹ იხ. იგივე, გვ. 57.

⁴⁸⁰ Dietrich D, Handbuch VOB/B: Bauvertrag nach BGB und VOB. Mit dem vollständigen Text der VOB/B, der VOB/C und allen einschlägigen Vorschriften des BGB, 6. Auflage, Expert Verlag, Renningen, 2009, 104; Löwisch M., Neues Schuldrecht in Deutschland, Ritsumeikan Law Review, Nr. 20, 2003, 170.

⁴⁸¹ მასურაძე ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის საბაზისო მიდგომები სამართლის ოჯახების მიხედვით, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ №8/2017, გამომცემლობა „დანი“, თბილისი, 2017, 111.

⁴⁸² Balzer P., Kröll S., Scholl B., Die Schuldrechtsklausur I: Kernprobleme der vertraglichen Schuldverhältnisse in der Fallbearbeitung, 4. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2015, Rn. 10

⁴⁸³ Dietrich D, Handbuch VOB/B: Bauvertrag nach BGB und VOB. Mit dem vollständigen Text der VOB/B, der VOB/C und allen einschlägigen Vorschriften des BGB, 6. Auflage, Expert Verlag, Renningen, 2009, 104; Löwisch M., Neues Schuldrecht in Deutschland, Ritsumeikan Law Review, Nr. 20, 2003, 170.

⁴⁸⁴ Thorsten R. S., Vertragsrecht Die Grundlagen des Wirtschaftsrechts, Verlag Vahlen, München, 2011, 410.

⁴⁸⁵ ქრისტინ ფერენსშილდი JPC Motor SA-ის წინააღმდეგ (Christian Ferenschild vs JPC Motor SA) - საქმის ნომერი № C 673/17 - 21.03.2019.

დირექტივა ადგენს მტკიცების ტვირთის შეზღუდვას. კერძოდ, დირექტივის მე-5(3) მუხლით განსაზღვრულია მტკიცების წესი, რომლის მიხედვითაც, საქონლის მიწოდებიდან 6 თვის ვადაში ნაკლის გამოვლენისას მოქმედებს ვარაუდი, რომ ის სახეზე იყო საქონლის მიწოდების მომენტშიც.⁴⁸⁶ მომხმარებელმა არ უნდა ამტკიცოს არც ნაკლის გამომწვევი საფუძველი და არც გამყიდველის ბრალი.⁴⁸⁷

მომხმარებლის სასარგებლოდ მტკიცების ტვირთის შემსუბუქება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ ნივთის გაგზავნის შემდგომ ნაკლის აღმოჩენისას მტკიცებულების წარდგენა, რომ ნაკლი ნივთის გადაცემის მომენტშიც არსებობდა, მომხმარებლისათვის დაუძლეველ სირთულეს შეიძლება უკავშირდებოდეს. მეწარმისათვის კი გაცილებით უფრო მარტივია იმის დადასტურება, რომ ნაკლი არ არსებობდა ნივთის გადაცემის მომენტში და ნაკლი გამოწვეულია ნივთის მომხმარებლის მიერ გამოყენების შედეგად.⁴⁸⁸

მომხმარებელთა უფლებების დაცვას საქართველოში 1996 წლიდან უზრუნველყოფდა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 2012 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა.⁴⁸⁹

ამასთან, საქართველოს პარლამენტს 2015 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი თანმდევი კანონპროექტებით.⁴⁹⁰ წარმოდგენილი პროექტის მიღების მიზეზად განმარტებით ბარათში დასახელდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება, განხორციელდეს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან, მათ შორის, სამომხმარებლო სფეროში არსებულ რეგულაციებთან დაახლოება.⁴⁹¹

საგულისხმოა, რომ წარმოდგენილი პროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია მეორე მოსმენით. შესაბამისად, არსებითია ამ პროექტის შეფასება დირექტივასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ავტორმა აირჩია სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულების „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგება, ნაცვლად სსკ-ში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისა.

⁴⁸⁶ *მაისურაძე დ., სულხანიშვილი ე., ვაშაკიძე გ.*, ევროკავშირის კერძო სამართალი გადაწყვეტილებები და მასალები (ნაწილი I - მომხმარებელთა დაცვის სამართალი, შრომის სამართალი, კორპორაციული სამართალი, კონკურენციის სამართალი), თბილისი, 2018, 84.

⁴⁸⁷ ფრაუკი ფაბერი ავტობედრიფ ჰაზეტ ოხტენ (Frounkje Faber vs. Autobedrijf Hazet Ochten BV) – საქმის ნომერი №C-497/13 – 4.06.2015.

⁴⁸⁸ იხ. იგივე.

⁴⁸⁹ *ბზგკალავა ე.*, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 66.

⁴⁹⁰ იხ. < <https://info.parliament.ge/#law-drafting/9950> > [01.04.2019].

⁴⁹¹ იხ. განმარტებითი ბარათი < <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/87508?> > [01.04.2019].

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ასევე შესაძლო ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, ყველაზე გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული სსკ-ში ცვლილების განხორციელება, რომლითაც სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულება როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე ცალკე მოწესრიგებას დაექვემდებარება, როგორც ეს არის დადგენილი სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებით. ამასთან, სხვა ტიპის ხელშეკრულების შემთხვევაშიც უნდა მოხდეს მომხმარებელთა ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ნორმების დადგენა.

რაც შეეხება უშუალოდ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით პროექტით დადგენილ მოწესრიგებას, წარმოდგენილი პროექტის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტი ადგენს მომხმარებლის უფლებას, წარადგინოს მოთხოვნები, თუ საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა აღმოჩენილია საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემიდან 2 წლის ან საქონლის ვარგისიანობის ვადის განმავლობაში, საქონელზე მისი მკაფიოდ მითითების შემთხვევაში და მათი წარდგენა ხორციელდება საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენიდან 2 თვის ვადაში.

წარმოდგენილი რეგულაციით დგინდება სპეციალური 2-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, იქნა შემოტანილი 2-თვიანი პრეტენზიის წარდგენის ვადა საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენისას. სრულიად უნდა იქნეს გაზიარებული პოზიცია, რომ 2-თვიანი ვადის ფარგლებში ნაკლის შესახებ შეტყობინების შემოღებით მომხმარებელს არაპირდაპირ ეკისრება პროდუქტის შემოწმების ტვირთი,⁴⁹² რაც არ არის მიზანშეწონილი. ამასთან, წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის შებრუნების ზემოთ მითითებულ წესს, რაც დირექტივასთან შეუსაბამოა. მტკიცების ტვირთის შემსუბუქება სწორედ სუსტი მხარის დაცვის მიზანს ემსახურება და მისი უგულებელყოფა დაუშვებელია.

შესაბამისად, დირექტივასთან ხანდაზმულობის ვადების შესაბამისობის მიზნით რეკომენდირებულია სსკ-სს კერძო ნაწილის პირველი თავის შემდეგ დაემატოს I¹ ქვეთავი, რომელიც მოაწესრიგებს სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს ხანდაზმულობის კრილში. კერძოდ, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებას იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ყიდულობს ნივთს მეწარმისაგან; მტკიცების ტვირთის შებრუნების წესს, კერძოდ, პრეზუმფციის დაშვებას, რომ ნივთი ნაკლიანი იყო რისკის გადასვლის მომენტში, თუ ნივთობრივი ნაკლი ნივთის გადაცემიდან ექვსი თვის ვადაში გამოვლინდა. ამასთან, შეპირისპირებულ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვის მიზნით გამოწვევის დაშვებას, თუ მსგავსი ვარაუდი შეუსაბამოა ნაკლის ბუნებასთან; სამომხმარებლო საქონლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის გამო მოთხოვნის წარდგენისათვის

⁴⁹² მიკლივი ჰ. ვ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის ანალიზი, (2017 წლის მარტის მდგომარეობით), №6 (2018), GIZ, 2017, 75.

2-წლიანი ვადის დადგენას, რომლის ვადის დენაც დაუკავშირდება ნივთის გადაცემის მომენტს.

1.2. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და მისგან მომდინარე სამართლებრივი შედეგები ერთნაირად მოქმედებს როგორც ნასყიდობის, ისე ნარდობის ხელშეკრულებების მიმართ, თითოეული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.

კრედიტორს შეუძლია ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში ჯერ მხოლოდ დამატებითი შესრულება მოითხოვოს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამატებითი შესრულება შეუძლებელი ან უშედეგოა, გამოიყენოს ფასის შემცირების ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.⁴⁹³ ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირების მოთხოვნებს შორის არ არსებობს კონკურენცია. კრედიტორს აქვს შესაძლებლობა, ერთ-ერთ მათგანს მიანიჭოს უპირატესობა.⁴⁹⁴ ფასის შემცირება ექვემდებარება იგივე პირობებს, რასაც ხელშეკრულებიდან გასვლა, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით დასაშვებია, როცა ნასყიდობის საგნის ნაკლი გამყიდველის ვალდებულების არაარსებით დარღვევას ასახავს.⁴⁹⁵ სწორედ ამიტომ, დეტალურად არ იქნება განხილული.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნაკეთობის ნაკლის გამო ხელშეკრულებაზე უარის მეორად უფლებაზე არ ვრცელდება სსკ-ის 655-ე მუხლით დადგენილი სპეციალური ხანდაზმულობის ვადა, თუმცა აღნიშნული გამოიყენება ფასის შემცირების მოთხოვნის მიმართ.⁴⁹⁶

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე ხანდაზმულობის ვადის გავრცელების საკითხთან მიმართებით არ არსებობს აზრთა ერთიანობა. ზოგი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას. ნაწილი კი უქვემდებარებს მას ხანდაზმულობის საერთო 10-წლიან ვადას.⁴⁹⁷

სხენებულ საკითხზე საგულისხმო შეფასებას იძლევა გერმანიის კანონმდებლობა. ხელშეკრულებიდან გასვლა როგორც აღმჭურველი უფლება არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.⁴⁹⁸ ხანდაზმულობის საგანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს არა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, არამედ მოთხოვნა,

⁴⁹³ *Tonikidis S.*, Rücktritt und Minderung im Kaufrecht trotz erfolgreicher und fristgerechter Nacherfüllung, JR, Heft 7/2012, 2012, 280.

⁴⁹⁴ BGH Urt. v. 29.04.2015 – VIII ZR 180/14.

⁴⁹⁵ *Harke J. D.*, Besonderes Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 73.

⁴⁹⁶ *ძლიერიშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <<http://www.gccc.ge>> 2019, მუხლი 655, ვნ. 8 [31.03.2019].

⁴⁹⁷ *ფიფია ნ.*, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 38 <<https://opscience.ge/bitstream/1/139/1/Pipia%2C%20nino%20Sadoqtoro.pdf>> [22.03.2019].

⁴⁹⁸ *Peter H.*, Examens-Repetitorium Besonderes Schuldrecht: Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2008, Rn. 228.

რომლის შეუსრულებლობაც ასაბუთებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას.⁴⁹⁹ ვინაიდან შესრულების ან დამატებითი შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობა იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების, ისევე როგორც ფასის შემცირების მოთხოვნის გაქარწყლებას,⁵⁰⁰ შესაბამისად, გონივრულია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება იმავე ხანდაზმულობას დაექვემდებაროს, რასაც ეს უკანასკნელი.⁵⁰¹ შესაბამისად, ბათილია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, როცა მოთხოვნა შესრულებაზე ან დამატებით შესრულებაზე ხანდაზმულია და მოვალე ამას ეყრდნობა.⁵⁰²

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზაციისთვის გადამწყვეტია, იყო თუ არა ხელშეკრულებიდან გასვლა გაცხადებული, ვიდრე არსებული ან ჰიპოთეტური დამატებითი შესრულების მოთხოვნა იქნებოდა ხანდაზმული.⁵⁰³ ამასთან, მხედველობაში მიიღება აღმქურველი უფლების განხორციელების დროის მონაკვეთი და არა ხელშეკრულებიდან გასვლიდან წარმოშობილი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ვალდებულებითი ურთიერთობა.⁵⁰⁴

ბუნდოვნად უნდა იქნეს მიჩნეული ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ხელშეკრულებიდან გასვლაზე სპეციალური ხანდაზმულობის ვადების გაუვრცელებლობის შესახებ იმ ფონზე, როცა ფასის შემცირების მოთხოვნა ექვემდებარება სპეციალურ ხანდაზმულობას. ფასის შემცირება კი, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატიულ საშუალებას.⁵⁰⁵ ფასის შემცირება იმავე წარმატებით არ შეიძლება იყოს ხანდაზმულობის ქვემდებარე, ვინაიდან ის არ არის მოთხოვნა.⁵⁰⁶ რადგან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება დამოკიდებულია დამატებითი შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაზე, არ უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად ხელშეკრულებიდან გასვლის მიმართ სხვა ვადების გამოყენება. ამ შემთხვევაში შეიძლება პარალელის გავლება აქცესორულ უფლებასთან. აქცესორული უფლება იზიარებს ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის მიმართ მიზანშეწონილია

⁴⁹⁹ *Petersen J.*, Examens-Repetitorium Allgemeines Schuldrecht, 4. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2009, Rn. 164.

⁵⁰⁰ *Brox H., Walker W.*, Besonderes Schuldrecht, 33. Auflage. Verlag C.H. Beck, München, 2008, 159; *Gursky H.*, Schuldrecht, besonderer Teil, 5. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg 2005, 132.

⁵⁰¹ *Kaiser* in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier - de Gruyter, Berlin, 2008, 324.

⁵⁰² *Jaensch M.*, Klausurenammlung Bürgerliches Recht: 20 Klausuren mit Lösungen für Anfänger (Falltraining), C.F. Müller Verlag, Heidelberg, 2012, 106; *Säcker F., Mohr J.*, Fallsammlung zum BGB Allgemeiner Teil, mit Verbindungslinien zum Schuld- und Sachenrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2010, 335.

⁵⁰³ Senatsurt. v. 7.06.2006 – VIII ZR 209/05.

⁵⁰⁴ იხ. იგივე.

⁵⁰⁵ BGH Urt. v. 09.01.2008 – VIII ZR 210/06, JuS, 2008, S. 558 მითითებულია *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 66.

⁵⁰⁶ *Greiner S.*, Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 119.

გამოყენებულ იქნეს ძირითადი მოთხოვნის მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადები.

ხელშეკრულებიდან გასვლის მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადების კვლევის პარალელურად წარმოიშობა ხელშეკრულებიდან გასვლიდან წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის საკითხიც.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოადგენს ნეგატიურ აღმჭურველ უფლებას, რომელიც ბათილად აქცევს ხელშეკრულების შემადგენლობას. აქედან გამომდინარე, პოზიტიურ შედეგს წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობა, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს მოდიფიცირებულ უსაფუძვლო გამდიდრების უფლებას.⁵⁰⁷ უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას განაპირობებს ვალდებულებითი ურთიერთობის არარსებობა ბათილობის საფუძველით.⁵⁰⁸ ამასთან, თუ გამოთხოვის საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მხარე თავისი ვალდებულების შესრულებამდე გახდება გადახდისუუნარო, რის გამოც ეს უკანასკნელი ვადის ხელშეკრულებიდან, გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები.⁵⁰⁹

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, უკან დაბრუნების მოთხოვნა არის სახელშეკრულებო ბუნების მატარებელი,⁵¹⁰ რადროსაც სახელშეკრულებო ურთიერთობა გადაიქცევა სალიკვიდაციო ურთიერთობად. თავდაპირველი სახელშეკრულებო ურთიერთობები იცვლიან თავიანთ მიმართულებას.⁵¹¹ შესაბამისად, უკან დაბრუნების ვალდებულება უნდა დაკვალიფიცირდეს სახელშეკრულებო ვალდებულებად.⁵¹² სხვა მოსაზრების მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის დროს წარმოიშობა რესტიტუციის მოთხოვნა, რაც ექვემდებარება ზოგად ხანდაზმულობის ვადებს და არა სპეციალურ ხანდაზმულობის რეჟიმს.⁵¹³

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო განმარტებას გვთავაზობს თბილისის სააპელაციო სასამართლო. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან ხელშეკრულების გასვლის უფლება წარმოადგენს აღმჭურველ უფლებას, რომელზეც, მოთხოვნის უფლებისაგან განსხვავებით, არ ვრცელდება ხანდაზმულობა, ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლის დამახასიათებელი ნიშანია ორმხრივი რესტიტუცია - პირვანდელი

⁵⁰⁷ *Wunner S. E.*, Die Rechtsnatur der Rückgewährpflichten bei Rücktritt und auflösender Bedingung mit Rückwirkungsklausel, Archiv für die civilistische Praxis, Heft 5/6, 168. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1968, 440

⁵⁰⁸ *მაჭარაძე მ.*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა - განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 142.

⁵⁰⁹ *Koller A.*, Die Verjährung bei der Rückabwicklung von Verträgen, Baurecht Droit de la Construction (BR/DC), 2006(1), 2006, 6.

⁵¹⁰ *Monferrini I. Crone H. C.*, Die Rückabwicklung mangelhafter Verträge, Schweizerische Zeitschrift für Wirtschafts- und Finanzmarktrecht (SZW/RSDA), Heft 5, 2011.

⁵¹¹ *Coester-Waltjen D.*, Rücktritt und Widerruf – Gemeinsamkeiten und Unterschiede, Jura, Heft 11, 31. Jahrgang, 2009, 820; *Kaiser D.*, Die Rückabwicklung gegenseitiger Verträge wegen Nicht- und Schlechterfüllung nach BGB, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2000, 457.

⁵¹² BGE Urt. v. 16.05.1988 - 114 II 152.

⁵¹³ *Volker E.*, BGB - Schuldrecht Besonderer Teil, 14. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2015, Rn. 36.

მდგომარეობის აღდგენა, ხელშეკრულებიდან გასვლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა უნდა იქნეს განხილული ერთობლივ, განუყოფელ და მყისიერ ქმედებებად, რაც იმ შედეგს იწვევს, რომ თუ ხელშეკრულებიდან გასვლა არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, მაშინ არც მისი თანმდევი შედეგი (ნატურით დაბრუნება) დაექვემდებარება ამ უკანასკნელს.⁵¹⁴

მსგავსი მოსაზრება არ უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ხანდაზმულობის საგანს წარმოადგენს არა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, არამედ მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობაც ასაბუთებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას.⁵¹⁵ შესაბამისად, ის უნდა დაექვემდებაროს ხანდაზმულობას.

უკან დაბრუნების მოთხოვნის მიმართ გამოსაყენებელი ხანდაზმულობის ვადის საკითხი უნდა იქნეს გადაწყვეტილი შესაბამისი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე.⁵¹⁶ გონივრულია, უკუმოთხოვნის შედეგად ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დასაბუთება, რის გამოც მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული წინა ვალდებულების დროს გასული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები.⁵¹⁷ ხელშეკრულებიდან გასვლიდან წარმოშობილ ურთიერთობაზე უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება არაგონივრულია, რადგან კონდიქციური ნორმების გამოყენება ემყარება მის სუბსიდიურობას, რაც გულისხმობს სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენების შეუძლებლობას.⁵¹⁸ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სპეციალური მოთხოვნის საფუძველი რესტიტუციისათვის, შეიძლება უკან დაბრუნების მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების წესებს დაეფუძნოს,⁵¹⁹ სხვა შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალური ნორმები.⁵²⁰ ვინაიდან ნარდობის, ისევე როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების დროს ნაკლი დგება შესრულების სტადიაზე, გამოირიცხება უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის გამოყენება.⁵²¹

ორმხრივი რესტიტუციის შემთხვევაში უკან დაბრუნების მოთხოვნის მიმართ გამოსაყენებელ სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით გასაზიარებელია სასამართლოს განმარტება. კერძოდ, უსაფუძვლო

⁵¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 იანვრის №28/1652-18 განჩინება.

⁵¹⁵ *Petersen J.*, Examens-Repetitorium Allgemeines Schuldrecht, 4. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2009, Rn. 164.

⁵¹⁶ BGE Urt. v. 3.05.2011 - 4A_562/2010.

⁵¹⁷ *როგავა რ.*, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, თბილისი, 2013, 19.

⁵¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის №ას-774-723-2017 გადაწყვეტილება.

⁵¹⁹ *Hemmer K., Wüst A.*, Rückgriffsansprüche, 7. Auflage, Hemmer/Wüst Verlagsgesellschaft, Würzburg, 2013, Rn. 25

⁵²⁰ *Koller A.*, Die Verjährung bei der Rückabwicklung von Verträgen, Baurecht Droit de la Construction BR/DC, 2006 (1), 2006, 7.

⁵²¹ *Monferrini I., Crone H. C.*, Die Rückabwicklung mangelhafter Verträge, Schweizerische Zeitschrift für Wirtschafts- und Finanzmarktrecht (SZW/RSDA), Heft 5, 2011, 491

გამდიდრების დროს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ეფუძნება ხელშეკრულების ბათილობას. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაშია და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა არ არის გამოწვეული ხელშეკრულების ბათილობით.⁵²² ამ მსჯელობიდან გამომდინარე, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება სსკ-ის 976-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ელემენტების გათვალისწინებით არ უნდა შეფასდეს გონივრულად.

რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლიდან წარმოშობილ ურთიერთობაზე ზოგადი და სპეციალური ნორმების გამოყენების კონკურენციის საკითხს, ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში უკან დაბრუნების მოთხოვნის მიმართ გონივრულია ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი ნორმების გამოყენება.⁵²³ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების სამართლებრივი შედეგი მაინც მიემართება ზოგად ნაწილს, კერძოდ, 405-ე და შემდგომ მუხლებს. შესაბამისად, ამ ურთიერთობაზე სპეციალური ნორმები არც პირდაპირ და არც ანალოგიით არ უნდა იქნეს გამოყენებული. ამ არგუმენტის გათვალისწინებით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხელშეკრულებიდან გასვლიდან წარმოშობილი მოთხოვნების მიმართ ხანდაზმულობის ზოგადი ვადების გამოყენება.

2. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები და მათი ათვლის წესი

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისას დგება დამატებითი შესრულების მოთხოვნის საკითხი. დამატებითი შესრულება შეეხება ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოდიფიცირებულ შესრულების მოთხოვნას.⁵²⁴ ნაკლიანი ნივთის გაგზავნა იწვევს არა შესრულებას, არამედ კრედიტორის თავდაპირველი მოთხოვნა საგნის გადაცემაზე გადაიქცევა დამატებითი შესრულების მოთხოვნად, რომლის დროსაც კრედიტორს ან მოვალეს აქვს არჩევანის შესაძლებლობა, გაუმჯობესებასა და თავიდან გაგზავნას შორის.⁵²⁵ დამატებითი შესრულების მიზანს წარმოადგენს მოვალისათვის შანსის მიცემა, პირველადი შესრულების ვალდებულება დამატებითი შესრულებით განახორციელოს.⁵²⁶ ე.ი. თავისი პირველადი შესრულების მოთხოვნა დამატებითი შესრულებით სამართლიანად მიიღოს (ე.წ. უფლება მეორე მიწოდებაზე, ვიდრე უფრო

⁵²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის №28/167-15 გადაწყვეტილება.

⁵²³ *მაჭარაძე მ.*, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა - განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008, 151.

⁵²⁴ *Rüdiger M.*, Aktuelle Entwicklung im Kaufrecht – Die Nacherfüllung gem. § 439 BGB, MDR, Heft 20, 65 Jahrgang, 2011, 1218; *Werkmeister C.*, Zur Verjährung des kaufrechtlichen Nacherfüllungsanspruchs, Jura, Heft 1, 35. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2013, 40.

⁵²⁵ BGH, Urt. v. 15.07.2008 - VIII ZR 211/07.

⁵²⁶ *Greiner S.*, Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 33.

მკაცრი ღონისძიებები იქნება გამოყენებული, რომელიც მოვალეს ეკონომიკური თვალსაზრისით მძიმე ტვირთად დააწვება).⁵²⁷

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილია სპეციალური ხანდაზმულობის ვადა, თუმცა სპეციალური რეგულირების მიღმა რჩება ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, ხანდაზმულობის რა ვადა უნდა იქნეს გამოყენებული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საფასურის გადახდის მოთხოვნის მიმართ.

აღნიშნულ საკითხზე საგულისხმო განმარტებას იძლევა სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ გამოიყენება 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.⁵²⁸ საკითხის ანალოგიურ გადაწყვეტას ადგენს გერმანიის კანონმდებლობა. კერძოდ, სპეციალური ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულების შესრულების ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ. სხვა შემთხვევებში - ხანდაზმულობის ზოგადი ვადები.⁵²⁹

ხანდაზმულობის ზოგადი ვადის გამოყენების შემთხვევაში ნარდობის ხელშეკრულების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს არასხეულებრივი ნაკეთობების დამზადება, როგორცაა მაგ., ინდივიდუალური კომპიუტერული უზრუნველყოფის განვითარება, ცნობა, თეატრალური წარმოდგენა.⁵³⁰ ერთ-ერთ საქმეზე გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, რომ საგანგაშო სისტემის შექმნისა და დაგეგმვის მიმართ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ხანდაზმულობის სპეციალური 2-წლიანი ვადა, ხოლო თუ ფირმის ვალდებულება შემოიფარგლებოდა მხოლოდ შესაბამისი ექსპერტიზით, მაშინ ხანდაზმულობის ზოგადი ვადა.⁵³¹

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა უნდა იქნეს მიჩნეული გონივრულად, რადგან, თუ საკითხი არ არის სპეციალურად მოწესრიგებული, მოქმედებს ზოგადი ნორმები. ამას გარდა, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურებისთვის არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ზოგადისაგან განსხვავებული მცირე ვადების დასადგენად. ვინაიდან 655-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას ზოგადი ხანდაზმულობის ვადების გამოყენების თაობაზე, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია სსკ-ის 655-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და აღნიშნულის შესახებ მითითება.

⁵²⁷ *Conrad M.*, Internationales Kaufrecht, UN-Kaufrecht mit rechtsvergleichenden Bezügen, De Gruyter Oldenbourg, Berlin, 2017, 146-147.

⁵²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივნისის №ას-131-2019 განჩინება.

⁵²⁹ *ძლიერიშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <<http://www.gccc.ge>>, 2019, მუხლი 655, ვნ. 13 [31.03.2019].

⁵³⁰ *Schellhammer K.*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 12. Auflage, Verlag C. F. Müller, Heidelberg 2014, 5 f.

⁵³¹ BGH, Urt. v. 25.6.1991 - X ZR 4/90.

2.1. დამატებითი შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა და ათვლის წესი

მიუხედავად სახელშეკრულებო მოთხოვნის ზოგადი ხანდაზმულობის ვადის არსებობისა, შესრულების ნაკლთან დაკავშირებული მოთხოვნებისათვის დადგენილია სპეციალური ხანდაზმულობის ვადები.⁵³² სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალურ ვადაზე საუბარი სსკ-ის 655-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთის მიერ უფლების განხორციელების ვადას. კერძოდ, მოთხოვნა უნდა იქნეს წარდგენილი ერთი წლის განმავლობაში, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც შეეხება ნაგებობას - 5 წლის განმავლობაში.⁵³³

კანონმდებლის მიერ ნაგებობის მიმართ შესრულების ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნისათვის ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადის დადგენა უნდა შეფასდეს მიზანშეწონილად, ვინაიდან შესაძლებელია ნაგებობის დამალული ნივთობრივი ნაკლი წლების შემდეგ გახდეს ცნობილი შემკვეთისთვის და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მას. კრედიტორს დროის გასვლის მიუხედავად უნდა ჰქონდეს თავისი უფლების დაცვის შესაძლებლობა.

ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადის დადგენის მიზანს წარმოადგენს იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას შენობაზე ნაკლის მოგვიანებით აღმოჩენის შემთხვევაში.⁵³⁴ სანივთო სამართლებრივი თვალსაზრისით მიწის ნაკვეთთან მჭიდრო კავშირი წარმოადგენს შენობის ხანგრძლივი ვადით არსებობის დამაჯერებელ მტკიცებულებას, რაც საკმარისია ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადების დადგენის გამართლებისათვის.⁵³⁵

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონედ უნდა იქნეს მიჩნეული ნაგებობასთან დაკავშირებული სამუშაოების გამიჯვნა, რომლებიც ნაგებობის განახლებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა და გაუმჯობესების სამუშაოები, ვინაიდან აღნიშნული უკავშირდება განსხვავებული ხანდაზმულობის ვადების გამოყენებას.⁵³⁶

ნაგებობის ცნებაში ექცევა არა მხოლოდ მთლიანობაში ნაგებობის აღმართვა, არამედ ასევე მშენებლობის ცალკეული ნაწილის დამზადება მაშინაც, როცა ის გარეგნულად არ აღიქმება როგორც გამიჯვრადი ნაწილი.⁵³⁷ აქ ძირითადად იგულისხმება უძრავი, სამუშაოსა და მასალის გამოყენების შედეგად მიწასთან მყარად დაკავშირებული ნივთი.⁵³⁸ ნაგებობად მიიჩნევა,

⁵³² Thorsten R., *Vertragsrecht Die Grundlagen des Wirtschaftsrechts*, Verlag Vahlen, München, 2011, 411.

⁵³³ *ძლიერიშვილი ზ.*, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2001, მუხლი 655, 53-54.

⁵³⁴ Bohnstedt J., *Vertragsrecht im Einkauf Erfolgsfaktor im Supply Chain Risk Management (SCRM)*, 3. Auflage, Springer Gabler, Wiesbaden, 2018, 213.

⁵³⁵ BGH, Urt. v. 02.06.2016 – VII ZR 348/13.

⁵³⁶ Buschmann B., *Vertragsrecht für Planer, Bauherren und Baubetriebe: Bauvergabe, Bauvertrag, Bauplanung*, Wilhelm Ernst & Sohn Verlag für Architektur und technische Wissenschaften GmbH & Co. KG, Berlin 2003, 223.

⁵³⁷ Harke J. D., *Besonderes Schuldrecht*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 114.

⁵³⁸ BGH Urt. v. 20.05.2003 – X ZR 57/02.

ასევე ის ნივთები, რაც აუცილებელია შენობის ასაშენებლად და შენობის აშენების შემდგომ მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს (მაგ., ლიფტი და სხვ.).⁵³⁹

თითქმის ანალოგიური რეგულირებაა დადგენილი გერმანულ სამართალში. აღნიშნულ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ორ წელს.⁵⁴⁰ ხანდაზმულობის 2-წლიანი ვადა ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ეხება ნივთის დამზადებას, მოვლას ან შეცვლას ან ამ მიზნით სამუშაოების შესრულების დაგეგმვასა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობას.⁵⁴¹ შენობის აღმართვასა და მასთან დაკავშირებული დაგეგმვის სამუშაოები ხანდაზმულია 5 წლის განმავლობაში.⁵⁴²

სასარჩილო ხანდაზმულობის სპეციალური ვადების გამოყენებასთან დაკავშირებით გერმანიაში საინტერესო პრაქტიკაა დადგენილი ძველი შენობის გარემონტების დროს წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ. კერძოდ, იმ სამუშაოს შესრულების შედეგად წარმოშობილ ნაკლზე, რომლის პროცესშიც მეწარმე უკვე არსებული ნაგებობის გადაკეთებას ან გაერთიანებას ახორციელებს, რაც არსებითი მნიშვნელობისაა ნაგებობისთვის და რასაც ცალკე ღირებულება აქვს, ვრცელდება 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.⁵⁴³ ნებისმიერ სხვა სამუშაოზე, რომელიც შეეხება მაგ., კოსმეტიკურ რემონტს, ცალკეული დაზიანების აღმოფხვრას, - 2-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.⁵⁴⁴

მითითებული მსჯელობა მიჩნეულ უნდა იქნეს გონივრულად, რადგან ის სრულად შეესაბამება ხანდაზმულობის ვადის დადგენის ძირითად მიზანს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება არსებულ ნაგებობაზე განხორციელებულ ისეთ სამუშაოებს, რომლებიც თავად შენობის მთლიანობის შენარჩუნებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა და მისი არაჯეროვანი შესრულება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ზიანთან, მიზანშეწონილია ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივი ვადის გამოყენება. ამ შემთხვევაში პრიორიტეტულად უნდა დასახელდეს კრედიტორის დაცვის ღირსი ინტერესი, რომელსაც უნდა მიენიჭოს უპირატესობა. რაც შეეხება შენობაზე განხორციელებულ ისეთ სამუშაოებს, რომლებიც უმნიშვნელო ხასიათს ატარებს, როგორცაა, მაგ., კოსმეტიკური რემონტის ჩატარება, მსგავსი სამუშაოების განხორციელებისას მხარეთა ინტერესებს შორის სამართლიანი

⁵³⁹ *ზოიძე*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი, 1999, მუხლი 150, 27.

⁵⁴⁰ *Medicus D.*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 14. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2007, 171 f.

⁵⁴¹ *Hirsch C.*, Schuldrecht Besonderer Teil, 4. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2016, 201.

⁵⁴² *Buschmann B.*, Vertragsrecht für Planer, Bauherren und Baubetriebe: Bauvergabe, Bauvertrag, Bauplanung, Wilhelm Ernst & Sohn Verlag für Architektur und technische Wissenschaften GmbH & Co. KG, Berlin 2003, 223; *Petersen J.*, Verjährung von Schadensersatzansprüchen wegen Baumängeln und Ihre Hemmung durch Einleitung des Mahnverfahrens, Jura, Heft 9, 37. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2015, 1006.

⁵⁴³ *Schellhammer K.*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 12. Auflage, Verlag C. F. Müller, Heidelberg 2014, 6.

⁵⁴⁴ *Hirsch C.*, Schuldrecht Besonderer Teil, 4. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2016, 202.

ბალანსის დაცვა მიიღწევა უფრო ნაკლები ხანდაზმულობის ვადის გამოყენებით.

შესრულების ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის განხილვისას მნიშვნელოვანია მშენებლობის დაგეგმვის ხელშეკრულების მიმართ გერმანიაში არსებული მიდგომის განხილვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სასამართლო პრაქტიკა საქართველოშიც.

გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, შენობას და სხვა ნატურალური ფორმით შესრულებას უთანაბრდება არამატერიალური დაგეგმვისა და ზედამხედველობის განხორციელება. კერძოდ, არქიტექტორისა და ინჟინრის საქმიანობა, რომელიც რეალიზდება ნაკეთობაში.⁵⁴⁵ არქიტექტორისა და ინჟინრის საქმიანობად უნდა დასახელდეს ასევე ექსპერტად საქმიანობა.⁵⁴⁶ ამ ხელშეკრულების მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან არქიტექტორს აკისრია არა მარტო დაგეგმვის, არამედ ზედამხედველობისა და სამშენებლო სამუშაოების სათანადოდ განხორციელების ვალდებულება.⁵⁴⁷ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მშენებლობის დაგეგმვის შესრულების მიმართ 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როცა საკითხი ეხება ნაგებობის აღმართვას. სხვა შემთხვევაში კი ზოგადი ხანდაზმულობის ვადებია რელევანტური. აღნიშნული მოსაზრება არ გამომდინარეობს გერმანიის კანონმდებლობიდან, ვინაიდან არ არსებობს რეგულირება, რომელიც მიუთითებს 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენებაზე მხოლოდ ობიექტის აღმართვის შემთხვევაში. ერთადერთ და გადამწყვეტ კრიტერიუმს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ დაგეგმვის საგანი.⁵⁴⁸

მსგავსი ხელშეკრულების შემთხვევაში არქიტექტორის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შემკვეთის სურვილის შესაბამისი გეგმის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთის განაშენიანება. აღნიშნულს ასევე მიეკუთვნება სამშენებლო საწარმოსა და მუშახელის გულმოდგინე შერჩევა და ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილება.⁵⁴⁹

სხენებული საკითხი სრულიად სამართლიანად განსხვავებულად არის განმარტებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესასრულებელი სამუშაო, რომელიც შეეხებოდა თეატრის ნაგებობისა და მშენებლობის პროექტს და

⁵⁴⁵ Harke J. D., Besonderes Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 114.

⁵⁴⁶ Wirth A., Würfele F., Broocks S., Rechtsgrundlagen des Architekten und Ingenieurs, Friedr. Vieweg & Sohn Verlag/GWV Fachverlage GmbH, Wiesbaden, 2004, 200.

⁵⁴⁷ Hirsch C., Schuldrecht Besonderer Teil, 4. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 204 f.

⁵⁴⁸ GPA-Mitteilung Verjährungsfristen für Gewährleistungsansprüche bei Architekten/Ingenieur- und Projektsteuerungsleistungen Bau 4/2002 Az.600.513, 6. <https://www.gpabw.de/fileadmin/user_upload/pdf/GPA_Mitteilungen_BAU/2002/MIB042002.pdf> [22.03.2019].

⁵⁴⁹ Emmerich V., BGB - Schuldrecht Besonderer Teil, 10. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2009, 142.

ზედამხედველობას, სასამართლომ არ მიიჩნია უძრავ ნივთად. შესაბამისად, გაავრცელა მოძრავი ნივთის მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადა.⁵⁵⁰

აღსანიშნავია, რომ უძრავი ნივთის ცნება დადგენილია სსკ-ით. სასამართლო შეზღუდულია უძრავი ნივთის მოცემული დეფინიციით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ სრულიად დასაბუთებულად მიიჩნია შესასრულებელი სამუშაო და მშენებლობის პროექტი მოძრავ ნივთად, რადგან აღნიშნული საგანი თავისი მახასიათებლების მიხედვით არ წარმოადგენს ნაგებობას, თუმცა ვალდებულების ხასიათიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რადგან ნაგებობის და მშენებლობის პროექტი საბოლოოდ უკავშირდება უძრავი ნივთის აღმართვას, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მსგავსი ტიპის ხელშეკრულებების შემთხვევაში ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივი ვადის გამოყენება.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებში ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადების ანალიზს, საბერძნეთში ნივთის ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნები ხანდაზმულია 2 წლის განმავლობაში, ხოლო უძრავი ნივთის შემთხვევაში - 5 წლის ვადაში.⁵⁵¹ ინგლისის სამართალმა უარყო სპეციალური მცირე ვადების დადგენა, რათა არ შეზღუდულიყო მომხმარებლის უფლებები.⁵⁵² ავსტრიაში მეორადი მოთხოვნები ხანდაზმულია ორი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადა იწყება ნივთის გადაცემის მომენტიდან.⁵⁵³

ასევე, ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დამალვის შემთხვევის მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადის საკითხი. განზრახვა გამოიხატება მენარდის მიერ ნაკლის არსებობის შესახებ ცოდნის, შესრულებული ნაკეთობის გამოყენებისა და შემადგენლობისთვის მისი მნიშვნელოვანი როლის გაცნობიერების, თუმცა ვალდებულების საწინააღმდეგოდ შემკვეთისათვის შეტყობინების განუცხორციელებლობაში.⁵⁵⁴ ამ შემთხვევაში მენარდე არ იმსახურებს დაცვას, რადგან ის წარმოადგენს ბრუნვის არაკეთილსინდისიერ მონაწილეს. შესაბამისად, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ამ შემთხვევაში ზოგადი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება, რომელიც დაიწყება არა სამუშაოს, არამედ ნაკლის თაობაზე ინფორმაციის მიღების მომენტიდან.⁵⁵⁵ მსგავსი მიდგომა არის შემოთავაზებული ასევე გერმანიის კანონმდებლობით.⁵⁵⁶

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 654-ე მუხლი ითვალისწინებს მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა ის არ ეხება

⁵⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის №ას-1428-2018 განჩინება.

⁵⁵¹ Mansel H. Kaufrechtsreform in Europa und die Dogmatik des deutschen Leistungsstörungenrechts: Kaufrecht in Europa nach der Umsetzung der Verbrauchsgüterkauf-Richtlinie, Archiv für die civilistische Praxis, Heft 3/4, 204. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2004, 421.

⁵⁵² იხ. იგივე, გვ. 450.

⁵⁵³ იხ. იგივე, გვ. 412.

⁵⁵⁴ OLG München Urt. v. 19.04.2005 – 9 U 3931/04.

⁵⁵⁵ ძლიერიშვილი ზ., ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 197.

⁵⁵⁶ Looschelders D., Schuldrecht Besonderer Teil, 2. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2007, Rn.704.

ხანდაზმულობის კანონით გათვალისწინებულ ვადებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მენარდის არაკეთილსინდისიერების ფაქტი, პრობლემური იქნება ამ შემთხვევაში ზოგადი ხანდაზმულობის ვადების გამოყენება. მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ამ შემთხვევის მიმართ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით ხანდაზმულობის ზოგადი ვადის გამოყენება. თუმცა ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რეკომენდირებულია სსკ-ის 655-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითც მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის შემთხვევა დაექვემდებარება ზოგად ხანდაზმულობის ვადას.

კანონმდებელი შემკვეთის მიერ მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის ათვლას უკავშირებს არა იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, არამედ შესრულებული სამუშაოს მიღების ფაქტს.⁵⁵⁷ შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში მოქმედებს ხანდაზმულობის ვადა, რომელიც დამოკიდებულია არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ ფაქტორზე.⁵⁵⁸ სამუშაოს მიღების გარეშე არ იწყება ხანდაზმულობის ვადა,⁵⁵⁹ თუმცა არსებობს მიღების ფიქცია იმ შემთხვევაში, როცა შემკვეთი ნაკეთობით სარგებლობას იწყებს.⁵⁶⁰

ამასთან, შესაძლებელია მხარეთა მიერ გათვალისწინებულ იქნეს სამუშაოს ცალკეული ნაწილების შესრულებისა და გადაცემის ვადები. თუ ნარდობის ხელშეკრულებით სამუშაოს მიღება ხდება ნაწილ-ნაწილ, მსგავს შემთხვევაში ნაკლის გამო ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან.⁵⁶¹

სსკ ადგენს ერთწლიან, ხოლო გსკ 2-წლიან ხანდაზმულობის ვადებს. მათ შორის სხვაობა არც ისე მცირეა, ამიტომ მნიშვნელოვანია დადგინდეს ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნის ვადის გონივრულობის საკითხი. ვინაიდან ხანდაზმულობის ვადა ემსახურება ხელშეკრულების მონაწილეთა ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დადგენას, აუცილებელია განისაზღვროს მოვალისა და კრედიტორის ინტერესები.

კრედიტორის ინტერესს წარმოადგენს მოთხოვნის განხორციელებისათვის საკმარისი შესაძლებლობის არსებობა. ცალკეულ შემთხვევაში კრედიტორს შეიძლება არ ჰქონდეს მოთხოვნის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა, სადაც ადგილი აქვს ფარული ნაკლის შემთხვევაში, რომელიც ხანგრძლივი დროის შემდეგ ვლინდება.

⁵⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის ას-1072-1102-2011 განჩინება - აღწერილობითი ნაწილი, *ძლიერიშვილი ზ.*, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2001, მუხლი 655, 54.

⁵⁵⁸ *Harke J. D.*, *Besonderes Schuldrecht*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 114.

⁵⁵⁹ *Wirth A.*, *Broocks S.*, *Würfele F.*, *Rechtsgrundlagen des Architekten und Ingenieurs*, Friedr. Vieweg & Sohn Verlag/GWV Fachverlage GmbH, Wiesbaden, 2004, 119.

⁵⁶⁰ *Bohnstedt J.*, *Vertragsrecht im Einkauf Erfolgsfaktor im Supply Chain Risk Management (SCRM) 3.* Auflage, Springer Gabler, Wiesbaden, 2018, 147.

⁵⁶¹ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 154; *ძლიერიშვილი ზ.*, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2001, მუხლი 656, 55.

რაც შეეხება მოვალეს, მის ინტერესს, პირველ რიგში, შეიძლება მიეკუთვნოს თავის დაცვა ზიანისაგან, რომელიც დროის გასვლასთან ერთად ართმევს მას დაუსაბუთებელი მოთხოვნებისაგან თავის დაცვის შესაძლებლობას. ხანდაზმულობის ვადის დაწყების ობიექტურ ფაქტორებზე დაკავშირება ყოველთვის უფრო სასარგებლოა მოვალისათვის.

ნარდობის ხელშეკრულების დროს შეიძლება ხშირად იყოს სახეზე შესრულების ნაკლი, რომელიც ფარულია და შეიძლება შემკვეთისათვის ცნობილი გახდეს ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ. სწორედ ამიტომ კანონმდებლობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ხანდაზმულობის ისეთი ვადის დადგენა, რომელიც არ გამოიწვევს სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დადგენით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი კრედიტორის ინტერესების სამართლიანი დაცვა.

ნარდობის ხელშეკრულების მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები, ზემოთ შემოთავაზებული ხანდაზმულობის ვადის აღდგენის მექანიზმის გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს გონივრულად იმავე პრინციპებზე დაყრდნობით, რაც უკვე განხილულ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ.

2.2. ნაკლიანი დამატებითი შესრულების გავლენა ხანდაზმულობის ვადის დენაზე

ხშირად შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რა გავლენას ახდენს დამატებითი შესრულების ხარვეზიანი მცდელობა ხანდაზმულობის ვადის დენაზე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, კრედიტორის და, მეორე მხრივ, მოვალის ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე. იმ ფაქტის დაშვებისას, რომ ნაკლიანი დამატებითი შესრულების შემთხვევაში გრძელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავდაპირველი დენა, კრედიტორს მოუწევს მოჩვენებით აღმოფხვრილი ნაკლის თაობაზე ინფორმაცია შემჭიდროებულ ვადებში წარუდგინოს მოვალეს, რათა შემდგომში არ წაერთვას მოთხოვნის იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა. ეს კი რიგ შემთხვევაში შეიძლება სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, რადგან კრედიტორს ობიექტურად არ ჰქონდეს გონივრული ვადა მოთხოვნის წარსადგენად. სწორედ ამიტომ პრაქტიკული მნიშვნელობისაა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენაზე ნაკლიანი დამატებითი შესრულების გავლენის საკითხი. საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი შესრულების ხარვეზიანი მცდელობასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურებანი მოქმედებს როგორც ნარდობის, ისე ყველა იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც ადგენს დამატებითი შესრულების ვალდებულებას, მათ შორის, ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართაც.

ზოგადად, დამატებითი შესრულება მაშინ ითვლება წარუმატებლად, როცა ნაკლის აღმოფხვრის მიზნით გამყიდველის უშედეგო მცდელობის

მიუხედავად სახეზეა იგივე ან ახალი ნაკლი. გამყიდველს არ შეუძლია წარუმატებლობის დასაბუთებული ვარაუდი იმით უარყოს, რომ საგნის ან ნაკლის სახე ან სხვა გარემოებები დამატებით შესრულებას განსაკუთრებით რთულს ხდიდა.⁵⁶² დამატებითი შესრულება შეიძლება გამოიხატოს ნაკლიანი ნივთის გაუმჯობესებაში ან ახალი ნივთის გაგზავნაში.⁵⁶³ ამ დროს მნიშვნელოვანია გაირკვეს, დამატებითი შესრულების წარმოდგენილი სახეები განსხვავებულად მოქმედებს თუ არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენაზე და რით არის აღნიშნული განპირობებული.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გაუმჯობესების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება, თუ საკითხი შეეხება იმავე ნაკლს ან ნაკლიანი გაუმჯობესების შედეგებს.⁵⁶⁴ გაუმჯობესების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის თავიდან დაწყების საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს, შეკეთებასთან დაკავშირებული ღონისძიებები წარმოადგენს თუ არა აღიარებას.⁵⁶⁵ გაუმჯობესება იწვევს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავიდან დაწყებას მხოლოდ მაშინ, როცა კრედიტორმა აღიარა თავისი გაუმჯობესების ვალდებულება⁵⁶⁶ ანუ, თუ გამსხვისებელი ნაკლის აღმოფხვრას თანხმდება და ადგილი აქვს გამოსწორების მცდელობას.⁵⁶⁷ ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაკლიანი გამოსწორების მცდელობა - ნაკლის აღიარების გათვალისწინებით - არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის თავიდან დაწყებას.⁵⁶⁸ ამასთან, სასარჩელო ხანდაზმულობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, როცა ხანდაზმულობის ვადა მიედინება. შესაბამისად, აღიარებას ხანდაზმულობის დადგომის შემდეგ აღარ აქვს შემწყვეტი მოქმედება.⁵⁶⁹

გაუმჯობესებისგან განსხვავებით, ახალი ნივთის გაგზავნა ზოგიერთი ავტორის მიერ ფასდება კონკლუდენტურ აღიარებად.⁵⁷⁰ შესაბამისად, გამყიდველის მიერ დამატებითი შესრულების ფარგლებში ახალი ნივთის გაგზავნა იწვევს ხანდაზმულობის თავიდან დაწყებას.⁵⁷¹ ახალი ნივთის გაგზავნის აღიარებად კვალიფიკაციის სასარგებლო არგუმენტად სახელდება ის, რომ კრედიტორს ახალი ნივთის მიღების შემთხვევაში უნდა ჰქონდეს

⁵⁶² Harke J. D., Besonderes Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 68.
⁵⁶³ *დოქტრინული*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <<http://www.gccc.ge>>, 2019, მუხლი 642, ვნ. 5 [31.03.2019].
⁵⁶⁴ Tiedtke K., Zur Rechtsprechung des BGH auf dem Gebiet des Kaufrechts – Teil 1, JZ, Nr. 8, 63. Jahrgang, 2008, 402;
⁵⁶⁵ Volker E., BGB - Schuldrecht Besonderer Teil, 14. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2015, Rn. 34.
⁵⁶⁶ LG München Urt. 10.06.2011 – 12 O 3387/11.
⁵⁶⁷ Wittmann R., Vertragliche Gewährleistungsregelungen beim Unternehmenskauf unter besonderer Berücksichtigung des Anteilskaufs, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Wien, Wien, 2011, 101 <http://othes.univie.ac.at/17387/1/2011-11-17_9650047.pdf> [12.03.2019].
⁵⁶⁸ OLG Celle 20.6.2006 – 16 U 287/05.
⁵⁶⁹ Koller A., Unterbrechung der Verjährung, SJZ, Heft 9, 113. Jahrgang, 2017, 203.
⁵⁷⁰ Rüdiger M., Aktuelle Entwicklungen im Kaufrecht – Die Nacherfüllung gem. § 439 BGB, MDR, Heft 20, 65. Jahrgang, 2011, 1219.
⁵⁷¹ Werkmeister C., Zur Verjährung des kaufrechtlichen Nacherfüllungsanspruchs, Jura, Heft 1, 35. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2013, 38.

ნაკლის აღმოსაჩენად საკმარისი ვადა.⁵⁷² აქედან გამომდინარე, შეიძლება ვარაუდი, რომ ახალი ნივთის გაგზავნა შეკეთებასთან შედარებით ხანდაზმულობის კუთხით პრივილეგირებულია.

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა არ უნდა შეფასდეს გონივრულად შემდეგ გარემოებათა გამო: გასათვალისწინებელია არგუმენტი, რომ აღიარება წარმოადგენს აღიარებით ხელშეკრულებას, რომლითაც დავა ან ეჭვი უფლების არსებობისა და მოცულობის შესახებ აღმოიფხვრება.⁵⁷³ ასევე ქმედების აღიარებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ ის არ ხორციელდებოდეს კრედიტორის მხოლოდ კეთილი ნების საფუძველზე, არამედ ასევე დამატებითი შესრულების მიზნით.⁵⁷⁴ აღიარების საფუძველით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იწყება თავიდან მხოლოდ კონკრეტული ნაკლისათვის.⁵⁷⁵ ბუნდოვანია ახალი ნივთის გაგზავნისა და ნაკლის გამოსწორების შემთხვევაში განსხვავებული მიდგომის საფუძველი. არ უნდა იქნეს გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მიდგომა ახალი ნივთის გაგზავნასა და გაუმჯობესებასთან მიმართებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განსხვავებულ დინებასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ორივე შემთხვევაში კრედიტორი ერთი და იმავე განზრახვით მოქმედებს. განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთ საფუძველად სახელდება კრედიტორისათვის ახალი ნივთის მიღების შემთხვევაში გონივრული ვადის მიცემის შესაძლებლობა, თუმცა მხოლოდ ეს არგუმენტი ვერ გამოდგება მსგავსი მოსაზრების გასამართლებლად. იმავე წარმატებით კრედიტორს გაუმჯობესების შემთხვევაშიც შეიძლება სჭირდებოდეს საკმარისი დრო ნაკლის აღმოსაჩენად.

ამას გარდა მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს არჩევის უფლების მქონე სუბიექტზე. სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილი ნაკლის გამოსწორების ან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლის უფლებას ანიჭებს გამყიდველს,⁵⁷⁶ ხოლო გსკ-ით მყიდველს აქვს უფლება, გააკეთოს არჩევანი გაუმჯობესებას ან ახალი ნივთის გაგზავნას შორის.⁵⁷⁷ დასახელებული განმარტების გაზიარების შემთხვევაში არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში მხოლოდ გამყიდველის ნებაზე ხდება დამოკიდებული ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხი, რაც შეუსაბამოა სამართლიანობის პრინციპთან. გამყიდველი, როგორც წესი, შეეცდება თავისი ინტერესების შესაბამისი არჩევანის გაკეთებას, მყიდველი/მომხმარებელი კი დარჩება დაცვის გარეშე.

⁵⁷² Reich D. O., Einführung in das Bürgerliche Recht, 5. Auflage, Springer Fachmedien Verlag, Wiesbaden, 2016, 254.

⁵⁷³ Welser R., Zöchling-Jud B., Grundriss des bürgerlichen Rechts Band II: Schuldrecht Allgemeiner Teil, Schuldrecht Besonderer Teil, Erbrecht, 14. Auflage, Manz Verlag, Wien, 2015, Rn. 530

⁵⁷⁴ Werkmeister C., Zur Verjährung des kaufrechtlichen Nacherfüllungsanspruchs, Jura, Heft 1, 35. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2013, 41.

⁵⁷⁵ Bohnstedt J., Erfolgsfaktor im Supply Chain Risk Management (SCRM), 3. Auflage, Springer Gabler, Wiesbaden, 2018, 216.

⁵⁷⁶ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <<http://www.gccc.ge>> 2019, მუხლი 490, ვნ. 17 [01.04.2019].

⁵⁷⁷ Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 34.

ბუნდოვანია, რით არის განპირობებული ერთ შემთხვევაში გამყიდველის, ხოლო მეორე შემთხვევაში მყიდველის პრივილეგირება. ზოგადად, გონივრულია ხანდაზმულობის დადგენის შემთხვევაში მხარეთა ინტერესების დაცვა იყოს კანონმდებლის ერთიანი პოლიტიკის და არა კონკრეტული მხარის გადასაწყვეტი. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია ნაკლის აღმოფხვრის ორივე შემთხვევისთვის ერთიანი რეგულაციის დადგენა.

ნაკლიანი დამატებითი შესრულებისას ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული გაუმჯობესებასთან მიმართებით გსკ-ის გადაწყვეტა, სადაც გაუმჯობესების მიზნით შესრულება ცალკეული გარემოების გათვალისწინებით განიხილება თავდაპირველი ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნის შემაჩერებელი მოლაპარაკებად.⁵⁷⁸

გერმანიის კანონმდებლობაში სიახლეს წარმოადგენს კრედიტორსა და მოვალეს შორის მოლაპარაკების ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძვლად დადგენა.⁵⁷⁹

ზოგადად, მოლაპარაკების ცნება უნდა იქნეს ფართოდ განმარტებული.⁵⁸⁰ ასე რომ საკმარისია აზრის ყოველი გაცვლა მოთხოვნის ან მისი ფაქტობრივი საფუძვლების თაობაზე,⁵⁸¹ რომელიც ობიექტური დამკვირვებლის თვალში ამართლებს იმ ვარაუდის დაშვებას, რომ მოვალემ საბოლოოდ არ უარყო უფლება.⁵⁸² მოვალე უნდა იყოს ჩართული მოლაპარაკებების პროცესში.⁵⁸³ მოლაპარაკებების დაწყება მაშინაა სახეზე, როცა მოპასუხემ მოთხოვნის მფლობელის პრეტენზია მის ადვოკატს გადასცა და ამ უკანასკნელმა მოთხოვნის მფლობელს უპასუხა.⁵⁸⁴ თუ მოპასუხე მოახდენს რეაგირებას შეთავაზებულ წინადადებაზე მხოლოდ თავაზიანობიდან გამომდინარე, ეს არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს მოლაპარაკებად.⁵⁸⁵ ამასთან, მოლაპარაკებით სასარჩელო ხანდაზმულობა მხოლოდ იმ ნაკლთან დაკავშირებით ჩერდება, რომელიც შეთანხმების საგანს წარმოადგენდა.⁵⁸⁶

პრაქტიკაში ხშირად რთულია იმის დამტკიცება, როდიდან როდემდე, რომელ პირთა შორის, რომელ ნაკლთან დაკავშირებით მიმდინარეობდა

⁵⁷⁸ Beckmann in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier - de Gruyter, Berlin, 2008, 607.

⁵⁷⁹ Löwisch M., Neues Schuldrecht in Deutschland, Ritsumeikan Law Review, Nr. 20, 2003, 161.

⁵⁸⁰ Werkmeister C., Zur Verjährung des kaufrechtlichen Nacherfüllungsanspruchs, Jura Heft 1, 35. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2013, 41.

⁵⁸¹ Schmid M., Neubeginn und Hemmung der Verjährung durch Behandlung auf einer Wohnungseigentümersammlung, MDR, Heft 13/2009, 63. Jahrgang, 2009, 718.

⁵⁸² Smid S. Verjährungshemmung durch Forderungsanmeldung, DZWIP, Heft 7, 22. Jahrgang, 2012, 270.

⁵⁸³ იხ. იგივე, გვ. 718.

⁵⁸⁴ Wenusch H., ÖNORM B2110, Praxiskommentar zum Bauwerkvertragsrecht, Springer-Verlag Wien, 2009, 429.

⁵⁸⁵ Böhringer W., Hemmung der Verjährung/Wiederaufnahme von Verhandlungen/Höflichkeitsfloskeln, RRa 2011(1), 19. Jahrgang, 2011, 29.

⁵⁸⁶ OLG Brandenburg, Urt. v. 10.10.2007 – 3 U 33/07.

მოლაპარაკებები,⁵⁸⁷ ვინაიდან მოლაპარაკება არ არის რაიმე ფორმით შეზღუდული.⁵⁸⁸ სამართალწარმოების პროცესში მტკიცების ტვირთის გართულების პრევენციისთვის, მიზანშეწონილია მხარეებმა გამოიჩინონ გულისხმიერება მოლაპარაკების დამადასტურებელი სავარაუდო მტკიცებულებების შექმნის კუთხით.

შეთანხმების დროს მნიშვნელოვანია განხორციელდეს კრედიტორის დაცვა მოვალის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან. კერძოდ, ისეთი ქმედებისგან, რომელიც კრედიტორს უზიდავს უფლების განხორციელებისაგან თავშეკავებისკენ.⁵⁸⁹ ამასთან, არსებობს რისკი, ხანდაზმულობის შეჩერების დასახელებული საფუძველი გამოყენებულ იქნეს მხარეთა მიერ მოლაპარაკების ვადის გაჭიანურების ინსტრუმენტად.

ხსენებულ საკითხზე მსჯელობისას არსებითია იმ არგუმენტების განხილვა, რომლებიც იქნა გამოთქმული საპროექტო ჯგუფის მიერ გსკ-ში ხარვეზიანი დამატებითი შესრულების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის თავიდან დაწყების სასარგებლოდ.⁵⁹⁰ დამატებითი შესრულებისას ხანდაზმულობის თავიდან დაწყების არგუმენტად ჯგუფის ფარგლებში დასახელდა კრედიტორის ინტერესი, რომ ჰქონდეს საკმარისი დრო საგარანტიო მოთხოვნების განხორციელებისთვის, თუმცა ამ ინტერესის მიღწევა იმავე წარმატებით არის შესაძლებელი ხანდაზმულობის ვადის შეჩერებით. ხანდაზმულობის ვადის დენის თავიდან დაწყების დაშვებამ შეიძლება გამოიწვიოს კრედიტორის მიერ განუსაზღვრელი ვადით დამატებითი შესრულების მოთხოვნის წარდგენა.

გარდა ამისა, აშკარაა საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს დამატებითი შესრულების შემთხვევაში თავდაპირველი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელების საკითხს. კერძოდ, იზრდება საფრთხე, რომ მოვალე შეეცდება დამატებითი შესრულების მცდელობის გაჭიანურების ხარჯზე ამოწუროს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და თავიდან აიცილოს მოთხოვნის იძულებითი განხორციელება. ხანდაზმულობის ვადის შეჩერება უნდა შეფასდეს პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე რაციონალურ გზად, თუმცა ეს პრობლემურია სსკ-თან მიმართებით, რადგან მოლაპარაკებები, როგორც ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძველი კანონით არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ამ შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი შესრულება საერთოდ არ უკავშირდებოდეს არც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას და არც ვადის შეჩერებას, რაც თავისთავად პრობლემურია. არსებული მოწესრიგების პირობებში, კრედიტორის

⁵⁸⁷ Wittmann R., Vertragliche Gewährleistungsregelungen beim Unternehmenskauf unter besonderer Berücksichtigung des Anteilskaufs, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Wien, Wien, 2011, 100 <http://othes.univie.ac.at/17387/1/2011-11-17_9650047.pdf> [12.03.2019].

⁵⁸⁸ Schmidt-Kessel M., Ein einheitliches europäisches Kaufrecht? Eine Analyse des Vorschlags der Kommission, Sellier european law publishers GmbH, München, 2012, 539.

⁵⁸⁹ Koller A., Unterbrechung der Verjährung, SJZ, Heft 9, 113. Jahrgang, 2017, 201.

⁵⁹⁰ Bundesrechtsanwaltskammer, Stellungnahme Nr. 42/2014, zum Arbeitspapier der Projektgruppe Gewährleistungsrechte und Garantie beim Kaufvertrag; Umsetzung der 2013 gefassten Beschlüsse der Verbraucherschutzministrekonferenz und Justizministerkonferenz, 2014, 3-4 <<https://www.brak.de/zur-rechtspolitik/stellungnahmen-pdf/stellungnahmen-deutschland/2014/november/stellungnahme-der-brak-2014-42.pdf>> [18.03.2019].

ინტერესების დაცვის რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, დამატებითი შესრულების ნებისმიერი უშედეგო მცდელობა, რეკომენდირებულია განმარტებულ იქნეს გაუმჯობესების ვალდებულების აღიარების ფაქტად, რაც, თავის მხრივ, მოქმედი მოწესრიგების პირობებში ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველია. ამასთან, მიზანშეწონილია მხედველობაში იქნეს მიღებული კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის ობიექტური შესაძლებლობის არსებობა/არარსებობის ფაქტი. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის წარუდგენლობა გამოწვეულია კრედიტორის დაუდევრობით, მხარეთა ორმხრივი ინტერესების და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მიზნიდან გამომდინარე, ეს უნდა იქნეს გამოყენებული ამ უკანასკნელის საზიანოდ.

ამასთან, საგულისხმოა, რომ მხარეთა შორის კონფლიქტის არსებობისას დავის მოგვარების ყველაზე ოპტიმალურ გზას სწორედ შეთანხმება წარმოადგენს. შეთანხმების გზით სასამართლოსადმი მიმართვის თავიდან აცილება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაზოგვას, ხოლო, მეორე მხრივ, - დავის გაჭიანურების პრევენციას.⁵⁹¹ იმ ფონზე, როცა სსკ არ ითვალისწინებს მოლაპარაკების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის შეჩერების შესაძლებლობას, ბუნებრივია მხარეები პირდაპირ მიმართავენ სასამართლოს დავის გადასაწყვეტად, რათა არ იქნეს გაშვებული უფლების განხორციელების ვადები. საგულისხმოა, საქართველოს პარლამენტის მიერ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, ამასთან, სამოქალაქო კოდექსში ცვლილების განხორციელება, რომლითაც ხანდაზმულობის შეჩერების ერთ-ერთ საფუძვლად დაემატა კერძო მედიაციის დაწყება,⁵⁹² ხოლო „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას მედიაციის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს მედიაციის დაწყებიდან 2 წლისა.⁵⁹³

წარმოდგენილი ცვლილებებით ხდება სწორედ მხარეთა შორის შეთანხმების წახალისება და ამ საფუძვლით ხანდაზმულობის ვადის შეჩერება, რაც თავისთავად მისასალმებელია, თუმცა თავად ხანდაზმულობის ასე ხანგრძლივი ვადით შეჩერება არ უნდა შეფასდეს გონივრულად, რადგან მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით მორიგების მიღწევა არ საჭიროებს ამგვარ ხანგრძლივ დროს. საგულისხმოა, რომ მსგავსი ვადის დაწესებამ შესაძლოა სამომავლოდ გაზარდოს მხარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ დავის დამოუკიდებლად გადაწყვეტის წახალისებისა და სასამართლოს განტვირთვის მიზნებიდან გამომდინარე, რეკომენდირებული სსკ-ს 134-ე მუხლის შემდეგ 134¹ მუხლის დამატება, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძვლად განისაზღვრება მოლაპარაკების წარმოების პროცესი. ამასთან,

⁵⁹¹ თოდუა მ., კერძო სამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნიშვნელობა სამოქალაქო დავებზე გადაწყვეტილების მიღებისას, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, სპეციალური გამოშვება №1, 2016, თბილისი, 2016, 154.

⁵⁹² იხ. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216094?>> [06.04.2019].

⁵⁹³ იხ. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216088?>> [06.04.2019].

მოვალის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკის პრევენციის საშუალებას ამ შემთხვევაში წარმოადგენს კრედიტორის მიერ უფლების დაცვის მიზნით სასამართლოსადმი ნებისმიერ დროს მიმართვის შესაძლებლობა, ხოლო მოვალის დაცვა შემდგომში მტკიცებულებების მოპოვების გართულებისაგან მიიღწევა შეთავაზებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმით.

3. ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელების სპეციფიკა

სსკ-ის 573-ე მუხლი ადგენს გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესებისას დამქირავებლის უფლებას, წაუყენოს გამქირავებელს პრეტენზიები გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის ვადაში ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან,⁵⁹⁴ ხოლო დამქირავებლის უფლებას, ამავე ვადაში ქირავნობის საგნის ცვლილებების ან გაუარესებისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის თაობაზე.⁵⁹⁵ გასათვალისწინებელია, რომ ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ დადგენილი 6-თვიანი ვადა ასევე ანალოგიით გამოიყენება იჯარის ხელშეკრულების მიმართ.⁵⁹⁶ არ არსებობს აზრთა ერთიანობა აღნიშნული ვადის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით. ავტორთა ნაწილი ამ ვადას აფასებს ხანდაზმულობის ვადად,⁵⁹⁷ თუმცა განსხვავებულია ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს შეფასება. არც სასამართლოს განმარტებებია ერთიანი. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსკ-ის 573-ე მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნორმა ითვალისწინებდა ტერმინ „პრეტენზიას“, ის მაინც ვერ შეფასდებოდა საპრეტენზიო ვადად ნორმის შინაარსის გათვალისწინებით. მსგავსი განმარტება სასამართლომ დაადგინა ნორმის მთლიანობაში და არა განცალკევებულად შეფასებით.⁵⁹⁸ აქვე სასამართლომ საკუთარი განმარტების არგუმენტად დამატებით მიუთითა ნორმის სათაურში მითითებული მოწესრიგების სფერო - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე და ექვსი თვე შეაფასა, როგორც სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადა.⁵⁹⁹

სხვა საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა სსკ-ის 573-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი და მიუთითა, რომ 6 თვე არ წარმოადგენს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. ნორმა მიუთითებს პრეტენზიის დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის ან პირიქით,

⁵⁹⁴ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 121.

⁵⁹⁵ *ჭეჭელაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <<http://www.gccc.ge>> 2019, მუხლი 573, ვნ. 3 [01.04.2019].

⁵⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 მაისის №ას-1851-2018 გადაწყვეტილება - აღწერილობითი ნაწილი.

⁵⁹⁷ იხ. იგივე, ვნ. 1.

⁵⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 1 ნოემბრის №ას-635-916-05 განჩინება.

⁵⁹⁹ იხ. იქვე.

წარდგენის შესახებ. შესაბამისად, ეს ვადა არ გულისხმობს სარჩელის სასამართლოში წარდგენის პერიოდს.⁶⁰⁰ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეადგენს ექვს წელს.

მნიშვნელოვანია დადგინდეს ნორმით განსაზღვრული ვადა წარმოადგენს საპრეტენზიო თუ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა ნამდვილად არის ხარვეზიანი და იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. გარდა იმისა, რომ ნორმის სათაურის რეგულირების სფეროდ განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა და პირველ ნაწილში მითითებულია პრეტენზიის წარდგენის თაობაზე, მეორე ნაწილი იწვევს გაურკვევლობას, რადგან ადგენს ზიანის ანაზღაურების გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტს. შესაბამისად, როგორც სათაური, ისე მისი შინაარსიც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით აშკარად აღრეულია.

მიზანშეწონილია, ნორმით განსაზღვრული ვადის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა განხორციელდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ნორმაში საუბარია გამქირავებლის მიერ უშუალოდ დამქირავებლისათვის და პირიქით, მოთხოვნის წარდგენაზე. უშუალოდ მხარისათვის პრეტენზიის წარდგენის მიზანია, ამ უკანასკნელს მიეცეს შესაძლებლობა, სწრაფად მოახდინოს მოთხოვნის საფუძვლის შეფასება და შესაბამისი რეაგირება. უკვე განხილული სხვადასხვა ტიპის ვადების არსის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია ხსენებული ვადა შეფასდეს საპრეტენზიო ვადად.

ტერმინოლოგიური სიზუსტის მიზნის მიღწევის თვალსაზრისით რეკომენდირებულია სსკ-ის 573-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის ვადაზე მითითება, ხანდაზმულობის ნაცვლად.

ქირავნობის ხელშეკრულების მიმართ მცირე საპრეტენზიო ვადების დაწესება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გამქირავებელი ქირავნობის საგანს ხელშეკრულების დასრულების შემდეგ სწრაფად ისევ გააქირავებს და დამქირავებელი სხვა საგანს იქირავებს. ორივე მხრიდან არსებობს ინტერესი იმაზე, რომ მოთხოვნები ქირავნობის საგნის მდგომარეობის გამო სწრაფად განხორციელდეს. ეს ინტერესი აქვს ორივე მხარეს, მაგრამ მათი დენის დაწყება განსხვავებულია.⁶⁰¹

ზოგადად, მცირე საპრეტენზიო ვადების დაწესება ემსახურება დავის სწრაფად დასრულების და გადაცემული ნივთის მდგომარეობის გამო მოთხოვნების დროულად გარკვევის მიზნებს. ქირავნობის ურთიერობის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე გამართლებულია მსგავსი ვადის არსებობა.

საგულისხმოა, რომ საპრეტენზიო ვადით არ იზღუდება მოთხოვნები, რომლებიც გამომდინარეობს ქირავნობის ობიექტის განზრახ დაზიანებისგან, რომლის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ქონების

⁶⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის №ას-542-775-08 გადაწყვეტილება.

⁶⁰¹ Harke J. D., Besonderes Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 323.

და არა ქირავნობის ობიექტის დაზიანება.⁶⁰² საკითხი ანალოგიურად წყდება ასევე გერმანიის კანონმდებლობით.⁶⁰³ ამასთან, გამქირავებლის ზიანის ანაზღაურების უფლება მოქმედებს არა მხოლოდ სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, არამედ ყველა კონკურირებადი მოთხოვნის მიმართ, რომელიც იმავე შემადგენლობას ეფუძნება.⁶⁰⁴

რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, ამ შემთხვევებში გამოიყენება სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზოგადი ხანდაზმულობის ვადები, რომელიც უძრავ ნივთთან მიმართებით შეადგენს ექვს წელს.⁶⁰⁵ თუმცა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქირის გადახდის მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი შეეხება უძრავ ნივთთან დაკავშირებულ მოთხოვნას, სრულიად სამართლიანად ფასდება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად, რომლის მიმართაც მოქმედებს ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა,⁶⁰⁶ რაც ზემოთ დეტალურად იქნა განხილული.

4. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელების თავისებურებანი

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სპეციალური ვადები, თუმცა აქვე სსკ-ის 663-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს პრეტენზიის წარდგენის ვადას, რომლის დაუცველობაც იწვევს უფლების დაკარგვას. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული ვადების ინდივიდუალურად განხილვა.

4.1. ტურისტის მიერ პრეტენზიის წარდგენის ვადა, როგორც მოთხოვნის რეალიზაციის წინაპირობა

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების დროს სსკ ადგენს მოგზაურობის მომწყობისათვის მოგზაურობის ნაკლის გამო პრეტენზიის წარდგენის ერთთვიან ვადას, რომელიც აითვლება ხელშეკრულებაში მითითებული ვადის დამთავრების შემდეგ,⁶⁰⁷ რაც გულისხმობს ვადის

⁶⁰² იხ. იქვე.

⁶⁰³ Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 130.

⁶⁰⁴ Harke J. D., Rechtsnatur der Einrede und Rückwirkungsverbot: Bundes-Bodenschutzgesetz und mietrechtliche Verjährung, Archiv für die civilistische Praxis, Heft 6, 202. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2002, 952.

⁶⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის №ას-542-775-08 გადაწყვეტილება.

⁶⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის №ას-1144-1090-014 გადაწყვეტილება.

⁶⁰⁷ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 158.

ათვის დამოუკიდებლობას მოგზაურობის ფაქტობრივად დასრულებისგან.⁶⁰⁸

ერთთვიანი ვადის დარღვევით მოთხოვნის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ ტურისტის არაბრალებული ქმედების შემთხვევაში.⁶⁰⁹ ერთთვიანი ვადა წარმოადგენს არა ხანდაზმულობის, არამედ მოთხოვნის განხორციელების ვადას (საპრეტენზიო ვადას), რომელსაც სასამართლო საკუთარი ინიციატივით ამოწმებს,⁶¹⁰ და ზემოთ დეტალურად იქნა განხილული.

გსკ 2018 წლის 1 ივლისს განხორციელებულ რეფორმამდე ანალოგიურად აწესრიგებდა ამ საკითხს. კერძოდ, ითვალისწინებდა მოგზაურობის მომწყობის მიმართ პრეტენზიის წარდგენის 1-თვიან ვადას.

მსგავსი მცირე ვადის დადგენა შეიძლება გამართლდეს შემდეგი საფუძვლებით: ერთთვიანი ვადის დადგენის მიზანს წარმოადგენს მოგზაურობის მომწყობის სწრაფად გარკვევა იმაში, მისი ტურისტებიდან, რომელი აპირებს მის მიმართ მოთხოვნის განხორციელებას და რას ეყრდნობა ეს უკანასკნელი. ეს მას აძლევს შესაძლებლობას, დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებები სავარაუდო მოსარჩელების მიმართ მოთხოვნების განსახორციელებლად, მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად, შესრულების განმახორციელებელი პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნების რეალიზაციისთვის და თავისი დამზღვევის შეტყობინებისთვის.⁶¹¹ საპრეტენზიო ვადები ემსახურება მოგზაურობის მომწყობისათვის მის მიმართ მიმართული მოთხოვნის შესახებ მყარი ცოდნის შექმნას.⁶¹² ამასთან, აღნიშნული ვადა მიზნად ისახავს მოგზაურობის მომწყობის დაცვას იმ სირთულეებისგან, რომლებიც ნაკლის მოგვიანებით გადამოწმების შემთხვევაში შეიძლება დადგეს. ნორმის აღნიშნული მიზანი მოითხოვს, რომ მოგზაურობის მომწყობი საკმარისად იყოს ინფორმირებული ნაკლის ცალკეული სახის შესახებ.⁶¹³

მოთხოვნის დაგვიანებით განხორციელების შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება საერთაშორისო მოგზაურობას, ძალიან რთული ან ცალკეულ შემთხვევაში, სრულიად შეუძლებელია მტკიცების ტვირთის ეფექტური განხორციელება. სწორედ ამიტომ ტურისტმა დროულად უნდა წარადგინოს საკუთარი მოთხოვნები მოგზაურობის მომწყობის მიმართ.⁶¹⁴ ტურისტმა

⁶⁰⁸ *ცერცვაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი <<http://www.gccc.ge>> 2019, მუხლი 663, ვნ. 8 [01.04.2019].

⁶⁰⁹ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 158.

⁶¹⁰ *Oetker H., Maultzsch F.*, Vertragliche Schuldverhältnisse, 3. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2007, 526.

⁶¹¹ *Looschelders D.*, Schuldrecht Besonderer Teil, 2. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2007, Rn. 755 f.

⁶¹² BGH Urt. v. 09.06.2009 – Xa ZR 99/06.

⁶¹³ Gewährleistungsansprüche/Anmeldung beim Reiseleiter am Urlaubsort - LG Frankfurt, Urt. v. 15.8.2008 – 2-24-S 87/07, RRa Heft 5/2008, 16. Jahrgang, 2008, 228.

⁶¹⁴ *Greiner S.*, Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 213; *Harke J. D.*, Besonderes Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, Rn. 144.

ცხადად უნდა მიუთითოს, რომ სურს მოთხოვნის წარდგენა მოგზაურობის მომწყობის მიმართ, აღწეროს ნაკლის ადგილი, დრო, მოვლენების მსვლელობა და ზიანის შედეგი ისე კონკრეტულად, რომ მოგზაურობის მომწყობს შეეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა. არ არის სავალდებულო წარდგენილი მოთხოვნების სამართლებრივი დადგენა ან გამოსახვა.⁶¹⁵

ტურისტის სასარგებლოდ მოქმედებს შეცილებადი ვარაუდი, რომ ამ უკანასკნელმა არ იცოდა უფლების განხორციელების ვადის არსებობის შესახებ და ვადა არაბრალებულად გაუშვა იმ შემთხვევაში, როცა მოგზაურობის მომწყობმა თავისი ვალდებულების საწინააღმდეგოდ, ამ უკანასკნელს აღნიშნულის შესახებ არ განუმარტა.⁶¹⁶ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს წერილობითი ან ტურისტისათვის მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით.⁶¹⁷ მოგზაურობის მომწყობს არ შეუძლია დაეყრდნოს მოთხოვნის განხორციელების ვადის გასვლას იმ შემთხვევაში, როცა უმოქმედობის საფუძველს მოგზაურობის მომწყობის განზრახვი ქმედება წარმოადგენს.⁶¹⁸

ტურისტის მოთხოვნა მოგზაურობის მომწყობის მიმართ ნამდვილად და ვადის დაცვით უნდა იქნეს გაცხადებული.⁶¹⁹ განცხადება მოგზაურობის მომწყობს უნდა მიუვიდეს.⁶²⁰ ამასთან, კანონი განცხადების მიმართ არ ადგენს მკაცრ მოთხოვნებს. განცხადება არ არის რაიმე ფორმით შეზღუდული, რათა ტურისტმა შეძლებისდაგვარად მარტივად და უპრობლემოდ შეძლოს თავისი პრეტენზიის გაცხადება.⁶²¹ ერთთვიანი პრეტენზიის წარდგენის ვადა დაცულია, როცა ტურისტმა თავისი პრეტენზია წარადგინა იმ ტურისტულ სააგენტოში, სადაც ტურის დაჯავშნა განხორციელდა. ამ უკანასკნელმა კი ერთი თვის ვადაში გადაამისამართა მოგზაურობის მომწყობზე.⁶²² ტურისტული სააგენტო, რომელმაც ტურისტის ნაკლის განცხადება მოგზაურობის მომწყობს გადასცა, მიიჩნევა ტურისტის წარმომადგენლად.⁶²³ შესაძლებელია ტურის ნაკლის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდეს მოგზაურობის მომწყობისათვის, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, თუმცა ეს ცოდნა არ არის საკმარისი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოგზაურობის მომწყობისათვის ცნობილია ნაკლის თაობაზე, მაინც აუცილებელია მოთხოვნის წარდგენა.⁶²⁴

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული მიზნები ნაწილობრივ უნდა შეფასდეს ტურისტის მიერ უფლების განხორციელებისათვის მცირე ვადის დაწესების გამართლებად, თუმცა ტურისტი ხშირ შემთხვევაში მაინც რჩება

⁶¹⁵ Gewährleistungsansprüche/Anmeldung beim Reiseleiter am Urlaubsort - LG Frankfurt, Urt. v. 15.8.2008 – 2-24-S 87/07, RRa Heft 5/2008, 16. Jahrgang, 2008, 26.

⁶¹⁶ BGH Urt. v. 12.06.2007 – X ZR 87/0.

⁶¹⁷ *გაბიჩვაძე შ.*, ტურისტული მომსახურების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2 (37), 2013, 78.

⁶¹⁸ BGH Urt. v. 9.07.2009 – Xz ZR 99/06.

⁶¹⁹ Reisevertrag/Frist zur Anmeldung von Ansprüchen, RRa, Heft 6, 12. Jahrgang, 2004, 257.

⁶²⁰ LG Frankfurt Urt. v. 15.8.2008 – 2-24 S 87/087, RRa 2008(5), 2008, 229.

⁶²¹ *Führich E.*, Einbeziehung Allgemeiner Reisebedingungen in den Reisevertrag und Verkürzung der reisevertraglichen Verjährungsfrist, RRa, Heft 3, 17. Jahrgang, 2009, 116.

⁶²² BGH Urt. v. 11.1.2005 – X ZR 163/02.

⁶²³ LG Düsseldorf, Urt. v. 21.1.2000 – 22 S 65/99, RRa 8/2000, 152.

⁶²⁴ Reisevertrag/Frist zur Anmeldung von Ansprüchen, RRa Heft 6, 12. Jahrgang, 2004, 257.

დაცვის გარეშე, რადგან ერთთვიანი ვადა არის შეუსაბამოდ მცირე მდგომარეობაში გასარკვევად და პრეტენზიის წარსადგენად. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია გერმანიის მაგალითი.

გერმანიის ტურიზმის სამართალი 2018 წლის 1 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით არსებითად რეფორმირდა, რაც შეეხო, მათ შორის, პრეტენზიის გაცხადებისა და ხანდაზმულობის ვადებსაც. რეფორმირების მიზნებს წარმოადგენდა სტანდარტიზებული, წინასწარ ორგანიზებული ტურისტული მომსახურების შესახებ (Pauschalreiserichtlinie 2015/2302)⁶²⁵ ევროკავშირის დირექტივასთან სრული ჰარმონიზაციის მიღწევა. სრული ჰარმონიზაციის მიზნით არა მხოლოდ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით ვადის ერთ წლამდე შემცირება იქნა აკრძალული, არამედ ერთთვიანი პრეტენზიის წარდგენის ვადაც იქნა გაუქმებული.⁶²⁶ შესაბამისად, ტურისტის მიერ მოთხოვნის რეალიზაციის ვადად დადგინდა 2 წელი.⁶²⁷

გონივრული იქნება იმ ფონზე, როცა საქართველომ იკისრა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებით არსებულ რეგულაციებთან დაახლოების ვალდებულება, მოცემული დირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებასთან შესაბამისობა განხორციელდეს სსკ-ში რელევანტური ცვლილებების შეტანით. ეს უზრუნველყოფს ტურისტის ინტერესების უფრო მეტად დაცვას ან უკიდურეს შემთხვევაში ტურისტის ინტერესების დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე რეკომენდირებულია ცვლილების განხორციელება სსკ-ის 663-ე მუხლში, რომლითაც გაიზრდება პრეტენზიის წარდგენის ერთთვიანი ვადა გონივრული ვადით 6 თვემდე.

4.2. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები

ტურიზმის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ სსკ-ით დადგენილია სპეციალური 6-თვიანი ხანდაზმულობის ვადა.⁶²⁸ აღნიშნული ვადა იწყება ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით

⁶²⁵ იხ. Richtlinie (EU) 2015/2302 des Europäischen Parlaments und des Rates vom 25. November 2015 über Pauschalreisen und verbundene Reiseleistungen, zur Änderung der Verordnung (EG) Nr. 2006/2004 und der Richtlinie 2011/83/EU des Europäischen Parlaments und des Rates sowie zur Aufhebung der Richtlinie 90/314/EWG des Rates, რომლის მე-14 მუხლი ადგენს ფასის შემცირებისა და ზიანის ანაზღაურების უფლებას, მათ შორის, ხანდაზმულობის ვადასაც. კერძოდ, მოთხოვნის განხორციელებისათვის დადგენილია არანაკლებ 2-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

⁶²⁶ Führich E., Das neue Pauschalreiserecht, NJW, Heft 41, 70. Jahrgang, Verlag C.H. Beck, München, 2017, 2949.

⁶²⁷ იხ. იქვე.

⁶²⁸ ახელედანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1999. 158; ცისკაძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 663, 306.

გათვალისწინებულ ვადაში დასრულების მომენტიდან. შესაბამისად დამოუკიდებელია მოგზაურობის დასრულების დროისაგან.⁶²⁹

განსხვავებული ხანდაზმულობის ვადაა დადგენილი გსკ-ით. აღნიშნული ვადა შეადგენს ორ წელს,⁶³⁰ რაც სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივასთან, რომელიც უკვე იქნა განხილული.

ზოგადად, ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მიმართ სპეციალური ხანდაზმულობის ვადების დადგენა უნდა იქნეს მიჩნეული გონივრულად ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის ფაქტი ტურისტისთვის, როგორც წესი, ცნობილია მოგზაურობის დასრულების მომენტისათვის. ხანდაზმულობის მცირე ვადის დაწესება ამ შემთხვევაში ტურისტისთვის ატარებს ერთგვარად უფლების განხორციელების იძულების მექანიზმს, ვინაიდან ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება გართულდეს მტკიცებულებების წარდგენა და მოგზაურობის მომწყობის სამართლებრივი მდგომარეობა შეუსაბამოდ გაუარესდეს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გონივრული ვადის დადგენა, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების დაცვას.

სსკ-ით დადგენილი 6-თვიანი ვადა ნამდვილად არ წარმოადგენს უფლების განხორციელების ოპტიმალურ ვადას, შესაბამისად, მიზანშეწონილია ხანდაზმულობის ვადის გაზრდა მინიმუმ 1 წლამდე მაინც მით უფრო იმ ფონზე, როცა ზემოთ წარმოდგენილი იქნა რეკომენდაცია საპრეტენზიო ვადის 6 თვემდე გაზრდის შესახებ ან ზემოთ განხილული დირექტივის გათვალისწინებით, ყველაზე ოპტიმალური იქნება ხანდაზმულობის 2-წლიანი ვადის განსაზღვრა.

ამასთან, ერთ-ერთ საინტერესო საკითხად შეიძლება დასახელდეს სსკ-ის 662-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული ფულადი ანაზღაურების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადები. ამ მოთხოვნის მიმართ შეიძლება გავრცელდეს ზოგადი ან სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, ასევე შეიძლება ხსენებული მოთხოვნა როგორც პირადი არაქონებრივი უფლება საერთოდ არ დაექვემდებაროს ხანდაზმულობას.

სსკ-ის მე-18 მუხლის ამჟამად მოქმედი რედაქცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან. შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული ზიანი არ მიეკუთვნება ამგვარ მოთხოვნას. პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით საგულისხმო განმარტება გააკეთა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა მეუღლის გარდაცვალების გამო სარჩოს ერთჯერადად გადახდის მოთხოვნას, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნა სარჩოს გადახდის სახით ქონებრივი ზიანის

⁶²⁹ *ცერცვაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <<http://www.gccc.ge>>, 2019, მუხლი 663, ვნ. 8 [01.04.2019].

⁶³⁰ *Oetker H., Maultzsch F.*, Vertragliche Schuldverhältnisse, 3. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2007, 526.

ანაზღაურების თაობაზე სასამართლომ არ მიაკუთვნა არაქონებრივ დავას, რადგან თავად მოთხოვნა იყო ქონებრივი ხასიათის.⁶³¹

მიზანშეწონილია ხსენებული განმარტების გავრცელება განსახილველი შემთხვევის მიმართ. ვინაიდან კრედიტორის მოთხოვნას წარმოადგენს შვებულების უსარგებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, აღნიშნული უნდა შეფასდეს ქონებრივი ხასიათის უფლებად, რომელიც ექვემდებარება ხანდაზმულობას. აღნიშნულ არგუმენტს უფრო მეტად ამყარებს სსკ-ის 663-ე მუხლის დანაწესი, რომელიც 662-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებისათვის, მათ შორის, შვებულების უსარგებლობით გამოწვეული მოთხოვნისათვის ადგენს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული ამ მოთხოვნის ქონებრივ ხასიათზე აპელირება და მის მიმართ სპეციალური ხანდაზმულობის ვადის გამოყენება.

4.3. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერების თავისებურებანი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მაგალითზე

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მიმართ სსკ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების სპეციალურ შემთხვევას. კერძოდ, ტურისტის მიერ ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე მოთხოვნის წარდგენისას, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ დღემდე, როდესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას.⁶³²

აღნიშნული საკითხი განსხვავებულად რეგულირდება გსკ-ით. კერძოდ, მოგზაურობის მომწყობის მიერ მოთხოვნის განცხადების მიღების შემდეგ პასუხის გაუცემლობა არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას.⁶³³ ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას იწვევს მოგზაურობის მომწყობის მიერ ტურისტისათვის შეტყობინება განმეორებითი შემოწმების თაობაზე.⁶³⁴

სსკ-ით დადგენილი რეგულირება უნდა შეფასდეს მნიშვნელოვან მოწესრიგებად, რომელიც ასახავს მოლაპარაკების საფუძვლით ხანდაზმულობის ვადის შეჩერების შემთხვევას. მსგავსი რეგულაცია უზრუნველყოფს კრედიტორის ინტერესების დაცვის, ისევე როგორც ხანდაზმულობის ვადის დაცვის მოტივით სასამართლოსადმი დაუყოვნებლივ მიმართვის თავიდან აცილებას. იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურობის მომწყობი აპირებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, კრედიტორი არ უნდა იყოს იძულებული, მიმართოს უფლების განხორციელების სხვა გზებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შიშით. ეს შეუსაბამო იქნება თავად ხანდაზმულობის მიზნებთან და გამოიწვევს მხარეთა მიერ ხარჯების არაგონივრულად გაღებას. შესაბამისად, დროის იმ მონაკვეთში, როცა

⁶³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 26 ივნისის №ას-1270-1509-05 განჩინება.

⁶³² *ცერცვაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <<http://www.gccc.ge>>, 2019, მუხლი 663, ვნ. 12 [01.04.2019].

⁶³³ Verjährung/Hemmung/Beendigung der Hemmung, AG Baden-Baden Urt. v. 4.8.2004 – 16 C 212/03, RRa, 2005(1), 13. Jahrgang, 2005, 30.

⁶³⁴ Ersatzansprüche gegen Reiseveranstalter/Hemmung der Verjährung, RRa, Heft 8, 8. Jahrgang, 2000, 149.

მხარეთა შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები, უნდა მოხდეს ხანდაზმულობის შეჩერება. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებისთვის დადგენილი სპეციალური მოწესრიგება წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვა ხელშეკრულებების მიმართაც. ამ საფუძვლით ხანდაზმულობის შეჩერების შესახებ რეკომენდაცია ზემოთ იქნა შემოთავაზებული.

მითითებული პოზიციის საწინააღმდეგო არგუმენტად შეიძლება დასახელდეს რეგულირების განუჭვრეტელი ხასიათი. კერძოდ, მოლაპარაკებების ხანგრძლივობის დროში შეუზღუდავობა, რაც შეუსაბამოა სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნებთან. მსგავსი მოსაზრების საპასუხოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის ვადის შეჩერება არ გამორიცხავს უფლების სასამართლო წესით დაცვას. შესაბამისად, თუ პირს მიაჩნია, რომ მოვალე ცდილობს მოლაპარაკებების გახანგრძლივებით მოთხოვნის საფუძვლად არსებული მტკიცებულებების „მოძველებას“, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მიუხედავად დასახელებული შეჩერების ვადის სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტებისა, საკითხის გადაწყვეტისას უნდა იყოს არსებითი სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენის ძირითადი მიზნები. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასთან შეუთავსებლად უნდა დასახელდეს ნორმის განუჭვრეტადი ხასიათი. მსგავსი რეგულაციის პირობებში სავარაუდოა ვადის შეჩერება განუსაზღვრელი დროით, რაც არ არის გონივრული. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავად სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მიმართ მცირე ხანდაზმულობის ვადების დადგენის დასახელებული სასარგებლო არგუმენტების გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სსკ-ის 663-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ვადის შეჩერების ხანგრძლივობის არაუმეტეს 1 თვით შემოფარგვლა.

5. მეორადი მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები გადაზიდვის ხელშეკრულებაში

საქართველოს კანონმდებლობა გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ ადგენს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადებს. ამასთან, განსხვავებული სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით განხორციელებული გადაზიდვა ხორციელდება სპეციფიკით და რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით.⁶³⁵

ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება შეიცავს სხვა ხელშეკრულების ელემენტებსაც. კერძოდ, მას შემდეგ, რაც გადამზიდველი იკისრებს ტვირთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის და შესაბამისი შედეგის დადგომის ვალდებულებას, გადაზიდვის ხელშეკრულება წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების სპეციალურ ფორმას, ხოლო მას შემდეგ, რაც ადგილის

⁶³⁵ ზამბახიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 668, 312.

შეცვლის გამო მოითხოვება ტვირთის ჩამოტვირთვა და სხვა ტრანსპორტში ჩატვირთვა, გადაზიდვის ხელშეკრულება ატარებს დავალების ხელშეკრულების ელემენტებს.⁶³⁶ ამასთან, თუ ტვირთი გადმოტვირთვის შემდეგ შესანახად იქნება მიბარებული, მოქმედებს მიბარების ხელშეკრულების ნორმები.⁶³⁷

გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებული თავისებურებანი მიზანშეწონილია ინდივიდუალურად იქნეს განხილული.

5.1. გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენის ვადა (რეკლამაცია)

გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელება ხასიათდება განსაზღვრული სპეციფიკით, რაც გამოიხატება პრეტენზიის წარდგენის ვალდებულებაში.⁶³⁸ რეკლამაცია (პრეტენზია) წარმოადგენს სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებელ წინმსწრებ მოქმედებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდველი უარს იტყვის ზიანის ანაზღაურებაზე ან უპასუხოდ დატოვებს მოთხოვნას, გამგზავნს შეუძლია სარჩელის სასამართლოში წარდგენა.⁶³⁹

აღსანიშნავია, რომ გადაზიდვის ხელშეკრულებისათვის საპრეტენზიო ვადის დადგენა თავად ამ ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა იქნეს მიჩნეული გამართლებულად, რადგან გადამზიდველს, პირველ რიგში, უნდა მიეცეს პრეტენზიის განხილვისა და გაანალიზების შესაძლებლობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დავები. ამასთან, თუ დავუშვებთ გამგზავნისათვის შესაძლებლობის მიცემას, გადამზიდველისათვის პრეტენზიის განუცხადებლად, თუმცა კანონით დადგენილ საპრეტენზიო ვადებში მიმართოს სასამართლოს, ეს საერთოდ ეჭვქვეშ დააყენებს რეკლამაციის ინსტიტუტის არსებობას. სარჩელის სასამართლოსათვის მიმართვისათვის რელევანტურია ხანდაზმულობის და არა საპრეტენზიო ვადები. მიუხედავად იმისა, რომ საპრეტენზიო ვადის არსიდან გამომდინარე ის წარმოადგენს სავალდებულოდ განსაზღვრულ კმედებას, ვიდრე მოხდება სასამართლოსათვის მიმართვა, გადაზიდვის მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის, სსკ-ის 695-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი,⁶⁴⁰

⁶³⁶ *Canaris C.*, *Handelsrecht*, 24. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2006, 43; *Krejci H.*, *Unternehmensrecht* (gebunden): mit Wertpapierrecht von J. Aicher/F. Schuhmacher, 5. Auflage, Manz Verlag, Wien, 2013, 442.

⁶³⁷ იხ. დეტალურად სსკ-ის 684-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, გადმოტვირთვის შემდეგ გადაზიდვა ითვლება დასრულებულად და გადამზიდველს ეკისრება შესანახად უფლებამოსილი პირისათვის ტვირთის გადაცემის ვალდებულება.

⁶³⁸ *ლევაშვილი დ.*, გამგზავნის უფლების განხორციელებისა და დაცვის ვადები, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016, 179.

⁶³⁹ *ზამბახიძე*, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურაიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 698, 378.

⁶⁴⁰ იხ. დეტალურად სსკ-ის 695-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ტვირთზე უფლებამოსილ პირს შეუძლია მისთვის უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე

იმღევა იმგვარი განმარტების შესაძლებლობას, რომ პრეტენზიის წარდგენა არ იქნეს მიჩნეული სავალდებულოდ. სასამართლო პრაქტიკაში ამგვარი განმარტება უნდა იქნეს თავიდან აცილებული თავად რეკლამაციის ინსტიტუტის არსის გათვალისწინებით, თუმცა ყოველგვარი გაუგებრობისა და მრავალგვარი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად რეკომენდირებულია სსკ-ის 698-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც დადგინდება გადამზიდველისათვის გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიის წარდგენის სავალდებულობა.

კანონი ტვირთის დანაკარგების და დაზიანების გამო პრეტენზიის წარდგენის ვადებს უკავშირებს დანაკარგის სახეს. კერძოდ, საკითხი შეეხება გარეგნულად შესამჩნევ თუ შეუმჩნეველ ტვირთს. გარეგნულად შესამჩნევი ნაკლის შემთხვევაში პრეტენზიის წარდგენა უნდა მოხდეს ტვირთის ჩაბარების დღესვე, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი ნაკლისას - ტვირთის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 7 დღისა.⁶⁴¹ ამასთან, ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა იქნეს წარდგენილი ტვირთის ჩაბარებიდან ოცდაერთი დღის განმავლობაში.

მცირე საპრეტენზიო ვადების დადგენა განპირობებულია თავად გადაზიდვის სპეციფიკით. კერძოდ, მტკიცების ტვირთის გართულების პრევენციით, რაც შეიძლება მოჰყვეს პრეტენზიის წარდგენის ხანგრძლივ ვადას. აღნიშნული ვადები უნდა შეფასდეს სრულიად გონივრულად, რომელიც აძლევს როგორც მოვალეს, ისე კრედიტორს საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობას, ამასთან, სრულად შეესატყვისება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესს.

აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი ვადის დაწესებით იზრდება გადამზიდველის ინტერესების უგულებელყოფის საფრთხე, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოკლებული იქნება მიმღების მოქმედებაზე ზედამხედველობის გაწევის შესაძლებლობას, რაც გამოიწვევს მისი პასუხისმგებლობის შეუსაბამოდ გაფართოებას. გადამზიდველის პასუხისმგებლობის შეზღუდვისას მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით საგულისხმო განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, კერძოდ, თუ მიმღები ნივთის მიღებისას არ განაცხადებს პრეტენზიას დადგენილი წესითა და ვადაში, ამ უკანასკნელს ეკისრება ნივთის ვარგის მდგომარეობაში მიღების კანონისმიერი ვარაუდის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი.⁶⁴² მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება გამორიცხავს გადამზიდველის ინტერესების შეუსაბამოდ ხელყოფას.

სსკ-ის მე-700 მუხლი ადგენს რეკლამაციის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საკითხს. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადა

მოითხოვოს წლიური ხუთი პროცენტი. პროცენტების ათვლა იწყება გადამზიდველის მიმართ რეკლამაციის წარდგენის დღიდან ან თუ რეკლამაცია არ იყო წარდგენილი, – სარჩელის შეტანის დღიდან.

⁶⁴¹ *ახვლედიანი ზ.*, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 176.

⁶⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის №ას-688-658-2014 განჩინება.

ჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა გადამზიდველი უარყოფს რეკლამაციას და თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს. თუ რეკლამაცია ნაწილობრივ იქნება აღიარებული, ხანდაზმულობის ვადა რეკლამაციის სადავო ნაწილისათვის კვლავ გრძელდება. რეკლამაციის მიღების ან მასზე პასუხის, ასევე საბუთების უკან დაბრუნების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც მათ ეყრდნობა. ისეთი რეკლამაციები, რომლებიც შეეხება იმავე საგანს, ვერ შეაჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას.⁶⁴³ გადამზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის განხორციელების შეფასებისას საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ რეკლამაციის წარდგენიდან მის უარყოფამდე, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება.

მსგავსმა განმარტებამ შეიძლება წარმოშვას პრაქტიკული პრობლემები ხანდაზმულობის მიზნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. კერძოდ, სსკ-ის მე-700 მუხლი ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ხანგრძლივობას სრულად დამოკიდებულს ხდის გადამზიდველის ქმედებაზე. ხანდაზმულობის შეჩერების სსკ-ით გათვალისწინებული ჩამონათვალი განჭვრეტადს ხდის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების სავარაუდო ხანგრძლივობას. ამასთან, სსკ-ის 136-ე მუხლი დამატებით განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების მომენტს. სსკ-ის მე-700 მუხლის შემთხვევაში კი არ არის განჭვრეტადი ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ხანგრძლივობა. გამამართლებელ არგუმენტად შეიძლება დასახელდეს ის, რომ ამ შემთხვევაში როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ინტერესები თანაბრად არის დაცული, რადგან კრედიტორს შეუძლია გადამზიდველის მიერ პასუხის დაყოვნების შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს და ამ ფორმით დაიცვას თავისი ინტერესები, ხოლო მოვალეს შეუძლია დაუყოვნებლივ გასცეს პასუხი კრედიტორს და ამ ფორმით აიცილოს თავიდან შესაძლო რისკები. მაგრამ ხანდაზმულობის ვადის გონივრულობის შეფასებისას არსებითია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესი, რომელიც ვერ იქნება უზრუნველყოფილი განუსაზღვრელი ხანდაზმულობის ვადის დადგენით, რადგან შესაძლებელია თეორიულად გადამზიდველის მიერ არ მოხდეს პასუხის გაცემა 1 წლის განმავლობაში. ანალოგიური არგუმენტები იქნა დასახელებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების დროს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საკითხთან დაკავშირებით.

გადამზიდვის ხელშეკრულების მიმართ მცირე ხანდაზმულობის ვადების დადგენის დასახელებული სასარგებლო არგუმენტების გათვალისწინებით, ამ შემთხვევაშიც რეკომენდირებულია სსკ-ის მე-700 მუხლში ცვლილების განხორციელება და ვადის შეჩერების ხანგრძლივობის არაუმეტეს 1 თვით შემოფარგვლა.

⁶⁴³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 13 თებერვლის №28/5402-17 განჩინება.

5.2. გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები

გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის საკითხი თითქმის იდენტურადაა დარეგულირებული საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობაში იმ განსხვავებით, რომ საქართველოში გადაზიდვასთან დაკავშირებული ურთიერთობები სსკ-ით ამომწურავადაა მოწესრიგებული, ხოლო გერმანიაში აღნიშნული ნორმები სავაჭრო კოდექსშია განთავსებული, რომლებსაც უპირატესობა ენიჭებათ გსკ-თან მიმართებით. გადაზიდვის ხელშეკრულების მიმართ დადგენილია სპეციალური ხანდაზმულობის ვადები.

გადაზიდვის ხელშეკრულების მიმართ სპეციალური ხანდაზმულობის ვადების დადგენის მიზნად უნდა დასახელდეს უშუალოდ გადაზიდვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს შორის თანაბრობა, რათა, ერთი მხრივ, დაკმაყოფილდეს კრედიტორის ინტერესი უფლების განხორციელებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, - მოვალის ინტერესი ზიანის შემთხვევის სწორ დასრულებაზე, აუცილებელია დაცულ იქნეს სამართლებრივი ბრუნვის ინტერესი პროგნოზირების შესაძლებლობასა და წინასწარ განჭვრეტაზე.

გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის მიმართ მოქმედებს ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა.⁶⁴⁴ დამოუკიდებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ, რომლებიც მხოლოდ გადაზიდვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობების გარე წრეს არეგულირებს, არ გამოიყენება გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები.⁶⁴⁵ კანონმდებლობა ადგენს გამონაკლისს ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადიდან, კერძოდ, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა ხანგრძლივდება სამ წლამდე.⁶⁴⁶

განზრახვის ცნება არ არის განმარტებული კანონმდებლობაში, თუმცა ის ანაზღაურების სამართლებრივი ცნებაა. ის ეფუძნება ქცევის წესის დარღვევას, რომელიც იწვევს მესამე პირის სამართლებრივი სიკეთის ან ქონებრივი პოზიციის დაზიანებას. განზრახვა არ არის სახეზე, როცა მოვალე იმ აზრზეა, რომ არ დაეკისროს რაიმე სახის ვალდებულება. შესაბამისად, მზადაა არსებული მოთხოვნები გაქვითოს ან დაკავების უფლება გამოიყენოს.⁶⁴⁷ გადამზიდველის ქმედების ბრალეულობის საკითხის შეფასებისას მტკიცების ტვირთის განაწილებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ თავად გადამზიდველს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ზიანი მისი ქმედებით არ არის გამოწვეული.⁶⁴⁸

⁶⁴⁴ Wieske T., Transportrecht - Schnell erfasst, 3. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2012, 99.

⁶⁴⁵ BGH Urt. v. 21.09.2006 – I ZR 2/04.

⁶⁴⁶ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 177; LG Krefeld Urt. v. 3.07.2012 - 12 O 23/12.

⁶⁴⁷ იხ. იქვე.

⁶⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 1 მარტის №ას-887-1160-04 გადაწყვეტილება.

საკითხის მსგავსი შეფასება უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან კრედიტორს არ აქვს რეალური შესაძლებლობა, ამტკიცოს გადამზიდველის ბრალეული ქმედების არსებობის ფაქტი. ეს უზრუნველყოფს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გონივრულ განაწილებას, რაც საბოლოოდ აისახება მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობაზეც.

გარდა ამისა, გადაზიდვის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის მცირე ვადების დადგენა უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად, ვინაიდან ხანგრძლივი ვადის დაწესების შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება. ამასთან, გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობისას მტკიცების ტვირთის გართულების რისკი უფრო მეტად არსებობს, ვიდრე ტურისტული მომსახურების გაწევისას.

ისეთი ქმედების მიმართ, რომელიც განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას უკავშირდება, მიზანშეწონილია ხანდაზმულობის ხანგრძლივი ვადის გავრცელება. გადამზიდველის განზრახ ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ხელშეკრულების მონაწილისათვის ზიანის მიყენებას, უნდა დაექვემდებაროს მკაცრად შეფასებას. პირი, რომელიც განზრახვი მოქმედებით იწვევს მხარისათვის ზიანის მიყენებას, აღარ იმსახურებს მეტად დაცვას. კანონმდებელი არ იცავს ბრუნვის არაკეთილსინდისიერ მონაწილეს. შესაბამისად, გასაზიარებელია კანონმდებლის მიდგომა განზრახვის ან გაუფრთხილებლობის შემთხვევაში უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების თაობაზე.

გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადების ანალიზისას მნიშვნელოვანია ცალკეული სპეციფიკური შემთხვევების ანალიზი, რა დროსაც წარმოშობილი უფლება შეიძლება დაექვემდებაროს ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადას ან ვადის განსხვავებულ დენას.

გადაზიდვის ხელშეკრულების ხანდაზმულობის ვადაზე მსჯელობისას საგულისშობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების მოხმობა, რომელიც შეეხება გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურებას. საქმე მდგომარეობდა შემდეგში: 2013 წლის 13 ივლისს ავიაკომპანიას რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში სანქტ-პეტერბურგი-სტამბოლი-თბილისი ტრანზიტული რეისით უნდა ჩამოესვენებინა მოსარჩელის შვილი. სტამბოლიდან თბილისში 2013 წლის 13 ივლისს ჩამოფრენილ ავიაკომპანიის თვითმფრინავში არ აღმოჩნდა ცხედარი, რადგან ავიაკომპანიამ შეცდომით ცხედარი გადააგზავნა სამხრეთ კორეაში. ცხედარი საქართველოში ჩამოსვენებულ იქნა 14 ივლისს. ამასთან, 13 ივლისს მოსარჩელე იმყოფებოდა აეროპორტში და როცა ინფორმაციისთვის მიაკითხა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებულ ავიაკომპანიის წარმომადგენლობას, ინფორმაცია შვილის ადგილსამყოფლის შესახებ ვერ მიიღო, რის შემდეგაც მოსარჩელემ დახმარების მიზნით მიმართა პოლიციასა და ტელევიზიას. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე განმარტა, რომ

მოცემული სამართალურთიერთობა შეეხებოდა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას და იძლეოდა სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას.⁶⁴⁹

მსგავსი ურთიერთობა ნამდვილად სცდება გადაზიდვის სამოქალაქო ურთიერთობის ფარგლებს და საჭიროებს მხარეთა განსაკუთრებულ გულისხმიერებას, რაც ფაქტია, რომ დასახელებულ შემთხვევაში დაირღვა. ამ შემთხვევის განხილვა მნიშვნელოვანია ხანდაზმულობის ვადის გავრცელების ანალიზის კუთხით. კერძოდ, ვინაიდან მოთხოვნა წარმოიშვა გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევიდან, ხოლო სსკ-ის 699-ე მუხლის მიხედვით გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებებისათვის დადგენილია სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, მითითებული მოთხოვნაც უნდა დაექვემდებაროს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას?

სსკ-ით არ არის დადგენილი სპეციალური ნორმა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისას. შესაბამისად, ბუნებრივია პირდაპირ არ უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, ვინაიდან ეს ვადები დადგენილია ტიპიური გადაზიდვიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელებისათვის. დასახელებული მაგალითი კი ნამდვილად არ წარმოადგენს სტანდარტულ შემთხვევას.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობა არ ვრცელდება პირად არაქონებრივ უფლებებზე.⁶⁵⁰ პირადი არაქონებრივი უფლებები რეგულირებულია სსკ-ის მე-18 მუხლით, თუმცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარყო ამ შემთხვევის სამართლებრივ საფუძვლად მე-18 მუხლის გამოყენება. სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული დანაწესი აღნიშნული შემთხვევისაგან განსხვავებულ ურთიერთობას აწესრიგებს. ნორმით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად უზრუნველყოფს პირის პატივის, ღირსებისა თუ საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში სამართლიან ბალანსს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფორმით.⁶⁵¹

მსგავსი მიდგომა უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად, რადგან სსკ-ის მე-18 მუხლი არეგულირებს შემთხვევათა სხვა სპექტრს და ამ სამართლებრივ ურთიერთობაზე ხანდაზმულობის ვადის გაუვრცელებლობის მიზეზს წარმოადგენს მასზე სამოქალაქო ბრუნვის ხელყოფის არარსებობის

⁶⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-979-940-2014 გადაწყვეტილება.

⁶⁵⁰ კვანტალიანი ნ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017, მუხლი 128, ვნ. 21.

⁶⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-979-940-2014 გადაწყვეტილება.

ფაქტი.⁶⁵² განსხვავებულად უნდა მოწესრიგდეს საკითხი სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობისას, რომელიც ითვალისწინებს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებისას არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურების მოთხოვნას. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ამ შემთხვევაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გავრცელება, რათა იქნეს დაცული სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესი. სსკ-ის 413-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ ხანდაზმულობის ვადის გავრცელების საკითხზე სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მიუთითა, რომ მოწინააღმდეგის მხრიდან მოთხოვნის ხანდაზმულობაზე აპელირება გამორიცხავდა 413-ე მუხლის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით თანხის დაკისრებას.⁶⁵³ წარმოდგენილი გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის გამოყენებასთან დაკავშირებით. ზოგადად, ვინაიდან სსკ-ის 413-ე მუხლი ცალკე არ წარმოადგენს მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს, არამედ მიემართება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევას, სწორედ ამიტომ შეიძლება გონივრულად შეფასდეს ძირითადი ვალდებულებისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გამოყენება არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის შემთხვევისთვისაც. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, განხილულ შემთხვევაში ეს ურთიერთობა გასცდა სტანდარტულ გადაზიდვის ხელშეკრულებას. შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი ამ ურთიერთობისთვის გადაზიდვის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული სპეციალური ხანდაზმულობის ვადების გამოყენება.

უნდა იქნეს გაზიარებული პოზიცია ამ სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლების გამოყენების თაობაზე.⁶⁵⁴ ეს ურთიერთობა სცდება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებს, კონტრაქტის უხეშად არღვევს წინდახედულის მოთხოვნებს, რაც ზიანის მომტანია მხარისთვის. შესაბამისად, არსებობს დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება ყველა წინაპირობა.

გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სპეციფიკურ შემთხვევას წარმოადგენს მზღვევლის მიერ გადამზიდველისათვის სუბროგაციული მოთხოვნის წარდგენის და ხანდაზმულობის ვადის დენის საკითხი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ მოახდინა სუბროგაციული და რეგრესული მოთხოვნების განმასხვავებელი ნიშნების იდენტიფიცირება, მათ შორის, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების

⁶⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისის, 2010, 133.

⁶⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 იანვრის №ას-211-200-2017 გადაწყვეტილება.

⁶⁵⁴ ტარტარაშვილი ნ., არაქონებრივი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(61) 19, 2019, 194.

ჭრილში.⁶⁵⁵ საქმე შეეხებოდა დაზღვეული ტვირთის დაზიანებით მიწოდებას და მზღვეველის მიერ გადამზიდველის მიმართ მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის საკითხს. სასამართლომ განმარტა სუბროგაციისა და რეგრესის განმასხვავებელი ნიშნები. კერძოდ, ის, რომ რეგრესის დროს ადგილი აქვს არა პირთა შეცვლას ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, არამედ ამ ურთიერთობის დასრულებას და ახალი ურთიერთობის დაწყებას, სუბროგაციის შემთხვევაში კი - არა ახალი ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობას, არამედ მხოლოდ კრედიტორის შეცვლას, ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსის შეცვლის გარეშე. ვალდებულებითი ურთიერთობის მსგავსი ბუნება განაპირობებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების უცვლელობას. კერძოდ, რეგრესისგან განსხვავებით ხანდაზმულობის ვადის ათვლა უკავშირდება არა მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის გადახდის ფაქტს, არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომას.⁶⁵⁶ შესაბამისად, დაზღვეული ტვირთის დაზიანებისას მზღვეველის მიმართ მოთხოვნის გადამზიდველის მიმართ წარდგენისას გამოიყენება სსკ-ის 699-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა.

მსგავსი განმარტება უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან არ მოხდეს გადამზიდველის ინტერესების არათანაზომიერი ხელყოფა და საფრთხე არ შეექმნას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველს მიეცემა შესაძლებლობა, სადაზღვევო თანხის გადახდის შემდეგ გადამზიდველის წარუდგენოს პრეტენზია, აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ხანდაზმულობის სპეციალური ვადის შეუსაბამოდ გახანგრძლივება. სწორედ ამიტომ პოზიტიურად უნდა შეფასდეს სუბროგაციული და რეგრესული მოთხოვნების გამიჯვნის წარმატებული მცდელობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ასევე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გამოყენების საკითხს.

5.3. გადაზიდვასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ნორმები საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში

გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. ტვირთის საზღვაო გადაზიდვიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება სპეციალური კანონით, საქართველოს საზღვაო კოდექსით, ხოლო საჰაერო გადაზიდვიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა - საჰაერო კოდექსით.

⁶⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება.

⁶⁵⁶ *მოწონელიძე ნ.*, სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015, 127

<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natalia_mowonelidze.pdf> [14.03.2019].

ამასთან, ტვირთის საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია „ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების შესახებ“ გაეროს ჰამბურგის 1978 წლის კონვენცია („ჰამბურგის წესები“).⁶⁵⁷ საქართველო ასევე მიერთებულია „კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1924 წლის საერთაშორისო კონვენციას („ჰააგა-ვიზის წესები“).

ხაზგასასმელია, რომ ამ კონვენციების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით წარმოიშობა პრობლემა, რადგან ისინი განსხვავებულად არეგულირებენ ხანდაზმულობის საკითხს. კერძოდ, „ჰამბურგის წესების“ მიხედვით, სარჩელის წარსადგენად სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება ორი წლით, ხოლო პრეტენზიის წარსადგენად დგინდება 15-დღიანი ვადა, რაც შეეხება „ჰააგა-ვიზის წესებს“, აღნიშნული გაცილებით მცირე ხანდაზმულობის ვადებს ითვალისწინებს. კერძოდ, სარჩელით მიმართვისათვის - ერთ წელს, ხოლო პრეტენზიის წარსადგენად - 3 დღეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა აღნიშნულ კონვენციათა წინააღმდეგობრივი ხასიათი.⁶⁵⁸

შესაძლო პრობლემის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მოხდეს ხელშეკრულებების იმ სახით რატიფიცირება, რომ შემდგომში არ წარმოიშვას განმარტებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობა.

საჭაერო გადაზიდვიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები რეგულირდება საჭაერო კოდექსით, რომელიც ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით არ შეიცავს სპეციალურ ვადას და უთითებს სსკ-ით დადგენილ რეგულირებაზე.

ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების საკითხს, მათ შორის ხანდაზმულობის კუთხით, არეგულირებს „ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ“ ჟენევის 1956 წლის 19 მაისის კონვენცია. აღნიშნულ კონვენციას საქართველო მიუერთდა 1999 წლის 22 ივლისს.

„ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ“ ჟენევის კონვენცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება გზაზე კონვენციაში გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით. კერძოდ, ავტომობილის, საწევარი ავტომობილის, მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტომობილების გამოყენებით, როცა ტვირთის გაგზავნის ადგილი და გაგზავნისათვის გათვალისწინებული ადგილი, როგორც ეს ხელშეკრულებაშია მითითებული, ორ განსხვავებულ სახელმწიფოში მდებარეობს, რომელთაგან ერთ-ერთი სახელმწიფო ამ კონვენციის მონაწილეა. აღნიშნული წესი მოქმედებს მხარეთა მოქალაქეობისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების გარეშე.⁶⁵⁹

⁶⁵⁷ *გაბისონია ზ.*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001, 266.

⁶⁵⁸ *სირაძე ე.*, ტვირთის საზღვაო გადაზიდვა – საქართველოს არჩევანი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ 3-ლი-მე-4კვ., თბილისი, 2000, 50.

⁶⁵⁹ *გაბისონია ზ.*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001, 255.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენცია არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება მოტოციკლით, ველოსიპედით და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ არ არის შეთანხმებული სატრანსპორტო საშუალების სახე, რომლითაც ხდება გადაზიდვა, გამოიყენება აღნიშნული კონვენციის ნორმები, როცა ფაქტობრივად გადასაზიდად გამოიყენება საგზაო სატრანსპორტო საშუალება. თუ შეთანხმების მიუხედავად გადამზიდავი ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს სხვა სატრანსპორტო საშუალებას, გამგზავნს შეუძლია თავისი მოთხოვნა დააფუძნოს აღნიშნულ კონვენციას.

პრინციპი, რომ ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ საგზაო ტრანსპორტის მიმართ, არ არის უხარვეზო. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება შერეული ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვას, გამოიყენება ეს კონვენცია არა მარტო ტვირთის საგზაო გადაზიდვის, არამედ ასევე იმ ნაწილის მიმართ, როცა გადაზიდვა ხორციელდება მატარებლით, ზღვით, საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით.⁶⁶⁰

კონვენციას დაქვემდებარებული ურთიერთობის შესახებ მნიშვნელოვან განმარტებას გვთავაზობს ფრანკფურტის სასამართლოს მიერ 2007 წლის აპრილში მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილ იქნა შემდეგ საქმეზე: გამგზავნმა გადამზიდაველს დაავალა კარბონის მჟავის გადატანა გერმანიიდან შვეიცარიაში, თუმცა მიმღებმა უარი თქვა ტვირთის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მისი ტემპერატურა იყო ძალიან მაღალი. გამგზავნმა მიუთითა გადამზიდაველს ტვირთის უკან გერმანიაში დაბრუნებაზე. მას შემდეგ, რაც გადამზიდაველმა შეატყობინა, რომ ტვირთი პარასკევს, 6 საათზე იქნებოდა გერმანიაში, გამგზავნისგან მიიღო შეტყობინება, რომ დაეტვირთა და ორშაბათს მიეწოდებინა. აღნიშნული მითითების შემდეგ მძღოლმა სატრანსპორტო საშუალება მესამე პირთან განათავსა. კვირის ბოლოს მოხდა აფეთქება, თერმული რეაქციის გამო. მნიშვნელოვანი ზიანი მიიღო გადამზიდავის სატრანსპორტო საშუალებამ და შემნახველის ფართში განთავსებული სატრანსპორტო საშუალებებიც დაზიანდა, რის გამოც წარმოიშვა შეკეთებისა და აღდგენის ხარჯების ანაზღაურების საკითხი. აღნიშნულ შემთხვევაში საინტერესოა კონვენციით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადისა და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადების კონკურენციის გადაწყვეტა.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პირველმა ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელეს, რომელმაც აანაზღაურა აღნიშნული შემთხვევების შედეგად წარმოშობილი ხარჯები, გამგზავნის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი იმ მოტივით უთხრა, რომ გასული იყო კონვენციით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა იმ საფუძველით, რომ სასამართლოს მიერ არასწორად მოხდა ნორმის გამოყენება. კერძოდ, ამ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული კონვენციით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

⁶⁶⁰ *Kofler S.*, Handbuch CMR-Transportrecht, Linde Verlag Ges.m.b.H., Wien, 2013, 23.

ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ სხვაგვარად განმარტა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, კონვენციით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა გაავრცელა ყველა მოთხოვნის მიმართ, რომლებიც კავშირშია გადაზიდვასთან დელიქტური მოთხოვნების ჩათვლით და, ასევე ისეთების მიმართაც, რომლებიც არ არის კონვენციით დაცული.

სასამართლომ განმარტა, რომ კონვენცია და განსაკუთრებით ამ კონვენციით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა მოიცავს მხოლოდ მოთხოვნებს, რომლებიც უშუალოდ გადაზიდვიდან გამომდინარე აქვთ გადაზიდვაში მონაწილე პირებსა და მესამე პირებს, რომლებიც ფლობენ გადაზიდვისა და მისგან გამომდინარე საშიშროების შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე. ამ შემთხვევაში, რადგან მოსარჩელის ერთ მოთხოვნას სწორედ აღნიშნული წარმოადგენდა, ამ მოთხოვნაზე არ ვრცელდება კონვენციით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის გავრცელებას, ამ შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციისთვის ზოგადად მოქმედებს დამატებითი ვალდებულება, რომ დაცულ იქნეს სამართლებრივი სიკეთე განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი ეხება მომეტებული საფრთხის მქონე ტვირთის გადაზიდვას. მითითების არარსებობა ნიშნავს ვალდებულების დარღვევას. ამ ვალდებულების დარღვევისას შეიძლება წარმოიშვას არა მარტო ზიანის შემთხვევა, არამედ მოპასუხეს შეუძლია დაეყრდნოს კონვენციით დადგენილ მისთვის სასარგებლო მცირე ხანდაზმულობის ვადას. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევის შედეგად დამდგარი სამართლებრივი მდგომარეობა მოპასუხემ არ შეიძლება გამოიყენოს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული ხანდაზმულობის არა ერთწლიანი, არამედ 3-წლიანი ვადა.⁶⁶¹ აღნიშნული განმარტების მიუხედავად, სასამართლომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დააფუძნა დელიქტურ ვალდებულებებს და არა კონვენციით დადგენილ ხანდაზმულობის ვადას.

აღნიშნული კონვენცია არ უნდა შეფასდეს საერთაშორისო საგზაო გადაზიდვის მარეგულირებელ კოდიფიცირებულ სამართლად. ის არის ხარვეზიანი, რომელიც ეროვნული სამართლის დახმარებით ივსება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმები ან თავად კონვენციით დადგენილი ნორმები არის ხარვეზიანი, გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები. ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ უნდა გამოყენებულიყო კონვენციით დადგენილი მოწესრიგება. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, შეფასება უნდა მომხდარიყო კონვენციით დადგენილი სპეციალური ნორმების მიხედვით, ვინაიდან მოცემული სამართლებრივი ურთიერთობა ექცეოდა კონვენციის მოქმედების სფეროში.

⁶⁶¹ OLG Frankfurt am Main Urt. v. 20.4.2007 – 3 U 203/05.

IV. მოთხოვნის კონკურენციის პირობებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის თავისებურებანი

1. ხელშეკრულების ბათილობისას ნივთის გამოთხოვის სამართლებრივ საფუძველთა კონკურენციის პირობებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის თავისებურება

თუ ხელშეკრულება ნების ნაკლის გამო წარმატებით იქნა შეცილებული, ის ითვლება დადებისთანავე ბათილად, უკვე განხორციელებული შესრულება კი უკან უნდა იქნეს გამოთხოვილი. უკან დაბრუნების მოთხოვნის განხორციელებისას კონკურირებს უსაფუძვლო გამდიდრებისა და სავინდიკაციო სარჩელები.⁶⁶² შესაბამისად, მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის განხილვა.

გამოთქმულია მოსაზრება ხელშეკრულების ბათილად ცნობიდან გამომდინარე უკან დაბრუნების მოთხოვნაზე კონდიქციური ნორმების გამოყენების თაობაზე,⁶⁶³ ვინაიდან შესრულების კონდიქციის დროს არ არის სახეზე სამართლებრივი საფუძველი.⁶⁶⁴ რაც შეეხება ვინდიკაციას, ამ დროს სახეზეა მესაკუთრე და უკანონო მფლობელი, ამასთან, არ მოითხოვება, რომ მოსარჩელე იყოს მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი. რესტიტუციის დროს მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ კონტრაქტისადმი და არ მიჰყვება გარიგების საგანს, ხოლო ვინდიკაციისას, შემძენს შესაძლოა ნივთი ჩამოერთვას გარიგებათა ჯაჭვში. ვინდიკაციისას დამატებითი მტკიცების საგანია სანივთო უფლების არარსებობა.⁶⁶⁵

მოთხოვნათა კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ გაზიარებულ იქნა პოზიცია სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე გარიგების ბათილობისას ნივთის გამოთხოვის შესახებ, თუმცა სასამართლომ პირდაპირ არ გამორიცხა სხვა მოთხოვნის საფუძველით ნივთის გამოთხოვის შესაძლებლობა.⁶⁶⁶ სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ მოთხოვნათა შემოწმება უნდა დაექვემდებაროს გარკვეულ რიგითობას, მიუხედავად აშკარა საკანონმდებლო დანაწესის არარსებობისა. მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან ქმედების შემადგენლობის ყველა წინაპირობის დამთხვევა კი წარმოადგენს ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომის საფუძველს.⁶⁶⁷

⁶⁶² BGE Urt. v. 3.05.2011 - 4A_562/2010.

⁶⁶³ *ჯანაშია ლ.*, კონდიქციური ვალდებულებანი, *ჟურნალი „სამართალი“* №10-12, თბილისი, 2004, 39.

⁶⁶⁴ *ბიჭია მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, 114.

⁶⁶⁵ *ქოჩაშვილი ქ.*, მფლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმფციის საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012, 144 https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/getevan%20qochashvili.pdf [18.03.2019].

⁶⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.

⁶⁶⁷ იხ. იქვე.

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრულია კანონის იმ რედაქციით, რომლითაც მხარეს ენიჭება მეორე მხარისგან განსაზღვრული მოქმედების შესრულების ან შესრულებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება. მხარე, რომელიც მეორე მხარისგან ითხოვს რაიმეს, სულ მცირე, უნდა მიუთითებდეს ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობაზე, კონკრეტული ნორმის დასახელების გარეშე.⁶⁶⁸ მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების გამოყენების უფლებამოსილება ენიჭება სასამართლოს. აღნიშნული წარმოადგენს როგორც უფლებას, ისე ვალდებულებას.⁶⁶⁹ ამასთან, ვალდებულებათა მიმართების განსაზღვრა საბოლოოდ მოთხოვნათა საფუძველების კონკურენციის პრობლემას უკავშირდება.⁶⁷⁰

მიუხედავად კონდიქციური მოთხოვნის სუბსიდიური ხასიათისა, რაც ვლინდება იმაში, რომ უსაფუძვლო გამდიდრების წესები მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებად მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა სხვა უფრო სპეციალური ნორმის გამოყენება დაუშვებელია,⁶⁷¹ ხელშეკრულების დადებისთანავე ბათილობა შესაძლოა დასახელდეს სასარგებლო არგუმენტად, რომლიდანაც გამომდინარეობს უკან დაბრუნების მოთხოვნის უსაფუძვლო გამდიდრებისეული ბუნება.⁶⁷² უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენების პრიორიტეტულობის საკითხი იმითაც უნდა იქნეს არგუმენტირებული, რომ ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში გამყიდველს ექნება ნივთის როგორც სავინდიკაციო, ისე კონდიქციური მოთხოვნით, ხოლო მყიდველს მხოლოდ კონდიქციური მოთხოვნით უკან დაბრუნების მოთხოვნა, რაც გამოიწვევს გამყიდველის სავინდიკაციო და მყიდველის კონდიქციურ მოთხოვნებს შორის კავშირის ფაქტობრივად გამორიცხვას.⁶⁷³

კონდიქციური მოთხოვნის სასარგებლოდ, გარდა მითითებული არგუმენტებისა, დამატებით მეტყველებს ისიც, რომ შესრულებები, რომლებიც შემდგომ ნების ნაკლის გამო შეწყდა, მიიჩნევა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულებულად.⁶⁷⁴

⁶⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 დეკემბრის №ას-1529-1443-2012 გადაწყვეტილება.

⁶⁶⁹ *ჰენცელი ს.*, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდისა, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009, 84.

⁶⁷⁰ *ბიჭია მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016, 33

⁶⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის №ას-774-723-2017 გადაწყვეტილება.

⁶⁷² *Wunner S. E.*, Die Rechtsnatur der Rückgewährpflichten bei Rücktritt und auflösender Bedingung mit Rückwirkungsklausel, Archiv für die civilistische Praxis, Archiv für die civilistische Praxis, Heft 5/6, 168. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1968, 438.

⁶⁷³ *რუსიაშვილი გ.*, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2013, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2014, 228.

⁶⁷⁴ *Monferrini I., Crone H. C.*, Die Rückabwicklung mangelhafter Verträge, Schweizerische Zeitschrift für Wirtschafts- und Finanzmarktrecht (SZW/RSDA), Heft 5, 2011, 491.

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი უზრუნველყოფს არაუფლებამოსილი პირის მიერ ქონების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. სწორედ ამიტომ სავალდებულო წერილობითი ფორმის დაუცველობის გამო დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ორმხრივი რესტიტუციისას გამოიყენა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები.⁶⁷⁵

ბევრი არგუმენტი მეტყველებს მსგავს შემთხვევაში კონდიქციური სარჩელის გამოყენების სასარგებლოდ. სსკ-ის 976-ე მუხლი სპეციალურად არის დადგენილი სწორედ გარიგების ბათილად ცნობის შედეგად წარმოშობილი შედეგის უკუქცევისთვის. და ამ შემთხვევაში კანონმდებლის მიზანი, რომ ვინდიკაციური ნორმები იქნეს გამოყენებული, ვერ გამოდგება თავად ნორმის სტრუქტურიდან გამომდინარე. სხვა შემთხვევაში, ბუნდოვანია კანონმდებლის მიერ ნორმის მსგავსი ფორმულირების მოტივი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა იქნეს გაზიარებული პოზიცია, რომლითაც კონდიქციური და ვინდიკაციური მოთხოვნების კონკურენციისას უპირატესად უნდა იქნეს გამოყენებული უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები,⁶⁷⁶ მიუხედავად მისი სუბსიდიური ბუნებისა.

2. ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წარმოშობილ მოთხოვნათა კონკურენციის ხანდაზმულობასთან ურთიერთმიმართება

ვალდებულება შეიძლება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით წარმოიშვას ხელშეკრულების დადებამდეც (ზრუნვის და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება).⁶⁷⁷ წინასახელშეკრულებო ეტაპზე კანონმდებლობით დადგენილი გულისხმიერების ვალდებულების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობა.⁶⁷⁸

გულისხმიერების ვალდებულება მიმართულია ინტეგრალური ინტერესის დაცვაზე, რაც თავის მხრივ, გულისხმობს იმ ქონებრივი თუ არაქონებრივი სტატუსის შენარჩუნებას, რომელიც არ უკავშირდება შესრულებას. შესაბამისად, კრედიტორის ნეგატიური ინტერესის დაცვას იმ შედეგისგან, რომელიც არ დადგებოდა ხელშეკრულების არარსებობის პირობებში.⁶⁷⁹

ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა შესაძლოა დაექვემდებაროს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას, როცა

⁶⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის №ას-536-509-2015 განჩინება.

⁶⁷⁶ *რუსიაშვილი გ.*, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2013, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2014, 227

⁶⁷⁷ *მარიამიძე გ.*, ვალდებულებითი სამართალი: სახელშეკრულებო სამართალი: ზოგადი ნაწილი: II ნაწილი, I გამოცემა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013, ვნ. 29.

⁶⁷⁸ *გაჩეჩილაძე ა.*, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე აღმოცენებული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ანალიზი, სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, თბილისი, 2012, 12.

⁶⁷⁹ *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <gcc.ge>, 2019, მუხლი 316, ვნ. 32 [05.04.2019].

წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას დგება ხანდაზმულობის ზოგადი ნორმების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁶⁸⁰ პრობლემა მდგომარეობს არა მხოლოდ განსხვავებულ ხანდაზმულობის ვადებში, არამედ მისი დაწყების წესშიც. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე დამდგარი პასუხისმგებლობის სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით.⁶⁸¹

თუ გამყიდველი ხელშეკრულების დადებამდე ნასყიდობის საგნის მონაცემებს მცდარად ან საერთოდ არ მიუთითებს, ის პასუხისმგებელია წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებაზე. სადავოა, დასაშვებია თუ არა მსგავსი პასუხისმგებლობა ნასყიდობის ნორმებთან ერთად.⁶⁸² შესაბამისად, გაურკვეველია ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა შეიძლება თუ არა გახდეს სხვა მეორადი მოთხოვნების წარმოშობის წინაპირობა.⁶⁸³

ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის მოთხოვნები სხვა მიზანს ემსახურება. ის შეიძლება მიემართებოდეს ხელშეკრულების გაუქმებას: კრედიტორი ასაბუთებს, რომ ის დროული განმარტების შემთხვევაში არ დადებდა ამ ხელშეკრულებას, ამიტომ უნდა იქნეს აღდგენილი ის მდგომარეობა, რაც ხელშეკრულების დადებამდე არსებობდა.⁶⁸⁴ ამ შემთხვევაში კრედიტორს აქვს ნეგატიური ინტერესი ზიანის ანაზღაურებაზე. მას არ შეუძლია გამოიყენოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ან ფასის შემცირების მოთხოვნა.⁶⁸⁵

თუმცა ხშირად მოვალე არ აწვდის ინფორმაციას კრედიტორს ნივთის ნაკლის თაობაზე. ხელშეკრულების დადებამდე მოვალეს ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე აქვს უფლების ნამდვილობისა და განმარტების ვალდებულება. როცა ეს უკანასკნელი ამ ვალდებულებას იმ გარემოებაზე აფუძნებს, რომელიც ასევე ასახავს ნივთის ნაკლს (მაგ., გამყიდველი დუმს ნაკლის არსებობაზე ან გაუფრთხილებლობით უთითებს ნასყიდობის საგნის თვისებებზე), ზიანის ანაზღაურებაზე კრედიტორის უფლება შეზღუდულია ხელშეკრულების სპეციალური მოწესრიგებით.

⁶⁸⁰ Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 68.

⁶⁸¹ გაწერელია ა., ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე აღმოცენებული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ანალიზი, სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, თბილისი, 2012, 11.

⁶⁸² Tonikidis S., Konkurrenzprobleme im Kaufgewährleistungsrecht, ZJS 3/2014, 277 < http://www.zjs-online.com/dat/artikel/2014_3_803.pdf > [19.03.2019].

⁶⁸³ ჩაჩავა ს., მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, 78 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/sofio_chachava.pdf> [29.03.2019].

⁶⁸⁴ Peter H., Examens-Repetitorium Besonderes Schuldrecht: Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2008 Rn. 245.

⁶⁸⁵ Beckmann in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier - de Gruyter, Berlin, 2008, 609.

ამის საპირისპიროდ, თუ კრედიტორი მიუთითებს სხვა გარემოებაზე, რომელიც არ შეიძლება იყოს თვისების თაობაზე შეთანხმების საგანი, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების ზოგადი მოთხოვნის გამოყენება. თუ საკითხი შეეხება იმ გარემოებების მიუთითებლობას ან მცდარად მითითებას, რომლებიც არ წარმოადგენს ნაკლს სპეციალური ნორმების მნიშვნელობით, მაშინ შეუზღუდავად არის დასაშვები ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმების გამოყენება.⁶⁸⁶

ლიტერატურაში გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის გამო შეუზღუდავია. ეს გულისხმობს, რომ უბრალო გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც დასაშვებია მეორადი მოთხოვნების გამოყენება.⁶⁸⁷

ამასთან, თუ კრედიტორი არ იცნობდა ნივთის ნაკლს უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მას მხოლოდ მაშინ შეუძლია თავისი უფლებების გამოყენება, როცა მოვალე განზრახ მოქმედებდა.⁶⁸⁸ ვალდებულების განზრახ დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმები, რადგან ამ შემთხვევაში გამყიდველი არ საჭიროებს დაცვას.⁶⁸⁹

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, სახელშეკრულებო ნორმის შემაკავებელი ეფექტი მყიდველის სხვა შესაძლებლობებთან მიმართებით ვრცელდება ასევე ნასყიდობის საგნის თვისობრიობასთან მიმართებით წინასახელშეკრულებო განმარტების ვალდებულების დარღვევისას.⁶⁹⁰

წინასახელშეკრულებო ბრალისათვის პასუხისმგებლობა გერმანიაში წარმოადგენს მოთხოვნის მნიშვნელოვან საფუძველს, ავსტრიაში ამ ინსტიტუტს აქვს ნაკლები მოქმედების სფერო.⁶⁹¹

უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, წინასახელშეკრულებო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დარღვევისას დასაშვებია ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმების გამოყენება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა შეზღუდულია ხელშეკრულებიდან გამომდინარე სპეციალური ნორმებით.⁶⁹² მსგავსი რეგულაცია უზრუნველყოფს სპეციალური ნორმების გამოყენების თავიდან აცილებას. ზოგადად, ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთ

⁶⁸⁶ *Tonikidis S.*, Konkurrenzprobleme im Kaufgewährleistungsrecht, ZJS, 3/2014, 277 < http://www.zjs-online.com/dat/artikel/2014_3_803.pdf > [19.03.2019].

⁶⁸⁷ BGH Urt. v. 2.11.2010 – VIII ZR 287/09; BGH Urt. v. 16.3.2012 – V ZR 18/11.

⁶⁸⁸ *YU C.* Die Konkurrenz zwischen Gewährleistungsrecht und Informationspflicht, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Die Rheinischen Friedrich-Wilhelms-Universität Bonn, Bonn, 2018, 23 <http://hss.ulb.uni-bonn.de/2018/5152/5152.pdf> [19.03.2019]

⁶⁸⁹ *Tonikidis S.*, Konkurrenzprobleme im Kaufgewährleistungsrecht, ZJS, 3/2014, 273 < http://www.zjs-online.com/dat/artikel/2014_3_803.pdf > [19.03.2019].

⁶⁹⁰ *Volker E.*, BGB - Schuldrecht Besonderer Teil, 14. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2015, Rn. 42.

⁶⁹¹ *Wittmann R.*, Vertragliche Gewährleistungsregelungen beim Unternehmenskauf unter besonderer Berücksichtigung des Anteilskaufs, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Wien, Wien 2011, 55 < http://othes.univie.ac.at/17387/1/2011-11-17_9650047.pdf > [12.03.2019].

⁶⁹² *Greiner S.*, Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 68.

პირობას წარმოადგენს კონტრაქტის უფლებებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა.⁶⁹³ შესაძლებელია წინასახელშეკრულებო ნორმების შეუზღუდავად გამოყენება იმ არგუმენტაციის გათვალისწინებით, რომ ორივე ნორმა განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. კერძოდ, ერთ შემთხვევაში - მოვალის მიერ ინფორმაციის მიუწოდებლობით გამოწვეული დეფიციტის აღმოფხვრას, ხოლო მეორე შემთხვევაში - იმ მოლოდინების კომპენსირებას, რომ საგანი არ არის ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო.

ამის მიუხედავად გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული ის პოზიცია, რომ ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე მოთხოვნის წარმდგენი პირის ბრალეული მოქმედება გამორიცხავს მოპასუხის მიერ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევას.⁶⁹⁴ შესაბამისად, ამ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალური ნორმები.

3. ცალკეული სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციის საკითხი ხანდაზმულობასთან მიმართებით

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი იმის შესახებ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა დაეფუძნოს სპეციალური თუ ზოგადი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნას.⁶⁹⁵ ხშირად მხარე ცდილობს მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს არასახელშეკრულებო ნორმებზე მითითების გზით. შეუძლია თუ არა მესამე პირს, რომელიც უშუალოდ არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, გამოიყენოს დელიქტური მოთხოვნა. ამ კითხვაზე პასუხი უარყოფილია.⁶⁹⁶

ამასთან, საინტერესოა, შეიძლება თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმების გამოყენება, ისევე როგორც დელიქტით მიყენებული ზიანისათვის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრება.⁶⁹⁷

სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელების კონკურენცია აქტუალური და პრობლემურია. ამასთან, არ არსებობს აზრთა ერთიანობა ამ საკითხთან დაკავშირებით.⁶⁹⁸

⁶⁹³ *ბერეკაშვილი ქ.*, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა - ნების ავტონომია თუ მართლწესრიგის საწინააღმდეგო მოქმედება? *ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“* №1(32)'12, 2012, 93.

⁶⁹⁴ *გაჩეჩელია ა.*, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე აღმოცენებული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ანალიზი, სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში სტუდენტური სამართლებრივი *ჟურნალი*, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, თბილისი, 2012, 13.

⁶⁹⁵ *Greiner S.*, *Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse*, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 68.

⁶⁹⁶ *თოდუა მ., ვილემსი ჰ.*, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, 85.

⁶⁹⁷ *სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ.*, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, *ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“* №2(37)'13, თბილისი, 2013, 22.

⁶⁹⁸ იხ. იქვე.

სახელმეკრულებო ზიანი წარმოადგენს ხელმეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგს, მხარის ბრალეულ მოქმედებას, რომელიც უკავშირდება ხელმეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობას. შესაბამისად, ზიანი სახელმეკრულებო და არასახელმეკრულებო ურთიერთობის მიუხედავად წარმოადგენს დელიქტის შედეგს.⁶⁹⁹ თუმცა დელიქტური საფუძვლით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ეფუძნება დამრღვევის უკანონო და ბრალეულ მოქმედებას.⁷⁰⁰

დელიქტურ და სახელმეკრულებო მოთხოვნათა კონკურენციასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია განმარტების მეთოდების კომპლექსური გამოყენებისა და სსკ-ის ღირებულებათა სისტემის მთლიანობაში აღქმის გარეშე.⁷⁰¹

ზოგადად, ზიანი შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელმეკრულებო, ისე არასახელმეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობიდან.⁷⁰² თეორიული თვალსაზრისით დელიქტური და სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა არ არის პრობლემური. ხელმეკრულების ერთი მხარის ბრალეული მოქმედება მეორე მხარის საწინააღმდეგოდ განიხილება დელიქტად, თუ ამ ქმედებაში არ იკვეთება სახელმეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულების ნიშნები.⁷⁰³ მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც არღვევს ნორმის მოთხოვნებს, წარმოადგენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების ობიექტურ წინაპირობას.⁷⁰⁴ არასახელმეკრულებო ზიანის ანაზღაურებისათვის ვალდებულების დაკისრების საფუძველს წარმოადგენს დელიქტის საფუძველზე პასუხისმგებლობა.⁷⁰⁵ ამის საპირისპიროდ, ზიანი, რომელიც წარმოიშვა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად, ექვემდებარება სახელმეკრულებო პასუხისმგებლობას, თუმცა პრაქტიკაში რთულია ამ ზიანის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.⁷⁰⁶

⁶⁹⁹ ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, თბილისი, 2008, 50.

⁷⁰⁰ Dullinger S., Bürgerliches Recht Band II: Schuldrecht Allgemeiner Teil, 4. Auflage, Springer-Verlag Wien, 2010, Rn. 3/150.

⁷⁰¹ ძლიერიშვილი/ცერცვაძე გ./რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე ლ./ჯანაშია, სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, 83.

⁷⁰² ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, თბილისი, 2008, 49.

⁷⁰³ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სახელმეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3/11, თბილისი 2011, 65.

⁷⁰⁴ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 67.

⁷⁰⁵ გაწერელია ა., ხელმეკრულების მომზადების ეტაპზე აღმოცენებული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ანალიზი, სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, თბილისი, 2012, 10.

⁷⁰⁶ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“ №1 2009, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009, 58.

სახელმეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნებს შორის არსებობს განმასხვავებელი ნიშნები. კერძოდ, სახელმეკრულებოს სამართალი იცავს პირის ეკვივალენტურობის ინტერესს, როცა დელიქტური პასუხისმგებლობა მიმართულია ხელმეკრულების გარე ურთიერთობაში არსებული სიკეთის დაცვისაკენ.⁷⁰⁷ აღნიშნული კი მაშინ არის სახეზე, როცა შემხებელი ზიანი არ არის ნივთის ნაკლის იდენტური.⁷⁰⁸ ამასთან, დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ეფუძნება ქმედებას, რომლითაც ირღვევა ყველა პირის მიმართ დადგენილი გულმოდგინების ვალდებულება.⁷⁰⁹

ზოგადად, კრედიტორის მიერ დელიქტური მოთხოვნის გამოყენება უფრო ხელსაყრელია, რადგან სსკ-ის 1008-ე მუხლი განსაზღვრავს ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას, რომელსაც უკავშირებს ვადის ათვლის სპეციალურ მომენტს. კერძოდ, იმ მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო დელიქტით მიყენებული ზიანის ფაქტის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.⁷¹⁰ უნდა იქნეს გაზიარებული გამოთქმული მოსაზრება სსკ-ის 1008-ე მუხლის რედაქციულ ხარვეზთან დაკავშირებით.⁷¹¹ კერძოდ, 1008-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებით, ვადის ათვლა უკავშირდება ალტერნატიულ პირობებს - ზიანის მიყენების ფაქტს ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის პიროვნების ცოდნას, რაც არაგონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული. დაზარალებული, რომელმაც უშუალოდ განიცადა ზიანი, შეიძლება საერთოდ არ იცნობდეს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს. ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის ათვლის დაკავშირება ზიანის შეტყობის ფაქტთან უსამართლო შედეგს გამოიწვევს, რადგან დაუშვებელია პირს მოეთხოვოს უფლების განხორციელება, როცა ამ უკანასკნელმა არ იცის ვალდებული პირის თაობაზე ინფორმაცია. ხაზგასასმელია, რომ სარჩელის სასამართლოში წარდგენისას მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება, მიუთითოს მოპასუხის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. თუ მოსარჩელემ ზუსტად არ იცის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის თაობაზე, ის ვერ მოახდენს უფლების სასამართლო წესით დაცვას ან შესაძლებელია მოხდეს არასათანადო მოპასუხის მითითება, ხოლო სარჩელი, რომელიც წარდგენილია არასათანადო მოსარჩელის მიერ ან არასათანადო მოპასუხის მიმართ, არ გამოიწვევს სასარჩელო ხანდაზმულობის

⁷⁰⁷ ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 110 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_zoidze.pdf> [19.03.2019].

⁷⁰⁸ Peter H., Examens-Repetitorium Besonderes Schuldrecht: Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2008, Rn. 250

⁷⁰⁹ Apathy P., Riedler A., Bürgerliches Recht Band III: Schuldrecht Besonderer Teil 4. Auflage, Springer-Verlag Wien, 2010, Rn. 13/14.

⁷¹⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 19 სექტემბრის №28/1616-17 განჩინება.

⁷¹¹ ბათლიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <gccc.ge>, 2017, მუხლი 1008, ვნ. 3.

ვადის შეწყვეტას.⁷¹² ხანდაზმულობა წყდება მხოლოდ უფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის შეტანით.⁷¹³ ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი მოკლებული იქნება უფლების დაცვის რეალურ შესაძლებლობას, რაც გამოიხატება სასურველი მიზნის მიუღწევლობაში.

ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო განმარტება გააკეთა სასამართლომ, რომელმაც მიუთითა როგორც ზიანის, ისე ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ინფორმაციის კუმულაციურად არსებობის სავალდებულობაზე.⁷¹⁴

მიზანშეწონილია, რომ ნორმა არსებული მოწესრიგების პირობებში ინტერპრეტირებულ იქნეს იმგვარად, რომ ხანდაზმულობის ვადის დაწყება დაუკავშირდეს კუმულაციურად ორივე წინაპირობის არსებობის ფაქტს. ამგვარ განმარტებას საფუძვლად უნდა დაედოს ხანდაზმულობის არსის, მისი მიზნების, ისევე როგორც სამართლიანობის პრინციპი რეალიზაცია. ამასთან, კანონმდებლობაში არსებული რედაქციული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით რეკომენდირებულია სსკ-ის 1008-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ნაცვლად „ან“ კავშირისა „და“ კავშირის მითითება.

გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 130-ე და 1008-ე მუხლებთან მიმართებით მნიშვნელოვანი განსხვავება მდგომარეობს ხანდაზმულობის ვადის დენის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებში. კერძოდ, 130-ე მუხლი ვადის დენას უკავშირებს უფლების დარღვევის ფაქტის ცოდნის ან გაუფრთხილებლობით უცოდინრობის მომენტს, ხოლო 1008-ე მუხლი ვადის ათვლას უკავშირებს მხოლოდ სუბიექტური ცოდნის მომენტს. გამოთქმულია მოსაზრება, ზოგადი და დელიქტური მოთხოვნების ვადის ათვლის მიმართ ერთიანი სტანდარტის დადგენის თაობაზე,⁷¹⁵ რომელიც უნდა იქნეს გაზიარებული.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისას მნიშვნელოვანია სამართლებრივი სიკეთის იდენტიფიცირება, რის დაცვასაც ემსახურება ნორმა. სსკ-ის 992-ე მუხლის შემთხვევაში ნორმის დაცვის ობიექტს წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეები, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საკუთრება. ერთი შეხედვით, დაცვის ობიექტიდან გამომდინარე შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის განსხვავებული წესის დადგენა და ვადის დაწყების ცოდნის სუბიექტურ მომენტზე დაკავშირება. თუმცა ამ შემთხვევისთვის კანონმდებლის ნების დადგენა უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის სისტემური ანალიზის გზით.

⁷¹² ამირანაშვილი გ., უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, თბილისი, 2013, 66.

⁷¹³ ახვლედიანი, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, მუხლი 138, 332.

⁷¹⁴ მაგალითისათვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის №ას-1160-1080-2017 განჩინება.

⁷¹⁵ ბათლიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, <gccc.ge>, 2017, მუხლი 1008, ვნ. 4.

სსკ-ის 1015-ე მუხლი, რომელიც შეეხება წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადას, ადგენს ხანდაზმულობის ვადის ათვლის მიმართ სსკ-ის 130-ე მუხლის ანალოგიურ რეგულირებას. კერძოდ, ვადის ათვლას უკავშირებს მომენტს, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ან/და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. აღსანიშნავია, რომ 1015-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სიკვდილით, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებით წარმოშობილ ზიანზე. ვინაიდან დაცვის ობიექტი სსკ-ის 1008-ე და 1015-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მსგავსია, მიზანშეწონილია ერთიანი რეგულაციის დადგენა სსკ-ის 1008-ე მუხლში ცვლილების განხორციელების გზით, რომლითაც მოხდება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის იმ მომენტთან დაკავშირება, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ზიანის და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციის საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მიდგომა უცხო ქვეყნების კანონმდებლობაში.

მაგ., საფრანგეთის კანონმდებლობით გამორიცხულია დელიქტური საფუძვლით მოთხოვნის წარდგენა, როცა ზიანი ეფუძნება სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას. სასამართლომ აბსოლუტური აკრძალვიდან გამონაკლისი დაუშვა მოტყუების, სისხლის სამართლის დანაშაულის, სატრანსპორტო შემთხვევების, სამშენებლო ობიექტის ნაკლის შემთხვევაში.⁷¹⁶ ამასთან, პასუხისმგებლობის ზოგადი წესები გამოიყენება უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიმართ, მიუხედავად იმისა, მონაწილე მხარეთა შორის არსებობს თუ არა ხელშეკრულება.⁷¹⁷

ამ მხრივ განსხვავებულია გერმანიის, ჰოლანდიისა და ინგლისის კანონმდებლობის მიდგომა, რომლებიც უშვებენ დელიქტური სამართლის გამოყენებას მაშინაც, როცა ურთიერთობა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას ეფუძნება. გერმანიაში გაბატონებულია მოთხოვნათა კონკურენციის თაობაზე თეორია, რომელიც უშვებს ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების დელიქტური სამართლით დაცვას. როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური სამართალი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. დაზარალებულს შეუძლია ნებისმიერი საფუძვლით მოთხოვნის წარდგენა, თუ არ არის სახეზე ქმედების სავალდებულო შემადგენლობა. ამასთან, მხარის არჩევანი არ არის შეუზღუდავი. გამონაკლისი უნდა იქნეს დაშვებული იქ, სადაც კონკრეტული ნორმა განსაზღვრულ სიტუაციას ამომწურავად არეგულირებს.⁷¹⁸ თითქმის ანალოგიური მიდგომაა ჰოლანდიის კანონმდებლობაშიც.

⁷¹⁶ *Graff R. D*, Concurrent Claims in Contract and Tort: A Comparative Perspective, Article European Review of Private Law, Volume, 25, Issue 4, 2017, 713.

⁷¹⁷ იქვე.

⁷¹⁸ იხ. იგივე, გვ. 717-718.

ინგლისურ სამართალში კითხვაზე, აქვს თუ არა მხარეს უფლება, წარადგინოს დელიქტური საფუძვლიდან გამომდინარე სარჩელი, დამოკიდებულია იმაზე, გაუფრთხილებელმა მოქმედებამ დააზიანა თუ არა ხელშეკრულების მხარის ჯანმრთელობა, სიცოცხლე ან ქონება. სასამართლოები ამ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევენ დელიქტური სამართლის გამოყენებას. სხვა საკითხია წმინდა ეკონომიკური დანაკარგი.⁷¹⁹

ხელშეკრულებიდან და დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნები ერთმანეთს ემთხვევა იმ შემთხვევაში, როცა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით რეალიზდება უკანონო ქმედების შემაღგენლობა. კერძოდ, საკითხი შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა მოვალე კრედიტორის საგანს დააზიანებს ან გაანადგურებს, რომელიც მას ჰქონდა გადაცემული ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში. აღნიშნული ასევე წარმოადგენს არამართლზომიერ, ბრალეულ საკუთრების დაზიანების შემთხვევას.⁷²⁰ მსგავს შემთხვევაში გადამწყვეტია, საკითხი შეეხება საკუთრების დარღვევას თუ მხოლოდ ქონებრივ ზიანს. მაგ., გერმანიის სასამართლომ საკუთრების უფლება მიიჩნია დარღვეულად ნაკლიანი პროდუქტის რეალიზაციის შემთხვევაში, რადგან ის არ შეესაბამებოდა სამოქალაქო ბრუნვაში მის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებულ მოლოდინებს.⁷²¹

დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნების კონკურენციისას დელიქტური სამართლის გამოყენების აკრძალვის პრინციპს, ისევე როგორც ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენას დელიქტური მოთხოვნის საფუძველზე აქვს თავისი გამართლება. გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, დელიქტური სამართლის გამოყენების აკრძალვა ემსახურება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისა და კანონმდებლის განზრახვის პატივისცემას. კერძოდ, მხარეებს არ შეიძლება ჰქონდეთ შესაძლებლობა, ურთიერთობისათვის გათვალისწინებული რეჟიმი დელიქტური სამართლის ზოგადი რეჟიმის გამოყენებით უგულებელყონ.⁷²²

მსგავსი მიდგომა უნდა შეფასდეს მიზანშეწონილად. არ შეიძლება სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების გამოყენების საკითხი ერთპიროვნულად მხარის ნებაზე იყოს დამოკიდებული. სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნებს შორის კონკურენციის არარსებობისას, მხარე აირჩევს მისთვის ხელსაყრელ საფუძველს. შესაბამისად, ხანდაზმულობის კუთხით სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნებს შორის დასახელებული განსხვავებების გათვალისწინებით, მხარე ყველა შემთხვევაში გამოიყენებს დელიქტურ მოთხოვნას, რომელიც ხანდაზმულობის ვადის ათვლის ხელსაყრელ საფუძველს ადგენს, რა დროსაც აზრს დაკარგავს ცალკეული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის კანონმდებლობით

⁷¹⁹ იხ. იგივე, გვ. 723.

⁷²⁰ *Eichler H.*, Die Konkurrenz der vertraglichen und deliktischen Haftung im deutschen Recht, Archiv für die civilistische Praxis, Heft 5-6, 162. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1963, 401.

⁷²¹ *Fuchs M., Pauker W., Baumgärtner A.*, Delikts- und Schadensersatzrecht, 9. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2017, 31.

⁷²² *Graff R. D.*, Concurrent Claims in Contract and Tort: A Comparative Perspective, Article European Review of Private Law, Volume, 25, Issue 4, 2017, 725.

დადგენილი ხანდაზმულობის ვადების არსებობა. სწორედ ამიტომ კონკურენციის შემთხვევაში მხარეთათვის არჩევანის მინიჭება დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს. მსგავსი გადაწყვეტა შეესატყვისება საზოგადოებაში სახელშეკრულებო სამართლის როლის ზრდის ტენდენციას.⁷²³

ამასთან, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში დელიქტური სამართლის გამოყენების საკითხის სასარგებლოდ გამოთქმულია ის არგუმენტი, რომ დელიქტური სამართალი უნდა სთავაზობდეს ყველა სუბიექტს განსაზღვრულ დაცვას იმისაგან დამოუკიდებლად, არსებობს თუ არა მხარეთა შორის ხელშეკრულება. მსგავსი დაშვება ემსახურება მხარეთა დაცვას, როცა არ არის გამართლებული მხარის მიმართ ნაკლები დაცვის სტანდარტის გამოყენება.⁷²⁴

დელიქტური სამართლის უპირატესად გამოყენების მითითებული გამართლება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, თუმცა არ უნდა გახდეს მხარისათვის ყველა შემთხვევაში სრული თავისუფლების მინიჭების საფუძველი. სსკ ცალკეულ შემთხვევაში ითვალისწინებს საგამონაკლისო შემთხვევებს, როცა მიუხედავად ხელშეკრულების არსებობისა, დასაშვებია დელიქტური სამართლის ნორმების გამოყენება. კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებს მიეკუთვნება უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანი, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის, მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვის პროცესში სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად წარმოშობილი ზიანი.⁷²⁵ ამასთან, სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული შემთხვევებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება არ ეფუძნება მხოლოდ დელიქტურ სამართალს.⁷²⁶

გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის რეგულირება უფრო მეტად ჰგავს საფრანგეთის კანონმდებლობით დადგენილ მოწესრიგებას, რადგან ორივე შემთხვევაში მოქმედებს ზოგადი პრინციპი და ამ პრინციპიდან ცალკეული გამონაკლისები, რომლებიც ძირითადად, უსამართლო შედეგების პრევენციას ემსახურება.

ამასთან, გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სასამართლოს მიერ მოთხოვნის საფუძველად როგორც ხელშეკრულების, ისე კანონის მიჩნევისას,

⁷²³ ქერაშვილი ს., კონოსამენტის წარდგენის გარეშე ტვირთის გადაცემისათვის გადაზიდვების პასუხისმგებლობის თავისებურებანი, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016, 259.

⁷²⁴ Graff R. D, Concurrent Claims in Contract and Tort: A Comparative Perspective, Article European Review of Private Law, Volume, 25, Issue 4, 2017, 725.

⁷²⁵ ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 108 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_zoidze.pdf> [19.03.2019].

⁷²⁶ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის საჩივრების კონკურენცია, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3'11, თბილისი 2011, 71.

მოსამართლე უფლებამოსილია, გადაწყვეტილება დააფუძნოს მხოლოდ კანონის საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნაზე, ხოლო სახელშეკრულებო მოთხოვნის ვადის დინების საკითხი საერთოდ არ გაითვალისწინოს.⁷²⁷ მიუხედავად ზემოაღნიშნული განმარტებისა, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს სახელშეკრულებო მოთხოვნები, ვინაიდან მას შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სხვა კატეგორიის მოთხოვნებზე.⁷²⁸

ბუნებრივია კონკურენციის საკითხი საჭიროებს შეფასებას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, რადგან ყველა საქმეს ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, თუმცა ამის მიუხედავად შეიძლება აღინიშნოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციისას. კონკურენციის საკითხი უნდა გადაწყდეს დაცული სამართლებრივი სიკეთის გათვალისწინებით. კერძოდ, როცა საკითხი შეეხება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას, კრედიტორი საჭიროებს გონივრულ ფარგლებში დაცვას. ეს დაცვა მიიღწევა ხანდაზმულობის ხანგრძლივი ვადის დაწესების გზით. სხვა შემთხვევაში, სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციისას უნდა იქნეს პრიორიტეტულად გამოყენებული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. სხვაგვარი გადაწყვეტისას აზრს დაკარგავს სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის სპეციალური ხანდაზმულობის ვადების არსებობა, რადგან კრედიტორი ყველა შემთხვევაში მოთხოვნას წარადგენს მოვალის მიმართ დელიქტური საფუძველით, რადგან ეს სამართლებრივად უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის. ამასთან, შეიძლება იმ შემთხვევების გათვალისწინება, როცა სახელშეკრულებო საფუძველის გამოყენება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მხარის უფლების არაგონივრულ შეზღუდვას გამოიწვევს. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია მხარეთა აშკარა ნებით შეზღუდულ იქნეს ცალკეულ მოთხოვნათა გამოყენება, რაც ასევე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური ხანდაზმულობის ვადა. მაგ., სსკ-ის 662-ე მუხლი ითვალისწინებს ასეთ ვადას მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების დარღვევისას. სწორედ ამიტომ თავდაპირველად უნდა შემოწმდეს მოგზაურობის ნაკლის გამო სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველიანობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ტურისტის სხეულის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა და სახელშეკრულებო მოთხოვნის წარდგენის გზით აღნიშნული ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია, უნდა იქნეს გამოყენებული დელიქტური საფუძველი.

⁷²⁷ *ჭანტურია ლ., ბოელინგი ჰ.,* სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003, 85.

⁷²⁸ *ჭენცხელი ს.,* სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009, 85.

3.1. კონკურენციის საკითხი ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით

ნარდობის ხელშეკრულების დროს კონკურენციის საკითხი განხილულ იქნება სამედიცინო მომსახურების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ მხარეთა შორის სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება ფასდება ნარდობის ხელშეკრულებად, რომლის დროსაც სამედიცინო დაწესებულება კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს შემკვეთს შეთანხმებული სამედიცინო მომსახურება, ხოლო შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო.⁷²⁹ აღნიშნული ძირითადად მიემართება „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №177 დადგენილებით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებს. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა.დ.ა“ ქვეპუნქტი ადგენს ქცევის წესს, რომლის მიხედვითაც, მზღვეველი უფლებამოსილია არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს სადაზღვევო შემთხვევა, თუ მიმწოდებელმა სადაზღვევო შემთხვევის ღირებულების უსაფუძვლოდ გაზრდის მიზნით განახორციელა ისეთი ქმედება, როგორცაა მიმწოდებლის მიერ შემთხვევისათვის მცდარი კოდის მინიჭება ან/და დიაგნოზის დამძიმება.⁷³⁰ შესაბამისად, შემკვეთისათვის არასწორი მკურნალობის ან დიაგნოზის დასმისას წარმოიშობა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობის საკითხი.

მსგავსი მოწესრიგება შეიძლება შეფასდეს მიზანშეწონილად, რადგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობა ეფუძნება მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას. შესაბამისად, გონივრულია ამ ურთიერთობისათვის განსაზღვრული სპეციალური ნორმების გამოყენება. თუმცა მოცემულობა არსებითად იცვლება არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების შედეგად პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას. უნდა მოხდეს თუ არა ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ნარდობის ხელშეკრულების სპეციალური ნორმების გამოყენება. ეს არის საკითხი, რომელიც საჭიროებს გადაწყვეტას.

ერთ შეხედვით, ვინაიდან მხარეთა შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, ხოლო არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება წარმოადგენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას, მის მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, თუმცა აღნიშნული საკითხი სასამართლო პრაქტიკით არ ექვემდებარება მსგავს გადაწყვეტას.

სსკ-ის 1007-ე მუხლი არეგულირებს სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს. მსგავსი მოწესრიგება არის ამ სამართლებრივი ურთიერთობისათვის სპეციალური, რაც განაპირობებს მის

⁷²⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის №ას-1213-1172-2016 განჩინება.

⁷³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №ას-188-177-2017 განჩინება.

გამოყენებას და დაზარალებულისათვის ხელსაყრელი რეგულაციის დადგენას. ამ შემთხვევაში საკითხი შეეხება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიც სარგებლობს უპირატესობით სხვა უფლებებთან მიმართებით. ამ გარემოების გათვალისწინებით ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეფუძნოს დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებს ურთიერთობის სახელშეკრულებო საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც,⁷³¹ რადროსაც არაზარალებულობის ფაქტის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას.⁷³²

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა უნდა იქნეს მიჩნეული მიზანშეწონილად თავად დაცვის ობიექტიდან გამომდინარე. ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში პირის ინტერესი უფრო მეტად საჭიროებს დაცვას, ვიდრე მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამასთან, დაზარალებულს არ უნდა წაერთვას შესაძლებლობა, მისი სურვილის შემთხვევაში მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ასევე სახელშეკრულებო მოთხოვნის წარდგენის გზით. შესაბამისად, არასწორი მკურნალობის შედეგად წარმოშობილი ზიანის დროს მხარეს უნდა მიენიჭოს მოთხოვნის შესაძლო საფუძვლებიდან ერთ-ერთი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების უფლებამოსილება.⁷³³

საკითხის ანალოგიურ გადაწყვეტას ითვალისწინებს გსკ. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მენარდის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანდება შემკვეთის ხელშეუხებლობა (ჯანმრთელობა, საკუთრება), შეუზღუდავად გამოიყენება დელიქტური პასუხისმგებლობის შესახებ ნორმები.⁷³⁴

ამასთან, მატერიალური ზიანი მოიცავს როგორც არსებულ, ისე სამომავლო მკურნალობის ხარჯებს.⁷³⁵ ერთ-ერთ საქმეზე სამომავლო მკურნალობის ხარჯების მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. კერძოდ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამომავლო მკურნალობის ხარჯების ცალკე სასარჩელო მოთხოვნად გამოყოფა. ამასთან, არსებული და სამომავლო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის ერთდროულად დაწყების საფუძვლად

⁷³¹ ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 105 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_zoidze.pdf> [19.03.2019].

⁷³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის №ას-247-237-2013 გადაწყვეტილება.

⁷³³ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“ №1 2009, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009, 58.

⁷³⁴ Oetker H., Maultzsch F., Vertragliche Schuldverhältnisse, 3. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2007, 496.

⁷³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის №ას-260-244-2014 განჩინება.

სასამართლომ მიუთითა, პაციენტის მიერ სამომავლოდ ჩასატარებელი მკურნალობის კურსის თაობაზე ინფორმაციას ფლობის შესაძლებლობაზე.⁷³⁶

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა არ უნდა შეფასდეს ყველა შემთხვევისთვის რელევანტურად. დასაშვებია სამომავლოდ მკურნალობის ხარჯების გაზრდა, რაც შესაძლოა გამოიწვიოს დამატებითი პრეპარატების დანიშვნის საჭიროებამ. ამასთან, შესაძლებელია სამომავლოდ თავად სამედიცინო მომსახურების საფასურის გაზრდა, რისი წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელია. შესაბამისად, ბლანკეტურად იმის მითითება, რომ დაზარალებულისათვის ყველა შემთხვევაში სავარაუდოა სამომავლო ხარჯები და მისი ოდენობა, არ არის მიზანშეწონილი. საკითხი უნდა გადაწყდეს ცალკეულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების შეფასების გზით. ამასთან, ზიანის შეტყობა უნდა დაუკავშირდეს არა მხოლოდ სავარაუდო ზიანის, არამედ ამ ზიანის ოდენობის მოცულობის განსაზღვრის შესაძლებლობასაც. თუ პირისთვის სამომავლოდ სავარაუდოა სამომავლო მკურნალობის საჭიროების ფაქტი, თუმცა მას არ შეუძლია მკურნალობის სავარაუდო მოცულობის განსაზღვრა, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი მოკლებული იქნება უფლების რეალურად განხორციელების შესაძლებლობას.

არასათანადო სამედიცინო მომსახურების შედეგად პირმა, გარდა მატერიალური ზიანისა, შეიძლება ასევე განიცადოს მორალური ზიანი. მორალური ზიანი ამ დროს გამოიხატება ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობაში, ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში.⁷³⁷ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლიც აძლევს პაციენტს უფლებას, მოითხოვოს მიყენებული მორალური ან მატერიალური ზიანის ანაზღაურება. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისას ხანდაზმულობის ვადებისა და მათი ათვლის წესის განსაზღვრა.

არსებული სასამართლო პრაქტიკა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენას, როგორც წესი, განიხილავს თანმხვედრად და ვადის დენას უკავშირებს ერთსა და იმავე დროის მონაკვეთს,⁷³⁸ თუმცა მსგავსი მიდგომა არ უნდა შეფასდეს გონივრულად იმ შემთხვევის მიმართ, როცა არასათანადო ქირურგიული ჩარევის შედეგად პაციენტი კარგავს ორგანოს. ეს ფაქტი კი მისთვის ცნობილი ხდება ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ პროფილაქტიკური გამოკვლევების შედეგად. ამ შემთხვევაში, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის მომენტი განსხვავებულია. მორალური ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადის დენა რეკომენდირებულია დაიწყოს იმ მომენტიდან, როცა პირმა გაიგო უფლების დარღვევის ფაქტის თაობაზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განხორციელდეს მორალური და მატერიალური ზიანის

⁷³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის №ას-247-237-2013 გადაწყვეტილება.

⁷³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის №ას-260-244-2014 განჩინება.

⁷³⁸ იხ. იქვე.

ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის ინდივიდუალური შეფასება, უფლების დაცვის რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით.

3.2. კონკურენციის საკითხი გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებასთან მიმართებით

გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადამზიდველის პასუხისმგებლობის საფუძვლის კვლევა განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მჭიდრო კავშირში. სსკ-ის 669-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს გადამზიდველის პასუხისმგებლობას მგზავრისთვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის, ხოლო 999-ე მუხლი - ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის, რაც გამოიხატა ადამიანის სიკვდილის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის მოშლის ან/და ნივთის დაზიანების ფორმით.

ვინაიდან გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადამზიდველის პასუხისმგებლობა შეიძლება, მათ შორის, გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციამ, საკითხი შეეხება კონკურირებად მოთხოვნებს. შესაბამისად, ყოველთვის უნდა შემოწმდეს გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ ნორმებთან ერთად შეიძლება თუ არა და რა მოცულობით სხვა ნორმების გამოყენება. აღნიშნული საკითხი რელევანტურია ხანდაზმულობის საკითხის სწორი შეფარდების კუთხით.

საკითხი აუცილებელია შეფასდეს დაცული სამართლებრივი სიკეთის განხილვით. სსკ-ის 669-ე მუხლის შესაბამისად, გადამზიდველს პასუხისმგებლობა ეკისრება მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, რომელიც შეიძლება გამოიხატოს, მათ შორის, ჯანმრთელობის დაზიანებაში. ისმის კითხვა, რამდენად გონივრულია ამ შემთხვევაში გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების გამოყენება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გადამზიდველის პასუხისმგებლობა მგზავრის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის ექვემდებარება არა სახელშეკრულებო, არამედ დელიქტურ პასუხისმგებლობას.⁷³⁹

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა შეესატყვისება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საფრანგეთის კანონმდებლობით დადგენილ მოწესრიგებას, რაც სრულიად გონივრულია დაცული სამართლებრივი სიკეთის (ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა) გათვალისწინებით. დაზარალებულის მიერ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა არჩევის თავისუფლების მინიჭებას

⁷³⁹ ზამბახიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 669, 318.

ემსახურება კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი სსკ-ის 999-ე მუხლის სახით.

მოთხოვნათა კონკურენციის საკითხი უფრო მეტი სიმწვავეით დგება იმ შემთხვევაში, როცა საკითხი შეეხება ტვირთის დაზიანებას. ლიტერატურაში გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, ერთი მხრივ, ტვირთის დაზიანების შემთხვევაში გადაზიდვის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების გამოყენების,⁷⁴⁰ ხოლო, მეორე მხრივ, ზოგადად, სატრანსპორტო ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის დელიქტური საფუძვლით ანაზღაურების თაობაზე.⁷⁴¹ რადგან ტვირთის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციამ, ბუნდოვანია ამ შემთხვევაში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის საკითხი.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ბრალეული ქმედებით გამოწვეული ნივთის დაზიანება წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას სსკ-ის ზოგადი ნორმების მნიშვნელობით. ზოგადი ნორმები გამოიყენება დამატებითი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, რაც ტვირთის დაზიანებას იწვევს.⁷⁴² თუ საკითხი ეხება სატრანსპორტო საშუალებიდან ტვირთის ჩამოტვირთვას, აღნიშნული სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას აღარ მიეკუთვნება გადაზიდვის ხელშეკრულებას და შესაბამისად, არ ექვემდებარება გადაზიდვის სპეციალური წესებს.⁷⁴³

ხაზგასასმელია, რომ იმ შემთხვევაში, როცა ქონება იკარგება ან ზიანდება, გადამზიდველი არღვევს არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებას, არამედ ასევე ირღვევა საკუთრების უფლებაც. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული მსგავს შემთხვევაში დელიქტური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება. აღნიშნულ მსჯელობას განამტკიცებს სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციის შედეგად ნივთის დაზიანების შემთხვევისათვის რელევანტურია სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის გამოყენება.⁷⁴⁴

დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს გადამზიდველის ქმედებაში ასევე თაღლითობის ნიშნების არსებობისას.⁷⁴⁵

⁷⁴⁰ ჩიკვაშვილი, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 999, 407.

⁷⁴¹ ზამბახიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, მუხლი 669, 319.

⁷⁴² Valder H., Salzmann A., Haftung und Versicherung, Schadenbearbeitung im Transportgewerbe, 2. Auflage, Verlag Heinrich Vogel, München 2003, 67.

⁷⁴³ BGH Urt. v. 10.01.2008 - I ZR 13/05.

⁷⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 ივლისის №ას-785-785-2018 განჩინება.

⁷⁴⁵ ქერაშვილი ს., კონოსამენტის წარდგენის გარეშე ტვირთის გადაცემისათვის გადამზიდველის პასუხისმგებლობის თავისებურებანი, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016, 259.

სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციის საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილია შემდეგი წესის გამოყენება: თავდაპირველად უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალური ხანდაზმულობის ვადები. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება პიროვნული ხელშეუხებლობის დარღვევას, უნდა იქნეს გამოყენებული დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმები.

3.3. კონკურენციის საკითხი ე.წ. „შემდგომი ზიანის“ (Spätschaden) შემთხვევაში

ხანდაზმულობის გამოყენება სამართლიანი და სრულიად გონივრულია იქ, სადაც კრედიტორს აქვს ცოდნა და მოთხოვნის განხორციელების საკმარისი შესაძლებლობა, თუმცა ამ შესაძლებლობის მიუხედავად, ის აჭიანურებს უფლების განხორციელებას. საკითხავია ხანდაზმულობის ვადის გამოყენების მიზანშეწონილობა იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორს არ აქვს მსგავსი შესაძლებლობა.

ეს უსამართლო მდგომარეობა განსაკუთრებით იკვეთება იმ დროს, როცა სპეციალური ხანდაზმულობის ვადის დაწყება უკავშირდება არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ ფაქტორს. ცალკეულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესაძლებელია ზიანი დადგეს არა ხელშეკრულების დასრულებისას, არამედ ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძველით შეუძლებელი გახდება კრედიტორის მიერ უფლების განხორციელება. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით განხილულ იქნება საერთაშორისო პრაქტიკა ე.წ. „შემდგომი ზიანის“ მაგალითზე.

„ე.წ.“ „შემდგომი ზიანი“ სახეზეა ზიანის არასტანდარტულად გვიან დადგომის შემთხვევაში. მაგალითის სახით შეიძლება დასახელდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ საქმე, რომელზეც სასამართლომ შეაფასა შვეიცარიის კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან. საქმე მდგომარეობდა შემდეგში:

შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები სამუშაოზე აზბესტთან კონტაქტით დაავადდნენ ფილტვების კიბოთი და შემთხვევების უმეტესობა ფატალურად დასრულდა. დაავადება ხშირ შემთხვევაში დადგა ამ მომწამლავ ნივთიერებასთან კონტაქტიდან 20, 30 წლის ან უფრო ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ. შვეიცარიის კანონმდებლობით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადის არსებობამ შეუძლებელი გახადა მოთხოვნის განხორციელება.

სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება განსაზღვრულ შეზღუდვებს შეიძლება დაექვემდებაროს, მათ შორის, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დადგენით, რომელიც უნდა იყოს სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი. თუმცა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ექვემდებარება თანაზომიერების პრინციპის მიხედვით შეფასებას. სასამართლომ დაასკვნა, რომ აბსოლუტური

ხანდაზმულობის ვადების გამოყენება პირთა მიმართ, რომელთა შემთხვევაშიც დაავადება ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ იქნა დადგენილი, არ არის კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისი. ამ სუბიექტებს გვიან დამდგარი დაავადების გამო არ შეუძლიათ მოთხოვნის განხორციელება ხანდაზმულობის ან საპრეტენზიო ვადის გასვლის გამო. არასტანდარტულად გვიან დამდგარი დაავადების შემთხვევაში სამართლებრივად უნდა შეფასდეს, შეეძლო თუ არა პირს ამ დაავადების თაობაზე ინფორმაციის მიღება უფრო ადრე. თუ ამ კითხვაზე პასუხი იქნება უარყოფითი, ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის შეფასებისას.⁷⁴⁶

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის უფლებას, მიმართოს სასამართლოს კერძო სამართლებრივი მოთხოვნებით. თუ დადგინდება, რომ სამოქალაქო მოთხოვნები კონკრეტული მართლწესრიგის მიერ როგორც განუხორციელებელი ისე ცხადდება, აღნიშნული წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.⁷⁴⁷

ხსენებული გადაწყვეტილების შესრულების მიზნით აუცილებელი გახდა შვეიცარიის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება. წინადადება, რომელიც იყო შეთავაზებული პარლამენტისთვის, გულისხმობდა ზიანის შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის 30 წლამდე გაზრდას. ამით შესაძლებელი გახდებოდა უკეთ ყოფილიყო უზრუნველყოფილი უფლების დაცვა, მაგ., არაორდინალური შემთხვევის დროს. თუმცა აღნიშნულ წინადადებას ჰყავდა მოწინააღმდეგეები. კერძოდ, ეკონომიკური სექტორი წინ აღუდგა სასარჩელო ხანდაზმულობის ამ ვადით გახანგრძლივებას სამართლებრივი სტაბილურობის საფუძვლის დასახელებით. ექიმები საუბრობდნენ სამედიცინო მომსახურების გაძვირებაზე მტკიცებულებების ხანგრძლივი შენახვის ვადისა და უფრო მაღალი დაზღვევის ხარჯების საფუძვლით. საბოლოოდ იქნა დადგენილი 20-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელსაც არ გამოუწვევია აზბესტით დაზარალებულების მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.⁷⁴⁸

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომი ზიანის რისკი საკმაოდ მაღალია, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიები და მასალები, რომლებიც თანამედროვე ინდუსტრიასა და ეკონომიკაში მრავალი სახით გამოიყენება, ბევრ რისკს ფარავს. აღსანიშნავია, რომ მობილური ტელეფონის გამოსხივებასთან დაკავშირებით არ არის აშკარა ის რისკები, რომლებიც შეიძლება მიაღწეს ადამიანის ჯანმრთელობას მისი ხანგრძლივი გამოყენების შედეგად.⁷⁴⁹ რისკის შემცველი პროდუქტების თაობაზე ინფორმაცია ბრუნვაში

⁷⁴⁶ ჰოვალდ მური და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Howald Moor and Others v. Switzerland) - განაცხადის ნომერი №52067/10; №41072/11 – 11 მარტი 2014.

⁷⁴⁷ Husmann D., Massimo A., Zeit heilt nicht alle Wunden – Zur verjährungsrechtlichen Problematik bei Personenschäden durch Asbest, Have/Reas, Heft 2, 2010, 132.

⁷⁴⁸ Forster C., Verjährungsfrist auf 20 Jahre verdoppelt <www.nzz.ch/schweiz/verjaehrungsfrist-auf-20-jahre-verdoppelt-ld.1389915> [19.03.2019].

⁷⁴⁹ Aliotta M., Husmann D., Die Verjährung von Ersatzforderungen aus Spätschäden – neue Entwicklung in Rechtsprechung und Gesetzgebung, Have/Reas, Heft 1, 2012, 90

მრავალი წლის მიმოქცევის შემდეგ შეიძლება გამჟღავნდეს. ბაზარზე უამრავი პროდუქტია: საღებავები, მზის კრემები, მედიკამენტები, კბილის პასტა, რომლებიც შეიცავს ნანოტექნოლოგიებს. საბოლოოდ, მომხმარებელი დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას. შესაბამისად, ზიანის შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულებისათვის მოქმედი განსაზღვრებები.⁷⁵⁰

მორალურ-ეთიკური მოსაზრებიდან გამომდინარე სრულიად გონივრულად უნდა შეფასდეს დაზარალებულისა და დამრღვევის ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის საკითხის დასმა. უნდა იმსახურებდეს თუ არა ზიანის გამომწვევი უფრო მეტ დაცვას, ვიდრე დაზარალებული, რომელმაც შეიძლება არაფერი იცოდეს დამდგარი ზიანის თაობაზე.

მსგავსი არაორდინალური შემთხვევებისთვის ხანდაზმულობის საერთო ვადის გახანგრძლივება არ უნდა შეფასდეს სამართლებრივი შედეგის მიღწევის ეფექტურ საშუალებად, რადგან დაავადების ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება ის იმდენად ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ დადგეს, რომ კანონმდებელს გაურთულდეს მისი განჭვრეტა. უფრო რაციონალურად უნდა დასახელდეს მსგავს შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის ისეთი რეგულაციის დაწესება, რომელიც უზრუნველყოფს მხარის ინტერესების დაცვას წინასწარ განუჭვრეტადი შემთხვევისგან. ვინაიდან საკითხი ეხება ადამიანის ჯანმრთელობის ან/და სიცოცხლისათვის მიყენებულ ზიანს, მიზანშეწონილია იმ ნორმების გამოყენება, რომლებიც უფრო მეტად უზრუნველყოფს დაზარალებულის ინტერესების დაცვას აშკარად უსამართლო შედეგებისგან. თუ მოთხოვნის წარდგენა ობიექტურად შეუძლებელი იქნება, უნდა იქნეს დასაშვები დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმების გამოყენება. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დაწყების დაკავშირება ზიანის ცოდნის მომენტთან სარგებლობს იმ უპირატესობით, რომ არ არის საჭირო სხეულის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობისთვის გახანგრძლივებული აბსოლუტური ხანდაზმულობის ვადების არსებობა. ყველა დაზარალებული ისარგებლებს სასამართლოსადმი მიმართვის თანაბარი შესაძლებლობით. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ცოდნის მიუხედავად კრედიტორი არ წარადგენს სარჩელს სასამართლოში, ხანდაზმულობის შესაგებელი იქნება გამართლებული, რადგან დაზარალებულმა თავისი უმოქმედობით ფაქტობრივად უარყო უფლების განხორციელება.

ხანდაზმულობის დაწყების სუბიექტურ ფაქტორთან დაკავშირების შემდეგ უპირატესობად სახელდება ის ფაქტი, რომ სხეულის დაზიანების შემთხვევაში ამ მომენტის განსაზღვრა უფრო მარტივია, ვიდრე ზიანის მომტანი ბოლო ქმედების.⁷⁵¹

შემდგომ ზიანთან დაკავშირებულ არანაკლებ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ე.წ. დიზელის სკანდალის საქმე (Diesel- oder Abgasskandal).

⁷⁵⁰ Husmann D., Massimo A., Der Gesetzgeber muss die Opfer von Spätschaden schätzen, Plädoyer, Heft 4, 2011, 42.

⁷⁵¹ Aliotta M., Husmann D., Die Regelung der Verjährungsproblematik von Schadenersatzforderungen für sogenannte Spätschäden, Have/Reas, Heft 1, 2014, 91.

საკითხი მდგომარეობს შემდეგში: ფოლკსვაგენის მარკის მანქანებზე, რომლებიც მოიხმარდნენ დიზელს, ინსტალირებულ იქნა მანიპულაციის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც იწვევდა გარემოს დაბინძურებას. აუცილებელი გახდა მსგავსი პროგრამის მქონე მანქანების ბრუნვიდან ამოღება. ვინაიდან საკითხი შეეხებოდა ნივთობრივ ნაკლს, გამოყენებულ იქნა გსკ-ით გათვალისწინებული ნორმები ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ, რომელთა შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა დაუკავშირდა ნივთის გადაცემის მომენტს.⁷⁵²

ამ შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი იყო იმის განსაზღვრა, იყო თუ არა სახეზე განზრახ ქმედება. იმ ფაქტს, რომ თავად ავტოსატრანსპორტო საშუალების გამყიდველმა, რომელმაც, თავის მხრივ, კომპანიისგან შეიძინა ნივთი, იცოდა ნაკლის თაობაზე, არ ამტკიცებდა არც მოსარჩელე. ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის ბრალი გამყიდველს, როგორც მის უფლებამონაცვლეს არ უნდა შეერაცხოს, რადგან ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა ვალდებულების შესრულებისას ამ უკანასკნელის აგენტს.⁷⁵³ ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ როცა ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებმა შეიტყვეს ნივთობრივი ნაკლის თაობაზე, უკვე გასული იყო ორი წელი და უფრო ხანგრძლივი ვადაც. სწორედ ამიტომ მყიდველთა უმეტესობა დარჩა დაცვის გარეშე.

ამ მოთხოვნათა მიმართ დელიქტური მოთხოვნის გამოყენების შემთხვევაში, მყიდველის უფლებები იქნებოდა გარანტირებული. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ, შეეძლო თუ არა მყიდველებს წარედგინათ სარჩელი სასამართლოში დელიქტური საფუძვლით? ბევრმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია დელიქტური საფუძვლის გამოყენება, რითაც უამრავ მომხმარებელს მისცა მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა, მიუხედავად სპეციალური ხანდაზმულობის ვადის გასვლისა.⁷⁵⁴

სრულიად მართებულია კონკურენციისას სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლის ფუნქციური გამიჯვნა⁷⁵⁵. საგნობრივი მსგავსება სასამართლოს გადაწყვეტილებით მდგომარეობს იმაში, რომ ნაკლიანი კონსტრუქცია თავიდანვე მთლიანობაში მიზნობრივად გამოუსადეგარი იყო. ნაკლი არ იყო კონცენტრირებული განსაზღვრულ ადგილზე, საიდანაც შეიძლებოდა ის გავრცელებულიყო. საკუთრების დელიქტურ-სამართლებრივი დაცვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინ, როცა ირღვევა მესაკუთრის ინტეგრალური ინტერესი.⁷⁵⁶

ამ შემთხვევაში სახეზე იყო მწარმოებლის განზრახვა. შესაბამისად, მცირე ხანდაზმულობის ვადები არ გამოდგებოდა მისი პასუხისმგებლობის

⁷⁵² Schäfer H., Fuhrmann B., Zivilrechtliche und rechtsökonomische Aspekte zum Dieselskandal der Volkswagen AG, Wirtschaftsdienst, Heft 4, 98. Jahrgang, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2018, 243.

⁷⁵³ LG Krefeld Urt. v. 01.03.2017- 7 O 130/16; OLG Hamm, Beschluss v. 05.01.2017 – 28 U 201/16.

⁷⁵⁴ Schäfer H., Fuhrmann B., Zivilrechtliche und rechtsökonomische Aspekte zum Dieselskandal der Volkswagen AG, Wirtschaftsdienst, Heft 4, 98 Jahrgang, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2018, 250.

⁷⁵⁵ Fuchs M., Deliktsrecht, 6. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2006, 21.

⁷⁵⁶ იბ. იგივე, გვ. 23.

შემამსუბუქებელ გარემოებად, ხოლო თუ მწარმოებლისგან გამყიდველი მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას, თავის მხრივ, მასთან დადებული ხელშეკრულების მხარეებსაც უნდა ესარგებლათ ანალოგიური შესაძლებლობით.

ამ შემთხვევაში ბუნებრივია დღის წესრიგში დგას დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნების კონკურენციის საკითხი. უდავოა, რომ მყიდველის მოთხოვნა გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებიდან. შესაბამისად, ის უნდა დაეფუძნოს ამ ხელშეკრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის უსამართლო შედეგები, რასაც იწვევს სახელშეკრულებო მოთხოვნის გამოყენება. პირს, რომელსაც ობიექტურად არ შეუძლია იცოდეს ნივთის ნაკლის შესახებ, ვერ მოითხოვს უფლების დაცვას. ერთი მხრივ, სახეზეა კრედიტორის ინტერესი მოთხოვნის განხორციელებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, - საჯარო ინტერესი სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე. ზემოთ განხილული ნაკლი შეიძლება დადგეს არა 5, არამედ უფრო ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ. უსამართლო შედეგის პრევენციისა და საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საკანონმდებლო მოწესრიგების გამოყენება, რომელიც სწორედ მსგავსი შემთხვევებისთვის იქნება ქმედითი. საკანონმდებლო წინადადება ზემოთ უკვე იქნა შემოთავაზებული. შემოთავაზებული წინადადება ასევე უზრუნველყოფს სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციის აქტუალურობის შესუსტებას, პირისათვის სახელშეკრულებო მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობას შენარჩუნების გზით. არსებული მოწესრიგების პირობებში კი შესაძლო უსამართლო შედეგის თავიდან ასაცილებლად დელიქტური მოთხოვნის გამოყენება, მიუხედავად მკაცრად სახელშეკრულებო სამართლებრივი ბუნებისა. გასათვალისწინებელია, რომ დრომ შეიძლება საზოგადოების ინტერესი შეცვალოს და მოთხოვნილ იქნეს, რომ ცალკეულ პირებს ხანგრძლივი დროის გასვლის მიუხედავად შეეძლოთ მოთხოვნის განხორციელება,⁷⁵⁷ მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადა ხელს უშლის გვიანი კონფლიქტის დარეგულირებას მტკიცებულებების გართულებული წარდგენის საფუძველით.⁷⁵⁸

3.4. კონკურენციის საკითხი ე.წ. შემდგომ წარმოშობილი ზიანის შემთხვევაში (Weiterfresserschaden)

სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციასთან მიმართებით საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს გერმანიის სამეცნიერო

⁷⁵⁷ Bergmann A., Der Verfall des Eigentums: Ersitzung und Verjährung der Vindikation am Beispiel von Raubkunst und Entarteter Kunst, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2015, 36.

⁷⁵⁸ Derleder P., Meyer T., Die Verjährung zivilrechtlicher Ansprüche – Schuldrechtsmodernisierung zwischen Verbraucherschutz und Turbokapitalismus, Kritische Justiz, Nr. 3, 35. Jahrgang, Nomos Verlagsgesellschaft Baden-Baden, 2002, 327.

ლიტერატურაში არსებული ე.წ. შემდგომ წარმოშობილი ზიანის (Weiterfresserschaden) ანალიზი.

როცა საუბარია ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციაზე, აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ზიანის სახეები, ვინაიდან ნივთის ნაკლიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნები, როგორც წესი, ექვემდებარება უფრო მცირე ხანდაზმულობის ვადას, ვიდრე კონკურირებადი დელიქტური მოთხოვნები.⁷⁵⁹ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ნაკლიდან გამომდინარე ზიანი და შემდგომ წარმოშობილი ზიანი (weiterfressender Mangel).

განსაკუთრებული კონკურირებადი მდგომარეობა არსებობს შემდგომ წარმოშობილი ზიანის შემთხვევაში. აღნიშნული სახეზეა მაშინ, როცა საფრთხის გადასვლის მომენტში არსებული ნაკლი გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ნივთის უნაკლო ნაწილზეც ვრცელდება⁷⁶⁰ და არ არის თავდაპირველი ზიანის იდენტური.⁷⁶¹ მსგავსი ზიანი არის უფრო კომპლექსური და ღირებულ საქონელზე გავრცელებული.⁷⁶²

დელიქტური სამართალი, როგორც უკვე აღინიშნა, არეგულირებს მხარის პასუხისმგებლობის საკითხს იმ ზიანისათვის, რომელიც დამოუკიდებელია სახელშეკრულებო ურთიერთობისგან.⁷⁶³ ნივთობრივი ნაკლი არ წარმოადგენს საკუთრების დარღვევას,⁷⁶⁴ არამედ ადასტურებს მხოლოდ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს.⁷⁶⁵

სასამართლო პრაქტიკა უშვებს სპეციალური ნორმებიდან გამონაკლისს და დელიქტური ნორმების გამოყენებას, როცა ნაკლი არსებობს ნივთის მხოლოდ გამიჯვნად ნაწილზე, რომელიც შემდგომ მთელი ნივთის დაზიანებას იწვევს. აღნიშნული საბუთდება იმ არგუმენტით, რომ შემდგომ წარმოშობილი ზიანის შემთხვევაში მყიდველი იძენს ნაწილობრივ უნაკლო საკუთრებას. ასე რომ ნასყიდობის საგნის ამ უნაკლო ნაწილთან მიმართებით ირღვევა დელიქტური სამართლით დაცული ინტეგრალური ინტერესი.⁷⁶⁶

შემდგომ წარმოშობილი ზიანის მიმართ გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძვლების თაობაზე არ არსებობს აზრთა ერთიანობა. ზოგი მიიჩნევს, რომ შემდგომი ზიანი ემსახურება მცირე ხანდაზმულობის ვადების გათანაბრებას. ამ შემთხვევებზე დელიქტური სამართლის გამოყენება შეიძლება შეფასდეს, როგორც მცირე ხანდაზმულობის ვადებისგან თავის დაღწევის საშუალება. ნაწილი საუბრობს ამ შემთხვევაში დელიქტური საფუძვლიდან გამომდინარე

⁷⁵⁹ Fuchs M., Deliktsrecht, 6. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2006, 18.

⁷⁶⁰ Tettinger P. W., Wer frißt wen? Weiterfresser vs. Nacherfüllung, JZ, Nr. 13, 61. Jahrgang, 2006, 641.

⁷⁶¹ Foerste U., Unklarheit im künftigen Schuldrecht: Verjährung von Kaufmängel-Ansprüchen in zwei, drei oder 30 Jahren?, Zeitschrift für Rechtspolitik, Heft 8, 34. Jahrgang, Verlag C.H. Beck, München, 2001, 342.

⁷⁶² იხ. იქვე.

⁷⁶³ Wüst A., Hemmer K., Skript Deliktsrecht I, 10. Auflage, Hemmer/Wüst Verlagsgesellschaft, Würzburg, 2008, Rn. 3.

⁷⁶⁴ Fuchs M., Deliktsrecht, 6. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2006, 21.

⁷⁶⁵ Beckmann in BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier - de Gruyter, Berlin, 2008, 610.

⁷⁶⁶ Arlt C., Zwickl M., Examensklausurenkurs (Jura-Sonderheft), 3. Auflage, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2008, 15.

ზიანის ანაზღაურების შესახებ, როცა ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა უკვე ხანდაზმულია,⁷⁶⁷ ნაწილი უშვებს დელიქტური საფუძვლით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამოყენებას, რადგან ნივთის გაგზავნა თავიდანვე ატარებს თვითდაზიანების ნაყოფს.⁷⁶⁸ სხვები დელიქტური მოთხოვნების გამოყენებას განიხილავენ პასუხისმგებლობის შეუსაბამო გაფართოებად, რა დროსაც გაუთვალისწინებელი რჩება ინტერესი, რომ საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ დაპირებული საპასუხო შესრულება იქნეს მიღებული.⁷⁶⁹

შემდგომ გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ნაკლიანი ნივთის გაგზავნა, ისევე როგორც ნაკლიანი ნაკეთობის დამზადება თავად არ ასახავს საკუთრების დარღვევას.⁷⁷⁰ საკუთრების დარღვევა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როცა ის ეხება კრედიტორის არა მხოლოდ ეკვივალენტურობის ინტერესს, რომლის მიმართაც დადგენილია სპეციალური მოწესრიგება, არამედ ასევე ინტეგრალურ ინტერესს. ინტეგრალური ინტერესი შეიძლება იქნეს მიჩნეული დარღვეულად, როცა ნაკლის გავრცელების გამო მთლიანი ნივთი ზიანდება.⁷⁷¹ ამგვარი ინტერესი ემსახურება საკუთრების უფლების ან მფლობელობის ფაქტის დარღვევის პრევენციას.⁷⁷²

ნივთის თავდაპირველი ნაკლი არღვევს მყიდველის მოხმარებისა და გამოყენების მოლოდინებს და ამით მის ეკვივალენტურობის ინტერესს, რომელიც მხოლოდ სახელშეკრულებო მეორადი მოთხოვნებით შეიძლება იქნეს დაცული. დელიქტური სამართალი, ამის საპირისპიროდ, იცავს მხოლოდ მყიდველის ინტეგრალურ ინტერესს მისთვის გადაცემული სამართლებრივი სიკეთის მთლიანობაზე და მხოლოდ მაშინაა დარღვეული, როცა შემდგომ გამოწვეული ზიანი განსხვავდება თავდაპირველად არსებული ნაკლის ღირებულებისაგან და არ არის საგნობრივად ეკვივალენტურობის ინტერესის მსგავსი.⁷⁷³

ამასთან, საკუთრების დარღვევა თავდაპირველი ნაკლის ღირებულებასა და შემდგომ დამდგარ ზიანს შორის მაშინ არ არსებობს, როცა ნაკლის აღმოფხვრა შეუძლებელია ან მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. თუ არის თავდაპირველი ნაკლის ღირებულება იმდენად ყოვლისმომცველი, რომ გადაცემული ნივთი თავიდან ბოლომდე გამოუსადეგარია, ნაკლის სხვა ნაწილზე გავრცელება არ ასახავს საკუთრების დარღვევის ფაქტს.⁷⁷⁴

⁷⁶⁷ Greiner S., Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011, 205.

⁷⁶⁸ Oetker H., Maultzsch F., Vertragliche Schuldverhältnisse, 5. Auflage, Springer Verlag., Berlin, 2018, Rn. 346

⁷⁶⁹ Gsell B., Substanzverletzung und Herstellung: Deliktsrechtlicher Eigentumsschutz für Material und Produkt, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2003, 337.

⁷⁷⁰ Fuchs M., Pauker W., Baumgärtner A., Delikts- und Schadensersatzrecht, 9. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2017, 22.

⁷⁷¹ Arlt G., Zwickel M., Examensklausurenkurs (Jura-Sonderheft), 3. Auflage, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2008, 14.

⁷⁷² Gsell B., Substanzverletzung und Herstellung: Deliktsrechtlicher Eigentumsschutz für Material und Produkt, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2003, 336.

⁷⁷³ Skamel F., Nacherfüllung beim Sachkauf: Zum Inhalt von Nachbesserung und Ersatzlieferung sowie deren Abgrenzung vom Schadensersatz, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2008, 94-95.

⁷⁷⁴ იხ. იქვე.

უნდა იქნეს გაზიარებული გამოთქმული მოსაზრება, რომ დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნების კონკურენციისას გადაწყვეტია ეკვივალენტურობის და ინტეგრალური ინტერესის იდენტიფიცირება. ხელყოფილ ინტერესთა დადგენა იძლევა შესაძლებლობას, განისაზღვროს ამ ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ეკვივალენტურობისა და ინტეგრალური ინტერესების ერთმანეთისაგან გასამიჯნად მკაფიო მაგალითების დასახელება.

ეკვივალენტურობისა და ინტეგრალური ინტერესების საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი შემთხვევის მოყვანა. ჭერისათვის გამოყენებული ბეტონის არასაკმარისი სიმტკიცის გამო ჭერის გამოცვლის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის განხილვისას სასამართლომ უარყო ნაკლიანი ნივთის დამზადების საფუძვლით საკუთრების დარღვევის ფაქტი.⁷⁷⁵

სასამართლოს მსგავსი მიდგომა უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან საკითხი ეხება მენარდის მიერ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას, რაც გამოიხატა უხარისხო ნაკეთობის დამზადებაში. ამ შემთხვევის ინტეგრალური ინტერესის დარღვევად კვალიფიკაციისას, ყველა სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებითაც იმავე წარმატებით იქნებოდა შესაძლებელი დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმების გამოყენება, რაც აზრს დაუკარგავდა სახელშეკრულებო ნორმების არსებობას. აქ უდავოდ სახეზეა ნივთობრივი ნაკლი, რაც გამომდინარეობს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევიდან.

აზრთა ერთიანობა არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ნასყიდობის საგნის თავდაპირველი ნაკლი როგორც ასეთი არ წარმოადგენს საკუთრების დარღვევას.⁷⁷⁶ გაბატონებული მოსაზრება ემხრობა შემდგომ წარმოშობილი ზიანის შემთხვევაში მხოლოდ ნასყიდობის სპეციალური ნორმების გამოყენებას.⁷⁷⁷

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა დამატებითი შემთხვევის განხილვა, რომელიც აშკარად მიუთითებს ვალდებულების დარღვევის შედეგად ინტეგრალური ინტერესის ხელყოფაზე. კერძოდ, საკითხი შეეხება მოპასუხე ორგანიზაციის მიერ მოსარჩელისათვის მაღალი ძაბვის ელექტროენერჯის მიწოდებას, რამაც გამოიწვია ხანძარი და უძრავი ნივთის მნიშვნელოვნად დაზიანება. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ მხარეთა შორის მოქმედებს სახელშეკრულებო ვალდებულება, რომლის არაჯეროვან შესრულებასაც მოჰყვება უმნიშვნელოვანესი ზიანი, პირის საკუთრების ხელყოფა. ამ შემთხვევაში სასამართლომ სრულიად კანონიერად გამოიყენა დელიქტური სამართალი, მიიჩნია მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო

⁷⁷⁵ *Fuchs M.*, *Deliktsrecht*, 6. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2006, 21.

⁷⁷⁶ *Oetker H., Maultzsch F.*, *Vertragliche Schuldverhältnisse*, 5. Auflage, Springer Verlag Berlin Heidelberg, 2018, Rn. 345.

⁷⁷⁷ OLG Schweswig-Holstein, Urt. v. 24.4.2012 – 11 U 123/11.

ვალდებულება დარღვეულად, რაც გამოიხატა უხარისხო ელექტროენერჯის მიწოდებაში.⁷⁷⁸

შემდგომ წარმოშობილ ზიანთან მიმართებით დელიქტური თუ სახელშეკრულებო მოთხოვნის გამოყენების საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი. ზოგადად, დელიქტურ და სახელშეკრულებო მოთხოვნებს შორის კონკურენციისას მაქსიმალურად უნდა იქნეს მინიმალიზებული ზოგადი ნორმების გამოყენება. საკმაოდ დიდ სირთულეს უკავშირდება ცალკეულ შემთხვევაში ნივთის ნაკლისგან საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტის იდენტიფიცირება. სწორედ ამიტომ კონკურენციის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზად შეიძლება შეფასდეს გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, გამყიდველის ვალდებულება დელიქტური საფუძვლით ზიანის ანაზღაურების თაობაზე მხოლოდ მაშინ იქნეს აღიარებული, როცა ხელშეკრულების საგანი აზიანებს დამოუკიდებლად გამოსაყენებელ ნივთს. დელიქტური პასუხისმგებლობის მიზანს წარმოადგენს არა ნასყიდობის საგნის უნაკლოობა, არამედ მხოლოდ ნაკლიანი ნივთით გამოწვეული შემდგომი ზიანის აღმოფხვრა ან კომპენსირება.

⁷⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 7 ივნისის №ას-665-626-2012 განჩინება - აღწერილობითი ნაწილი.

V. დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი თეზისები და წინადადებები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნითი წინადადებების სახით:

1. ხანდაზმულობის ვადის სამართლებრივი ბუნების თაობაზე არ არსებობს აზრთა ერთიანობა, თუმცა სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი უნდა მივიჩნიოთ მატერიალური სამართლის კუთვნილებად კანონმდებლობაში მისი ადგილისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

ის ფაქტი, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლა არ იწვევს მატერიალური მოთხოვნის შეწყვეტას, შეიძლება ჩაითვალოს ხანდაზმულობის მატერიალური სამართლის კუთვნილების დადასტურების ერთ-ერთ წინაპირობად.

ამასთან, ხანდაზმულობის ინსტიტუტი რეგულირდება მატერიალური კანონმდებლობით. ამ ინსტიტუტის სამოქალაქო კოდექსში ინკორპორირება შეიძლება წინასწარ შეფასდეს კანონმდებლის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის მატერიალური სამართლის კუთვნილებად მიჩნევის დადასტურებად. ამასთან, საკითხი შეეხება არა ცალკეული ვადების მოწესრიგებას, არამედ, ზოგადად, ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგლამენტაციას. კანონმდებლის ნების გამოხატულებად, ესა თუ ის ინსტიტუტი მიაკუთვნოს მატერიალურ თუ საპროცესო სამართალს, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ამ ინსტიტუტის ადგილი სამართლებრივ სისტემაში.

ზოგადად, ხანდაზმულობის სამართლებრივი ბუნების ანალიზისას მნიშვნელოვანია, არ დაირღვეს მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსი. ნებისმიერ შემთხვევაში მიზანშეწონილია, სამართლებრივი ბუნება განისაზღვროს მხარეთა ინტერესების თანაბარმნიშვნელობისა და სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნების შესაბამისად.

2. სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი ძირითადი ასპექტები: სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტის გამართლებისათვის, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს იწვევს და ფაქტობრივად, ძალადაკარგულად აცხადებს მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებას, არ კმარა მხოლოდ კერძო ინტერესის დაცვის მიზანი. ინსტიტუტის დადგენა უნდა ემსახურებოდეს უფრო არსებითი ინტერესის დაცვას, მაგ., როგორცაა სამართლებრივი ბრუნვის სტაბილურობის მიზანი/საჯარო ინტერესი.

ამასთან, სასარჩელო ხანდაზმულობის გამოყენებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული კრედიტორის შესაძლებლობა, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. ასეთი შესაძლებლობის არარსებობისას სასარჩელო ხანდაზმულობის საფუძვლით მოთხოვნის განუხორციელებლობა შეუსაბამო იქნება როგორც კრედიტორის ინტერესთან, ისე სამოქალაქო ბრუნვაში არსებულ სამართლიანობის პრინციპთან და არ შეიძლება იქნეს გამართლებული არც მოვალის ინტერესების დაცვის საჭიროებით.

3. ხანდაზმულობის ვადის გონივრულობის შეფასებისას არსებითია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად უზრუნველყოფს ასეთი ვადა მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევას საჯარო ინტერესის უპირატესი გათვალისწინებით. პირველ რიგში ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა უნდა იყოს აშკარა და ერთმნიშვნელოვნად დამტკიცებული. ამასთან, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა უნდა შეფასდეს ხანდაზმულობის ვადის ათვლის, შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლების გათვალისწინებით. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების დადგენისას კანონპროექტის განმარტებით ბარათში მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი კანონმდებლის ნება, მათ შორის, ასეთი ვადების საჯარო ინტერესთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ვადების გონივრულობის ანალიზისას მხარეთა ორმხრივი ინტერესი და სასარჩელო ხანდაზმულობის საჯარო მიზნები უნდა იქნეს მიჩნეული შეფასების მასშტაბად. კანონმდებლობით დადგენილი ვადა, რომელიც შეუსაბამოდ მცირე ან გაუმართლებლად ხანგრძლივია, შეიძლება შეფასდეს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვის გაუთვალისწინებლობის საფუძვლით.

4. მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფოს კერძო პირებთან მიმართებით არ ჰქონდეს ხანდაზმულობის ვადის გამოყენებით თავდაცვის შესაძლებლობა შემდეგ გარემოებათა გამო: ეს უკანასკნელი თავად წარმოადგენს პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტორს. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს სამართლებრივი ურთიერთობის ძლიერი მონაწილის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკი. ამასთან, სახელმწიფოს მიერ ხანდაზმულობაზე მითითების სამოქალაქო უფლების რეალიზაციის აბსოლუტური აკრძალვა არ უნდა იყოს ყველა შემთხვევაში დასაშვები, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხანდაზმულობაზე მითითების სამოქალაქო უფლების რეალიზაცია შეუსაბამოა სახელმწიფოს არსთან და ეწინააღმდეგება მისი, როგორც კონსტიტუციური გარანტიის არსს.

5. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლას ძალიან ხშირად არამართებულად უკავშირებენ უფლების დაკარგვას, რაც წარმოადგენს საკითხის მცდარ შეფასებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები განსხვავდება სხვა ტიპის, მათ შორის, საპრეტენზიო ვადებისგან. არსებითი განსხვავება მდგომარეობს სწორედ სამართლებრივ შედეგებსა და სასამართლოს მიერ ასეთი ვადების საკუთარი ინიციატივით თუ მხარის მითითებით გათვალისწინების საკითხში. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა უკავშირდება მოთხოვნის განუხორციელებლად ქცევას, ხოლო საპრეტენზიო ვადის გასვლა, ამის საპირისპიროდ, უფლების დაკარგვას.

მიუხედავად საპრეტენზიო და ხანდაზმულობის ვადებს შორის არსებითი განსხვავებებისა, ბუნდოვანი რჩება საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა საპრეტენზიო ვადების მიმართ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლების ანალოგიით გამოყენება. საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სსკ ადგენს ცალკეული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის სწორედ საპრეტენზიო ვადებს.

გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული საპრეტენზიო ვადის შეჩერების მექანიზმის არსებობა, თავად საპრეტენზიო ვადის დადგენის მნიშვნელობიდან გამომდინარე. მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს კრედიტორის ინტერესების უკეთ დაცვას იმ შემთხვევაში, როცა ეს უკანასკნელი ბრალის გარეშე მოკლებულია პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობას. მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს სსკ-ის 663-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც თუმცა ითვალისწინებს ბრალის გარეშე მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცემისას მისი აღდგენის შესაძლებლობას, თუმცა შესაძლოა ასევე შეფასდეს საპრეტენზიო ვადის შეჩერების მიზნების მიღწევის ეფექტურ საშუალებად. მიზანშეწონილია, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სსკ-ის 573-ე და 698-ე მუხლებში და საპრეტენზიო ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორისათვის მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობის მინიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი არ მიუძღვის მოთხოვნის წარდგენის ვადის გადაცილებაში.

რაც შეეხება საპრეტენზიო ვადის შეწყვეტის მექანიზმს, აღნიშნულის დაშვებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოვალის ინტერესების მაღალი ინტენსივობით შეზღუდვა. ხსენებული შეზღუდვა ვერ იქნება გამართლებული კრედიტორის ინტერესების დაცვის აუცილებლობით, ისევე როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მიზნის მიღწევით. კრედიტორის ინტერესის დაცვის მიზანი მიიღწევა ალტერნატიული, ნაკლებად მზღუდავი შეჩერების მექანიზმის არსებობის პირობებშიც.

6. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეცვლის წესიდან გამონაკლისს კანონმდებლობა არ ადგენს არცერთი სახის ხელშეკრულების მიმართ. მსგავსი აკრძალვა, ერთი მხრივ, ემსახურება ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვას, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ იმავე ინტერესის მიღწევა შესაძლებელია სხვა, უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალებით, მიზანშეუწონლად უნდა იქნეს მიჩნეული აბსოლუტური აკრძალვის არსებობა. ასეთი აკრძალვა დასაშვებად უნდა დასახელდეს იქ, სადაც სხვაგვარად შეუძლებელია საჯარო ინტერესის დაცვა.

მხარეთა შორის სამართლიანობა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო სტანდარტულ პირობათა ბათილობის გზით, თუ ასეთი პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისთვის.

იმ პირობებში, როცა არსებობს კეთილსინდისიერების პრინციპთან შესაბამისობის კუთხით ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კონტროლის შესაძლებლობა, არ არის საკმარისად დასაბუთებული ხანდაზმულობის შეცვლის ამკრძალავი ნორმის არსებობა. ამასთან, შესაძლებელია ისეთი მოწესრიგების დადგენა, რომელიც გამორიცხავს მხარის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების ან განზრახვის შემთხვევაში უპირატესობით სარგებლობის რისკს. იმ ფონზე, როცა კანონმდებლობით დაშვებულია მხარეთა შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წინასწარ უარის თქმა, არაგონივრულია ხანდაზმულობის ვადის შემცირების თაობაზე ბლანკეტური, ამკრძალავი ნორმის არსებობა, რომელიც არ ტოვებს მცირე

ფარგლებსაც კი მხარეთა შეთანხმებისათვის. კანონმდებლის მიდგომა არ არის ერთგვაროვანი. ერთი მხრივ, ის ცდილობს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის რეალიზაციისათვის კონკრეტული შეზღუდვის მოხსნას, ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობის თაობაზე ბლანკეტურ ნორმას. არ არის აშკარა მსგავსი რეგულაციის დადგენის საჭიროება. შესაძლებელია საკითხის იმგვარი მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საჯარო ინტერესის, ისე ხელშეკრულების სუსტი მხარის ინტერესის დაბალანსებას.

სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებისა და კერძო ავტონომიის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია სსკ-ის 146-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაშვება მხოლოდ გარკვეული შეზღუდვების არსებობის პირობებში. კერძოდ, შეზღუდვის ჩამონათვალს უნდა მიეკუთვნოს სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევა. მხარეთა შეთანხმება, ხსენებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეცვლის თაობაზე, შეუსაბამოა საჯარო წესრიგის, ზნეობის და კეთილსინდისიერების პრინციპებთან. სახელშეკრულებო თავისუფლების დოქტრინა კი ექვემდებარება შეზღუდვას სწორედ დასახელებული პრინციპების ფარგლებში. ამასთან, დაცული სამართლებრივი ღირებულების გათვალისწინებით, უნდა გამოირიცხოს რაიმე ტიპის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ღონისძიებების გამოყენება, მათ შორის, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობის შემთხვევად უნდა დასახელდეს ასევე ურთიერთობის მონაწილეთა განზრახ ქმედება. ბრუნვის არაკეთილსინდისიერი მონაწილე, რომელიც ცდილობს განზრახი ქმედებით თავიდან აიცილოს მის მიმართ მოთხოვნის განხორციელება, არ შეიძლება პრივილეგირებულ იქნეს მცირე ხანდაზმულობის ვადით. ეს შეუსაბამოა საჯარო ინტერესის დაცვის მოთხოვნასთან.

7. სსკ-ით გათვალისწინებულია განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები. არ არის აშკარა, თუ რა მიმართება არსებობს ხანდაზმულობის საერთო 10-წლიან ვადასა და ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს შორის. კერძოდ, ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა წარმოადგენს დამოუკიდებელ ვადას თუ გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს, მათ შორის, სპეციალური ვადის გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით ხანდაზმულობის ვადის ათვლა შეიძლება დაეფუძნოს სუბიექტურ მომენტს, კერძოდ, სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, მომენტს, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე. ხანდაზმულობის ვადის დაწყების სუბიექტურ ფაქტორთან დაკავშირებამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი ურთიერთობის ბუნდოვანება და ვადის დაწყების არაგონივრული გადაადება. შესაძლებელია მაგ., პირმა ნასყიდობის საგნის ნაკლის თაობაზე, როცა საკითხი შეეხება დაფარულ ნაკლს, შეიტყოს ხელშეკრულების დადებიდან 10, 20 წლის ან უფრო ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ, სსკ ამ შემთხვევაში მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს ანიჭებს მოთხოვნის განხორციელების

შესაძლებლობას, რაც შეუსაბამოა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დადგენის მიზნებთან. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში შესაძლებელია ცალკეული მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა განხორციელდეს ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ, რა დროსაც სამართლებრივ სტაბილურობაზე მოვალის ინტერესი, ისევე როგორც საქმის სრულყოფილი გამოკვლევის ინტერესი იქნება უგულვებელყოფილი. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია სსკ-ში არსებული ხანდაზმულობის ვადების ობიექტური მაქსიმალური ვადით შეზღუდვა.

ობიექტური მაქსიმალური ვადები უნდა შეფასდეს მოთხოვნის განუსაზღვრელი ვადით მერყევად დატოვების პრევენციად, რადგან ზოგად ხანდაზმულობის ვადებთან ერთად მოქმედებს ობიექტურ ფაქტორებზე დაფუძნებული ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადა, რომლის დაწყებაც, ზოგადი ხანდაზმულობის ვადებისაგან განსხვავებით, დაკავშირებულია არა კრედიტორის ცოდნის მომენტზე, არამედ ობიექტურ ფაქტორზე. ამასთან, მხარეთა შორის გონივრული ბალანსის დაცვისა და სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნების რეალიზაციის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად შეიძლება დასახელდეს მაქსიმალური ობიექტური ვადების მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნების მიმართ დაწესება, ხოლო ისეთი ღირებული სამართლებრივი სიკეთეები, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება, არ დაექვემდებაროს საერთო ხანდაზმულობის ვადას.

მიზანშეწონილია, სსკ-ის 129-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც სახელშეკრულებო მოთხოვნები ხანდაზმული იქნება საერთო - 10-წლიან ვადაში, მიუხედავად მოთხოვნის წარმოშობის დროისა.

8. საერთო მაქსიმალური ვადის დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს კრედიტორის ინტერესების არსებითი ხელყოფა. მხარეთა შორის შეიძლება დამყარდეს გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა. ვალდებულების დარღვევის ფაქტი შეიძლება დადგეს საერთო 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. შემოთავაზებული მოწესრიგების პირობებში საჯარო ინტერესით მოტივირებული მოწერილება უდავოდ გამოიწვევს უსამართლო სამოქალაქო ბრუნვას და მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დარღვევას. არაორდინალურ შემთხვევებში ამგვარი უსამართლო შედეგის თავიდან აცილების, ისევე როგორც შეპირისპირებულ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით რეკომენდირებულია დადგინდეს ხანდაზმულობის ვადის აღდგენის საკანონმდებლო მოწესრიგება.

სსსკ-ის 215-ე მუხლი ითვალისწინებს საპატიო მიზეზით შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობისას საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობას, ისევე როგორც საპატიო მიზეზთა ჩამონათვალს. მიზანშეწონილია ანალოგიური მოწესრიგების დადგენა სსკ-ში, რომელიც რეალურად გაითვალისწინებს ვადის აღდგენის მექანიზმს. მიზანშეწონილია სსკ-ის 144-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც მუხლს დაემატება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენის ზოგადი წესი იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი საპატიო მიზეზით მოკლებული იყო უფლების განხორციელების შესაძლებლობას. საგულისხმოა,

რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენის შემოდებით არ დაირღვევა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესი, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენა განხორციელდება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში და მკაცრად შეფასდება საპატიო მიზეზის არსებობის პერიოდი. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება საკითხის სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად გადაწყვეტა და კრედიტორის ინტერესების დაცვა დაუშვებელი ხელყოფისაგან. ამასთან, საპატიო მიზეზის დადგენისას სასამართლომ შესაძლებელია იხელმძღვანელოს უკვე დასახელებული სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით

9. სსკ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენას უკავშირებს მხოლოდ უფლების დარღვევის ფაქტის და არა მოვალის პიროვნების ცოდნის მომენტს, რამაც პრაქტიკაში შეიძლება წარმოშვას პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა, როგორც წესი, იციან ერთმანეთის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ზეპირი ფორმით ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით ხელშეკრულების დადებისას პირმა შეიძლება არ იცოდეს კონტრაქტის ფაქტობრივი მისამართი, რაც დააბრკოლებს სარჩელის სასამართლოში წარდგენას, რადგან კრედიტორი მოკლებულია სხვისი პერსონალური მონაცემების მოძიების შესაძლებლობას, რადგან ამგვარი მონაცემების დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი უქვემდებარებს მკაცრ შეზღუდვებს. ამასთან, მისამართის მიუთითებლობა წარმოადგენს სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

კრედიტორის ქმედება, რომელიც არ ფლობს ინფორმაციას კონტრაქტის პერსონალური მონაცემების თაობაზე, შეიძლება შეფასდეს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი გულისხმიერების ვალდებულის დარღვევად, ვინაიდან მან არ გამოიჩინა საკმარისი წინდახედულება, მაგრამ ეს არ შეიძლება იწვევდეს მოვალის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იმ შემთხვევაში, როცა ის მოქმედებს ბოროტი განზრახვით და განზრახ შეცდომაზე შეყვანის მიზნით არასწორ მონაცემებს უთითებს. ამ დროს ეს უკანასკნელი არ არის დაცვის ღირსი. კრედიტორმა მსგავს შემთხვევაში უნდა შეძლოს მოთხოვნის წარდგენა.

გარდა ამისა, სირთულეებს უკავშირდება კრედიტორის მიერ უფლების დარღვევის მომენტის მტკიცების ტვირთი. მტკიცების ტვირთის შემსუბუქების მიზნით რეკომენდირებულია სსკ-ის 130-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის დენა პირობადადებული იქნება იმ კალენდარული წლის დასრულების მომენტით, როცა მოთხოვნა წარმოიშვა. ამასთან, მოთხოვნის წარმოშობა დაუკავშირდება უფლების დარღვევის ცოდნის ან უხეში გაუფრთხილებლობით უცოდინრობის მომენტს, ხოლო კრედიტორის ბრალის არარსებობისა და დამატებით მოვალის პიროვნების შესახებ ინფორმაციის ცოდნის მომენტს.

მსგავსმა რეგულაციამ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს ხანდაზმულობის ვადის უფრო გახანგრძლივება, მაგრამ გამართლებული იქნება სამოქალაქო ბრუნვის სიმარტივის ინტერესით.

10. ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის მიმართ კანონმდებლობით არ არის დადგენილი სპეციალური სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. შესაბამისად, მის მიმართ ვრცელდება ზოგადი 3-წლიანი ვადა. აღნიშნული ვადა პრობლემურია შემდეგ გარემოებათა გამო: ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი შეიძლება მოჰყვეს მოვალის როგორც ბრალეულ, ისე არაბრალეულ მოქმედებას. მაგ., შეიძლება განხილულ იქნეს სესხის ხელშეკრულება, რომელიც მხარის მიერ დაირღვა არაბრალეულად, სამსახურიდან მოულოდნელი გათავისუფლების გამო. ამ შემთხვევაში კრედიტორისათვის 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწესება ზრდის მის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკს, რაც გამოიხატება ვადის გასვლის უკანასკნელ დღეს სასამართლოსადმი მიმართვასა და მთელი განვლილი პერიოდისათვის პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნაში. ამ შემთხვევაში კრედიტორი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ნათელია ვალდებულების დარღვევისა და მოვალის მიერ მისი შესრულების შეუძლებლობის ფაქტი, მაინც არ წარადგენს სარჩელს სასამართლოში, რათა გაიზარდოს მისი მოთხოვნა მოვალის მიმართ.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი განამტკიცებს უფლების კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს, რომელიც თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დაკავშირებულია მორალურ სტანდარტთან. შესაძლოა კრედიტორის მსგავსი ქმედება შეფასდეს კეთილსინდისიერების პრინციპის უგულვებელყოფის შემთხვევად, თუმცა ამგვარი დასკვნის განხორციელება უნდა იყოს თავსებადი ხანდაზმულობის ინსტიტუტთან.

კანონმდებლობით თითოეული მოთხოვნისათვის დადგენილია მოთხოვნის განხორციელების ვადები. სწორედ ხსენებული ვადის გასვლა იწვევს მოთხოვნის განუხორციელებლად ქცევას. შესაბამისად, კანონმდებელი კრედიტორის მოთხოვნის განხორციელების ვადას აქცევს განსაზღვრულ ჩარჩოებში. შესაბამისად, მოთხოვნის განხორციელების მიმართ დამატებითი შეზღუდვების დაწესება შეუსაბამო იქნება თავად ხანდაზმულობის არსთან. აქედან გამომდინარე, მოვალეს არ შეუძლია სადავოდ გახადოს აღნიშნული ფაქტი უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის საფუძვლით, რადგან კრედიტორი მოქმედებს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის მიმართ დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა შეიძლება პრობლემური იყოს ასევე თავად კრედიტორისთვის. კერძოდ, შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის ვადის გასვლამდე შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგოს. მსგავს შემთხვევაში დასაშვებად უნდა ჩაითვალოს მოთხოვნის ტრანსფორმაცია. კერძოდ, შესრულების მოთხოვნის ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენა, თუმცა აქ მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს შესრულების მოთხოვნის მიზანზე. ამ მოთხოვნის მიზანია არა რაიმე ფორმით კრედიტორის დაკმაყოფილება, არამედ ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულების შესრულების სტიმულირება.

შესრულების მოთხოვნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვინაიდან სხვაგვარად ვერ მიიღწევა კრედიტორისა და მოვალის ინტერესების დაბალანსების, ისევე როგორც უსამართლო შედეგების პრევენციის მიზანი, რეკომენდირებულია სსკ-ის 129-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა შემცირდება 1 წლამდე.

11. კანონმდებლობით არ არის აშკარად განსაზღვრული შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას. სსკ-ის 365-ე მუხლი იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის, მათ შორის, იმგვარი განმარტების შესაძლებლობასაც, რომ შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ცალმხრივად დაუკავშირდეს მხოლოდ კრედიტორის მიერ მოვალისათვის მოთხოვნის წარდგენის ვადას. მსგავსი განმარტება არის ხანდაზმულობის მიზნებთან შეუსაბამო, რადგან იძლევა განუსაზღვრელი ვადით მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობას.

ვინაიდან სსკ-ის 365-ე მუხლი იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთან, კანონმდებლობაში ხშირია მითითებები ვადების გონივრულობის თაობაზე, ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია 365-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და კრედიტორის მიერ შესრულების მოთხოვნის გონივრულ ვადაში წარდგენის საკანონმდებლო რეგლამენტაცია. ამასთან, არსებული მოწესრიგების პირობებშიც შესაძლებელია სსკ-ის 365-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ კრედიტორის ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას დაექვემდებაროს გონივრულ ვადაში მოთხოვნის წარდგენის თვალსაზრისით კონტროლს.

12. პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებით მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხის განხილვა: პირველ რიგში უნდა შეფასდეს, მოვალის მიერ ანგარიშზე შეტანილი თანხის გამსესხებლის მიერ ჩამოჭრის საკითხი.

გამსესხებლის მიერ ანგარიშზე ჩარიცხული თანხის თვითნებური მიქცევა ძველი დავალიანების დასაფარავად იქნება კანონმდებლობასთან შეუსაბამო, რადგან აღნიშნული გამოიწვევს ხელშეკრულების ე.წ. სუსტი მხარის ინტერესების სრულ იგნორირებას, ისევე როგორც უფლების ბოროტად გამოყენების რისკის გაზრდას და უსამართლო სამოქალაქო ბრუნვას.

რაც შეეხება მოვალის მიერ თანხის ზედმეტად გადახდის შემთხვევას, მსგავსი ქმედება უნდა შეფასდეს მოვალის მიერ ძველი დავალიანების დასაფარავად მიმართულ განზრახ, ნებაყოფლობით ქმედებად, ძველი დავალიანების აღიარებად, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას. შესაბამისად, სამართლიანად უნდა იქნეს მიჩნეული ამ დროს ზედმეტად გადახდილი თანხის მიქცევა ძველი დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა გავლენას ახდენს სესხის ხელშეკრულების დროს თავდების მიერ ანგარიშზე თანხის შეტანა ხანდაზმულობის ვადაზე. უშუალოდ მოვალის ანგარიშზე თავდების მიერ თანხის შეტანის ფაქტი არ უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის ვადის

შეწყვეტის საფუძვლად, რადგან კონკრეტული პირის ანგარიშზე თანხის შეტანისას არ არის სახეზე თავად ამ პირის ნება.

იმ შემთხვევაში, როცა საკითხი შეეხება სოლიდარულ თავდებობას, რელევანტურია სსკ-ის 468-ე მუხლის გამოყენება, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევს ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან მიმართებით არსებული ფაქტების სხვა სოლიდარული მოვალეებისადმი გამოყენებას. ვინაიდან სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში თავდები წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს, ხოლო ხანდაზმულობა ფაქტის საკითხს, მიზანშეწონილია, თავდების მიერ საკუთარ ანგარიშზე თანხის შეტანის სამართლებრივი შედეგები წარმოშობილად ჩაითვალოს მხოლოდ თავდების და არა სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ. ეს ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, პირადი მოვალის, რომელსაც აქვს სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება, ინტერესების დაცვას და, მეორე მხრივ, გამსესხებლის ინტერესის დაცვას - დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.

13. სსკ არ განსაზღვრავს მატერიალური მდგომარეობის გაუარესების საფუძვლით ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვის უფლების რეალიზაციისათვის კონკრეტულ ვადას. სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ზოგადად, მიზანშეწონილია დაექვემდებაროს ხანდაზმულობას, ვინაიდან არ არსებობს რაიმე პატივსადები საფუძველი ამ შემთხვევის მიმართ საგამონაკლისო წესის დადგენის საჭიროებასთან დაკავშირებით.

სსკ არ იცნობს ხანდაზმულობის საერთო ვადით სუბიექტურ ფაქტორებზე დაფუძნებული ხანდაზმულობის ვადის შეზღუდვას, ამასთან, დასაჩუქრებული მუდმივად არ უნდა იმყოფებოდეს გაურკვეველ მდგომარეობაში, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საერთო ვადის გამოყენება, რომლის ვადის ათვლაც იქნება დამოკიდებული ქონების გადაცემის მომენტზე. ეს ბუნებრივია, რადგან ჩუქების ხელშეკრულების დასადებად კანონმდებელი აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს ქონების გადაცემის ფაქტს, რითაც აღნიშნულ ხელშეკრულებას მიაკუთვნებს რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას.

ვინაიდან სსკ-ის 530-ე მუხლი იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია 530-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და მჩუქებლისათვის მატერიალური მდგომარეობის გაუარესების საფუძვლით გაჩუქებული ნივთის გამოთხოვის უფლების განხორციელების 10-წლიანი ვადის დაწესება, რომლის ათვლაც დაუკავშირდება ნივთის გადაცემის მომენტს. ამასთან, შესაძლებელია არსებული მოწესრიგების პირობებში სსკ-ის 530-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ მჩუქებლის მიერ ხსენებული მოთხოვნის განხორციელება დაექვემდებაროს ხანდაზმულობის ხსენებულ ვადაში მოთხოვნის წარდგენის თვალსაზრისით კონტროლს.

14. სსკ-ის 1488-ე მუხლი განსაზღვრავს მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადას. კერძოდ, მოთხოვნა უნდა იქნეს წარდგენილი 6 თვის განმავლობაში, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ. სასამართლო პრაქტიკით ამ შემთხვევაში

კრედიტორის მიერ უფლების რეალიზება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში. ამასთან, საკმაოდ ბუნდოვანია, თუ რა ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული ვადის გონივრულობის შეფასებისას.

მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება გონივრულ ვადად შეფასდეს მოთხოვნის დაუყოვნებლივი წარდგენა მამკვიდრებლის მემკვიდრეებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მამკვიდრებლის კრედიტორები ფიზიკურად მოკლებულნი იყვნენ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას, რაც შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებული იქნება კრედიტორის ინტერესების სასარგებლოდ, რაც დაარღვევს მხარეთა ინტერესებს შორის გონივრულ ბალანსს. მოთხოვნის დაუყოვნებლივი წარდგენის დაწესება ემყარება იმ არგუმენტებს, რომ სსკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილი ვადები არ წარმოადგენს სასამართლოსათვის მიმართვის ვადას. სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში პირს სჭირდება გაცილებით უფრო დიდი დრო საქმის მომზადებისთვის. სარჩელის შევსება დაკავშირებულია სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზებასთან, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებასთან, ფულადი თანხების, რაც აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, მობილიზებასთან. მამკვიდრებლის კრედიტორებმა უნდა წარუდგინონ მემკვიდრეს მოთხოვნა (პრეტენზია) არა სარჩელის ფორმით, არამედ წერილობითი ან ზეპირი ფორმითაც კი, რაც, ბუნებრივია, არ საჭიროებს დამატებით დროს.

აქედან გამომდინარე, გონივრულ ვადად უნდა იქნეს მიჩნეული კრედიტორს მიერ მოთხოვნის დაუყოვნებლივი წარდგენა მემკვიდრისათვის ან საგამონაკლისო შემთხვევაში კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა მოთხოვნის განხორციელების შეუძლებლობაში.

შესაბამისად, კრედიტორისა და მოვალის ინტერესების დაბალანსების მიზნით რეკომენდირებულია სსკ-ის 1488-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც ვადის დენა ასევე დაუკავშირდება მამკვიდრებლის კრედიტორების მიერ უხეში გაუფრთხილებლობით სამკვიდროს გახსნის შესახებ ინფორმაციის მიუღებლობის მომენტს. ამასთან, ამგვარი ინტერპრეტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სამართალშეფარდების პროცესში არსებული მოწესრიგების პირობებშიც კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.

15. სსკ ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ არ ითვალისწინებს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამოიყენება ხანდაზმულობის ზოგადი ვადები.

ნასყიდობის ხელშეკრულების დროს ნასყიდობის ობიექტი ექვემდებარება სწრაფად მოხმარებას, რაც განაპირობებს მის მიმართ განსხვავებული ხანდაზმულობის ვადების დადგენის საჭიროებას. ამასთან, სსკ-ით გათვალისწინებულია სპეციალური ხანდაზმულობის ვადები ნარდობის ხელშეკრულებისათვის, რომელიც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებზე მსჯელობის თვალსაზრისით თითქმის იდენტურ საფუძველზე

ეყრდნობა. შესაბამისად, ბუნდოვანია მათ მიმართ განსხვავებული ვადების დადგენის მიზანი. გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებების მიმართ ერთიანი ხანდაზმულობის ვადების გამოყენება.

ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა კანონმდებლობით დაკავშირებულია სუბიექტურ მომენტთან, ეს კი იძლევა მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას ხანგრძლივი ვადის გასვლის შემდეგ, რაც შეუსაბამო იქნება ბრუნვის სტაბილურობის ინტერესთან.

შესაბამისად, დასახელებული საფუძვლებისა და ნარდობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადების უნიფიკაციის მიზნით რეკომენდირებულია სსკ-ის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში ცვლილების განხორციელება და ხანდაზმულობის ვადის მომწესრიგებელი მუხლის დამატება, რომლითაც ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის წარდგენის მიმართ დადგინდება ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა, ხოლო ისეთი მოთხოვნის მიმართ, რომელიც უძრავ ნივთს შეეხება - 5-წლიანი ვადა, რომლის ვადის დენაც დაუკავშირდება ნივთის გადაცემის მომენტს. ამასთან, საგულისხმოა, რომ ზოგად ხანდაზმულობის ვადას უნდა დაექვემდებაროს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ის მოთხოვნები, რომლებიც არ შეეხება ნასყიდობის საგნის ნაკლს. ანალოგიური მიდგომა უნდა შენარჩუნდეს გამყიდველის მიერ ნაკლის გაზრახ დაფარვის შემთხვევაში. განზრახი ქმედების არსებობისას გამყიდველის მცირე ხანდაზმულობის ვადებით პრივილეგირება შეუსაბამო იქნება სამართლიანობის პრინციპთან და გამოიწვევს უსამართლო სამოქალაქო ბრუნვას.

16. „სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის 1999/44/EG დირექტივასთან შესაბამისობის მიზნით რეკომენდირებულია სსკ-ს კერძო ნაწილის პირველი თავის შემდეგ დაემატოს I¹ ქვეთავი, რომელიც მოაწესრიგებს სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს ხანდაზმულობის კრილში. კერძოდ, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებას იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ყიდულობს ნივთს მეწარმისაგან; მტკიცების ტვირთის შებრუნების წესს, კერძოდ, პრეზუმფციის დაშვებას, რომ ნივთი ნაკლიანი იყო რისკის გადასვლის მომენტში, თუ ნივთობრივი ნაკლი ნივთის გადაცემიდან ექვსი თვის ვადაში გამოვლინდა. ამასთან, შეპირისპირებულ ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის დაცვის მიზნით გამოწვევის დაშვებას, თუ მსგავსი ვარაუდი შეუსაბამოა ნაკლის ბუნებასთან; სამომხმარებლო საქონლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის გამო მოთხოვნის წარდგენისათვის 2-წლიანი ვადის დადგენას, რომლის ვადის დენაც დაუკავშირდება ნივთის გადაცემის მომენტს.

17. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკლის მიმართ კანონმდებლობით დადგენილია სპეციალური ხანდაზმულობის ვადები,

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახდის მოთხოვნა ექვემდებარება არა სპეციალურ, არამედ ზოგად ხანდაზმულობის ვადას. ვინაიდან 655-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას ზოგადი ხანდაზმულობის ვადების გამოყენების თაობაზე, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია სსკ-ის 655-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და აღნიშნულის შესახებ მითითება.

18. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 654-ე მუხლი ითვალისწინებს მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა ის არ ეხება ხანდაზმულობის კანონით გათვალისწინებულ ვადებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მენარდის არაკეთილსინდისიერების ფაქტი, პრობლემური იქნება ამ შემთხვევაში ზოგადი ხანდაზმულობის ვადების გამოყენება. მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ამ შემთხვევის მიმართ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით ხანდაზმულობის ზოგადი ვადის გამოყენება. თუმცა ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რეკომენდირებულია სსკ-ის 655-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლითაც მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის შემთხვევა დაექვემდებარება ზოგად ხანდაზმულობის ვადას.

19. არ არსებობს აზრთა ერთიანობა დამატებითი შესრულების სახით ახალი ნივთის გაგზავნის ან ნაკლის გამოსწორების შემთხვევის მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოყენებასთან დაკავშირებით. არ უნდა იქნეს გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მიდგომა ახალი ნივთის გაგზავნასა და გაუმჯობესებასთან მიმართებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის განსხვავებულ დინებასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ორივე შემთხვევაში კრედიტორი ერთი და იმავე განზრახვით მოქმედებს. განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთ საფუძვლად სახელდება კრედიტორისათვის ახალი ნივთის მიღების შემთხვევაში გონივრული ვადის მიცემის შესაძლებლობა, თუმცა მხოლოდ ეს არგუმენტი ვერ გამოდგება მსგავსი მოსაზრების გასამართლებლად. იმავე წარმატებით კრედიტორს გაუმჯობესების შემთხვევაშიც შეიძლება სჭირდებოდეს საკმარისი დრო ნაკლის აღმოსაჩენად.

დასახელებული განმარტების გაზიარების შემთხვევაში არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში მხოლოდ გამყიდველის ნებაზე ხდება დამოკიდებული ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხი, რაც შეუსაბამოა სამართლიანობის პრინციპთან. გამყიდველი, როგორც წესი, შეეცდება თავისი ინტერესების შესაბამისი არჩევანის გაკეთებას, მყიდველი/მომხმარებელი კი დარჩება დაცვის გარეშე.

ბუნდოვანია, რით არის განპირობებული ერთ შემთხვევაში გამყიდველის, ხოლო მეორე შემთხვევაში მყიდველის პრივილეგირება. ზოგადად, გონივრულია ხანდაზმულობის დადგენის შემთხვევაში მხარეთა ინტერესების დაცვა იყოს კანონმდებლის ერთიანი პოლიტიკის და არა კონკრეტული მხარის გადასაწყვეტი. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია ნაკლის აღმოფხვრის ორივე შემთხვევისთვის ერთიანი რეგულაციის დადგენა. არსებული მოწესრიგების პირობებში, კრედიტორის ინტერესების დაცვის

რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, დამატებითი შესრულების ნებისმიერი უშედეგო მცდელობა რეკომენდირებულია განმარტებულ იქნეს გაუმჯობესების ვალდებულების აღიარების ფაქტად, რაც, თავის მხრივ, მოქმედი მოწესრიგების პირობებში ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველია. ამასთან, მიზანშეწონილია მხედველობაში იქნეს მიღებული კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის ობიექტური შესაძლებლობის არსებობა/არარსებობის ფაქტი. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის წარუდგენლობა გამოწვეულია კრედიტორის დაუდევრობით, მხარეთა ორმხრივი ინტერესების და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მიზნიდან გამომდინარე, ეს უნდა იქნეს გამოყენებული ამ უკანასკნელის საზიანოდ.

20. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა შორის შეთანხმება წარმოადგენს დავის სწრაფად და ეფექტურად დასრულების ყველაზე ოპტიმალურ საშუალებას. იმისათვის, რომ მოხდეს მხარეთა შორის შეთანხმების წახალისება, მიზანშეწონილია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ერთ-ერთ საფუძვლად გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის მიზნით მოლაპარაკებების არსებობა. აღნიშნული ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ხანდაზმულობის ვადის დადგენის მიზნების ეფექტურად რეალიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კონფლიქტის უფრო სწრაფად და ეფექტურად დასრულებას. იმ ფონზე, როცა სსკ არ ითვალისწინებს მოლაპარაკებების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის შეჩერების შესაძლებლობას, ბუნებრივია მხარეები პირდაპირ მიმართავენ უფლებამოსილ ორგანოს დავის გადასაწყვეტად, რათა არ იქნეს გაშვებული უფლების განხორციელების ვადები. ეს იწვევს სასამართლოს გადატვირთვას და დავის ხანგრძლივი ვადით გაგრძელებას.

მხარეთა მიერ დავის დამოუკიდებლად გადაწყვეტის წახალისებისა და სასამართლოს განტვირთვის მიზნებიდან გამომდინარე, რეკომენდირებული სსკ-ს 134-ე მუხლის შემდეგ 134¹ მუხლის დამატება, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძვლად განისაზღვრება მოლაპარაკებების წარმოების პროცესი. ამასთან, მოვალის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების რისკის პრევენციის საშუალებას ამ შემთხვევაში წარმოადგენს კრედიტორის მიერ უფლების დაცვის მიზნით სასამართლოსადმი ნებისმიერ დროს მიმართვის შესაძლებლობა, ხოლო მოვალის დაცვა შემდგომში მტკიცებულებების მოპოვების გართულებისაგან მიიღწევა შეთავაზებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმით.

21. სსკ-ის 573-ე მუხლით გათვალისწინებულია გამქირავებლის, ისევე როგორც დამქირავებლის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის ვადა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა ნამდვილად არის ხარვეზიანი და იძლევა მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. გარდა იმისა, რომ ნორმის სათაურის რეგულირების სფეროდ განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობა და პირველ ნაწილში მითითებულია პრეტენზიის წარდგენის თაობაზე, მეორე ნაწილიც იწვევს გაურკვევლობას, რადგან ადგენს ზიანის ანაზღაურების გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტს. შესაბამისად, როგორც სათაური, ისე მისი შინაარსიც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით აშკარად აღრეულია.

მიზანშეწონილია, ნორმით განსაზღვრული ვადის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა განხორციელდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ნორმაში საუბარია გამქირავებლის მიერ უშუალოდ დამქირავებლისათვის და პირიქით, მოთხოვნის წარდგენაზე. უშუალოდ მხარისათვის პრეტენზიის წარდგენის მიზანია, ამ უკანასკნელს მიეცეს შესაძლებლობა, სწრაფად მოახდინოს მოთხოვნის საფუძვლის შეფასება და შესაბამისი რეაგირება. უკვე განხილული სხვადასხვა ტიპის ვადების არსის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია ხსენებული ვადა შეფასდეს საპრეტენზიო ვადად.

ტერმინოლოგიური სიზუსტის მიზნის მიღწევის თვალსაზრისით რეკომენდირებულია სსკ-ის 573-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის ვადაზე მითითება, ხანდაზმულობის ნაცვლად.

22. სსკ ტურისტული მოგზაურობის ხელშეკრულების მიმართ ადგენს ერთთვიან საპრეტენზიო ვადას და ხანდაზმულობის 6-თვიან ვადას. მიუხედავად მცირე საპრეტენზიო და ხანდაზმულობის ვადების ლეგიტიმური მიზნის არსებობისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს სტანდარტიზებული, წინასწარ ორგანიზებული ტურისტული მომსახურების შესახებ (Pauschalreiserichtlinie 2015/2302) ევროკავშირის დირექტივა, რომელიც დაუშვებლად აცხადებს საპრეტენზიო ვადების გამოყენებას ამ ურთიერთობის მიმართ.

გონივრული იქნება იმ ფონზე, როცა საქართველომ იკისრა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებით არსებულ რეგულაციებთან დაახლოების ვალდებულება, მოცემული დირექტივით გათვალისწინებულ ვალდებულებასთან შესაბამისობა განხორციელდეს სსკ-ში რელევანტური ცვლილებების შეტანით, რაც უზრუნველყოფს ტურისტის ინტერესების გაძლიერებულ დაცვას.

აღნიშნული რეკომენდაციის გაზიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გონივრული იქნება სსკ-ის 663-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ერთთვიანი პრეტენზიის ვადის გაზრდა მინიმუმ ექვს თვემდე ვადით, ვინაიდან ერთთვიანი ვადა ნამდვილად წარმოადგენს უფლების განხორციელებისათვის შეუსაბამოდ მცირე ვადას. ამასთან, ვადის აღდგენის შესაძლებლობის არსებობა უფრო მეტად უზრუნველყოფს 6-თვიანი ვადის შემთხვევაში ტურისტის ინტერესების დაცვას.

ამასთან, მიზანშეწონილია, ხანდაზმულობის ვადის გაზრდა მინიმუმ 1 წლამდე მაინც მით უფრო იმ ფონზე, როცა ზემოთ წარმოდგენილი იქნა რეკომენდაცია საპრეტენზიო ვადის 6 თვემდე გაზრდის შესახებ ან ზემოთ დასახელებული დირექტივის გათვალისწინებით, ყველაზე ოპტიმალური იქნება ხანდაზმულობის 2-წლიანი ვადის განსაზღვრა.

23. ამასთან, სსკ-ის 663-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს პრეტენზიის განცხადებისას ხანდაზმულობის ვადის შეჩერების წესს, ვიდრე მოგზაურობის მომწყობი არ უარყოფს პრეტენზიას. ანალოგიურ წესს ითვალისწინებს სსკ-ის მე-700 მუხლიც გადაზიდვის ხელშეკრულების მიმართ. აღნიშნული მოწესრიგება არის განუქვრეტელი ხასიათის, ვინაიდან იძლევა

განუსაზღვრელი ვადით ხანდაზმულობის ვადის შეჩერების შესაძლებლობას, რაც შეუსაბამოა სასარჩელო ხანდაზმულობის მიზნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულობის ვადის შეჩერება არ გამორიცხავს უფლების სასამართლო წესით დაცვას. შესაბამისად, თუ პირს მიაჩნია, რომ მოვალე ცდილობს მოლაპარაკებების გახანგრძლივებით მოთხოვნის საფუძვლად არსებული მტკიცებულებების „მომველებას“, შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საკითხის გადაწყვეტისას უნდა იყოს არსებითი სასარჩელო ხანდაზმულობის დადგენის ძირითადი მიზნები. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასთან შეუთავსებლად უნდა დასახელდეს ნორმის განუჭვრეტადი ხასიათი. მსგავსი რეგულაციის პირობებში სავარაუდოა ვადის შეჩერება განუსაზღვრელი დროით, რაც არ არის გონივრული. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თავად სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების მიმართ მცირე ხანდაზმულობის ვადების დადგენის სასარგებლო არგუმენტების გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სსკ-ის 663-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ვადის შეჩერების ხანგრძლივობის არაუმეტეს 1 თვით შემოფარგვლა.

ანალოგიური ცვლილების განხორციელება რეკომენდირებულია სსკ-ის მე-700 მუხლშიც გადაზიდვის ხელშეკრულების მიმართ.

24. კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ხშირად დგება მოთხოვნათა კონკურენციის საკითხი. სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციისას გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 1008-ე მუხლი განსაზღვრავს ხანდაზმულობის სამწლიან ვადას, რომელსაც უკავშირებს ვადის ათვლის სპეციალურ მომენტს, კერძოდ, იმ დროს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო დელიქტით მიყენებული ზიანის ფაქტის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამ შემთხვევაში ვადის ათვლის დაკავშირება ალტერნატიულ პირობებთან არ არის გონივრული, რასაც ამყარებს სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლის დაკავშირება ზიანის შეტყობის ფაქტთან უსამართლო შედეგს გამოიწვევს, რადგან დაუშვებელია პირს მოეთხოვოს უფლების განხორციელება, როცა ამ უკანასკნელმა არ იცის ვალდებული პირის თაობაზე. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი იქნება მოკლებული უფლების განხორციელების შესაძლებლობას, რადგან სარჩელის სასამართლოში წარდგენისას მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება, მიუთითოს მოპასუხის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. თუ მოსარჩელემ ზუსტად არ იცის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის თაობაზე, ის ვერ მოახდენს უფლების სასამართლო წესით დაცვას.

მიზანშეწონილია, რომ ნორმა არსებული მოწესრიგების პირობებში ინტერპრეტირებულ იქნეს იმგვარად, რომ ხანდაზმულობის ვადის დაწყება დაუკავშირდეს კუმულაციურად ორივე წინაპირობის არსებობის ფაქტს. ამგვარ განმარტებას საფუძვლად უნდა დაედოს ხანდაზმულობის არსის, მისი მიზნების, ისევე როგორც სამართლიანობის პრინციპი რეალიზაცია. ამასთან, კანონმდებლობაში არსებული რედაქციული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით

რეკომენდირებულია სსკ-ის 1008-ე მუხლში ცვლილების განხორციელება და ნაცვლად „ან“ კავშირისა „და“ კავშირის მითითება.

ამასთან, მნიშვნელოვანი განსხვავება სსკ-ის 130-ე და 1008-ე მუხლებთან მიმართებით მდგომარეობს ხანდაზმულობის ვადის დენის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებში. კერძოდ, 130-ე მუხლი ვადის დენას უკავშირებს უფლების დარღვევის ფაქტის ცოდნის ან გაუფრთხილებლობით უცოდინრობის მომენტს, ხოლო 1008-ე მუხლი - მხოლოდ სუბიექტურ მომენტს ანუ ცოდნის მომენტს. ზოგადად მნიშვნელოვანია მოხდეს ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლასთან დაკავშირებით ერთიანი წესის დადგენა მით უფრო იმ ფონზე, როცა სსკ-ის 1015-ე მუხლიც, რომელიც შეეხება წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადას, ადგენს ხანდაზმულობის ვადის ათვლის მიმართ სსკ-ის 130-ე მუხლის ანალოგიურ რეგულირებას. 1015-ე მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე კი 1008-ე მუხლით დაცული ობიექტის მსგავსია.

25. სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციის საკითხი საჭიროებს შეფასებას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, რადგან ყველა საქმეს ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, თუმცა ამის მიუხედავად შეიძლება აღინიშნოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციისას. კონკურენციის საკითხი უნდა გადაწყდეს დაცული სამართლებრივი სიკეთის გათვალისწინებით. კერძოდ, როცა საკითხი შეეხება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას, კრედიტორი საჭიროებს გონივრულ ფარგლებში დაცვას. ეს დაცვა მიიღწევა ხანდაზმულობის ხანგრძლივი ვადის დაწესების გზით. სხვა შემთხვევაში, სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციისას უნდა იქნეს პრიორიტეტულად გამოყენებული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. სხვაგვარი გადაწყვეტისას აზრს დაკარგავს სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის სპეციალური ხანდაზმულობის ვადების არსებობა, რადგან კრედიტორი ყველა შემთხვევაში მოთხოვნას წარადგენს მოვალის მიმართ დელიქტური საფუძვლით, რადგან ეს სამართლებრივად უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის.

26. შემდგომ წარმოშობილ ზიანთან მიმართებით დელიქტური თუ სახელშეკრულებო მოთხოვნის გამოყენების საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი. ზოგადად, დელიქტურ და სახელშეკრულებო მოთხოვნებს შორის კონკურენციისას მაქსიმალურად უნდა იქნეს მინიმალიზებული ზოგადი ნორმების გამოყენება. საკმაოდ დიდ სირთულეს უკავშირდება ცალკეულ შემთხვევაში ნივთის ნაკლისგან საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტის იდენტიფიცირება. სწორედ ამიტომ კონკურენციის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზად შეიძლება შეფასდეს გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, გამყიდველის ვალდებულება დელიქტური საფუძვლით ზიანის ანაზღაურების თაობაზე მხოლოდ მაშინ იქნეს აღიარებული, როცა ხელშეკრულების საგანი აზიანებს დამოუკიდებლად გამოსაყენებელ ნივთს. დელიქტური პასუხისმგებლობის

მიზანს წარმოადგენს არა ნასყიდობის საგნის უნაკლოობა, არამედ მხოლოდ ნაკლიანი ნივთით გამოწვეული შემდგომი ზიანის აღმოფხვრა ან კომპენსირება.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის შერჩეულ განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2010.

ათაბეგაშვილი დავით, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი ადგილი სასამართლო პრაქტიკაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(43)14, თბილისი, 2014.

ამირანაშვილი გიორგი, უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, თბილისი, 2013.

ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999.

ახვლედიანი ზურაბ, მემკვიდრეობითი სამართალი (ლექციების კურსი), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1988.

ბაჩიაშვილი ვახტანგ, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), სამაგისტრო ნაშრომი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი 2008.

ბერეკაშვილი ქეთევან, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმა - ნების ავტონომია თუ მართლწესრიგის საწინააღმდეგო მოქმედება? ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(32)'12, 2012.

ბზეკალავა ეროსი, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.

ბიოლინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა „სიესტა“, ბრემენი - თბილისი, 2009.

ბიოლინგი ჰაინ, უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა კანონის განმარტების მეთოდთან დაკავშირებით), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №6/2003-4, თბილისი, 2003.

ბიჭია მიხეილ, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2016.

გაბისონია ზვიად, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001.

გაბიჩვაძე შორენა, ტურისტული მომსახურების სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირება ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2 (37), 2013.

გამყრელიძე სულხან, სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია საერთაშორისო კერძო სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(30) '11, თბილისი, 2011.

გაწერელია აკაკი, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე აღმოცენებული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ანალიზი, სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია, თბილისი, 2012.

დუნდუა მზია, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, „სამართლის ჟურნალი“ №1 2009, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009.

ზაალიშვილი ვახტანგ, სამომხმარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, „სამართლის ჟურნალი“ №1-2, 2010, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2010.

ზარანდია თამარ, ჯუღელი თეა, მოძრავი ნივთით მოთხოვნის უზრუნველყოფა ქართულ სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(21)'09, თბილისი, 2009.

ზოიძე ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.

ზოიძე ბესარიონ, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, GTZ-ის გამოცემა, თბილისი, 2007.

ზოიძე ბესარიონ, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №6/2003-1, თბილისი, 2003.

ზოიძე თამარ, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015
<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/tamar_zoidze.pdf>.

ერქვანია თინათინ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული

კანონმდებლობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(30)11, თბილისი, 2011.

თოდუა მზია, ვილემსი ჰუუბ, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006.

თოდუა მზია, კერძო სამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნიშვნელობა სამოქალაქო დავებზე გადაწყვეტილების მიღებისას, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, სპეციალური გამოშვება №1, 2016, თბილისი, 2016.

თუმანიშვილი გიორგი, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

ოსელიანი ალექსანდრე, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი 2007.

ოსელიანი ნ, მოვალის გარანტია, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016.

კერესელიძე დავით, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №10/2004-1, თბილისი, 2004.

კვინიკაძე ქეთევან, სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება, როგორც „სამოსამართლო ინტერვენცია“ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(50)'16, თბილისი, 2016.

კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბილისი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნეს“ სტამბა, 2004.

კობახიძე ავთანდილ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი: სამოქალაქო სამართლის სუბიექტები: II, ზ. ძლიერიშვილი (რედ.), გამომცემლობა „ბენეტონი“, თბილისი, 2002.

კობხეიძე ლეილა, ზოგიერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(41)'14, თბილისი, 2014.

კროპკოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გამოცემა, თორნიკე დარჯანასა და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014.

ლაკერბაია თამარ, ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის უფლება ევროპის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2014, თსუ გამომცემლობა, 2015.

ლეგაშვილი დარია, გამგზავნის უფლების განხორციელებისა და დაცვის ვადები, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016.

ლილუაშვილი თეიმურაზ, ლილუაშვილი გია, ხრუსტალი ვალერი, ძლიერიშვილი ზურაბ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი: ნაწილი I, თ. თოდრია (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2014.

ლილუაშვილი თენგიზ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ზ. ძლიერიშვილი (რედ.), მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2005.

ლომიძე ვლადიმერ, ხანდაზმულობა (ტერმინი საკითხისათვის), პროფ. გ. ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიული ნარკვევები, წიგნი 1, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.

მაისურაძე ანა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საბაზისო მიდგომები სამართლის ოჯახების მიხედვით, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ №8/2017, გამომცემლობა „დანი“, თბილისი, 2017.

მაისურაძე დავით, სულხანიშვილი ელენე, ვაშაკიძე გიორგი, ევროკავშირის კერძო სამართალი გადაწყვეტილებები და მასალები (ნაწილი I - მომხმარებელთა დაცვის სამართალი, შრომის სამართალი, კორპორაციული სამართალი, კონკურენციის სამართალი), თბილისი 2018.

მარიამიძე გიორგი, ვალდებულებითი სამართალი: სახელშეკრულებო სამართალი: ზოგადი ნაწილი: II ნაწილი, I გამოცემა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013.

მაჭარაძე მირანდა, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა - განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2008.

მერებაშვილი ირმა, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(23)'09, თბილისი, 2009.

მესხიშვილი მანანა, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბილისი, 2004.

მესხიშვილი ქეთევან, პირგასამტეხლო (თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, თბილისი 2014.

მიკლიცი ჰანს ვოლფგანგ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის ანალიზი, (2017 წლის მარტის მდგომარეობით), №6 (2018), GIZ, 2017.

მოწონელიძე ნატალია, სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/natalia_mowonelidze.pdf>.

როგავა რუსუდან, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი (საქმე №ას-581-549-2011), სტუდენტური სამართლის ჟურნალი, 2013.

როინიშვილი სოფიკო, ხელშეკრულების თავისუფლება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ №3, თბილისი, 2001.

რუსიაშვილი გიორგი, ვინდიკაციისა და შესრულების კონდიქციის კონკურენცია არანამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგების უკუქცევისას, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2013, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2014.

რუსიაშვილი გიორგი, ქართული სამართლის ადგილი ევროპული სამართლის ოჯახში, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2017.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ლ. ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2018.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2000.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე/ნინიძე (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი, 2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007.

სვანიძე ნათია, თავდებობა, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, თბილისი, 2004.

სირაძე ეკა, ტვირთის საზღვაო გადაზიდვა – საქართველოს არჩევანი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ 3-ლი-მე-4კვ., თბილისი, 2000.

სიჭინავა ოთარ, „გონივრული ვადის“ მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით), „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“ №1, 2008.

სუხიტაშვილი დავით, სუხიტაშვილი თეა, პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №2(37)'13, თბილისი, 2013.

სუხიტაშვილი დავით, სუხიტაშვილი თეა, სახელმეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3'11, თბილისი 2011.

ტარტარაშვილი ნათია, არაქონებრივი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(61)'19, 2019.

ფიფია ანა, ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008.

ფიფია ნინო, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018 <<https://openscience.ge/bitstream/1/139/1/Pipia%2C%20nino%20Sadoqtoro.pdf>>.

ფუტკარაძე თორნიკე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ზოგიერთი თავისებურება ინტერნეტით დადებულ სასესიო ხელშეკრულებაში, საერთაშორისო სამართლის ლაბორატორია, კერძო სამართლის ქრონიკები (სტუდენტთა ნაშრომების კრებული), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018.

ქერაშვილი სალომე, კონოსამენტის წარდგენის გარეშე ტვირთვის გადაცემისათვის გადამზიდველის პასუხისმგებლობის თავისებურებანი, „სამართლის ჟურნალი“ №1 2015, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2016.

ქოჩაშვილი ქეთევან, მფლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმფციის საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012 <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/qetevan%20qochashvili.pdf>.

შენგელია ირაკლი, სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №4(23)'09, თბილისი, 2009.

შენგელია რომან, შენგელია ეკატერინე, მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

შენგელია რომან, შენგელია ეკატერინე, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017.

შენგელია რომან, ჩუქების ხელშეკრულება, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, პირველი კვარტალი, თბილისი, 2001.

შოთაძე თამარ, სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.

შოთაძე თამარ, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ №2, 2007, თბილისი, 2007.

ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2011 <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/sofio_chachava.pdf>.

ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.

ჩაჩანიძე თინათინ, სახელმწიფოებო თავისუფლება და სახელმწიფოებო სამართლიანობა თანამედროვე სახელმწიფოებო სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(26)'10, თბილისი, 2010.

ჩიტაშვილი ნათია, ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფოებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ჟურნალი“ №1 2009, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009.

ჩიტაშვილი თამარ, დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, თბილისი, 2008.

ჩიტაშვილი თამარ, ვალის არსებობის აღიარება დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკის ჭრილში, „სამართლის ჟურნალი“ №1 2017, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2017.

ძლიერიშვილი ზურაბ, ვალდებულების შესრულება, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2006.

ძლიერიშვილი ზურაბ, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001.

ძლიერიშვილი ზურაბ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007.

ძლიერიშვილი ზურაბ, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელმწიფოებათა სამართლებრივი ბუნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.

ძლიერიშვილი ზურაბ, ჩუქების გაუქმების საფუძვლები და სამართლებრივი შედეგები, „სამართლის ჟურნალი“ №1 2017, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2017.

ძლიერიშვილი ზურაბ, ჩუქების სამართლებრივი ბუნება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010.

ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელმწიფოებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014.

ჭანტურია ლადო, ბოელინგი ჰაინ, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბილისი, 2003.

ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011.

ხარაზი ია, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №3 (42)'14, თბილისი, 2014.

ხუნაშვილი ნინო, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014
<http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf>.

ხუნაშვილი ნინო, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1, 2013, თბილისი, 2013.

ჯანაშია ლევან, კონდიციური ვალდებულებანი, ჟურნალი „სამართალი“ №10-12, თბილისი, 2004.

ჯორბენაძე სერგი, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017.

ჰარტკამპი არტურ, სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის თარგმანები, თბილისი, 2009-2010.

ჰენცელი სანდრა, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009.

უცხოენოვანი ლიტერატურა

Agentur der Europäischen Union für Grundrechte und Europarat, Handbuch zu den europarechtlichen Grundlagen des Zugangs zur Justiz, Amt für Veröffentlichungen der Europäischen Union, Luxemburg, 2016.

Aliotta Massimo, Husmann David, Die Regelung der Verjährungsproblematik von Schadenersatzforderungen für sogenannte Spätschäden, Have/Reas, Heft 1, 2014.

Aliotta Massimo, Husmann David, Die Verjährung von Ersatzforderungen aus Spätschäden – neue Entwicklung in Rechtsprechung und Gesetzgebung, Have/Reas, Heft 1, 2012.

Anmerkung Grziwartz H., JR, Heft 12, 2011

Apathy Peter, Riedler Andreas, Bürgerliches Recht Band III: Schuldrecht Besonderer Teil 4. Auflage, Springer-Verlag Wien, 2010.

Arlt Claudia, Zwickl Martin, Examensklausurenkurs (Jura-Sonderheft), 3. Auflage, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2008.

Ax Thomas, Heiduk Daniel, Mängelansprüche nach VOB und BGB, Friedr. Vieweg&Sohn Verlag/GWV Fachverlage GmbH, Wiesbaden, 2004.

Balzer Peter, Kröll Stefan, Scholl Bernd, Die Schuldrechtsklausur I: Kernprobleme der vertraglichen Schuldverhältnisse in der Fallbearbeitung, 4. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2015.

Barta Heinz, Zivilrecht: Grundriss und Einführung in das Rechtsdenken, 2. Auflage, WUV Universitätsverlag, Wien, 2004.

Baumgartner Anna, Die Konkurrenzen zwischen Gewährleistung und den §§ 918 ff ABGB und zwischen Gewährleistung und laesio enormis, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Wien, Wien, 2009
<http://othes.univie.ac.at/4354/1/2009-03-23_9873809.pdf>.

Bergmann Andreas Der Verfall des Eigentums: Ersitzung und Verjährung der Vindikation am Beispiel von Raubkunst und Entarteter Kunst, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2015.

Bergmann Karl Otto, Wever Carolin, Anmerkung zu BGH, Urt. v. 10.11.2009 – VI ZR 247/08, MedR, Heft 4, 28. Jahrgang, 2010.

BGB Staudinger, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Eckpfeiler des Zivilrechts, Verlag Sellier- de Gruyter, Berlin, 2008.

BGH, Verlängerung von Verjährungsfristen in AGB, DZWIP, 2015(11), 2015.

Boemke Burkhard, Ulrici Bernhard, BGB Allgemeiner Teil, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2010.

Bohnstedt Jan, Vertragsrecht im Einkauf Erfolgsfaktor im Supply Chain Risk Management (SCRM) 3. Auflage, Springer Gabler, Wiesbaden, 2018.

Böhringer Wolfram, Hemmung der Verjährung/Wiederaufnahme von Verhandlungen/Höflichkeitsfloskeln, RRa 2011(1), 19. Jahrgang, 2011.

Bönningshaus Achim, Schuldrecht Besonderer Teil I: Kauf-, Werk-, Reisevertrag und Schenkung, 2. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2012.

Bork Reinhard, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 2. Auflage, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2006.

Brox Hans, Walker Wolf-Dietrich, Besonderes Schuldrecht, 33. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2008.

Bucher Eugen, Schweizerisches Obligationenrecht, Allgemeiner Teil ohne Deliktsrecht, 2. Auflage, Schulthess Polygraphischer Verlag, Zürich, 1988.

Bundesrechtsanwaltskammer, Stellungnahme Nr. 42/2014, zum Arbeitspapier der Projektgruppe Gewährleistungsrechte und Garantie beim Kaufvertrag; Umsetzung der 2013 gefassten Beschlüsse der Verbraucherschutzministrekonzferenz und Justizministerkonferenz, 2014
<<https://www.brak.de/zur->

[rechtspolitik/stellungnahmen-pdf/stellungnahmen-deutschland/2014/november/stellungnahme-der-brak-2014-42.pdf](https://www.rechtspolitik/stellungnahmen-pdf/stellungnahmen-deutschland/2014/november/stellungnahme-der-brak-2014-42.pdf)>.

Buschmann Barbara, Vertragsrecht für Planer, Bauherren und Baubetriebe: Bauvergabe, Bauvertrag, Bauplanung, Wilhelm Ernst & Sohn Verlag für Architektur und technische Wissenschaften GmbH & Co. KG, Berlin 2003.

Bussert Rudolf, Bürgerliches Recht für Betriebswirte: Allgemeiner Teil – Schuldrecht – Sachenrecht, 2. Auflage, Betriebswirtschaftlicher Verlag Dr. Th. Gabler, Wiesbaden, 1975.

Canaris Claus-Wilhelm, Handelsrecht, 24. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2006.

YU Chengyan, Die Konkurrenz zwischen Gewährleistungsrecht und Informationspflicht, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Die Rheinischen Friedrich-Wilhelms-Universität Bonn, Bonn, 2018 <<http://hss.ulb.uni-bonn.de/2018/5152/5152.pdf>>.

Cheshire Geoffrey Chevalier; North Peter, Private International Law, 11th ed., Butterworths, London, 1987.

Christof Forster, Verjährungsfrist auf 20 Jahre verdoppelt <www.nzz.ch/schweiz/verjaehrungsfrist-auf-20-jahre-verdoppelt-ld.1389915>.

Coester-Waltjen Dagmar, Rücktritt und Widerruf – Gemeinsamkeiten und Unterschiede, Jura, Heft 11, 31. Jahrgang, 2009.

Conrad Markus, Internationales Kaufrecht, UN-Kaufrecht mit rechtsvergleichenden Bezügen, De Gruyter Oldenbourg, Berlin, 2017.

Dannemann Gerhard, Karatzenis Fotios, Geoffrey Thomas V., Reform des Verjährungsrechts aus rechtsvergleichender Sicht - Hans Stoll zum 65. Geburtstag, Rabels Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht/The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Heft 4, 55. Jahrgang, 1991.

Derleder Peter, Meyer Thomas., Die Verjährung zivilrechtlicher Ansprüche – Schuldrechtsmodernisierung zwischen Verbraucherschutz und Turbokapitalismus, Kritische Justiz, Nr. 3, 35. Jahrgang, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2002.

Deutscher Bundestag, Drucksache 14/6040, 2001 <<http://dipbt.bundestag.de/doc/btd/14/060/1406040.pdf>>.

Monferrini Isabelle, Crone Hans Caspar, Die Rückabwicklung mangelhafter Verträge, Schweizerische Zeitschrift für Wirtschafts- und Finanzmarktrecht (SZW/RSDA), Heft 5, 2011.

Dietrich Dieter, Handbuch VOB/B: Bauvertrag nach BGB und VOB. Mit dem vollständigen Text der VOB/B, der VOB/C und allen einschlägigen Vorschriften des BGB, 6. Auflage, Expert Verlag, Renningen, 2009.

Dohse Roderich, Die Verjährung, 11. Auflage, Richard Boorberg Verlag, München, 2010.

Dullinger Silvia, Bürgerliches Recht Band II: Schuldrecht Allgemeiner Teil, 4. Auflage, Springer-Verlag Wien, 2010.

Eichler Hermann, Die Konkurrenz der vertraglichen und deliktischen Haftung im deutschen Recht, Archiv für die civilistische Praxis, Heft 5-6, 162. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1963.

Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement (EJPD), Bundesamt für Justiz (BJ) Obligationenrecht (Revision des Verjährungsrechts) Bericht zum Vorentwurf, 2011 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/ve-ber-d.pdf>>.

Eltzschig Jan, Wenzel Jens, Die Anfängerklausur im BGB Kernprobleme des Allgemeinen Teils in der Fallbearbeitung, 3. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2008.

Emmerich Volker, BGB - Schuldrecht Besonderer Teil, 10. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2009.

Emmerich Volker, BGB - Schuldrecht Besonderer Teil, 14. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2015.

Engelmann Johannes, Die Verjährung nach russischem Privatrecht, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Kaiserlichen Universität zu Dorpat, Dorpat, 1867 <<http://dspace.ut.ee/handle/10062/5658?locale-attribute=de>>.

Erman BGB, Westermann (Hrsg), 11. Auflage, Band I, Verlag Dr. Otto Schmidt KG, Köln, 2004.

Ersatzansprüche gegen Reiseveranstalter/Hemmung der Verjährung, RRA, Heft 8, 8. Jahrgang, 2000.

Fikentscher Wolfgang, Heinemann Andreas, Schuldrecht, 10. Auflage, Walter de Gruyter & Co., Berlin, 2006.

Foerste Ulrici, Unklarheit im künftigen Schuldrecht: Verjährung von Kaufmängel-Ansprüchen in zwei, drei oder 30 Jahren?, Zeitschrift für Rechtspolitik, Heft 8, 34. Jahrgang, Verlag C.H. Beck, München, 2001.

Friehe Tim, Schulz Max, Zimmer Daniel, Gutachten zur Revision des Schweizer Verjährungsrechts aus rechtsökonomischer Perspektive Eine Regulierungsfolgenabschätzung, Bonn, 2013 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/gutachten-castle-d.pdf>>.

Fuchs Maximilian, Deliktsrecht, 6. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2006.

Fuchs Maximilian, Pauker Werner, Baumgärtner Alex, Delikts- und Schadensersatzrecht, 9. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2017.

Führich Ernst, Das neue Pauschalreiserecht, NJW, Heft 41, 70. Jahrgang, Verlag C.H. Beck, München, 2017.

Führich Ernst, Einbeziehung Allgemeiner Reisebedingungen in den Reisevertrag und Verkürzung der reisevertraglichen Verjährungsfrist, RRa, Heft 3, 17. Jahrgang, 2009.

Gabriel Ute, Verjährung der Schadensersatzansprüche gegen den Steuerberater nach altem und neuen Verjährungsrecht, Diplomarbeit, Rheinisch-Westfälische Technische Hochschule Aachen, 2014.

Gauch Peter, Verjährungsverzicht: Ein Entscheid des Bundesgerichts (BGE 132 III 226) und was davon zu halten ist, SJZ, Nr. 23&24, 102. Jahrgang, 2006.

Gewährleistungsansprüche/Anmeldung beim Reiseleiter am Urlaubsort - LG Frankfurt, Urt. v. 15.8.2008 – 2-24-S 87/07, RRa Heft 5/2008, 16. Jahrgang, 2008.

GPA-Mitteilung Verjährungsfristen für Gewährleistungsansprüche bei Architekten/Ingenieur- und Projektsteuerungsleistungen Bau 4/2002 Az.600.513 <https://www.gpabw.de/fileadmin/user_upload/pdf/GPA_Mitteilungen_BAU/2002/MIB042002.pdf>.

Graff Ruden De, Concurrent Claims in Contract and Tort: A Comparative Perspective, Article European Review of Private Law, Volume, 25, Issue 4, 2017

Greiner Stefan, Schuldrecht Besonderer Teil, Vertragliche Schuldverhältnisse, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011.

Gschnitzer Franz, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 1966.

Gsell Beate, Substanzverletzung und Herstellung: Deliktsrechtlicher Eigentumsschutz für Material und Produkt, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2003.

Guckelberger Annette, Die Verjährung im Öffentlichen Recht, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2004.

Gursky Karl-Heinz, Schuldrecht, Besonderer Teil, 5. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg 2005.

Harke Jan Dirk, Allgemeines Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2010.

Harke Jan Dirk, Besonderes Schuldrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2011.

Harke Jan Dirk, Rechtsnatur der Einrede und Rückwirkungsverbot: Bundes-Bodenschutzgesetz und mietrechtliche Verjährung, Archiv für die civilistische Praxis, Heft 6, 202. Jahrgag, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2002.

Hirsch Christoph, Schuldrecht Besonderer Teil, 4. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2016.

Hoeren Thomas, IT-Recht, Universität Münster 2016 <https://www.itm.nrw/wp-content/uploads/Skript_IT_Stand_April-2017.pdf>

Höpker Tilo M., Verkäuferregress (§§ 478, 479 BGB), Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Hamburg, Hamburg 2003 <<http://ediss.sub.uni-hamburg.de/volltexte/2004/1137/pdf/dissertation.pdf>>.

Huber Peter, Bach Ivo, Examens-Repetitorium Besonderes Schuldrecht 1: Vertragliche Schuldverhältnisse, 5. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2016.

Huber Peter, Examens-Repetitorium Besonderes Schuldrecht: Vertragliche Schuldverhältnisse, 2. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2008.

Huber Ulrich, Leistungsstörungen, Band I, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 1999.

Hübner Heinz Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches, 2. Auflage, Walter de Gruyter & Co, Berlin, 1995.

Husmann David, Massimo Aliotta, Der Gesetzgeber muss die Opfer von Spätschaden schätzen, Plädoyer, Heft 4, 2011.

Husmann David, Massimo Aliotta, Zeit heilt nicht alle Wunden – Zur verjährungsrechtlichen Problematik bei Personenschäden durch Asbest, Have/Reas, Heft 2, 2010.

Jaensch Michael, Klausurensammlung Bürgerliches Recht: 20 Klausuren mit Lösungen für Anfänger (Falltraining), Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2012.

Jens Petersen, Die Verjährung der Ansprüche, Jura, Heft 9, 33. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2011.

Kaiser Dagmar, Die Rückabwicklung gegenseitiger Verträge wegen Nicht- und Schlechterfüllung nach BGB, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2000.

Kepplinger Jakob, Zur vertraglichen Verlängerung der kurzen Verjährungsfrist von Schadenersatzansprüchen, JBL, Heft 3, 134. Jahrgang, Springer-Verlag, Wien, 2012.

Klose Martin, Vindikationsverjährung: Gewogen für verfassungswidrig befunden!, RW, Heft 2, 2014.

Kofler Stefan, Handbuch CMR-Transportrecht, Linde Verlag Ges.m.b.H., Wien, 2013.

Köhler Helmut, Zur Geltendmachung und Verjährung von Unterlassungsansprüchen, JZ, Nr. 10, 60. Jahrgang, 2005.

Koller Alfred, Die Verjährung bei der Rückabwicklung von Verträgen, Baurecht Droit de la Construction BR/DC, 2006(1), 2006.

Koller Alfred, Dispositives und zwingendes Verjährungsrecht, Zur Tragweite von Art. 129 und 141 Abs. 1 OR, SJZ 103(2007) Nr. 8, 2007.

Koller Alfred, Schweizerisches Obligationenrecht: Handbuch des allgemeinen Schuldrechts ohne Deliktsrecht, 3. Auflage, Stämpfli Verlag AG, Bern, 2009.

Koller Alfred, Unterbrechung der Verjährung, SJZ, Heft 9, 113. Jahrgang, 2017.

Korenke Thomas, Bürgerliches Recht: eine systematische Darstellung der Grundlagen mit Fällen und Fragen, R. Oldenbourg Verlag München Wien, 2006.

Koziol Helmut, Welser Rudolf, Kletecka Andreas, Grundriss des bürgerlichen Rechts Band I: Allgemeiner Teil, Sachenrecht, Familienrecht, 14. Auflage, Manz Verlag, Wien, 2014.

Krause Christopher, Anfechtung - Die Drei Irrtumsfälle laut §119 BGB, Studienarbeit, Fachhochschule der Wirtschaft Bergisch Gladbach, 2008.

Krauß Hans-Frieder, Der Rückforderungsanspruch wegen Verarmung des Schenkers im Kontext des Sozialhilferechts, ZEV, 2001.

Krejci Heinz, Unternehmensrecht (gebunden): mit Wertpapierrecht von J. Aicher/F. Schuhmacher, 5. Auflage, Manz Verlag, Wien, 2013.

Kropff Reinhard, Aktuelle Fragen des Hypothekenrechts, Dissertation, zur Erlangung des akademischen Grades, Universität Wien, Wien, 2007
<http://othes.univie.ac.at/5042/1/2008-10-29_9701937.pdf>.

Liebel Fabian, Die Verjährung von Schadenersatzansprüchen bei Vorliegen mehrerer Aufklärungspflichtverletzungen, ÖBA 6/17
<https://www.wu.ac.at/fileadmin/wu/d/i/privatrecht/Spitzer/Downloads/bankarchiv-2017-06_0403-0410.pdf>.

Looschelders Dirk, Schuldrecht Besonderer Teil, 2. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2007.

Löwisch Manfred, Neues Schuldrecht in Deutschland, Ritsumeikan Law Review, Nr. 20, 2003.

Lusznat Leonard, Verjährung im europäischen Wandel, Eine rechtsvergleichende Untersuchung von BGB, DCFR und CESL, rescriptum 2014/1, 2014
<http://www.rescriptum.org/Aufs%C3%A4tze/2014_1_054_Lusznat.pdf>.

Mansel Heinz-Peter, Kaufrechtsreform in Europa und die Dogmatik des deutschen Leistungsstörungsrechts: Kaufrecht in Europa nach der Umsetzung der Verbrauchsgüterkauf-Richtlinie, Archiv für die civilistische Praxis, Heft 3/4, 204. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2004.

Leflar Robert A., McDougal Luther L., and Felix Robert L., American Conflicts Law, 4th ed., Lexis Pub, Charlottesville, VA: Michie Co., 1986.

McLeod James Gary, The Conflict of Laws; Carswell Legal Publications, Calgary, Alta, 1983.

Medicus Dieter, Allgemeiner Teil des BGB, 10. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2010.

Medicus Dieter, Allgemeiner Teil des BGB, 9. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2006.

Medicus Dieter, Schuldrecht II, Besonderer Teil, 14. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2007.

Medicus Dieter, System und Prinzipien des Privatrechts by Franz Bydlinski, Archiv für die civilistische Praxis, Heft 3, 197. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1997.

Meller-Hannich Caroline, Die Einrede der Verjährung, JZ, Heft 13, 60. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2005.

Millgramm Erik, Grafmüller Petra, Verjährungsproblematik der §§195, 199 BGB am Beispiel der Rückabwicklung sittenwidriger Schenkungskreise, MDR, Heft 20, 62. Jahrgang, 2008.

Müller Michael, Obligationenrecht, Die Verjährung im EU-Kaufrecht, GPR, 1/2012, Heft 9, 2012.

Münchener Kommentar zum BGB, 6. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2012.

Neumayer Karl H., Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalfristen by Karl Spiro, Rabels Zeitschrift für Rechte durch ausländisches und internationales Privatrecht/ The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Band II, Heft 1, 44 Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1980.

Niebling Jürgen, AGB-Recht – Aktuelle Entwicklungen bei einzelnen Vertragstypen und –Klauseln, MDR, Heft 12/2014, 68. Jahrgang, 2014.

Oetker Hartmut, Maultzsch Felix, Vertragliche Schuldverhältnisse, 3. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2007.

Oetker Hartmut, Maultzsch Felix, Vertragliche Schuldverhältnisse, 5. Auflage, Springer Verlag Berlin Heidelberg, 2018.

Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar, Band 7, 71. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2012.

Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar, Band 7, 75. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2015.

Pappenheim Walther, Zur international-privatrechtlichen Behandlung der Verjährung, Zeitschrift für ausländisches und internationales Privatrecht, 5. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1931.

Peters Frank, Das Anerkenntnis des Schuldners im System des Verjährungsrechts, JZ, 58. Nr. 17, Jahrgang, 2003.

Petersen Jens, Examens-Repetitorium Allgemeines Schuldrecht, 4. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2009.

Petersen Jens, Leistung Bearbeitungsgebühren in Darlehensverträgen; Beginn kenntnisabhängige Verjährung bei unklarer Rechtslage, Jura, Heft 4, 37. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2015.

Petersen Jens, Verjährungsbeginn von Rückzahlungsansprüchen erst mit Erteilung der Jahresabrechnung, Jura, Heft 11, 34. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2012.

Petersen Jens, Verjährung von Schadensersatzansprüchen wegen Baumängeln und Ihre Hemmung durch Einleitung des Mahnverfahrens, Jura, Heft 9, 37. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2015.

Petersen Jens, Wirtschaftsprüfung: Vertrag mit schutzwirkung zugunsten Dritter und Verjährungsbeginn bei falscher Rechtsanwendung, Jura, Heft 10, 36. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin 2014.

Petersen Jens, Zur Verjährung von Garantieansprüchen neben Gewährleistungsrechten, Jura, Heft 3. 40. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2018.

Pichonnaz Pascal, Ursprung und Begründung in historischer Sicht, ZRG RA 132(1), 2015.

Piekenbrock Andreas, Peters Frank, Befristung, Verjährung, Verschweigung und Verwirkung, Archiv für die civilistische Praxis, Heft 6, 206. Jahrgang, Verlag Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2006.

Reich Dietmar O, Einführung in das Bürgerliche Recht, 5. Auflage, Springer Fachmedien Verlag, Wiesbaden, 2016.

Reisevertrag/Frist zur Anmeldung von Ansprüchen, RRa, Heft 6, 12. Jahrgang, 2004.

Rüdiger Martis, Aktuelle Entwicklung im Kaufrecht – Die Nacherfüllung gem. § 439 BGB, MDR, Heft 20, 65. Jahrgang, 2011.

Rudkowski Lena, Wirtschaftsrecht: BGB AT, Schuldrecht, Sachenrecht, Springer Gabler Verlag, Wiesbaden, 2016.

Houck Rudolf, Zondler Christof, Verjährung von Garantieübernahme bei M&A-Transaktionen in den USA M&A Review 5/2014, 25. Jahrgang, 2014.

Welser Rudolf, Zöchling-Jud Brigitta, Grundriss des bürgerlichen Rechts Band II: Schuldrecht Allgemeiner Teil, Schuldrecht Besonderer Teil, Erbrecht, 14. Auflage, Manz Verlag, Wien, 2015.

Rühl Giesela, Die Verjährung kaufrechtlicher Gewährleistungsansprüche, Archiv für die civilistische Praxis, Heft 4/5, 207. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 2007.

Säcker Franz Jürgen, Mohr Jochen, Fallsammlung zum BGB Allgemeiner Teil, mit Verbindungslinien zum Schuld- und Sachenrecht, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2010.

Schäfer Hans-Bernd, Fuhrmann Ben, Zivilrechtliche und rechtsökonomische Aspekte zum Dieselskandal der Volkswagen AG, Wirtschaftsdienst, Heft 4, 98. Jahrgang, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2018.

Schellhammer Kurt, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 12. Auflage, Verlag C. F. Müller, Heidelberg 2014.

Schellhammer Kurt, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 8. Auflage, Verlag C. F. Müller, Heidelberg, 2011.

Schmid Michael, Neubeginn und Hemmung der Verjährung durch Behandlung auf einer Wohnungseigentümersammlung, MDR, Heft 13/2009, 63. Jahrgang. 2009.

Schmidt-Kessel Martin, Ein einheitliches europäisches Kaufrecht? Eine Analyse des Vorschlags der Kommission, Sellier european law publishers GmbH, München, 2012.

Schwab Martin, AGB-Recht, 3. Auflage, Verlag C.F. Müller, Heidelberg, 2019.

Schweizerisches Institut für Rechtsvergleichung, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Dänemark, 2011 <<https://www.bj.admin.ch/dam/data/bj/wirtschaft/gesetzgebung/verjaehrungsfristen/gutachten-sir-d.pdf>>

Sebastian Blasche, Aktuelle Probleme des Verjährungsrechts, Jura, Heft 7/2009, 31. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2009.

Seidl Erwin, Die Verjährung als sozialer Behelf im Rechtsbuch von Hermopolis, ZRG RA, Weimar 91, 1974.

Siebenhaar Hermann, Der Begriff der Verwirkung, JR, Heft 3, 1962.

Skamel Frank, Nacherfüllung beim Sachkauf: Zum Inhalt von Nachbesserung und Ersatzlieferung sowie deren Abgrenzung vom Schadensersatz, Verlag Mohr Siebeck, Tübingen, 2008.

Smid Stefan, Verjährungshemmung durch Forderungsanmeldung, DZWIP, Heft 7, 22. Jahrgang, 2012.

Solórzano Julio Peláez, Die Entwicklung der Nichtigkeit und der Anfechtbarkeit von Rechtsgeschäften in Deutschland und Frankreich, Dissertation zur Erlangung der Doktorwürde, Universität zu Köln, Köln, 2010 <https://kups.ub.uni-koeln.de/3158/1/pelaez_dissertation.pdf>.

Spiro Karl, Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalefristen. Band I: Die Verjährung der Forderungen. Band II: Andere Befristungen und Rechte, JZ, Nr. 2, 33. Jahrgang, 1978.

Tettinger Peter W, Wer frißt wen? Weiterfresser vs. Nacherfüllung, JZ, Nr. 13, 61. Jahrgang, 2006.

Thorsten Richter S., Vertragsrecht Die Grundlagen des Wirtschaftsrechts, Verlag Vahlen, München, 2011.

Thouvenin Florent, Purtschert Tina, Schweizer Obligationenrecht 2020 Entwurf für einen neuen allgemeinen Teil, Verlag - Schulthess Juristische Medien AG, Zürich, 2013.

Tiedtke Klaus, Zur Rechtsprechung des BGH auf dem Gebiet des Kaufrechts – Teil 1, JZ, Nr. 8, 63. Jahrgang, 2008.

Tonikidis Stelios, Rücktritt und Minderung im Kaufrecht trotz erfolgreicher und fristgerechter Nacherfüllung, JR, Heft 2/2012, 2012.

Tonikidis Stelios, Konkurrenzprobleme im Kaufgewährleistungsrecht, Zeitschrift für das Juristische Studium, (ZJS) 3/2014<http://www.zjs-online.com/dat/artikel/2014_3_803.pdf> .

Valder Hubert, Salzmann Axel, Haftung und Versicherung, Schadenbearbeitung im Transportgewerbe, 2. Auflage, Verlag Heinrich Vogel, München 2003.

Verjährung/Hemmung/Beendigung der Hemmung, AG Baden-Baden Urt. v. 4.8.2004 – 16 C 212/03, RRA, 2005(1), 13. Jahrgang, 2005.

Vischer Markus Die fünfjährige Gewährleistungsfrist für bewegliche Sachen im Kaufrecht, Jusletter, 11.03.2013 <<https://www.walderwyss.com/publications/1294.pdf>>.

Habscheid Walther J., Die Begrenzung privater Rechte durch Verjährungs-, Verwirkungs- und Fatalefristen. Band I: Die Verjährung der Forderungen. Band II: Andere Befristungen und Rechte by Karl Spiro, Archiv für die civilistische Praxis, Heft 2-3, 178. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1978.

Wenusch Hermann, ÖNORM B2110, Praxiskommentar zum Bauwerkvertragsrecht, Springer-Verlag Wien, 2009.

Werkmeister Christoph, Zur Verjährung des kaufrechtlichen Nacherfüllungsanspruchs, Jura Heft 1, 35. Jahrgang, De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2013.

Wieske Thomas, Transportrecht - Schnell erfasst 3. Auflage, Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2012.

Wirth Axel, Brooks Stefan, Würfele Falk, Rechtsgrundlagen des Architekten und Ingenieurs, Friedr. Vieweg & Sohn Verlag/GWV Fachverlage GmbH, Wiesbaden, 2004.

Wittmann Rita, Vertragliche Gewährleistungsregelungen beim Unternehmenskauf unter besonderer Berücksichtigung des Anteilskaufs, Dissertation zur Erlangung des Grades eines Doktors, Universität Wien, Wien, 2011 <http://othes.univie.ac.at/17387/1/2011-11-17_9650047.pdf>.

Wunner Sven Erik, Die Rechtsnatur der Rückgewährpflichten bei Rücktritt und auflösender Bedingung mit Rückwirkungsklausel, Archiv für die civilistische Praxis, Heft 5/6, 168. Jahrgang, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, Tübingen, 1968.

Wurfel Seymour, Statutes of Limitations of the Conflict of Laws, North Carolina Law Review, Volume 52, No. 3, School of Law, 1919.

Wüst Achim, Hemmer Karl-Edmund, Rückgriffsansprüche, 7. Auflage, Hemmer/Wüst Verlagsgesellschaft, Würzburg, 2013.

Wüst Achim, Hemmer Karl-Edmund, Skript Deliktsrecht I, 10. Auflage, Hemmer/Wüst Verlagsgesellschaft, Würzburg, 2008.

Zellweger-Gutknecht Corinne, Retrozessionen: Verjährung, Rechtsmissbrauch und Schadensersatz, Besprechung des Urteils des Bundesgerichts 4A_508/2016 samt kritischer Anmerkung zu BGE 136 V 73, Jusletter 25.09.2017 <https://www.ius.uzh.ch/dam/jcr:7789ee76-825c-44ca-9e80-a42aee9f9048/CZG_2017_Jusletter_Retrozessionen.pdf>.

Zöllner Wolfgang, Verjährungsrecht im deutschen BGB – Kritik eines verfehlten Regelungssystems, in: Haarer Friedrich/Postmann, Wolfgang/Zäch, Roger: Besonderes Vertragsrecht – aktuelle Probleme - Festschrift für Heinrich Honsell, zum 60. Geburtstag, Zürich 2002.

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები/განჩინებები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ივნისის №28/1881-14 განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 დეკემბრის №28/2737-14 განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 დეკემბრის №28/167-15 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 13 იანვრის №28/3210-15 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 თებერვლის №28/506-16 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 7 მაისის №28/6507-16 განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 13 თებერვლის №28/5402-17 განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 19 სექტემბრის №28/1616-17 განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 იანვრის №28/1652-18 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 მარტის №3კ/441-01 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 9 მარტის №ას-332-1005-03 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 1 მარტის №ას-887-1160-04 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 4 მარტის №ას-1267-1398-04 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 ივნისის №ას-265-594-05 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 1 ნოემბრის №ას-635-916-05 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 26 ივნისის №ას-1270-1509-05 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 19 დეკემბრის №ას-330-733-06 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის №ას-73-419-07 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის №ას-48-401-07 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის №ას-581-808-08 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის №ას-542-775-08 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის №ას-850-1064-08 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის №ას-1154-1299-08 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის №ას-333-653-09 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 21 იანვრის №ბს-944-904(კ-09) განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 სექტემბრის №ას-626-587-2010 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 7 ოქტომბრის № ას-143-136-2010 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის №ას-586-551-2010 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 3 ოქტომბრის ას-1072-1102-2011 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის №ას-988-1021-2011 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 დეკემბრის №ას-952-990-2011 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 7 ივნისის №ას-665-626-2012 განჩინება - აღწერილობითი ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის №ას-547-515-2012 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 ივლისის №ას-664-625-2012 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის №ას-868-814-2012 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-444-419-2011 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის №ას-1350-1275-2012 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 მაისის №ას-1432-1351-2012 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის №ას-247-237-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №ბს-854-836(კ-12) გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №ას-62-59-2012 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის №ას-585-556-2013 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის №ას-472-448-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 დეკემბრის №ას-1529-1443-2012 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის №ას-266-254-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის №ას-495-471-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის №ას-260-244-2014 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის №ას-880-838-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის №ას-482-456-2014 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის №ას-361-343-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის №ას-1219-1160-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის №ას-1144-1090-014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის № ას-1342-1380-2014 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის №ას-445-420-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის №ას-1115-1062-2014 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის №ას-838-796-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის №ას-536-509-2015 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 1 ივლისის №ას-17-14-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის №ას-978-939-2014 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისის №ას-369-350-2015 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-754-714-2015 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-979-940-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის №ას-708-674-2015 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №ას-1264-1204-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 9 ოქტომბრის №ას-898-860-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის №ას-688-658-2014 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №ას-303-285-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის №ას-1020-963-2015 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 ნოემბრის №ას-1184-1129-2013 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის №ას-856-806-2015 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის №ას-960-909-2015 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის №ას-15-15-2016 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის №ას-225-215-2016 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 27 მაისის №ას-383-364-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის №ას-431-414-2016 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის №ას-609-582-2016 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №ას-621-593-2016 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 4 ნოემბრის №ას-698-669-2016 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბერი №ას-579-554-2016 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის №ას-1213-1172-2016 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის №ას-75-71-2017 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №ას-730-698-2016 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 18 აპრილის №ას-171-160-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №ას-188-177-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის №ას-212-201-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის №ას-363-339-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის №ას-774-723-2017 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის №ას-1003-924-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 იანვრის №ას-211-200-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის №ას-1160-1080-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 9 თებერვლის №ას-1504-1424-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის №ბს-767-759(კ-16) გადაწყვეტილება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 7 მარტის №ას-1765-2018 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 აპრილის №ას-68-68-2018 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 4 აპრილის №ას-1322-2018 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის №ას-313-313-2018 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის №ას-384-358-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის №ას-515-515-2018 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 ივლისის №ას-785-785-2018 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №ას-201-201-2018 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ას-902-2018 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის №ას-1428-2018 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის №ას-1796-2018 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის №ას-572-572-2018 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის №ას-1345-2018 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №ას-1344-2018 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 მაისის №ას-1851-2018 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის №ას-273-2019 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 31 მაისის №ას-295-2019 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 11 ივნისის №ას-131-2019 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის №ას-586-2019 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 28 ივნისის №ას-566-2019 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის №ას-1114-2020 გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 1 აპრილის №2/155 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 4 აპრილის №1/2/440 განჩინება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ანატოლი კოზლოვსკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე - დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე - შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე - სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №ას-1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე - სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებები

BGE Urt. v. 13.10.1964 - 90 II 428.

BGE Urt. v. 16.05.1988 - 114 II 152.

BGE Urt. v. 29.01.2010 - 136 II, 187.

BGE Urt. v. 3.05.2011 - 4A_562/2010.

BGH, Urt. v. 25.6.1991 - X ZR 4/90.

BGH Urt. v. 20.05.2003 – X ZR 57/02.

BGH Urt. v. 11.1.2005 – X ZR 163/02.

BGH Urt. v. 18.01.2006 – VIII ZR 94/05.

BGH Urt. v. 21.09.2006 – I ZR 2/04.

BGH Urt. v. 12.06.2007 – X ZR 87/0.

BGH Urt. v. 18.09.2007 – XI ZR 447/06.

BGH Urt. v. 6.11.2007 – VI ZR 182/06.

BGH Urt. v. 10.01.2008 - I ZR 13/05.

BGH, Urt. v. 15.07.2008 - VIII ZR 211/07.

BGH Urt. v. 09.06.2009 – Xa ZR 99/06.

BGH Urt. v. 9.07.2009 – Xz ZR 99/06.

BGH 2.11.2010 – VIII ZR 287/09.

BGH, Urt. v. 28.1.2011 – V ZR 141/10.

BGH Urt. v. 16.3.2012 – V ZR 18/11.

BGH Urt. v. 11.09.2012 – XI ZR 56/11.

BGH Urt. v. 29.5.2013 – VIII ZR 174/12.

BGH Urt. v. 9.04.2014 – VIII ZR 404/12.

BGH, Urt. v. 28.05.2014 – VIII ZR 179/13.

BGH Urt. v. 29.04.2015 – VIII ZR 180/14.

BGH, Urt. v. 02.06.2016 – VII ZR 348/13.

BGH Urt. v. 14.6.2016 – XI ZR 242/15.

England and Wales Court of appeal პარტნიორობა ოქსფორდ არქიტექტს ჩელენტემის ქალთა კოლეჯის წინააღმდეგ (Oxford Architects Partnership vs Cheltenham Ladies) საქმის ნომერი № APP.L.R 11/17, 15 - 17.11.2006.

LG München Urt. 10.06.2011 – 12 O 3387/11.

LG Krefeld Urt. v. 3.07.2012 - 12 O 23/12.

LG Krefeld Urt. v. 01.03.2017- 7 O 130/16.

OGH, Beschluss v. 25.07.2000 - 1Ob112/00b.

OGH, Beschluss v. 29.04.2009 – 7Ob73/09z.

OLG München Urt. v. 19.04.2005 – 9 U 3931/04.

OLG Celle 20.6.2006 – 16 U 287/05.

OLG Frankfurt am Main Urt. v. 20.4.2007 – 3 U 203/05.

OLG Brandenburg, Urt. v. 10.10.2007 – 3 U 33/07.

OLG Schleswig-Holstein, Urt. v. 24.4.2012 – 11 U 123/11.

OLG Hamm, Beschluss v. 05.01.2017 – 28 U 201/16.

Senatsurt. v. 7.5.1996 – XI ZR 217/95.

Senatsurt. v. 25.03.1998 – VIII ZR 185/96.

Senatsurt. v. 7.06.2006 – VIII ZR 209/05.

Supreme Court New York Country, კასიტა ლ.პ. გლასერის წინააღმდეგ (Casita, L.P vs. Glaser) -საქმის ნომერი №600782/2007- 20.02.2015.

Supreme Court of California რონექს ფროფერტის ჯონ ლაინგ კონსტრუქშნის წინააღმდეგ (Ronex Properties vs John Laing Construction) - საქმის ნომერი №QB 393, 404, 1983.

უცხო ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

BVerfG, Beschluss v. 12.01.1967 - 1BvR 196/63.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Stubbings and Others v. The United Kingdom) - განაცხადის ნომერი №22083/93 №220095/93 - 22 ოქტომბერი 1996.

ჰოვალდ მური და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Howald Moor and Others v. Switzerland) - განაცხადის ნომერი №52067/10; №41072/11 – 11 მარტი 2014.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები

ელისა მარია მოსტაჯა კლარო ცონტრო მოვილ მილენიუმ SL-ის წინააღმდეგ (Eliza Maria Mostaza Claro vs. Centro Movil Milenium SL) – საქმის ნომერი №C-168/05 – 26.10.2006.

ფრაუკი ფაბერი ავტობედრიფ ჰაზეტ ოხტენ (Froukje Faber vs. Autobedrijf Hazet Ochten BV) – საქმის ნომერი №C-497/13 – 4.06.2015.

ქრისტიან ფერენსშილდი JPC Motor SA-ის წინააღმდეგ (Christian Ferenschild vs. JPC Motor SA) - საქმის ნომერი № C 673/17 - 21.03.2019.

ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

საქართველოს საჰაერო კოდექსი.

სსრკ სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №177 დადგენილება.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება.

„სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის ფორმათა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის №1/456 გადაწყვეტილება.

***უცხო ქვეყნის ნორმატიული დოკუმენტი, უნიფიცირებული და
სარეკომენდაციო სამართლებრივი აქტები***

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 4 ნოემბერი, 1950 წელი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - Bürgerliches Gesetzbuch.

დირექტივა „პაკეტის მოგზაურობისა და დაკავშირებული მოგზაურობის შეთანხმებების შესახებ“ - Directive (EU) 2015/2302 of the European Parliament and of the Council of 25 November 2015 on package travel and linked travel arrangements, amending Regulation (EC) No 2006/2004 and Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 90/314/EEC.

დირექტივა „სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“ - Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council of 25 May 1999 on certain aspects of the sale of consumer goods and associated guarantees.

ევროპული სახელმწიფოებო სამართლის პრინციპები - The Principles of European Contract Law, EU.

კონვენცია „საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების ნამდვილობასთან დაკავშირებული ზოგიერთი წესის უნიფიცირების შესახებ“ - Convention Relating to a Uniform Law on the Formation of Contracts for the International Sale of Goods.

„კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1924 წლის საერთაშორისო კონვენციას („ჰააგა-ვიზუის წესები“) - International Convention for the Unification of Certain Rules of Law relating to Bills of Lading („Hague Rules“).

რომი I რეგულაცია - Regulation (EC) No 593/2008 of the European Parliament and of the Council of 17 June 2008 on the law applicable to contractual obligations (Rome I).

„ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ“ ჟენევის 1956 წლის 19 მაისის კონვენცია - Convention on the Contract for the International Carriage of Goods by Road (CMR) (Geneva, 19 May 1956).

„ტვირთების საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების შესახებ“ გაეროს ჰამბურგის 1978 წლის კონვენცია („ჰამბურგის წესები“) – United Nations Convention on the Carriage of Goods By Sea, 1978 („Hamburg Rules“).

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი - Schweizerisches Zivilgesetzbuch.

ჩარჩო რეკომენდაციის საერთო ფორმატი - Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference.

ინტერნეტ რესურსი

<www.bundesgerichtshof.de>

<www.bundesverfassungsgericht.de>

<www.constcourt.ge>

<www.dejure.org>

<www.dipbt.bundestag.de>

<www.eur-lex.europa.eu>

<www.gccc.ge>

<www.gesetze-im-internet.de>

<www.hcoj.gov.ge>

<www.info.parliament.ge>

<www.jusline.at>

<www.law.cornell.edu>

<www.leginfo.legislature.ca.gov>

<www.legislation.gov.uk>

<www.library.court.ge>

<www.matsne.gov.ge>

<www.supremecourt.ge>

<www.temida.mylaw.ge>

<www.tsu.ge>